საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№15 (58)
28 აპრილი – 4 მაისი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net



6 ბექუაშვილების ცემენტით აგებული სახლები ჩამოიშლება



7 კალაუზნის რეაბილიტაციით ბოკერიას ოჯახმა იხეირა



ზურაბ გაგნიძე:
ალასანიას ამერიკული ექსპერიმენტის მძაფრი სუნი ასდის 11



მამა გიორგი სხირტლაძე:
მართლმადიდებლობასთან ასეთი მზაკვრული ბრძოლა არასოდეს ყოფილა 15



ჰამლეტ ჭიპაშვილი:
საქართველოს დღემდე ქართულმა ეკლესიამ მოაღწევინა 17



ლალი აფციაური:
რუსთავის კოლონიაში პატიმარ ქალებს სასტიკად აწამებენ 20

შიმშილობა ლატვიურად — 29 მსოფლიო ბანკის ახალი ექსპერიმენტი

«ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ» 18



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში

«VINCIT OMNIA VERITAS»
«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

# ვისაც გიყვართ, გაჰყევით!



2

## ანუ გასაფუჭებელი კიდევ ბევრია

27 აპრილს წინასაარჩევნო მეტიჩრობის როლში შეჭრილმა უგულავამ ხელი ყასბის ნაჯახს წამოავლო და ტელეკამერების წინ ხორცის დაჩეხვა დაიწყო, მერე თონეში ჩაეყუდა და პური გამოაცხო...

გიგი უგულავა — ყასაბი, ხაბაზი, ნოქარი, პორტიე, მედიკამენტების დამფასოებელი... ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. ყველაფერი კი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მისთვის ჯარის სარდლობის ჩაბარებით დაიწყო... არადა, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და, რაც უფრო ხშირად მოინდომებს გიგი სარდლობას, ყასბობას ან ხაბაზობას, მით უფრო გახშირდება კონვულსიები, ასე რომ აძაგძაგებს იმას, რაც ქართული სახელმწიფოსგან დარჩა.

„ნაცმოძრაობის“ ლოზუნგი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ ხალხმა ათასნაირად შეცვალა, მაგრამ მათგან ყველაზე აქტუალურია „გასაფუჭებელი კიდევ ბევრია“. ამ შემთხვევაში გიგი უგულავა, გორში სახელმოხვეჭილ მხედართმთავარ სააკაშვილთან ერთად გამფუჭებელთა, ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის დამაქცევართა კრებითი სახელია.

ქვეყანაში, სადაც თავის საქმეს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ აკეთებს, ხალხს ოპტიმიზმის საფუძველიც არ აქვს. თუმცა „ნაცების“ მეხოტბეები ჯერ კიდევ მოიძებნებიან და, თუკი ჟანა დ’არკის სიტყვების ინტერპრეტაციას მოვახდენთ, ხაბაზად, ყასბად, მთავარსარდლად სააკაშვილი, გიგი და მისთანანი „ვისაც გინდათ, გაჰყევით!“, მათ კიდევ ბევრი დარჩათ გასაფუჭებელი...

## «ნიჭიერის» გამარჯვებული უკვე გარკვეულია

ანი ხანჭალიანი პროექტს «მოიგებს»



5

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მეთოდები დაგიძველდა, მურტალო!

**გახსოვთ ალბათ, რა აჟიოტაჟი მოჰყვა სახელისუფლო მედიაში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე მ. სააკაშვილის მიწვევას. ჩვენი ტელეკომპანიების უმეტესობისთვის რომ დაგეჯერებინათ, ადვილი შესაძლებელი იყო, შეგქმნოდათ შთაბეჭდილება, რომ ბარაკ ობამამ დამნაშავედ იგრძნო თავი სააკაშვილის წინაშე – ამ ღვთისნიერ და დემოკრატიის შუქურად ცნობილ პიროვნებას აქამდე როგორ არ შევხვდიო — და ამ შეცდომის გამოსასწორებლად სპეციალურად სააკაშვილისთვის ბირთვული სამიტი მოიწვია – დავპატიჟებ, შევხვდები და ბოდიშსაც მოვუხდი აქამდე გამოჩენილი უყურადღებობისთვისო.**

ჩვენი მოდელირებული მედიის აგონიური მდგომარეობა ამჯერად გვერდზე გადავდოთ, მანამდე კი ერთ საინტერესო დეტალზე შეიძლება ყურადღების გამახვილება.

ორიოდე თვის წინ ჩვენმა მძლეთამძლე შინაგან საქმეთა სამინისტრომ **(რომელიც ყოველთვის უძლეველია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პრეზიდენტის ან მისი თანაგუნდელების სატელეფონო საუბრების დაცვა და დაშიფვრაა საჭირო)**, „აქამდე არნახული" ოპერაცია ჩაატარა, უცხოეთის რამდენიმე მოქალაქე დააკავა და გამდიდრებული ურანის გარკვეული რაოდენობაც ამოიღო.

**ვინც ტელევიზორით მოსმენისას ურანის ამ რაოდენობას ყურადღება არ მიაქცია, ალბათ, იფიქრა, რამდენიმე კილოგრამზე მაინც იქნება საუბარი და სერიოზულ შარს გადავრჩითო. მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საუბარი იყო... 8 თუ 9 გრამზე, რომელიც ატომური ბომბის კი არა, მისი ეტიკეტის დასამზადებლად თუ იქნებოდა საკმარისი.**

აი, ასეთი აფიორა ჩაატარა ჩვენმა ძალოვანმა ხელისუფლებამ, რითაც, შეიძლება ითქვას, მიზანს მიაღწია კიდეც – საქართველოს პრეზიდენტი ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე დასასწრებლად მიიწვიეს – აქაოდა, აი, როგორ ებრძვიან საქართველოში ურანის კონტრაბანდას და როგორ ზრუნავენ ბირთვული მასალების გაუვრცელებლობაზეო. ბარემ ისიც გეთქვათ, ბატონებო, სააკაშვილი რომ არა, ამერიკასა და რუსეთს შორის ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულებას საერთოდ ვერც კი მოვაწერდით ხელსო!

**დაბრუნდა თუ არა ამერიკიდან, მიხეილ მართალმა და სწორუპოვარმა ახალი საფრთხისგან იხსნა ამერიკაც და სრულიად სამყაროც – პრევენციული ზომის სახით მთელ მსოფლიოს ამცნო – ბირთვული მასალები, არც მეტი და არც ნაკლები, რუსეთიდან ჟონავს და თანაც სწორედ საქართველოს გავლითო!**

მოდი და ნუ გაგახსენდება ასეთ დროს ჯეკ ბაუერი, სერიალ „24 საათის" გმირი, რომელიც სააკაშვილის მსგავსად, დღენიადაგ იმითაა დაკავებული, რომ ამერიკას ბირთვული ტერორიზმის საფრთხე თავიდან ააცილოს...

**დალოცვილო, რუსეთიდან ბირთვული მასალები ჟონავსო, მსგავსი რამ არც ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო „მაგატეს" მოსვლია თავში როდესმე, არც „ცერეუს" და არც გამოძიების ფედერალურ ბიუროს. თუ ვანომ უკვე ყველა ზემოხსენებული ზემძლავრი სტრუქტურაც „ჯიბეში ჩაისვა" და იცის ის, რაც მათაც კი არ იციან?**

**თუ დავუშვათ და ეს ბოდვა მართალია და რუსეთი ვაჭრობს ბირთვული მასალებით, მაპატიეთ და რა შავ ქვად სჭირდება ამისთვის საქართველო, რომელსაც უკვე ევროკავშირმაც კი სატელიტურ-კოსმოსური მეთვალყურეობა დაუწესა? იქვე არ ჰყავს „თავისი" ჩეჩნეთი და მთელი ჩრდილოეთ კავკასია, სადაც „ალ-ქაიდა" და სხვა მეტ-ნაკლებად ტერორისტული ორგანიზაციები „ბაირამობენ"? ვერ გაყიდის ურანს მათი მეშვეობით?**

მაგრამ საქმე ისაა, რომ სააკაშვილმა საქართველოში აპრობირებულ-დამკვიდრებული ტელემმართველობა და ვირტუალური სამყარო უკვე საერთაშორისო არენაზე გაიტანა; **ახლა დასავლეთს „აბოლებს" ისე, როგორც ამას საქართველოში აკეთებდა. სწორედ რომ აკეთებდა, რადგან მსგავსი ნაცარქექიობა ქართველებზე, უკვე კარგა ხანია, აღარ ჭრის. ვნახოთ, რამდენ ხანს იმოქმედებს ეს მეთოდი დასავლეთზე.** თუ უკვე ხსენებული დასავლური სპეცსამსახურების სიმძლავრეს და ინფორმირებულობას გავითვალისწინებთ, მალე ისინიც შემოუთვლიან მიშიკოს – **„მეთოდები დაგიძველდა, მურტალო"...**

**სალვადორ დვალი**

# ვისაც გიყვართ, გაჰყევით, ანუ




**თითოეული მმართველის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც წელიწადის ნებისმიერ დროს გვიან შემოდგომად აღიქვამს. „Time"-ის პუბლიკაციაში „რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროს იბრუნებს, აშშ-ს საწინააღმდეგო არაფერი აქვს", მნიშვნელოვანი ადგილი მიხეილ სააკაშვილთან საუბარს ეთმობა, რომელმაც მკითხველს შეიძლება დეპრესიულობისა და უიმედობის შთაბეჭდილება შეუქმნას. ზოგად განწყობას საკმაოდ კარგად შემდეგი ფრაზა გადმოსცემს: „სააკაშვილი მის მდიდრულ ოფისში უგანწყობოდ იჯდა და ბუშის მმართველობის წლებზე ერთგვარ ნოსტალგიას განიცდიდა". იმ შემთხვევაში, თუ მარტოსული ხელისუფალის განცდებსა და ვნებებში ჩაღრმავებას დავიწყებთ, ოპონენტებმა შეიძლება გვითხრან, რომ მისდამი სიბრალულის გამოწვევას ვცდილობთ და მყისვე ვაჟას გაგვახსენებს: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისადა?". ასე რომ, მხოლოდ ბუნების იმ კანონის კონსტატაციით შემოვიფარგლოთ, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა აღწერეს: „დრო იცვლება და ჩვენც მასთან ერთად ვიცვლებით". თუმცა მიხეილ სააკაშვილზე ეს, როგორც ჩანს, არ ვრცელდება და იგი (ბარემ აქაც რომაელებს დავესესხოთ) Semper Idem (ისევ იმავედ) რჩება.**

**რედაქციისაგან:**

**27 აპრილს წინასაარჩევნო მეტიჩრობის როლში შეჭრილმა უგულავამ ხელი ყასბის ნაჯახს წამოავლო და ტელეკამერების წინ ხორცის დაჩეხვა დაიწყო, მერე თონეში ჩაეყუდა და პური გამოაცხო...**

**გიგი უგულავა — ყასაბი, ხაბაზი, ნოქარი, პორტიე, მედიკამენტების დამფასოებელი... ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. ყველაფერი კი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მისთვის ჯარის სარდლობის ჩაბარებით დაიწყო... არადა, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და, რაც უფრო ხშირად მოინდომებს გიგი სარდლობას, ყასბობას ან ხაბაზობას, მით უფრო გახშირდება კონვულსიები, ასე რომ აძაგძაგებს იმას, რაც ქართული სახელმწიფოსგან დარჩა.**

**„ნაცმოძრაობის" ლოზუნგი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია" ხალხმა ათასნაირად შეცვალა, მაგრამ მათგან ყველაზე აქტუალურია „გასაფუჭებელი კიდევ ბევრია". ამ შემთხვევაში გიგი უგულავა, გორში სახელმოხვეჭილ მხედართმთავარ სააკაშვილთან ერთად გამფუჭებელთა, ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის დამაქცევართა კრებითი სახელია.**

**ქვეყანაში, სადაც თავის საქმეს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ აკეთებს, ხალხს ოპტიმიზმის საფუძველიც არ აქვს. თუმცა „ნაცების" მეხოტბეები ჯერ კიდევ მოიძებნებიან და, თუკი ჟანა დ'არკის სიტყვების ინტერპრეტაციას მოვახდენთ, ხაბაზად, ყასბად, მთავარსარდლად სააკაშვილი, გიგი და მისთანანი „ვისაც გინდათ, გაჰყევით!", მათ კიდევ ბევრი დარჩათ გასაფუჭებელი...**

## ხმალი შუაგულ მინდორში

**„საქართველომ სასწაულებრივი ტრანსფორმაცია განიცადა", „ადრე სიღარიბეში მოსახლების 52% ცხოვრობდა, ახლა 22%",** — ექსტრიმის მოყვარულებს შეუძლიათ ეს ფრაზები ნებისმიერ ხალხმრავალ ადგილას გაიმეორონ და შემდეგ დატკბნენ აუტანელი სიმსუბუქის იმ შეგრძნებით, რომელიც გამძვინვარებული მასისგან მარათონულ გაქცევას მოაქვს.

**იდეაში, ადამიანზე, რომელსაც ხელი ან ფეხი მოაჭრეს, ვიღაც სადისტმა კი შეიძლება თქვას, რომ მან „სასწაულებრივი ტრანსფორმაცია განიცადა", თუმცა ამის თქმა ქვეყანაზე, რომელმაც ახლახან ტერიტორიების მორიგი ამპუტაცია გადაიტანა, საზოგადოებას შეიძლება კიდევ უფრო ცინიკურად მოეჩვენოს.**

რაც შეეხება იმას, რომ სიღარიბეს თავი თურმე მილიონზე მეტმა ჩვენმა თანამოქალაქემ დააღწია, ამ მოსაზრების სერიოზული კომენტირებით, ჯობს, ვინმე სხვა დაკავდეს, მე კი ამ ჯერზე თავს შევიკავებ; უბრალოდ, საინტერესოა, (ამ)ქვეყნიდან წასულებს ხომ არ გულისხმობდა?

თუმცა სააკაშვილის ეს განცხადებები „CNN"-ის ეთერში გაჟღერდა, „Time"-თან საუბარი კი სხვა თემას ეხებოდა. ვიდრე იმაზე გადავალთ, თუ როგორ აღიქვამს სააკაშვილი ბოლო ცვლილებებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, ხაზი კიდევ ერთ ნიუანსს გავუსვათ.

როგორც ჩანს, „Time"-ის კორესპონდენტზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა კონტრასტმა სააკაშვილის ფეშენებელურ რეზიდენციასა და ჩვენი ღატაკი ქვეყნის რეალიებს შორის და პუბლიკაციაში, როგორც „მდიდრული ოფისი", ისე „სასახლის გამჭვირვალე ჭერი" ახსენა. **როგორც წესი, დასავლურ მედიაში, მსგავსი წიაღსვლები მესამე სამყაროს რეჟიმების კარიკატურული და გაუმაძღარი ხასიათის აღწერისას გამოიყენება და მისდამი შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ემსახურება.**

ისე, სასახლე, მართალაც, საგულდაგულოდ არის მოწყობილი, თუმცა, ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილება თუ გაინტერესებთ, ფრიად უგემოვნოდ; რას ვიზამთ, ყველა უცნაური მმართველი ლუდვიგ II ბავარიელის დონემდე ვერ აქაჩავს.

**მიხეილ სააკაშვილი: „ბარაკ ობამამ სცადა რა კრემლთან ურთიერთობის გაუმჯობესება, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა: იგი ჯორჯ ბუშის პოლიტიკის შედეგებს წააწყდა, რომელმაც მოსკოვი, „ფერად რევოლუციებთან" და მათ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილ ლიდერებთან ახლო კავშირით გააბრაზა. ახლა რუსები მოითხოვენ, რომ ობამამ ამ ურთიერთობებზე უარი თქვას. ეს მხოლოდ მისი პარტნიორის, საქართველოს მიტოვებას არ ნიშნავს. არა, რუსეთი მოითხოვს, რომ აშშ-მა გავლენის მთელი სფერო დაუბრუნოს".**

თავი დავანებოთ იმას, თამაშობენ თუ არა ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში რამდენადმე შესამჩნევ როლს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა „გაბრაზება", „უხერხულობა" და ა.შ. ბოლოს და ბოლოს აზრის ფორმულირებას ყველა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ახდენს. მაგალითი, — ერთი წინადადება **ჰენრი კისინჯერის** ინტერვიუდან, რომელიც გასულ კვირას „Christian Science Monitor"-ს მისცა: **„მთავარი გამოწვევა, რომელსაც მომდევნო თაობა შეეჯახება, იმაში მდგომარეობს, მოხერხდება თუ არა სამყაროს ამერიკული და ჩინური აღქმის გარკვეულ ჰარმონიამდე მიყვანა".** თითქოს ზოგადი ფრაზაა, არადა, ამის მიხედვით XXI საუკუნის ისტორიის მოდელირება შეიძლება. მთავარი კი, სააკაშვილის სიტყვებსა და, ზოგადად, „Time"-ის პუბლიკაციაში, ალბათ, მაინც აშშ-ის მიერ „ფერადი" რეჟიმების შესაძლო „მიტოვების" თემაა (რაღა „შესაძლო", იმის გათვალისწინებით, რა მოხდა კიევსა და ბიშკეკში), რომელზეც ღია მსჯელობა დასავლურ პრესაში, სულ რაღაც ერთი წლის წინათ წარმოუდგენელ ერესად ჩაითვლებოდა. ასე სწრაფად რეალური საქმე, ალბათ, არ ფუჭდება, ასე სწრაფად მხოლოდ ავანტიურა შეიძლება ჩაიფუშოს. **რას ნიშნავდა „ფერადი ტალღა" ვაშინგტონისთვის, თუ მის მონაპოვარს ასე იოლად ემშვიდობება? პასუხი შეიძლება ისეთი სასტიკი აღმოჩნდეს, რომ გამორიცხული არაა, ზოგიერთ ჩვენებურ „პროამერიკელს" უბრალოდ ნერვებმა უმტყუნოს.**

ლუკ ბესონის „ჟანა დ'არკში" ერთი საგულისხმო სცენა არის, საპყრობილეში გამოკეტილი ჟანა უმტკიცებს ინკვიზიტორს (სიმარტივისთვის ასე მოვიხსენიოთ, თორემ დასტინ ჰოფმანის როლს გაცილებით რთული დატვირთვა აქვს, იგი ჟანას სინდისსაც განასახიერებს, შინაგან ხმასაც და ა.შ.), რომ მისია, რომელიც მას დაეკისრა, ზეციური ძალების მიერ იყო ინსპირირებული და ერთ-ერთ მაგალითად შუაგულ მინდორში ნაპოვნი ხმალი მოაქვს, რომელიც მის ხელთ თითქოსდა უზენაესი განგებით მოხვდა. „არა, — პასუხობს ინკვიზიტორი, — ეს იყო უბრალოდ ხმალი მინდორში" და უამრავი სავსებით პროზაული მაგალითი მოაქვს იმისა, როგორ შეიძლებოდა იგი იქ მოხვედრილიყო; **არ არსებობდა არანაირი ღვთაებრივი მისია, იყო უბრალოდ მინდორში დაგდებული ხმალი, ერთი ჩვეულებრივი ინსტრუმენტი, რომელიც (ჟანასთან ერთად) დანიშნულების მიხედვით გამოიყენეს და კვლავ არსე-**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ნალს დაუბრუნეს. იმას კი, რაზე ოცნებობდა ამ დროს მთავარი გმირი, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.**

ამ შემთხვევაში ერთმანეთს არავის ვადარებთ (მეტისმეტი იქნებოდა). ოდნავ პათეტიკურად გამოგვივა, მაგრამ ჟანა დ'არკი, რომელიც ჯერ გამოიყენეს, ხოლო შემდეგ ცინიკურად გაყიდეს, გულადი, მაღალი იდეალების მატარებელი ადამიანი იყო, მისი საბრძოლო შეძახილი კი „ვისაც ვუყვავარ, მომყევით!“, ალბათ, თვით საფრანგეთია (და უფრო მეტიც). მისი ჯარისკაცები, ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ, თავგანწირულ იერიშებზე მიდიოდნენ და ინგლისელთა ისრებს (ნორმატივი 20 ისარი წუთში, საუკეთესო მშვილდოსნები 35-მდეც ადიოდნენ; წარმოიდგინეთ სიკვდილის ეს წვიმა) თავს უშვერდნენ.

საუბარი სხვა რამეზეა, წარმოდგენა საკუთარი მისიის შესახებ და მისი რეალური შინაარსი ერთმანეთისგან შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს. **წამით დავუშვათ, რომ აშშ არც არასოდეს აპირებდა საქართველოში (უკრაინაში და ა.შ.) მყარად დამკვიდრებას და, მით უმეტეს, მათ „დასავლეთის განუყოფელ ნაწილად“ გადაქცევას. იქნებ, „ფერადი ტალღა“ იყო მხოლოდ ტაქტიკური სვლა გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში** (ყურადღება მივაქციოთ კისინჯერის ფრაზას და მისგან სავსებით ბუნებრივად გამომდინარე აშშ-ის სავარაუდო პარტნიორობას კრემლთან, ჩინეთთან დაპირისპირების დროს), **რომლის კონტურები ჯერ კიდევ იქამდე გამოიკვეთა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი ჰალსტუხის შემოხვევას ისწავლიდა?**

თუმცა ეს ვარაუდებია, რომლებმაც შეიძლება შეთქმულების თეორიამდე (თუ პრაქტიკამდე?) მიგვიყვანოს. რეალობის მოკლე შინაარსს კი, ყველაზე კარგად, ალბათ, „Time“-ის პუბლიკაციის სათაური (იხ. ზემოთ) გადმოსცემს. რაც მალე გააცნობიერებენ ამას ჩვენი პოლიტიკოსები, მით უკეთესი; თუ ამას დროულად გააკეთებენ, შეგვიძლია თითოეულ მათგანს ბონუსის სახით გამოვუყოთ ცალკე პალატა (უკაცრავად), ადგილი დიდების მატიანეში და სიცოცხლის ბოლომდე ჟანა დ'არკებად და ნაპოლეონებად მოვიხსენიოთ; მთავარია, არ იხმაურონ და ბასრ საგნებს ხელი არ მოჰკიდონ.

## ...იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო

**ყირგიზეთის ექს-პრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი სათამაშოების წარმოების დაწყებას აპირებს. ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდა, რაც ადამიანები, რომელთაც, როგორც ჩანს, ცოცხალ სათამაშოებად თვლიდა, აუჯანყდნენ და ქვეყნიდან გააძევეს.**

ვიქტორ იუშჩენკო, როგორც ცნობილია, მეფუტკრეობას მისდევს და, ალბათ, უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც ულუკმაპუროდ არ დარჩება. **საინტერესოა, შეძლებდა თუ არა მიხეილ სააკაშვილი რაიმე პროდუქტის წარმოების აწყობას თუ მის განმგებლობაში ფაბრიკა ან ფერმა აღმოჩნდებოდა.**

**სამწუხაროდ, ამ თემის ფარგლებში პოსტ-აპოკალიპტური სცენების აღწერის დრო არ გვაქვს. ასე რომ, ისევ პოსტ-საბჭოთა რეალიებს დავუბრუნდეთ.**

ვიქტორ იანუკოვიჩს საკმაოდ რთული კვირა ჰქონდა. მან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელმაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტს სევასტოპოლში ყოფნის ვადა გაუხანგრძლივა და ამით ოპოზიციის განრისხება გამოიწვია. საინტერესო ეპიზოდია: აჩქარება ამ მიმართულებით საჭირო, ერთი შეხედვით, არ იყო, მხარეებს შეეძლოთ, უკრაინის ახალი პრეზიდენტის მდგომარეობის გამყარებას დალოდებოდნენ, ძველი შეთანხმებით 2016-17 წლამდე ფლოტს ისედაც არაფერი ემუქრებოდა. თუმცა იანუკოვიჩი მაინც წავიდა ხელმოწერაზე და აქ საქმე მხოლოდ იაფი გაზის მიღების სურვილში როდია.

**შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან განგებ მოახდინა „ნარინჯისფერი“ ოპოზიციის პროვოცირება, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი პროტესტებიდან არაფერი გამოვა და კრიზისი ხელს მის შემდგომ მარგინალიზაციას შეუწყობს.**

ეს ლოგიკური ნაბიჯია, იმ სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების მთავარი ოპონენტის როლში „ნარინჯისფერთა“ ჩანაცვლებას სხვა, როგორც კრემლისთვის, ისე იანუკოვიჩისთვის უფრო მისაღები ოპოზიციური ძალით. უკრაინის პრეზიდენტი, შეთანხმების ხელმოწერამდე, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო იმაში, რომ „ნარინჯისფრები“ არ მიიღებენ მხარდაჭერის ისეთ სიგნალს აშშ-დან, რომელმაც შეიძლება უკიდურესი ნაბიჯებისკენ უბიძგოს (აქ, ცხადია, მხოლოდ რიტუალური წივილ-კივილი არ იგულისხმება). **რასაკვირველია, ვაშინგტონმა ზრდილობის გულისთვის წაიდუდღუნა რაღაც, თუმცა არსებითი გავლენა მიმდინარე პროცესზე ამას, სავარაუდოდ, არ ექნება.**

ასევე, საგულისხმო იყო დასავლეთის რეაქცია იმ განცხადებებზე, რომლებიც ყურმანბეკ ბაკიევმა გააკეთა. მან თქვა, რომ ყირგიზეთიდან მისი წასვლის მთავარი მიზეზი ის ზეწოლა გახდა, რომელიც მასზე სატელეფონო საუბრის დროს რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განახორციელა. აშშ-მა და ევროპამ ეს განცხადება უბრალოდ „გაატარეს“, ისე, თითქოს პუტინს ამის გაკეთების სრული უფლება ჰქონდა.

**როგორც ჩანს, დასავლეთი ნამდვილად აპირებს, კრემლთან ურთიერთობაში ოტო ფონ ბისმარკის პრინციპით იხელმძღვანელოს: „Das Geheimnis der Politik? Ein guter Vertrag mit Russland“. (რაშია პოლიტიკის საიდუმლო? — კარგ ხელშეკრულებაში რუსეთთან.)**

რაც შეეხება სათამაშოების მომავალ ფაბრიკანტ ბაკიევს, აზიური პოლიტიკა ისეთი რამაა, რომ ბაკიევის ხელისუფლებაში დაბრუნებაც კი არ უნდა გამოვრიცხოთ. თუმცა, ამ ჰიპოტეტურ შემთხვევაში, ეს უკვე სულ სხვა, მარიონეტული თუ არა, „სათამაშო ბაკიევი“ იქნება, რომლის ორიენტაციას კომპასის წითელი ისრის მიმართულებისგან არაფერი განასხვავებს.

## ხელი ხელს ბანს

**ინტერნეტში შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ყველა კუთხე-კუნჭულში (ლამის პორნო-საიტების ჩათვლით) გამოფენილია სატელეფონო საუბრების ჩანაწერები; ერთმანეთს ქართველი მაღალჩინოსნების მსგავსი ხმების მქონე მამაკაცები ესაუბრებიან.**

ამ ჩანაწერების შინაარსი და სტრუქტურა ორი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: **ა) ამოუცნობი იდიოტები უბრალოდ ერთობიან; ბ) თუ საქართველოში საიდუმლო პოლიტიკის ფორმირება მართლაც მსგავსი საუბრების საფუძველზე ხდება, ალბათ, აჯობებს, მართვის სადავეები „ა“ პუნქტში მოხსენიებულ პერსონაჟებს გადავცეთ.**

საინტერესოა, რომ აღნიშნული ჩანაწერების გამომზეურებას, ისევე, როგორც სხვა საეჭვო წარმოშობის ფაქტებს, ბოლო დროს ხშირად ხელისუფლების შიგნით (თითქოსდა) არსებული განხეთქილებისა და კონფრონტაციის ილუსტრირებისთვის იყენებენ. ვინ აკეთებს ამას? თითქმის იგივე ადამიანები, რომლებიც 1999-ში ორპოლუსიან მოდელს გვიხატავდნენ, შევარდნაძისა და აბაშიძის ორბიტებით, თანამგზავრებითა და ასტეროიდებით; ისე, ზოგიერთი მათგანი მაშინაც ფორმალურად ოპოზიციაში ირიცხებოდა.

რა მიზნების მიღწევა სურთ მათ? ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არაა, ეს საზოგადოების, პოლიტიკური ჯგუფების და, გარკვეულ წილად, დაინტერესებული გარე მოთამაშეების ორი ახალი შიდაპოლიტიკური „პოლუსისკენ“ მოზიდვა და მათი მეტწილად იმიტირებულ, დაპირისპირებაში ჩათრევა იყოს. თუმცა ეს ტაქტიკაა, **მთავარი კი, ალბათ, პოლიტიკური სივრცის ისეთი „გადაფორმატების“ სურვილია, რომელიც ვაშინგტონზე ორიენტირებულ ძალებს უახლოეს პერსპექტივაში არა მხოლოდ კომფორტულ არსებობას გაუხანგრძლივებს, არამედ მოქმედებისთვის მაქსიმალურად მომგებიან პირობებს შეუქმნის.** ამ კონტექსტში კონკრეტული ჩინოვნიკების ზრუნვა საკუთარ მომავალზე შეიძლება მხოლოდ თანმდევ ფაქტორად მოგვევლინოს.

საერთოდ, ამ სქემის ფარგლებში, ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მის რეალიზებაში ჩართული ჯგუფებიდან რომელი იმყოფება დღეს ხელისუფლებაში და რომელი — ოპოზიციაში, რადგან მთლიანობაში იგი (სავარაუდოდ) მათი საერთო მომავლის ფორმირებას ემსახურება. ხოლო საუბარი იმაზე, რამდენად შედის ყოველივე ეს აშშ-ის, რუსეთისა და, რაც მთავარია, საქართველოს ინტერესებში, სჯობს, მომავალი კვირისთვის გადავდოთ.

**დიმიტრი მონიავა**

# თავი დაგვანებე, მიხეილ, ლატარიაში გვერგე?!

**„თავი დამანებე რა, ლატარიაში მერგე?!“ — მიმართვის ამგვარ ფორმას გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ხშირად გაიგონებდით და მომაბეზრებელი ადამიანისგან თავის დაღწევის სურვილს გამოხატავდა. სავარაუდოდ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი ლატარიაში მოგებული ნივთის (თუ გნებავთ, მავანი პიროვნების) მიღებაზე უარს აცხადებს და მეტიც, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ემოციით ხვდება.**

მართალია, ნაჩუქარ (ან მოგებულ) ცხენს კბილებს არ უსინჯავენ, მაგრამ ცხენიც არის და ცხენიც... თუკი ულაყი ზურგზე თავად შეგასკუპდება, დღეში თითო გოდორ სიტყვას გაჭმევს, ფინიშთან პირველი მისვლას ცუდუბრალოდ დაგპირდება, ზურგს გერმანელ მასაჟისტებს დაავარცხნინებს, შემოგჭიხვინებს, წინ გავრბივართო (ამ დროს კი, გაონჩებული უკან-უკან ერეკება) — ასეთი ცხენი ნამდვილად ღირსია მათრახის შემოკვრისა და მერე როგორ!

ქართველები ერთობ ორიგინალური, ჩვენს შემთხვევაში, ხანდახან უაზრობამდე აზარტული ხალხი ვართ. რიგითმა მოქალაქეებმა, რომლებიც ხელისუფლებისგან წყალობას ვერ ეღირსნენ, იმედის თვალი ტელეეკრანს მიაცივეს. მას შემდეგ, რაც გადაფხიკეს და ვერაფერი მოიგეს, ქართველები ახლა ციფრებს ხაზავენ. ისე, არც ციფრების შემოხაზვის შემდეგ რომ არ არის უზრუნველი ცხოვრება გარანტირებული, ეს არა მარტო ჩვეულებრივმა, არამედ პოლიტიკურმა ლატარიამ — არჩევნებმაც არა ერთხელ დაადასტურა. **მაშინ, როდესაც მილიონობით ქართველი მილიონ-ნახევარი ლარის მოგების იმედით ფორტუნას შესციცინებს თვალებში, თავისუფლების მექად წოდებულ ამერიკაში ერთი უცნაური ლატარია გათამაშდა. საპრიზო ფონდი, არც მეტი არც ნაკლები, მიხეილ სააკაშვილის ლექციაზე დასწრების უფლების მოპოვება იყო.** კენედის სკოლაში მისი გამოსვლა, შესაძლოა, ამერიკელებისთვის ლექცია იყო, მაგრამ ქართველებისთვის ის, კარგა ხანია, ქოსატყუილას ზღაპრად იქცა. მაინც რა შარმი თუ ქარიზმა აქვს ასეთი სააკაშვილს, რომ მისი მოსმენა ბევრმა ფორტუნას წყალობად მიიღო? **მართალია, ლატარია „მიშას ზღაპრები“ თავისი მასშტაბურობით „Greencard“-ის გათამაშებას ვერ შეედრება, მაგრამ დასავლეთში სააკაშვილის პერსონის მნიშვნელობას ფასი შეჰმატა: ეს ის კაცია, ვისი ზღაპრის მოსმენის პატივი ყველას არ აქვს. ეს, ალბათ, იმ პიარ-კამპანიებისა თუ ლობისტური ორგანიზაციების ერთ-ერთი აქციაა, რომელსაც სააკაშვილი ყოველწლიურად მილიონებს ურიცხავს.**

საქართველოს ცა-ფირუზ, ხმელეთზურმუხტოვანი სივრცე არა ერთხელ გამხდარა უცხოელი სტუმრების შთაგონების წყარო, მაგრამ რომანტიზმის ეპოქა დასრულდა და პრაგმატიზმის ეპოქაში არა თვალწარმტაცი ბუნება, არამედ სააკაშვილის მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეფორმები ხდება. ყოველ შემთხვევაში, იმ ვიეტნამელი სტუდენტი გოგონასთვის მაინც, რომელმაც ფორტუნას წყალობით სააკაშვილის ზღაპარი მოისმინა, რომელსაც საქართველო, სავარაუდოდ, თვალითაც არ უნახავს. წვრილთვალება ლამაზმანი ისეთი აღფრთოვანებული იყო, გასაკვირია, სააკაშვილმა ხელში რომ არ აიტაცა, რაც ხშირად სჩვევია, და საქართველოს მოქალაქეობა იქვე არ მიანიჭა.

**ბარაქალა მიშას! სახელი და დიდება! სადაც ფეხს შედგამს, უფრო სწორად, ტრიბუნას იხელთებს, დემოკრატიის ჩირაღდანს დაანთებს ხოლმე, თითქოს ლაპარაკი და მარტო ლაპარაკი არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი.**

**რა განძი გვქონია, უფრო სწორად, რა კაცი გვყოლია და არ ვაფასებთ! ვიდრე საქართველოში სალანძღავი ეპითეტებით ამკობენ, ნიუ იორკში დემოკრატიის ჩემპიონი უწოდეს. დაფნის გვირგვინით არა, მაგრამ საპატიო დოქტორის წოდებით დააჯილდოვეს და იქნებ, ძეგლიც დაუდგან როგორც კავკასიური დემოკრატიის შუქურას.**

და ბოლოს, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო, ბრძენის ნააზრევია. ნეტავ, ერთი იმგვარი ქარიშხალი ამოვარდებოდეს, რომ ის კაცი, ქართველ ხალხს ლატარიაში რომ ერგო და თავიდან ვერ იშორებს, ისევ იმ დოლურაში ჩააბრუნოს, საიდანაც თავის დროზე „ბიძია სემმა“ ამოაძვრინა და ჩვენ გამოგვიგზავნა ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ.

თავი დაგვანებე, მიხეილ, ლატარიაში გვერგე?!

**ნანა ლაღაძიშვილი**

**P.S. კორუფცია მთელ მსოფლიოსაა მოდებული. ამერიკაში დიდი ხნის წინათ გადახვეწილმა მეგობარმა მიამბო, მიშას ლექციის დაწყებამდე, თურმე იქვე ეზოში მავანი იღბლიანი კაცი დაბორიალობდა, რომელიც სააკაშვილის ლექციაზე დასასწრები ბილეთის გასაღებას აპირებდა. ქართველი იქნებოდა უსათუოდ...**

## მოკლედ



### თბილისის ახალი გამყიდველი

**მერიას შეემატა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური, რომელიც თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.**

ეს სამსახური ჯერ თბილისის საკუთრებაში დარჩენილ ქონებას აღრიცხავს და, თუ რამეს იპოვის, მისი რეალიზაციის მიზნით, აუქციონებს მოაწყობს. ასე რომ, დიდი შანსი გვაქვს, ორიოდე წლის შემდეგ აღმოვაჩინოთ, რომ უგულავას, ვთქვათ, ვერის ბაღი აუქციონზე სამ ლარად და სამოც თეთრად აქვს ნაყიდი.



### შსს ნაღმებს მოძებნის

**სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობამ მადლი მოისხა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის განაღმვის განყოფილებას გერმანული წარმოების ორი ერთეული ნაღმის მოსაძებნი ხელსაწყო აჩუქა.**

მერე დაჰპირდა, ეს ერთჯერადი აქცია არაა, კიდევ გაჩუქებთო. რა ქნან, დაიღალნენ ჩვენი საცოდაობის ყურებით, ნაღმებს მხოლოდ აფეთქების შემდეგ რომ ვპოულობთ ან იმ ბედნიერ შემთხვევაში, ბავშვები თუ გადააწყდებიან სადმე თამაშის დროს.



### დაიკარგა პრეზიდენტი

**ქვეყნიდან გავიდა და არავინ იცის, როდის დაბრუნდება პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

იმედის „მოდელირებული ქრონიკის“ ინფორმაციისგან განსხვავებით, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ადგილსამყოფელი ცნობილია. პრეზიდენტი სააკაშვილი აშშ-ში, უკვე ორ კვირაზე მეტია, იმყოფება, მაგრამ რატომ არ ამთავრებს ვიზიტს და რატომ არ ბრუნდება საქართველოში, თავად სახელმწიფო სტრუქტურებში არავინ იცის, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს კი ამ თემაზე საუბარი „უტაქტობად“ მიაჩნიათ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბექუაშვილების ცემენტით აშენებული სახლები შესაძლოა ჩამოიშალოს

**„სააკაშვილის მოლარედ“ წოდებულ დავით ბეჟუაშვილს იმუნიტეტი, რომელმაც ციხეს ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს გადაარჩინა, დღემდე იცავს. მაშინ, პარლამენტარ ბეჟუაშვილის „საქგაზის“ ხელმძღვანელობის დროს, 1 400 000 ლარის ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე პროკურატურამ საქმე აღძრა და საკანონმდებლო ორგანოს ბეჟუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობითაც მიმართა, თუმცა პროკურატურას შუამდგომლობაზე უარი უთხრეს, რაც, ფაქტობრივად, ბეჟუაშვილის დიდი ბიზნესის დასაბამი გახდა. მას შემდეგ ბეჟუაშვილი სამართადამცავებს აღარ შეუწუხებიათ, თუმცა მას ბრალს არაერთ დანაშაულში სდებენ.**
**გარდა მითვისებული მილიონებისა და წართმეული ქონებისა, ბეჟუაშვილის ბრალდებების რიცხვს შესაძლოა კიდევ ერთი დაემატოს. „წიდას“ წარმოების დირექტორის განცხადებით, ცემენტი, რომელსაც ბეჟუაშვილების ქარხნები აწარმოებენ რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში უვარგისია და ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ახლაშენებული ფეშენებელური სახლები თავზე დაგვემხოს.**






## რატომ ადანაშაულებენ სააკაშვილის მოლარედ წოდებულ დავით ბექუაშვილს ბიზნესის დატაცებაში?

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, ჰოლდინგი, რომელშიც შედის „ფერო“, „ჭიათურმანგანუმი“, ტყიბულის მაღაროები, ტელევიზიები, „კასპიცემენტი“, „რუსთავცემენტი“ (რომელიც ერთი ბრენდის ქვეშ მოექცა), ოფიცერთა სახლი და კიდევ მრავალი ობიექტი, რომელიც დაფარულია და ობშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, ბეჟუაშვილებს ეკუთვნით. ეს საკმაოდ სერიოზული ჯგუფია, რომელიც უამრავ რესურსს აკონტროლებს და ქვეყნისთვის საკმაოდ საშიშია.

**— როგორ და რა გზებით მოხვდა მათ ხელში ეს რესურსი?**

— სააკაშვილის გზით, ისინი სააკაშვილის მთავარი სპონსორები არიან.

**— თქვენ ქვანახშირის საბადოში მომხდარ ტრაგედიაში ბეჟუაშვილები დაადანაშაულეთ. კერძოდ, რაში მდგომარეობს მათი ბრალეულობა?**

— ქვანახშირის საბადო, როგორც ქვეყნის სხვა დანარჩენი სიმდიდრეები, საქართველოს „ინდუსტრიულ ჯგუფს“ ეკუთვნის, რომელიც ძმები ბეჟუაშვილების საკუთრებას წარმოადგენს.

იმის გამო, რომ ტყიბულის ქვანახშირის საბადოში მეთანი მოიპოვება, რომელიც ფეთქებადსაშიში ნივთიერებაა, „იუსაიდმა“ 450 ათასი დოლარი გამოყო, რომ მეთანთან დაკავშირებით ტექნოლოგიური უსაფრთხოების მექანიზმები დანერგილიყო, რაც არ შესრულებულა და ეს თანხები, როგორც ჩანს, ბეჟუაშვილების ჯიბეებში წავიდა. ტრაგედია, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის საბადოში დატრიალდა, და რომელმაც ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სწორედ იმის გამო მოხდა, რომ უსაფრთხოების ზომები არ იყო გათვალისწინებული და ეს ტექნოლოგიები არ იყო დანერგილი, რამაც მეთანის გაჟონვა გამოიწვია. ამიტომ ამ ადამიანის გარდაცვალება ბეჟუაშვილების სინდისზეა.

**ამ საკითხით, ცხადია, სამართალდამცავები არ დაინტერესებულან, თუმცა ეს გასაკვირი არ არის, რადგან არათუ მფარველობა, ბეჟუაშვილების ბიზნესის სასარგებლოდ კანონებიც კი სახელდახელოდ იქმნება, ამის ნათელი მაგალითი გახლავთ „კასპიცემენტის“ ისტორია.**

ერთ მშვენიერ დღეს „კასპიცემენტის“ 1500-მდე თანამშრომელმა მარშალის კუნძულებიდან „კასპიცემენტის“ აქციების 95% მფლობელისა და საწარმოს ხელმძღვანელის, დავით ბეჟუაშვილის მამის, როლანდ ბეჟუაშვილის დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი მიიღო — თქვენი აქციები ან 0.26 თეთრად მომყიდეთ, ან მაინც წაგართმევთო. „კასპიცემენტის“ აქციონრები ცოტა ხანს მშვიდად იყვნენ, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებამ ისინი აქციების გარეშე დატოვა. წერილით, რომელიც აქციონერებმა მარშალის კუნძულებიდან მიიღეს, **გაირკვა, რომ სააქციო საზოგადოება „კასპიცემენტი“ საიდუმლო ვითარებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გადაკეთებულა და მისი ხელმძღვანელი რობერტ ბეჟუაშვილი ყოფილა. წერილში პირობა იდო, რომ აქციონერებს თავიანთი კუთვნილი აქციები 0.26 თეთრად გაეყიდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, მათ დეპოზიტზე თანხა დაუჯდებოდათ, ანუ ამ აქციებს წაართმევდნენ. „კასპიცემენტის“ საწესდებო კაპიტალი 6162074 ლარს შეადგენდა, გამოშვებული აქციების რაოდენობა კი 4740057 გახლდათ, შესაბამისად, ერთი აქციის ღირებულება 1.30 ლარი უნდა ყოფილიყო და არა 0.26 თეთრი.**

„ეს ცვლილება კანონში საგანგებოდ იმისთვის შეიტანეს, რომ სხვაგვარად „კასპიცემენტის“ ხელში ჩაგდება შეუძლებელი იყო. ამგვარად ძალადობრივი გზით შეუძლიათ მოქალაქეებს კუთვნილი აქციები ჩამოართვან, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, — **აცხადებს გიორგი გუგავა,** — მათ ქართული წარმოება შეწყვიტეს და სათაო ოფისები სომხეთში გადაიტანეს. ამ ბრენდით დღეს სომხური ცემენტი გამოდის და საქართველოში იქიდან შემოდის“.

**ბეჟუაშვილ-ბენდუქიძის ტანდემს შპს „წიდას“ დირექტორი ოთარ დოლიძეც უამრავ კანონდარღვევაში ადანაშაულებს. მან საჩივრით ევროსასამართლოსაც კი მიმართა, თუმცა დღემდე ვერ ახერხებს ბენდუქიძისა და ბეჟუაშვილების მიერ წართმეული წარმოების დაბრუნებასა და ამუშავებას.**

**ოთარ დოლიძე, შპს „წიდას“ დირექტორი:**

— ყოფილ საბჭოთა კავშირში წიდას წარმოება არსად არ ხდებოდა. ეს ტექნოლოგიადარღვეული წიდებია და ჩემი გამოგონება იყო, საკავშირო პატენტიც მივიღე და წიდის წარმოება ავამუშავე საბჭოთა კავშირში. პირველი კოოპერატორი ვიყავი. ჩემმა გამოგონებამ ცემენტის ქარხნები აამუშავა, ყველაფერი ისე ავაწყვე, რომ წიდები საუკეთესო ცემენტის მისაღებად გამოდგა. მეტალურგიული კომბინატის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი ცდილობდა, როგორმე თავისთან წავეყვანე, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგან დამოუკიდებლად ყოფნა მინდოდა. ამის გამო გადამეკიდა და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. მაგრამ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არავის გავუჩერებივარ, მხოლოდ ხელს მიშლიდნენ.

**სააკაშვილთან და მის ოჯახთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მისი ძმის საადვოკატო ფირმა მემსახურებოდა. მიშასაც შევხვდი და მითხრა, ვიცი, რომ გჩაგრავენ, მუშაობაში ხელს გიშლიან, ხელისუფლებაში ჩემი მოსვლის შემდეგ ყველაფერში დაგეხმარებიო. მთელი ოჯახი მხარს მას ვუჭერდით და როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით, მაგრამ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ ყველაფერი პირიქით მოხდა.**

2004 წლის 18 მაისს ჩემთან დათო ბეჟუაშვილი ჩემს შვილიშვილთან ერთად მოვიდა და მითხრა: ცუდად არის საქმე, მიბრძანეს, რომ დოლიძე უნდა ჩავძიროთო.

**— თუმცა, როგორც ვიცით, თქვენი წარმოების გაჩერება თავად ბეჟუაშვილის ინტერესებში შედიოდა...**

— დიახ, თავიდან ბეჟუაშვილი ამას ჩუმად აკეთებდა, ღიად მერე გამოჩნდა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ საკითხში ჩარეულიყო და ჩემი წიდის გამოგონება მიეტაცებინა. შემდეგ მას ბენდუქიძეც შეუერთდა და წიდების ხელში ჩაგდება ერთობლივი ძალებით მოახერხეს. მე იქიდან გამომაძევეს, ანუ ეს სიბინძურე ბეჟუაშვილებმა წამოიწყეს და ბენდუქიძემ დაასრულა.

დღემდე მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, მაგრამ ამ ქვეყანაში სასამართლო საერთოდ არ არსებობს. 1994 წლიდან „წიდას“ მესაკუთრე ვარ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ წამართვან. ახლა წარმოება შეჩერებულია და იქაურობა იძარცვება. პროცესი ევროსასამართლოშიც მოვიგე, მაგრამ ამათ ყალბი ცნობები მიაწოდეს, თითქოსდა იქ ისევ ვმუშაობ და (რეალურად მუშაობის უფლება მომცეს), ამიტომ, რადგან ადამიანის უფლებები არ ირღვევა და მუშაობის უფლება ისევ მქონდა სასამართლომ საკითხი განუხილველად დატოვა.

**— დღეს ძალიან ხშირია ახალმშენებარე შენობების ჩამონგრევის შემთხვევები. თქვენ აცხადებთ, რომ წიდას წარმოება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. გამოდის, რომ სახლები უხარისხო ცემენტით შენდება და ერთ დღეს შეიძლება ყველა მათგანი ჩამოიშალოს?**

— რა თქმა უნდა, დანამატები, რომელსაც ბეჟუაშვილები იყენებენ არმატურის კოროზიას იწვევს და მდგრადობა დაბალია. ჩემი გამოგონების გარეშე შექმნილი პროდუქცია, რა თქმა უნდა, საშიშია, მათ არ აქვთ ამ დანამატის შექმნის არც უფლება და არც სტანდარტი, რომ უჩემოდ დაამუშაონ.

## მოკლედ



### აღმასრულებლებს აღუსრულეს

**მთავრობამ გადაწყვიტა, აღმასრულებლები ისე გაამწაროს, რომ, რაც არ აქვთ აღსასრულებელი, ისიც აღასრულებინოს.** იუსტიციის მინისტრმა ბრძანა, კერძო აღმასრულებლები თანამედროვე ტექნოლოგიებს უნდა ეზიარონ და საქმეები ელექტრონულ პროგრამაში აწარმოონ. ამ პროგრამის სამინისტროშივე შესწავლა, რა თქმა უნდა, სავალდებულოა. სწავლაში რამდენს გადაახდევინებენ, არ გვითხრეს, მაგრამ პროგრამის მოხმარებისთვის წელიწადში 500-500 ლარი ექნებათ მთავრობისთვის ჩასათვლელი.



### ავშენებულვართ და ვერ გაგვიგია

**მართალია, ჩვენ ვერ ვგრძნობთ, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ყვავის.** საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან იანვარ-მარტში 2009 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 17%-ით მოიმატა და 429 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვა კი 15%-ით გაიზარდა და 1.354 მილიარდს გაუტოლდა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 681 მილიონი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9 პროცენტით ნაკლებია.



### დასაქმების ცენტრი „პოლიტიკა“

**პოლიკიტური გაერთიანებებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების დაახლოებით 10 პროცენტი პოლიტიკური საქმიანობით არის დაკავებული.** ამ რაოდენობაში არ იგულისხმებიან პარტიების აქტიური მხარდამჭერები, რომლებიც, როგორც თავად პარტიები ამაყობენ, წევრებზე ბევრად უფრო მეტნი ყოფილან.

ასე რომ, საქართველოში ყველაზე დიდი დასაქმების სააგენტო პოლიტიკაა. სამუშაო ადგილები შეზღუდული არ არის, ხელფასი — გამომუშავებით.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კალაუბნის რეაბილიტაციით გიგა ბოკერიას ოჯახმა იხეირა

**„ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგი გიგა ბოკერია ახალ სკანდალში ეხვევა. მისი ოჯახური ბიზნესებიდან მიღებულ თანხებს, როგორც ჩანს, მხოლოდ მეპატრონეებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბაში ყრიან, მათი მადა კი იმდენად დიდია, რომ მუშებს ხელფასსაც არ უხდიან. საერთოდ, სამშენებლო ბიზნესზე რომ ხელისუფლებამ მონოპოლია აიღო, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ გასულ ნომრებშიც ვწერდით. ბოკერიას ქალაქის მერი, ცხადია, ძალიან სწყალობს და ტენდერებშიც უკონკურსოდ იმარჯვებს. ამიტომაც თბილისის მასშტაბით თითქმის ყველა დიდი პროექტის მშენებლობისთვის გამოცხადებულ ტენდერში მწვანე შუქი ბოკერიას ცოლისდის ფირმას აუნთეს.**



პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ ტრაგედიიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა. მოგეხსენებათ, ამ ტრაგედიას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯახმა ბევრი იბრძოლა შვილის გარდაცვალებაში ბრალეული პირების დასასჯელად, თუმცა ვერაფერს მიაღწია, რადგან ამ კომპანიის დირექტორი, გიგა ბოკერიას ცოლის და — რუსუდან ჩერგოლეიშვილია, რომელსაც გელაშვილის ოჯახი მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს. ხოლო კომპანიის დამფუძნებელი, ექს-თავდაცვის მინისტრის — დავით კეზერაშვილის მეუღლე სოფო ჩიქოვანი გახლავთ.

ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ამ კომპანიას სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების ნებართვა არ ჰქონდა. თუმცა გამოძიებამ ყველაფერი გააკეთა „არტ-იქსის“ ხელმძღვანელობის გადასარჩენად. მეტიც, კომპანია, რომლის დაუდევრობითაც ორი ადამიანი დაიღუპა, ტენდერში კვლავაც იმარჯვებს. საინტერესოა, რა უპირატესობით სარგებლობს, გარდა იმისა, რომ ნაციონალების ცოლების ბიზნესია რეპუტაციაშელახული კომპანია, რომელსაც ნორმალურ ქვეყანაში ლიცენზიას ჩამოართმევდნენ?!

როგორც აღვნიშნე, ბოკერიას ცოლისდის ბიზნესს არათუ ლიცენზია შეუჩერეს, პირიქით, ამ ფაქტის შემდეგ, კიდევ რამდენიმე ტენდერი მოაგებინეს, მათ შორის, დიღმის მასივში, დიდუბის გამგეობის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის უფლება. სამუშაოები შესრულდა და იმედია, ამ შენობის ბინადრები „ვარსკვლავების აკადემიის“ ბედს არ გაიზიარებენ, მაგრამ „არტ-იქსს“ მუშებისთვის დაპირებული არ გადაუხდია. ამის შესახებ „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა მანანა ნაჭყებიამ განაცხადა.

**მანანა ნაჭყებია: „მოვითხოვთ დედაქალაქის მოქმედი მერისგან, ბატონი უგულავასგან, დიდუბის გამგეობის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხით უშუალოდ დაინტერესდეს და სასწრაფოდ მიიღოს ზომები მუშებისთვის სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად.**

**დამქირავებელმა პარლამენტის მიერ მიღებული შრომის კოდექსით ისარგებლა და მუშებს ზეპირი ხელშეკრულებები გაუფორმა. ეს მოტყუებული ადამიანები, რამდენიმე თვეა, თავიანთ გასამრჯელოს უშედეგოდ ელოდებიან. სასამართლო დავის შემთხვევაშიც, სამწუხაროდ, ნაკლებსავარაუდოა, რომ მათი უფლებები დაცული იქნება და გაწეული შრომისთვის ანაზღაურებას მიიღებენ, რადგან დღევანდელი კანონმდებლობა დაქირავებულთა ინტერესებს არ იცავს.**

**„არტ-იქსი“ და მსგავსი კომპანიები კორუფციული სქემების ხელისუფლების ნათელი მაგალითია. როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკმაოდ ძვირადღირებული პროექტების განხორციელებისთვის ტენდერები საერთოდ არ ტარდება ან მათ რატომღაც მხოლოდ ის კომპანიები იგებენ, რომელთა უკანაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები დგანან. დედაქალაქის მერი გიგი უგულავა ამ კორუფციული სქემების ავტორი თუ არა უშუალო მონაწილეა. იგი ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც დღეს თბილისში ხდება, როცა ტენდერში გამარჯვება, ნებართვის მიღება, ბიზნესსაქმიანობა, სოციალური და სხვა დახმარებებით სარგებლობა მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებული მცირე ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი, ხოლო უბრალო მოქალაქეები ყოველდღიურ პრობლემებსა და ბარიერებს აწყდებიან და მათთან თანაბარ პირობებში არ არიან“.**

## «არტ-იქსის» ბიზნესი და «გადაგდებული» თანამშრომლები

მანანა ნაჭყებიამ „ვარსკვლავების აკადემიაში“ მომხდარი ტრაგედიაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ამ კომპანიას, რომლის დამფუძნებელია დავით კეზერაშვილის მეუღლე სოფო ჩიქოვანი, დირექტორი კი — გიგა ბოკერიას ცოლის და, რუსუდან ჩერგოლეიშვილი, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე მერიის ნებართვა არ გააჩნდა. მაშინ გამოძიებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „არტ-იქსის“ ხელმძღვანელი პირებისთვის პასუხისმგებლობა აერიდებინა. მანანა ნაჭყებიამ დედაქალაქის მერსა და „არტ-იქსის“ ხელმძღვანელობას წერილით მიმართა და აღნიშნულ მშენებლობაზე ტენდერის და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული მასალების მიწოდება სთხოვა. მერიას ამავე მოთხოვნით ცოტა ხნის წინ დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმაც მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია, რადგან მერიას ასეთი ტენდერები და მშენებლობები მკაცრად გასაიდუმლოებული აქვს.

„არტ-იქსის“ საქმიანობა ამით არ შემოიფარგლება. მისთვის ალმაშენებლის გამზირზე 35 შენობის რეკონსტრუქციაც ჩაუბარებიათ. ეს საკმაოდ დიდი პროექტია და, ცხადია, საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც უკავშირდება, რადგან პროექტი არამარტო შენობების რესტავრაცია-რეკონსტრუქციას, არამედ გაყვანილობების შეცვლასაც ითვალისწინებს და შესრულებული სამუშაოები თურმე რამდენიმე ეტაპად ბარდება მერიას. კალაუბნის რეაბილიტაციაც კომპანია „არტ-იქსისს“ მოუხდენია. თბილისის მერია ამ პროექტს ასე აღწერდა:

**„პროექტის ფარგლებში, გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო კალაუბანში არსებულ 30-მდე საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდება, უძველესი ნაგებობების სახურავები საუკეთესო ხარისხის თუნუქითა და კრამიტით გადაიხურება. ეზოები ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი აგურის ღობით შემოიფარგლება. გაკეთდება ღია, შემინული აივნები. კალაუბანში მთლიანად გამოიცვლება წყალსადენისა და კანალიზაციის მილები, ასევე სანიაღვრე ქსელები. დამონტაჟდება ახალი გარე განათების ბოძები. რაც მთავარია, კალაუბანი ძველ იერსახეს შეინარჩუნებს. მოსახლეობას კი ცხოვრების უკეთესი პირობები შეექმნება. თითეულ ეზოში მიწისქვეშა კომუნიკაციები გამოიცვლება. კალაუბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის თანხებს დედაქალაქის მთავრობა დაფარავს.“**

რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია, რა დაჯდა ეს სამუშაოები, თუმცა ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება, რომ ბოკერიას ოჯახმა კარგად იხეირა.

მოკლედ, ბოკერიას ოჯახურ ბიზნესს ტენდერების მოგება არ უჭირს. თუმცა მათი საქმიანობა მხოლოდ „არტ-იქსით“ არ შემოიფარგლება მამამისი, ლევან ბოკერია კომპანია „არქ-სტუდიის“ მთავარი არქიტექტორია. არცთუ დიდი ხნის წინათ გრამჩამწერი სტუდიის თანამშრომლებს ამ კომპანიასთან სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ. რადგან ვაჟაფშაველას ქ. №71-ში მდებარე მსოფლიო მნიშვნელობის თბილისის გრამჩამწერი სტუდია, ამ კომპანიამ შეისყიდა და იქ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა წამოიწყო.

გრამჩამწერი სტუდიის თანამშრომლების განცხადებით, მსოფლიოში სულ 4 ასეთი სტუდია იყო, საბჭოთა კავშირის მასშტაბით კი ასეთი სტუდია მხოლოდ საქართველოში არსებობდა. მის შესაძენად ისრაელიდან გიორგი უბირია ჩამოვიდა და კულტურის სამინისტროს განცხადებით მიმართა, რომ სტუდიის შეძენისა და განახლების უფლება მიეცათ, მაგრამ უარი მიიღო, რადგან ამ ტერიტორიით ბოკერიას მამის ფირმა „არქ-სტუდია“ იყო დაინტერესებული.

**მუსიკათმცოდნე იუნონა აფაქიძემ 15 ადამიანის ხელმოწერილი განცხადებით თითქმის ყველა ინსტანცია მოიარა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აღნიშნული სტუდია ძეგლთა დაცვის ნუსხაში ჰყავდა შეტანილი, მაინც გაიყიდა. როგორც თანამშრომლები აცხადებენ ერთ-ერთი აქციონერი, აქციათა 20%-ის მფლობელი დვალიშვილი სტუდიის გასხვისებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა და სწორედ ამ ბრძოლას შეეწირა. დვალიშვილმა წილი კი დათმო, მაგრამ, როგორც ამბობენ, ნერვიულობის ნიადაგზე ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა და გარდაიცვალა.**

ამ სტუდიით დაინტერესება მისმა ადგილმდებარეობამ განაპირობა. გრამჩამწერ სტუდიას 1 ჰექტარი მიწა ეკავა და აქ 4000 კვ.მ ფართობის ორი შენობა იდგა.

**ბოკერიების ბიზნესინტერესები ამითაც არ სრულდება. ახლახან მისმა მეუღლემ თამარ ჩერგოლეიშვილმა ძალები მედია სივრცეში მოსინჯა და 15 მარტიდან ახალ ჟურნალს, „ტაბულას“ უშვებს. ჟურნალი გამოსული არ იყო სახელმწიფო მოხელეებს მის ყიდვას რომ ავალდებულებდნენ.**

ჟურნალს თურმე სამოქალაქო განათლების ფონდი გამოსცემს და „მემარჯვენე ლიბერტარიანული მსოფლმხედველობის ბიზნესმენთა მხარდაჭერით გამოიცემა. „ტაბულას“ სარედაქციო წერილში ნათქვამია: **„ჟურნალის მიზანია, მკითხველს დაეხმაროს ქართული და საერთაშორისო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალებისა და იდეების უკეთ გაგებაში. „ტაბულა“ არა მხოლოდ მიმოიხილავს, თუ რა ხდება საქართველოსა და მსოფლიოში, არამედ შეეცდება, გავლენა იქონიოს მიმდინარე პროცესებზე, იქცეს იმ რეფორმების კატალიზატორად, რომლებიც განამტკიცებენ სამოქალაქო ეკონომიკურ და ეროვნულ თავისუფლებას.“**

კახა ბენდუქიძის, ლევან რამიშვილისა და სხვათა ავტორობით შექმნილ სტატიებს თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მიმდინარე პროცესებზე, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მოკლედ, ერთი რამის თქმა შეიძლება: ეს ბიჭი ცხოვრებას ეკონომიურად უყურებს, როგორც გარეგნულად ჩანს.



## ბოკერიას ოჯახურ ბიზნესს ტენდერების მოგება არ უჭირს

## მსოფლიო მნიშვნელობის თბილისის გრამჩამწერი სტუდია ლევან ბოკერიას კომპანიამ შეისყიდა და იქ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა წამოიწყო

გვერდები მოამზადა
სოფო გელაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# მაფიის ღამე

**მზე, წითელი, როგორც გაფრცქვნილი სიცილიური ფორთოხალი, ხმელთაშუა ზღვის ტალღებში ეშვებოდა; ან პირიქით — მთვარე, ყვითელი, როგორც გაუფრცქვნელი სიცილიური ლიმონი, მრავლისმეტყველი ღიმილით აგრიჯენტოდან პალერმოში მიმავალ შეგვიანებულ მგზავრებს გზას უნათებდა. თუმცა დეკორაციებს თავი დავანებოთ; სჯობს, მოვუსმინოთ, რაზე საუბრობენ მაგიდასთან მჯდომი მამაკაცები, უფრო სწორად, რას ამბობს ბებერი მაფიოზო კოლა ჯენტილე, რადგან მისი თანამოსაუბრე, ახალგაზრდა (მაშინ) მწერალი ანდრეა კამილერი, ძირითადად, ისმენდა და იმახსოვრებდა, რათა საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ (მანამდე ნაღდად არ ულირდა) ეს ისტორია ჩვენთვის მოეთხრო.**

ღმერთმა ყველას აშოროს ცხოვრების ისეთი გზა, უფრო სწორად, ვიწრო ჩაბნელებული ბილიკი, რომელიც კოლა ჯენტილემ განვლო და მისი ნამოქმედარიდან თუნდაც მცირედის გამეორება არავის დააჭირვოს. თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს — ამ გზაზე ადამიანთა (ძველი ბერძნები რომ იტყოდნენ — მოკვდავთა) ფსიქოლოგია მან ძალიან კარგად შეისწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, უვნებელი ვერ გამოვიდოდა სახლიდან, სადაც ოთხი უძილო დღე-ღამის განმავლობაში კბილებამდე შეიარაღებული და ძლიერ ანერვიულებული ჯეელების ალყაში უმტკიცებდა სალვატორე მარანცანოს, რომ სასაკლაო, რომელიც შემდგომ მაფიის ისტორიაში ,,კასტალამარელთა ომის" სახელით შევა, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ვერც ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოსა და ვიტო ჯოვენეზეს საიმედო და, რაც მთავარია, ცოცხალ საქმიან პარტნიორად დარჩებოდა; თუმცა, როდესაც ანდრეა კამილიერის ესაუბრებოდა, რომელსაც „პატარა პროფესორს" ეძახდა, ეს ყველაფერი წარსულში იყო, შორეულ ამერიკაში, სადაც ხშირად „დონ კოლას" კი არა, უბრალოდ ნიკ ჯენტილეს უწოდებდნენ. რას იზამ, სხვა ქვეყანაა, სხვა რიტმი, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახატად ნაკლებ დროს ტოვებს, ამ მხრივ სიცილიაში დაბრუნებული პენსიონერის მდგომარეობა გაცილებით მომგებიანია.

**— „წარმოიდგინე, პატარა პროფესორო, რომ მე აქ უიარაღოდ მოვედი, შენ კი ამოიღე პისტოლეტი და მეუბნები, — დაიჩოქე, კოლა ჯენტილე! რაღა ვქნა? დავიჩოქებ. მაგრამ ის, რომ ამის გაკეთებას მაიძულებ, სულაც არ ნიშნავს, რომ მაფიოზი ხარ. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ხარ კრეტინი პისტოლეტით ხელში".**

ლოგიკამ შეიძლება გვიბიძგოს იმისკენ, რომ ჩვენს რეალობაში პისტოლეტიანი კრეტინები ხელისუფლებაში დავძებნოთ, მაგრამ ამჯერად თვალი ოპოზიციურ სპექტრს გადავავლოთ და ხსენებული „პისტოლეტი" განვიხილოთ არა როგორც კონკრეტული ნივთი, არამედ ზოგადად, როგორც ძალთა ბალანსის შეცვლის ინსტრუმენტი. ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის (იოლად მისახვედრია, რომლის) ხელთ აღმოჩნდა საინტერესო კანდიდატი მაღალი რეიტინგით; ვინ და რა საბოლოო მიზნის მისაღწევად დაუხატა ეს რეიტინგი, სხვა საკითხია; მაფიის ისტორიაც ცხადყოფს, რომ ხანდახან ადამიანს იმისთვის აძლევენ „პისტოლეტს", რომ არასწორი ნაბიჯისკენ უბიძგონ. რა გააკეთეს მათ? უმალვე დაიწყეს ამ „იარაღის" ქნევა და ყვირილი: **„დაიჩოქეთ! ჩვენი კანდიდატი უალტერნატივოა! შენ აქ დადექი, შენ — იქ, ყველა მინუს ერთი, მინუს ორი, მინუს..."**

რამდენი ტყვიაა მჭიდში, პატარა პროფესორებო? შვიდი? ცხრა? იქნებ, თორმეტი? მერე სად მიდიხართ? როგორც კი მცირედი შესაძლებლობა მოგეცათ, საზოგადოებას, რომლის დაკვეთა ოპოზიციის მიმართ შიდა კომპრომისის მოძებნა იყო, საუბარი ეგრევე დიქტატის პოზიციიდან დაუწყეთ. არადა, უბრალო ტესტი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ გაიარეთ.

**„ახლა დავუშვათ, რომ მე, ნიკოლა ჯენტილე შემოვალ უიარაღოდ და შენც იქნები უიარაღოდ და გეტყვი: იცი, მე რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და მომიწევს, გთხოვო, რომ დაიჩოქო. შენ მკითხავ: რატომ? მე კი გეტყვი: მოდი აგიხსნი, პატარა პროფესორო. მე დაგარწმუნებ იმაში, რომ მუხლებზე უნდა დადგე. იმ მომენტში, როდესაც ამას გააკეთებ, მე მაფიოზი გავხდები, თუ უარს მეტყვი, სროლა მომიწევს".** ვიდრე ანდრეა კამილერი მოახერხებდა იმის გააზრებას, საიდან გაჩნდა პისტოლეტი წარმოსახვით შეხვედრაზე, რომელზეც ჯენტილე თითქოსდა უიარაღოდ მივიდა, დონ კოლამ ბოლო ფრაზა დააწია: **„თუ სროლა მომიწევს, პატარა პროფესორო, მე კი არ გავიმარჯვებ, დავმარცხდები".**

**დიმიტრი მონიავა**

# ЧТОБ ТЫ ЖИЛ НА ОДНУ ЗАРПЛАТУ!!!

**თქვენი არ ვიცი, პატივცემულო საზოგადოებავ, მაგრამ პირადად მე შეუდარებელი ანატოლი პაპანოვის კინოგმირის სწორედ ეს რეპლიკა გამახსენდა „ბრილიანტის ხელიდან", როცა საქსტატის (ადამიანურ ენაზე – სტატისტიკის უწყების) ინფორმაციას გავეცანი, ვიღაც ღვთისნიერის მიერ „თბილისის ფორუმზე" განთავსებულს.**

ამ „გენიალურმა" (სად იყო ეს ორგანიზაცია აქამდე?) უწყებამ ხელის ერთი მოსმით უკან ჩამოიტოვა მაია ნადირაძე, ვიტალი ხაზარაძე და ხათუნა ოჩიაური (გუნდურ პირველობაში), ხოლო ინდივიდუალურ ესტაფეტაში გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა თვით მიხეილ (ცრუ) სააკაშვილსაც კი.

**როგორც ირკვევა, სტატისტიკის ქართველმა ქურუმებმა ყველაფერზე აიღეს ხელი, ზურგი შეაქციეს სინდისს, რომელსაც თვით ბენდუქიძეც კი ვერ შეელია და შემდეგი ციფრები გამოაცხვეს – თურმე, ნუ იტყვით და 2007 წელს საარსებო მინიმუმი საქართველოში სტანდარტული ოთხსულიანი ოჯახისთვის სულ რაღაც 215 ლარს შეადგენდა. 2007 წელს ჩვენ საქართველოში არ ვცხოვრობდით?**

ამას კიდევ არა უშავს. გადის სამი წელი. ამასობაში დოლარი არაერთგზის ახტადახტა, ფასები ყველაფერზე ახტა, მაგრამ, ტკაჩენკოსგან განსხვავებით, აღარ დახტა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება გაორმაგდა... **სტატისტიკაშიც მიხვდნენ, რომ მთლად იმავე მონაცემებს ვეღარ დატოვებდნენ და გულმოწყალედ გამოიმეტეს ახალი ციფრი – 227 ლარი, ანუ სამ წელიწადში** (საარსებო მინიმუმსაც სინდისი აქვსო, გვითხრა სტატისტიკამ) **ადამიანის ფიზიკური არსებობა საქართველოში სულ რაღაც 6 პროცენტით გაძვირებულა.**

ნეტავ, თვითონ სტატისტიკის ჭკუისკოლოფებს თუ სჯერათ თავიანთი „პირმშო" მონაცემების? არ უნდა უსურვო ახლა ამის დამწერს პაპანოვივით, — მაგ თანხით გაგეძლოს ერთი თვეო?

**იგივე საქსტატი** (როგორ ჰგავს „საკდესს"... „ტასს უპალნამოჩენ ზაიავიტ"...) **წარბშეუხრელად გვატყუებს, ყოველი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი თვეში 128 ლარიაო.** ჯერ ერთი, მაგ სიმართლით გაცხოვროთ ღმერთმა, მაგრამ, ასეც რომ იყოს, თუ ხსენებულ ოთხსულიან ოჯახში ოთხივე წევრი „შრომისუნარიან ასაკს მიღწეული მამაკაცია"? საბჭოურ სკოლაში კი ვსწავლობდი, მაგრამ მათემატიკაში მაინც ხუთიანი მყავდა და დედას გეფიცები, ზუსტად ვიცი, რომ **128X4=512 და ვერანაირად ვერ უტოლდება 227-ს... თუ იგულისხმება, რომ „ოთხსულიან ოჯახში" მხოლოდ ერთია მამაკაცი, დანარჩენი სამი ამფიბიაა?**

გაგიხარიათ, ამ ამბავმა ინტერნეტ-ფორუმებზე დიდი ხალისი და ჟრიამული გამოიწვია. მაგარია ჩვენი ხალხი, მაინც ცოცხალია იუმორი... მოკლედ, გახმაურდა ამბავი. ახლა ხელისუფლების ზოგ წევრს (ერთადაც და პერსონალურადაც) უსურვებს თავიანთ ოჯახებთან ერთად 227 ლარზე ცხოვრებას (პირადად ჩემი სახელით კიდევ 10 ლარს ჩამოვდივარ), ზოგი ამ უდღეურ 227 ლარს ცხონებული ნანული შევარდნაძის მიერ კარგი დიასახლისებისთვის „ბოძებულ" 7 თუ 9 ლარს ადარებს, ერთმა ტვინიკოსმა კი (მეზობლის ბავშვის ტერმინია) დასავლეთი მოიშველია – აგერო, „ვიკიპედია" ამბობსო, გერმანიაში ღატაკთა საარსებო მინიუმი დღეში 2 ევროს შეადგენსო. შევედი ამ ჭკუისკოლოფისვე მითითებულ ბმულზე და — ჰოი, საოცრებავ, რა ორი ევრო, რის ორი ევრო, შავით თეთრზე (ინგლისურად) წერია: უმუშევართა დახმარება თვეში 359 ევროა, პლუს ადექვატური საცხოვრებელი ფართის ქირის თანხაო. ა, ბატონო, ესეც თქვენ და ესეც გერმანია და ორი ევრო დღეში.

**მაგრამ მიშისტების თუ მიშარასტების (იგივე მიშიაკების) ტვინში ხომ მაინც არაფერი შევა, თუნდაც მათ ოჯახებს რომ მიუსაჯო თვეში 227 ლარად არსებობა; მაინც გეტყვიან: ა) „აბა, „გრეჩიხა" ჯობდა?" ან ბ) „რა დროს ეგაა სრულ დეოკუპაციამდე?" გ) „40 კილომეტრში რუსის ტანკები დგას და გვაკვირდებიან!"**

რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ რუსეთს ომი მოვუგეთ. თუ ეს დავიჯერეთ, საქსტატის ციფრები ამაზე უფრო დაუჯერებლად ნამდვილად არ გამოიყურება. ჰოდა, საქსტატთან ერთად, წინ, მოსკოვისკენ!!!

**სალვადორ დვალი**

# სიღარიბის დასაძლევად არაფერი კეთდება

**იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, ცოტა სასაცილო აღმოჩნდა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 2010 წლის მარტში გამოქვეყნებული მონაცემები. ამ მონაცემების თანახმად, საქართველოში 2007 წელთან შედარებით ოთხსულიანი ოჯახისთვის საარსებო მინიმუმი 6%-ით გაიზარდა, ანუ 2007 წელს იყო 215 ლარი, დღეს კი ეს ციფრი იმდენად გაიზარდა, რომ 227 ლარამდე მიაღწია.**

## საქართველოში საშუალო შეძლების ქართველის მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება

გასათვალისწინებელია, **რომ ამ ფონზე ამ დროის განმავლობაში პროდუქტებსა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებზე, ენერგომატარებლებზე, საწვავსა და ტრანსპორტზე ფასებმა ისე მოიმატა, 2007 წელს, ალბათ, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდით. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უმუშევართა პრობლემა დღითიდღე უარესდება, (ეს რეალურად, თორემ ხელისუფლებას რომ ჰკითხო, ეს პრობლემა უკვე მოგვარებული აქვს). საიდან შეიძლება ჰქონდეს უმუშევარ ოჯახს თუნდაც 227 ლარი შემოსავალი? აქვე დავამატებ, რომ სახელმწიფო ლატაკების რაოდენობას, ძირითადად, სწორედ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში ითვლის, ანუ ოთხსულიან ოჯახს თვეში თუ 227 ლარი აქვს შემოსავალი, ის ლატაკად და უპოვრად არ ითვლება. გამოდის, რომ ქვეყანაში სიღარიბე დაძლეული ყოფილა, თუმცა სინამდვილეში, ყველამ კარგად ვიცით, რეალური სურათი როგორია და პოპულისტური განცხადებები ხელისუფლების მხრიდან სიღარიბის დაძლევის თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ ძილის წინ წაკითხულ ზღაპარს ჰგავს. უფრო მეტი კომპეტენტურობისთვის სტატისტიკური მონაცემების შეჯამება ეკონომიკის ექსპერტებს მივანდეთ...**

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— 227 ლარი ოთხსულიანი ოჯახისთვის არანაირად არაა საკმარისი. ამ თანხით კომუნალურ გადასახადებსაც კი ვერ დაფარავს ოჯახი. გადასახადები კი ჩვენს ქვეყანაში დაბალი ნამდვილად არაა; საკვებსა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

არ ვიცი, არსებობისთვის როგორ უნდა იკმარო ეს თანხა. პროცენტულად რომ ვივარაუდოთ და სამომხმარებლო დინამიკის ინფლაცია გავითვალისწინოთ, მინიმუმ 20-25 პროცენტითაა მომატებული ფასები სამომხმარებლო კალათაზე.

იმ 6 %-იან მატებასთან შედარებით, კარგად ჩანს, რომ მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა პირიქით, უფრო ცუდ დღეში აღმოვჩნდით. მე ვერ ვხედავ, სიღარიბის დაძლევისთვის ჩვენს ქვეყანაში რამე კეთდებოდეს. ეფექტი განისაზღვრება შედეგით და არა — ვირტუალური პროცესით, რომელსაც გვაწვდიან. შედეგი არ არის იმის შესაბამისი, რასაც ჩვენ ტელევიზორში ვხედავთ.

**ნოდარ ჯავახიშვილი, ეკონომიკის ექსპერტი, „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი:**

— შეუძლებელია, ეს თანხა რეალურთან ახლოს იყოს, რადგან ჩვენთან ინფლაცია დახურული ინფორმაციაა.

**რა ციფრიც ჭირდებათ, იმას აცხადებს ხელისუფლებაცა და სტატისტიკის დეპარტამენტიც. ნებისმიერმა დიასახლისმა იცის, რამდენია საჭირო თუნდაც ერთი ადამიანისთვის თავის გასატანად. დამიჯერეთ, დასახელებული თანხა 4 ადამიანს ნამდვილად ვერ გასწვდება.**

მით უფრო, რომ სინამდვილეში ყველაფერზე ფასებია აწეული. ხელისფუფლება კი ამბობს, რომ სიღარიბის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში დაძლეულიაო, მაგრამ მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ამ პრობლემის ციფრების თამაშით დაძლევა მათთვის, ალბათ, შესაძლებელია, თუმცა ეს ციფრები რეალობისგან ძალიან შორსაა.

**სცადეთ და შეიხედეთ ნებისმიერ საშუალო დონის ოჯახში და ნახავთ, რომ მინიმუმ 40% სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს. სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დახმარებას რომ არიგებენ, ჰკითხეთ ერთი, ასეთი ოჯახი უკვე რამდენი ჰყავთ. ლამის არის მილიონამდე კაცი მოგროვდა და ეს დახმარება სიღატაკის გამო ეძლევათ, თორემ ისე არაფერს მისცემდნენ. ეს ყველაფერი ციფრების თამაშია. სინამდვილეში საქართველოში საშუალო შეძლების ქართველის მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება.**

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ნიჭიერის» გამარჯვებული უკვე გარკვეულია

## ანი ხანჩალიანი პროექტს «მოიგებს»



**ეს წლებია, საქართველოში სხვადასხვა სატელევიზიო პროექტების ბუმია. უმეტესად მაყურებელი ხვდება, რომ მისი ობიექტური არჩევანი იკარგება და გამარჯვებულის გამოვლენა სულ სხვა ფაქტორებით ხდება. ყველა იმ პროექტში, რომელიც პოპულარული იყო ჩვენში („ჯეობარი“, „ვარსკვლავების აკადემია“, „ჯეოსტარი“), გამარჯვებული აფხაზეთიდან ან ცხინვალიდან დევნილი ხდებოდა. ხალხს ეცოდება ეს „უპატრონო“ მონაწილეები თუ ქვეყნის პოლიტიკაა ასეთი? ფაქტი კი ისაა, რომ დეა ადამიას, დიტო ლაგვილავას, ირაკლი მარხულიას, თინა ჭულუხიას და სხვათა მსგავსად, ანა ხანჩალიანი იქნება კიდევ ერთი კონკურსანტი, რომელიც მორიგ სატელევიზიო პროექტს „მოიგებს“.**



ტელეპროექტი „ნიჭიერი“ „რუსთავი 2“-ის ეთერში 1თებერვლიდან გადის. პროექტის შესარჩევ ტურში ბევრმა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ჟიურიმ ბევრი ნიჭიერი, ბევრიც უნიჭო შეარჩია, მაგრამ დაგვარწმუნეს, რომ ხალხის გახალისება გამოსდით ამ ადამიანებსო და ნახევარფინალში კიდევ ერთხელ ვიხილეთ „ამომავალი ვარსკვლავი“ ირაკლი ძამუკაშვილი, მომავლის „ჰიტით“ — „მაჩუქე ღიმილი“. თუმცა პროექტს მეორე მხარესაც ვერ დავუკარგავთ. მარიამ კახელიშვილი, გულნაზი გოლეთიანი, ანი ხანჩალიანი — ეს იმ ნიჭიერი კონკურსანტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ფინალში გავიდნენ.

უკვე გავრცელებული ინფორმაციით, „ნიჭიერს“ გამარჯვებული უკვე ჰყავს — პატარა ანი ხანჩალიანი და ფინალი მხოლოდ და მხოლოდ ამის „გაპრავება“ იქნება.

ხანჩალიანი რომ გაიმარჯვებს, ამაზე თავდაპირველად თბილისის მთავარ ფორუმზე — forum.ge-ზე ალაპარაკდნენ. ინფორმაციის ავტორს დავუკავშირდი და ვთხოვე ჩემი რესპონდენტი ყოფილიყო. მან საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, მაგრამ დეტალურად გვიამბო იმ საუბრის შინაარსი, რომელიც მასა და ერთ „ცნობილ“ ქართველ მომღერალს შორის გაიმართა.

**„დილას ამოვდივარ რუსთაველზე და შეძახილმა შემაჩერა. ჩემი ნაცნობი კარგი მომღერალი, თავის დროზე „ვარსკვლავობის კანდიდატი“ მეძახდა, დამელოდეო. არ შეუშინდა ტრანსპორტის ნაკადს და ცირკის აკრობატისთვის შესაშური მოხერხებულობით მოაღწია ჩემამდე.**

**— ავთოზე რას იტყვი? — მკითხა აქოშინებულმა.**

**— პოლიტიკაზე რომ ალერგია მაქვს, ხომ იცი, შენ როგორ ხარ, ის მითხარი-მეთქი, — მოვიკითხე.**

**— არა, რა პოლიტიკა, ავთო ნაცარაშვილზე („ნიჭიერის“ კონკურსანტი. — მ.კ.) გეკითხები.**

**— ავთო მაგარია, მაგრამ ასაკი საპენსიო აქვს, სამწუხაროდ.**

**— ჰო, მეც მაგას გეუბნები. ანი ხანჩალიანი გაიმარჯვებს, — გაბრწყინებული სახით მეუბნება.**

**— და... მაინც და მაინც ანი რატომ? გამორჩეულად ნიჭიერია, ერთ-ერთი ფავორიტია, მაგრამ...**

**— არ თქვა ახლა მარი კახელიშვილიო. ახლოს ვერ მოვა ანი ხანჩალიანთან.**

**— გემოვნების საკითხი კი არის, მაგრამ მარის გაცილებით ძლიერი ტემბრი აქვს, ფართო დიაპაზონი, პალიტრა, პლასტიკა. არტისტიზმით და ემოციურობით კახელიშვილი ბუნებრივად იპყრობს ყურადღებას. მარი ძალიან ქარიზმატულია და ეს „ვარსკვლავისთვის“ ნიჭზე მნიშვნელოვანია. მე მარის ვგულშემატკივრობ.**

**— აუჰ, არ თქვა ეგ. შენ იცი, ანი ხანჩალიანში რა ფული ჩაიდო? შენ იცი, რომ მთელი კალიფორნიის სომხური დიასპორა ანის გულშემატკივრობს? ეგ გოგო მერაია ქერისა და უიტნი ჰიუსტონს მიაბარეს უკვე. ანი „ვარსკვლავია“ უკვე, გამზადებული. გადაწყვეტილია — ხანჩალიანი იქნება „ნიჭიერის“ გამარჯვებული.**

**აღარ გავაგრძელებ, დავტუქსე ეს ჯეელი და დავემშვიდობე იაფფასიანი პიარკამპანიის საბაბით. მაგრამ ერთი საათის შემდეგ, უკან რომ გამოვიარე, ისევ იქ იდგა და იმავე „პლასტინკას“ ატრიალებდა, ამჯერად, გაცილებით ხმამაღლა. შემდეგ მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადგილას. უკვე სხვადასხვა ადამიანებისგან ვისმენდი ზუსტად იმავეს, სომეხი პროდიუსერების ყოვლისშემძლეობის თაობაზე.**

**თუ მართლა სომხური ფული წყვეტს ქართული ესტრადის ბედს, ითქვას ხმამაღლა და აღარ დასჭირდება ამას კონკურსების მოწყობა და მაიმუნობა, თუ მართლა ნიჭს ვეძებთ, ამაზრზენ პიარ-კამპანიებს გავანებოთ თავი“,** — ასე დაასრულა საუბარი ჩემმა ანონიმურმა რესპონდენტმა და კიდევ „დამაკვალიანა“, მოძრაობის თეატრში შეიარეთ და მუსიკოსებს დაელაპარაკეთ, უთხარით, რომ ანი ხანჩალიანის მხარდამჭერი ხართ და იქნებ წამოეგონ ანკესზე, თუმცა, მისივე თქმით, მუსიკოსების გარდა, ხანჩალიანის უკან, მერიასთან დაახლოებული შოუმენების ჯგუფიც დგას, თორემ ის პიროვნება, რომელმაც ხანჩალიანი აპიარა, მარტო არაფრის გამკეთებელი არ არის.

ზოგადად, საქართველოში ამ მხრივ ერთი ტენდენციაა. საინტერესოა, 1990 წლიდან დღემდე რომელი კონკურსი ჩატარებულა ჩვენში ობიექტურად.

„მოწონება“ წმინდა სუბიექტური მომენტია და ნიჭიერის გამოვლენა სხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს. ნიჭის შემფასებლებმა რამდენიმე კითხვაზე გაგვცენ პასუხი:

**— როგორ მოხდა, რომ მარიამ კახელიშვილს დღემდე არც ერთ კონკურსში არ აღირსეს გამარჯვება?**

**— როგორ მოხდა, რომ საქართველოში ტალანტების აღმოჩენის მონოპოლია მარინა ბერიძეს აქვს?**

**— ვინ არის ქართული ესტრადის ეს ყოვლისშემძლე „ნათლიდედა“?**

**— ვინ და რა მიზნით ავრცელებს ინფორმაციას, რომ ანი ხანჩალიანი უკვე კონკურსის გამარჯვებულია (ლეგენდები მერაია ქერიზე, უიტნი ჰიუსტონზე და კალიფორნიის სომხურ დიასპორაზე)?**

ანი ხანჩალიანი რომ უდავოდ ნიჭიერია, ამას არც ჩვენ უარვყოფთ, მაგრამ საქართველოში ნიჭიერება ანი ხანჩალიანით არ დაწყებულა და არც მისით დასრულდება. ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია!

**მაგდა კლდიაშვილი**

# ტურისტი ხარ, ბიჭო?

**როგორც ჩანს, ერთი და იგივე მოვლენა დედამიწის ორი სხვადასხვა წერტილიდან სხვადასხვანაირად ჩანს და აღიქმება; მით უმეტეს, როცა მეორე წერტილი პირველიდან ჩრდილოეთით ორსაათნახევრიანი ფრენის მანძილზეა. ჩვენი პოლიტიკური ელიტის ნაწილის მოსკოვურ ვიზიტებს კრემლში, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად სერიოზულად აღიქვამენ, ორკესტრისა და წითელი ხალიჩის გარეშე, მაგრამ მაინც ხვდებიან ხოლმე, ანუ ქართული საზოგადოებისგან განსხვავებით, მოსკოვში მათ „ძაღლად აგდებენ“.**

აი, მოსკოვიდან უკვე ხსენებული ორსაათნახევრიანი ფრენის მანძილზე მდებარე თბილისში კი აღნიშნული ვოიაჟები მთლად ისე სერიოზულად ვერ აღიქმება, როგორც ეს ჩვენი ოპოზიციის ჩემოდნებისმოყვარულ ნაწილს წარმოუდგენია.

გახსოვთ, ალბათ, თემურ ბაბლუანის ფილმი „ბეღურების გადაფრენა“, რომლის ერთ-ერთი გმირი მატარებლით მგზავრობისას თავს მსოფლიომოვლილ მუსიკოსად ასაღებს, მგზავრები გაფაციცებით უსმენენ მას, აღფრთოვანებულნი მისადმი მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავენ, ერთის გამოკლებით, იმ ერთისა, რომელსაც მის გამო ხალხი მატარებლიდან ჩააგდებს კიდეც. სულ ბოლოს, როცა მატარებელში დაწყებული ჩხუბი აღნიშნულ „ინტელექტუალსა“ და იმ კაცს შორის მინდორშიც გაგრძელდება, „მუსიკოსის“ კეისი შემთხვევით გაიხსნება და იქედან სალებავებით დათხვრილი სპეცტანსაცმელი და სამუშაო იარაღები გადმოცვივა. „მალიარი ხარ, ბიჭო?!“ — ამ მოულოდნელი აღმოჩენით გამხიარულებული მისი მოწინააღმდეგე სიცილისაგან ჩაბჟირებული კარგა ხანს მიწაზე გორავდა.

**დაახლოებით მსგავსი რამ აღმოხდათ თბილისში, როცა ნოღაიდელისა და ბურჯანაძის კვალდაკვალ ჩრდილოელი ხელმწიფის კარს დავითაშვილი და კუკავა ესტუმრნენ. თუ პირველი ორის ვიზიტი, ასე თუ ისე, გასაგები იყო (ორივეს ოპოზიციის ლიდერობაზე აქვს პრეტენზია, თანაც ერთი ყოფილი პრემიერ-მინისტრია, მეორე კი – ორგზის პარლამენტის თავმჯდომარე და И.О. Президента), „პრაიმერისტთა“ „მეორე ეშელონის“ მოსკოვში წასვლამ უკვე ღიმილიც კი ველარ გამოიწვია.**

ყველაზე ადეკვატური რეაქცია პარლამენტის ვიცე-სპიკერს ჰქონდა. გიგი წერეთლის მადლიერი მტერი იყოს, მაგრამ ამჯერად გიგიმ იუმორში თავისი ნაკვესებით ცნობილ და შეუდარებელ შალვა ნათელაშვილსაც კი არ დაუდო ტოლი და კობა+კახა=პოლიტიკურ ტურისტებსო, განაცხადა (გთხოვთ, არ აგერიოთ პოლიტიკურ „პუტანებში“).

შენ გაიხარე, გიგი, ამ ალალი დამოკიდებულებისთვის – სახტად დარჩა კაცი – მე თქვენ პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი და მძიმეწონიანი ნაწილი მეგონეთ, თქვენ კი... ტურისტები ხართ, ბიჭებო?

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და არც კობა+კახას გამოუდვიათ თავი მაინც და მაინც, გინდა თუ არა, უმაღლესი დონის მოლაპარაკებებზე მივდივართო. აბა, პირდაპირ ხომ არ იტყოდნენ, შოპინგზე მივდივართ და თან, ცოტა არ იყოს, რუსი გოგონებიც მოგვენატრაო? ერთი კი თქვა კობამ მორცხვად – პუტინთან ჩვენი შეხვედრა არ იგეგმებაო.

კიდევ კარგი, რომ თქვა, თორემ ხომ ჩავარდა საგონებელში რუსეთის პრემიერ-მინისტრის პროტოკოლის მთელი სამსახური – **დოლჩე და გაბანა** გაგვიგია, **საიმონი და გარფანკელიც** გაგვიგია, ეს **დავითაშვილი და კუკავა** რაღააო?!

**ლაშა გიორგიძე**

**P.S.**

**არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის „მამაკაცი“ საკუთარ თავს მეორე ადამიანს აცნობს:**

**– მე გეი ვარ.**

**— მუსიკოსი ხარ? – ეკითხება მეორე.**

**— არა.**

**— მხატვარი?**

**— არა.**

**— ხელოვნებასთან საერთოდ რამე კავშირი გაქვს?**

**— არა, ბატონო.**

**— აბა, ვინ ხარ?**

**— სანტექნიკოსი გახლავარ.**

**— აბა, გეი კი არა, პიდარასტი ყოფილხარ, გენაცვალე, — მიიღო პასუხად.**

**გეთქვათ თქვენც, ბატონებო, პოლიტიკოსები რომ გვეგონეთ და სინამდვილეში ტურისტები რომ ყოფილხართ...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# დაპირებებშიც უნიჭო აღმოჩნდით?

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პრეისტორია, ანუ წინასაარჩევნო კამპანია, რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც დაიწყო. ასე თუ ისე, განისაზღვრა ძირითადი ძალები და მათი კანდიდატები, რომელთაც მარტივი ფუნქცია დაეკისრათ – პოტენციური ამომრჩევლისთვის აეხსნათ, რა და როგორ გაკეთდება დედაქალაქში მათი არჩევის შემთხვევაში.**




მაგრამ, რაც ყველაზე მარტივი ჩანდა, ყველაზე რთული აღმოჩნდა. რთული კი არა, თითქმის ისეთივე შეუძლებელი, როგორც ოპოზიციის მიერ ერთიან კანდიდატზე შეჯერება.

„ფარისეველ-დემოკრატები" და მათი ფალავანი გია ჭანტურია კარგად გაკვალულ-გატკეპნილ გზას დაადგნენ და გაჭირვებული ხალხის ყველაზე მტკივნეული თემით ისარგებლეს — გაზი კაპიკებად, წყალი — საჩუქრად, შუქი — ხურდაში. ეს პოპულიზმია, მაგრამ სულ უარაფრობას პოპულიზმი მაინც სჯობს. **ამ ქვეყანაში მაინც კაცი არაა ჭანტურიასთვის იმის მკითხავი, საიდან ამდენი ფოჩიანი კამფეტი, ახალ წლამდე და თოვლის ბაბუამდე ჯერ თითქოს შორია, ჩვენი ეკონომიკა კი იმდენად გაუპატიურებულ მდგომარეობაშია, ქვეყნის საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე 20 000 დოლარს შეადგენსო.**

ესთეტიკური თვალსაზრისით, ცუდად არ გამოიყურება გოგი თოფაძის წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლი — ლამაზად განათებული თბილისის ფონზე მდგარი, გაქცეული თბილისელების ბედით დამწუხრებული მერობის კანდიდატი. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ რგოლის მაყურებელი იმასაც უფიქრდება, რომ ეს თბილისი ასე ლამაზად, თოფაძემ კი არა, ხელისუფლებამ გაანათა და მეორეც — კარგი, ბატონო, თბილისისა და თბილისელების ბედზე დავმწუხრდით, მაგრამ მე რომ დავიჯერო, მაინც და მაინც შენ ხარ ამ მდგომარეობის გამომსწორებელი, ამისთვის, გაკვრით მაინც, შენი გეგმები ხომ უნდა მითხრა? ამასწინათ, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ბატონმა გოგიმ გაგვანდო, პარფიუმერიის ფაბრიკას გავხსნი თბილისშიო. აგაშენათ ღმერთმა, როგორც ჩანს, გვეშველა, მაგრამ დავიჯერო, ის „გაქცეული თბილისელები" საყვარელი და უკვე კარგად განათებული ქალაქიდან პარფიუმერიის ფაბრიკის არარსებობამ გააქცია?

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, ... არა, ალასანია ხომ საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. ჯერ იყო და ყველაფერი გააკეთა, რომ ხალხის მიერ მისთვის ავანსად ნაფეშქაშევი საკმაოდ მაღალი რეიტინგი გაენულებინა, შემდეგ პარტნიორ-დასაყრდენი პარტიების ნებართვის გარეშე იმოგზაურა „პრაიმერისტებსა" და „ალიანსს" შორის და ამ უკანასკნელის რისხვა დაიმსახურა, ხოლო საქმეს რომ ამანაც არ უშველა და მაინც რომ არ გამოჩნდა არჩევნებიდან თავის დაღწევის გზა, სარეკლამო რგოლი გააკეთა, თქვენი მოწონებული — **არაფრისმთქმელი ფრაზების ფონზე ბატონი ირაკლი ხან დადის, ხან დგას, ბოლოს კი თითი აქვს ზემოთ აშვერილი. ვითომ შემთხვევითია ის, რომ ეს ჟესტი მეგრელებში სამი თითის კომბინაციას, ანუ ხალხურად „ბრანწს" ნიშნავს? არჩევნები გნებავთო? ა, ბატონო, აგერ თქვენ ბრანწიო, პოპულარულად აგვიხსნა ბატონმა ირაკლიმ.**

**„ეროვნული საბჭოს" წინასაარჩევნო დაპირებებზე არც კი ღირს შეჩერება. ალექსანდრე მაკედონელს შეშურდებოდა ის გონორი, რომლითაც ზ. ნოღაიდელი გვამცნობს: დავიბრუნებთ რუსეთის ბაზარს, ავაყვავებთ საქართველოს, შემოვიერთებთ სოჭსა და ტუაფსეს...**

მაგრამ შესაძლოა, ზედმეტსაც ვითხოვთ ჩვენი ეროვნული საარჩევნო სუბიექტებისგან. სანამ ზოგადად პოლიტპროცესები, კონკრეტულად კი „არჩევნები" ჩვენში მარაზმთან იქნება ასოცირებული, ასეთივე მარაზმატული იქნება წინასაარჩევნო დაპირებებიც, მერობისა თუ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატურებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**სალვადორ დვალი**

# შინაგან საქმეთა სამინისტროს ფიცი და ტყუილი

**ხელისუფლება მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ საქართველოში კორუფცია და სამოხელეო დანაშაული ნულამდეა დაყვანილი, მაგრამ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს. რადგან კვირის განმავლობაში სისტემატიურად ვისმენთ ინფორმაციას ამა თუ იმ ჩინოვნიკის დაკავებასთან დაკავშირებით. თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, როგორც ირკვევა, თურმე პოლიციელები ზოგჯერ პირდაპირ პოლიციის შენობაში ყიდიან წამალს.**

**აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სამართალდამცავების არცთუ მცირე ნაწილი, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულს უნდა ებრძოდნენ, თავად იმყოფებიან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ამგვარი ფაქტები, როგორც ჩანს, ისე გახშირდა, რომ შს სამინისტროც კი ველარ ფარავს.**

2010 წლის 2 თვეში თბილისი
(მხარის, ქალაქის, რაიონის დასახელება)
იანვრიდან – თებერვლამდე

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

| რიგითი №№ | დანაშაულის სახეობა | | 2009 წლის 2 თვე: სულ რეგისტრირებული | მათ შორის: გახსნილია | მათ შორის: გახსნის პროცენტი | 2010 წლის 2 თვე: სულ რეგისტრირებული | მათ შორის: გახსნილია | მათ შორის: გახსნის პროცენტი | მატება + კლება - | (%) პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 41. | ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა | | 901 | 816 | 90.6 | 666 | 636 | 95.5 | - 235 | 26.1 |
| 42. | მათ შორის | მძიმე | 125 | 109 | 87.2 | 184 | 171 | 92.9 | + 59 | 47.2 |
| 43. | | ნარკოტიკების კონტრაბანდა | 3 | 3 | 100 | 6 | 6 | 100 | + 3 | 100.0 |
| 44. | | ნარკოტიკების რეალიზაცია | 6 | 3 | 50.0 | 5 | 3 | 60.0 | - 1 | 16.7 |
| 47. | მათ შორის | ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა | | | | | | | | |
| 48. | სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება | | 1 | | 0.0 | 1 | | 0.0 | სტაბილური | |
| 49. | სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება | | 4 | | 0.0 | 4 | | 0.0 | სტაბილური | |
| 50. | მექრთამეობა | | 1 | | 0.0 | | | | - 1 | 100.0 |
| 51. | მათ შორის | მძიმე | 1 | | 0.0 | | | | - 1 | 100.0 |
| 52. | სამსახურებრივი სიყალბე | | 1 | | 0.0 | | | | - 1 | 100.0 |
| 53. | სამსახურებრივი გულგრილობა | | | | | 3 | | 0.0 | + 3 | |
| 54. | მითვისება ან გაფლანგვა | | 3 | 1 | 33.3 | 5 | 2 | 40.0 | + 2 | 66.7 |
| 55. | მათ შორის | მძიმე | 1 | | 0.0 | 4 | 2 | 50.0 | + 3 | 300.0 |

დანაშაულის სტატისტიკა, რომელიც შსს-ს საიტზე დევს, მეტად სახარბიელოა, რადგან ამ სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში სამოხელეო დანაშაული თითქმის აღმოფხვრილა. ეს მაშინ, როცა გასულ კვირას გაკეთდა განცხადება, რომ დაკავებულია შსს-ს ძველი თბილისის სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი **გიორგი ყავლაშვილი,** რომელსაც პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება — ჰეროინი ამოუღეს.

**ყავლაშვილი შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშაც აღმოჩნდა. ამავე საქმეზე გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ასევე, დაუკავებიათ მალხაზ გასოიანი და დავით ოზმანიანი, რომელთაც თურმე უკანონოდ შემოჰქონდათ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი და ეწეოდნენ მის რეალიზაციას.**

ამავე თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს თელავის სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი **გიორგი პეპინაშვილი,** რომელმაც საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ ადვოკატის თანაშემწისგან ქრთამის სახით აიღო 500 ლარი. ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით, სასაზღვრო პოლიციის საფინანსო სამეურნეო სამმართველოს უფროსი **ლევან ასიტაშვილი** დააკავეს.

**ამავე ბრალდებით დააკავეს სამმართველოს შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით გედენიძე; ასევე, პოლიციელთა თანამზრახველი, შპს „ჯეოიმპექსის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გიორგი დავითური.**

მათი გეგმა, შსს-ს ინფორმაციით, ასეთი იყო: სასაზღვრო პოლიციაში გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი საკვებ-პროდუქტების შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 600 000 ლარი, ტენდერის ოფიციალურ გამოცხადებამდე მცირე ხნით ადრე მეგობრებს დააარსებინეს ფირმები და, პირადი სარგებლის მიღების სანაცვლოდ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მიანიჭეს არამართლზომიერი უპირატესობა და გაამარჯვებინეს ხსენებულ ტენდერში.

**დაკავებულთაგან დანაშაული სრულად აღიარა დავით გედენიძემ, ხოლო ლევან ასიტაშვილი და გიორგი დავითური ბრალს ნაწილობრივ აღიარებენ.**

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ფაქტებისა, რომელთაც თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო ახმაურებს; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკურ მონაცემებში, გასულ წელთან შედარებით, სამოხელეო დანაშაულის კლებას უთითებს.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### გირგვლიანის საქმის განხილვა დაიწყო

**27 აპრილს ევროსასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის „ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" განხილვა დაიწყო.**

საქართველოს სახელმწიფოს ბრალი ევროკონვენციის ოთხი მუხლით აქვს წაყენებული. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ადგილობრივ სამართალწარმოებაში საქმის ხელახალი გამოძიების დაწყებისა და მორალური ზიანის სახით საქართველოს ხელისუფლებისგან 300 000 ევროს მოთხოვნის უფლება ექნება.



### ევროსაბჭო აგვისტოს ომს განიხილავს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნა კვლავ დაეთმობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განხილვას და ამასთან დაკავშირებულ დებატებს.**

გათვალისწინებულია 2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი შედეგების მოსმენა, ასევე, — ჰაიდი ტალიავინის ცნობილი დასკვის განხილვა. მომხსენებლები — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლები მათიას ეორში და დევიდ ვილშაიერი არიან. ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც დაირაზმა.



### პრეზიდენტს ჩამოგვილაბორანტებენ

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წარმომადგენლებმა ვასილ გონაშვილმა და ლევან ბოძაშვილმა გადაწყვიტეს, პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნისა და საპარლამენტო არჩევნების დანიშნვის უფლება ჩამოართვან.**

სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმების შემდეგ მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობებსაც შეითავსებს და, თუ ძალიან ბევრი საქმე ექნება, ვიცე-პრემიერს დაიხმარს. მას შემდეგ კი, რაც პრეზიდენტობის ორ ვადას ამოწურავს, შეუძლია ვიცე-პრეზიდენტად იყაროს კენჭი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვაჭრობა კოსოვოს გარშემო,
## ანუ ბალკანეთის ტრაგედიის ქართული ექო

**საკაშვილი თავის იორღაზე რომ ველარ ზის, ბირთვული უსაფრთხოების ვაშინგტონის კონფერენციის 14 აპრილის სხდომაზე აშკარად გამოჩნდა. კაცი, რომელიც მანამდე ორატორობით თავს იწონებდა, ნებისმიერ ტრიბუნაზე ისე იდგა და მოწყალების ნახევარღიმილით ისე გადაჰყურებდა აუდიტორიას, თითქოს დამსწრეთ საშუალებას აძლევდა, დამტკბარიყვნენ მისი ცქერით, მისი მოსმენით გაეფართოებინათ გონიერების თვალსაწიერი, ცოტათი კი აღფრთოვანებულიყვნენ — რა დედამ გშობაო; აი, ეს კაცი თავჩარგული კითხულობდა დაწერილ ფურცლებს, მზერა არ მოუწყვეტია კოლექტიური ნაშრომისთვის, ვერ იყო ლაღად.**




ზედმეტი არ უნდა წამოსცდენოდა, არც „გამახსენდას“ ლობე-ყორეს არ უნდა მოსდებოდა.

არ გამოუვიდა.

ჯერ იყო და, შეახსენა კონფერენციის მაღალ მონაწილეებს, „ვარდების რევოლუციის“ გზით როგორ გამოსტაცა წინა ხელისუფლების ბნელეთს თავისი დაჩაგრული ქვეყანა, როგორ გაანათა ღვთიური ცეცხლით, მოსპო კორუფცია, რომელიც მარტო საქართველოს კი არა, მთელ რეგიონს იყო მოდებული; მთელ რეგიონს — თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს. მთლად ისე არა, როგორც საქართველოში ომახიანობს ხოლმე, მაგრამ, რაც და როგორც თქვა, მეზობელი სახელმწიფოების არა მარტო საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქმებოდა, არამედ — პირდაპირ შეურაცხყოფად.

რა თქმა უნდა, რუსეთსაც გადაუარა; უამისოდ არ იქნება!

და თქვენ გგონიათ, არ იტყოდა, რომ საქართველო შენდება, მშვენდება და წინ მიდის?

თქვა და აქ დავამთავროთ „ნიუსი“ ვაშინგტონიდან...

მაინც საით მიდის საქართველო? მიდის და მიექანება კოსოვოზაციისკენ! ეს არა ერთხელ გვითქვამს და დაგვიმტკიცებია კონკრეტული ფაქტებით.

დღესაც ამაზე ვისაუბრებთ. პირველი, რაზეც ჩვენი მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ, ის შავი ღრუბლებია, რომლებიც მრავალჭირგადანახადი ყოფილი იუგოსლავიის თავზე იყრება ამ ბოლო პერიოდში.

გაეროს სასამართლოს აპრილში უნდა გამოეტანა ვერდიქტი კოსოვოს საკითხზე, რომელსაც სერბეთის მიმართვის საფუძველზე 2008 წლის ბოლოდან იხილავს. მას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, რომელიც ევროპის საწუხარი გახდა: **ლეგიტიმურია თუ არა სერბეთის ამ მხარის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება?**

ვერდიქტი აპრილში კი უნდა გამოეტანა, მაგრამ დაამუხრუჭა, რაც **რატკო მლადიჩის** დაპატიმრებითა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისთვის მისი გადაცემით გამოწვეული ახალი გარემოებებით ახსნა. ვერდიქტს ნოემბრისთვის ელოდებიან.

ტრიბუნალს თავისი პრობლემები აწუხებს, ქვეყანა კი ამ ფაქტის გამო შეიძლება უმწვავეს შიდაპოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდეს ჩათრეული, რადგან ოპოზიციისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გენერალს ყველა სერბის დამცველად მიიჩნევს.

**ხორვატელი სერბების ექსლიდერი მლადიჩი გარიგების ერთგვარ პირობად აქციეს — იგი უნდა აღიარონ დამნაშავედ ალბანელთა გენოციდში, ამით განიმტკიცებენ კოსოვოს დამოუკიდებლობის ლეგიტიმიზაციის საფუძველს, სანაცვლოდ სერბეთს ბუნდოვნად დაჰპირდებიან ევროკავშირში მიღებას. ასეთია ბელგრადისთვის დაწერილი სცენარი, რომლის ავტორები ბრიუსელსა და ჰააგაში სხედან.**

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ სიტუაცია არსებითად არ შეიცვლება — კოსოვოს დამოუკიდებლობასა და მთლიანობას არავინ შეეხება, რადგან რაიმე ცვლილების შეტანა ამერიკელების მიერ დადგენილ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ რუკაზე გამორიცხულია. ჰააგის ტრიბუნალის უარყოფითი ვერდიქტი კი საბოლოოდ დაასამარებს ევროკავშირის წევრობისკენ სერბეთის მისწრაფებას.

არადა, რას არ აკეთებს სერბეთის ხელისუფლება ამ ოცნების განსახორციელებლად. 31 მარტს სახალხო სკუპშჩინამ (პარლამენტმა) მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აღიარა, რომ **1995 წლის ივლისში ქალაქ სრებრენიცაში გენერალ მლადიჩის არმიამ დახვრიტა 8 ათასი ბოსნიელი მაჰმადიანი.** ამ აღიარებითი რეზოლუციის პროექტს, ცხადია, მოწინააღმდეგეები ჰყავდა, მაგრამ ხელისუფლების ზემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ ერთადერთი რამ მოახერხეს — პირველადი ფორმულირებიდან ამოაღებინეს ტერმინი „გენოციდი“. სწორედ გენოციდად შეაფასა 2007 წელს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ სრებრენიცაში განვითარებული მოვლენები.

გენოციდის გამო სრულიად სერბეთის მონანიების შესახებ რეზოლუციის მიღებას დაჟინებით მოითხოვდნენ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დეპუტატები, იმ პარტიისა, რომლის ხელმძღვანელს — ჩედომირ იოვანოვიჩს დასავლეთის ცენტრები სერბეთის მომავალ მმართველად მოიაზრებენ, გამსვლელი პაიკივითაა — თუ სერბეთის დღევანდელი ხელისუფლება პრეზიდენტ ბორის ტადიჩის მეთაურობით გარისკავს და მათ კონტროლს არ დაექვემდებარება, საჭადრაკო დაფის ბოლო ხაზზე ამ პაიკს დედოფლად გაიყვანენ.

ეს რეზოლუცია სერბებმა თავის მოჭრასავით თუ არა, არაპატრიოტულ ნაბიჯად აღიქვეს. ამიტომ სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები პირველის კვალზე მეორის მომზადებას შეუდგნენ — ამჯერად ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ანტისერბულ დანაშაულობათა დაგმობის შესახებ, მიიჩნევდნენ, რომ მსხვერპლის დაყოფა ეროვნების მიხედვით ყოვლად მიუღებელია.



ოპოზიციამ მეორე რეზოლუცია ხელისუფლების ფარისევლობად და მარკეტინგულ ილეთად ჩათვალა, რითაც პირველი დოკუმენტის გამართლება მოისურვა. სკუპშჩინაში სერბეთის რადიკალური პარტიის ფრაქციის წარმომადგენელთა განცხადებით, სრებსენიცეს გენოციდში სერბი ხალხისა და რატკო მლადიჩის დადანაშაულება მათი პარტიისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**დეპუტატების ჯგუფის „ახალი სერბეთის“ აზრით, ახალი დეკლარაცია სრებრენიცეს შესახებ რეზოლუციის „გათეთრების მცდელობაა“.**

ნათქვამს თავი რომ მოვუყაროთ, კოსოვოს დაპირისპირების ძირითადი მონაწილეების პოზიციები შეიძლება შემდეგნაირად შევაფასოთ:

**პროდასავლური ძალები ბელგრადისგან მოითხოვენ, განაგრძოს სერბეთის ეროვნული ინტერესებისთვის მომაკვდინებელი კაპიტულაციის პოლიტიკა, რომელიც გაუადვილებს აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირს ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის ლიკვიდაციას და სერბეთის წინააღმდეგობის დათრგუნვას სერბეთის ჩრდილოეთში.**

ამ კონტექსტში ანტისერბულ დანაშაულებათა შესახებ არაფრისმთქმელი რეზოლუციის მიღება ერთგვარად დაეხმარება პრეზიდენტ ბორის ტადიჩს, შეარბილოს მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ქვეყნის შიგნით.

ოპოზიციას მიაჩნია, რომ „რეზოლუციებით თამაში“ არა მხოლოდ ამორალურია ბალკანეთის ომების მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე, არამედ უაღრესად საშიშია პოლიტიკურ ჭრილში და სერბული თანამეგობრობის გახლეჩის გაღრმავებისკენაა მიმართული.

მიმომხილველთა აზრით, დასავლეთი ცდილობს, სერბეთში შიდაპოლიტიკური აქტივობის ახალი ტალღა გამოიყენოს ბელგრადის მხრიდან პოზიციების მორიგი დათმობისათვის: გენერალი მლადიჩის დაპატიმრება, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ვერდიქტის სანაცვლოდ, რომელსაც პუბლიცისტური მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე საერთაშორისო სამართლებრივი ძალა, პოზიციის დათმობის თვალსაჩინო მაგალითია.

ალბანელი რადიკალები (როგორც აფხაზი და ოსი სეპარატისტები) „კოსოვოს რესპუბლიკის“ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს გადაწყვეტილად მიიჩნევენ და მონდომებით მიილტვიან „დიადი ალბანეთის“ მომდევნო ეტაპის განხორციელებისკენ. არადა, ევროპულ პრესაში (მაგალითად, ვენის გაზეთ „პრესში“) პირდაპირ მიუთითებენ, ევროპის დღის წესრიგში დგას კოსოვოს გაყოფის საკითხი.

ერთი სიტყვით, დიდი არეულობაა, რომელიც ხელს აძლევს ე. წ. დასავლურ ცენტრებს.

**ვაშინგტონსა და ბრიუსელს ხელს აძლევს მოვლენების ასეთი განვითარება: სერბების მიერ გენერალ მლადიჩის დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა, შემდეგ — არაფრისმთქმელი და რეკომენდაციის ხასიათის ვერდიქტი კოსოვოს შესახებ, რომელსაც გაეროს საერთაშორისო სასამართლო კოსოვოს თაობაზე მიიღებს და შემდგომ — ასევე არაფრისმომცემი დებატები გაეროს უშიშროების საბჭოში.**

ამასობაში კი ალბანელ სეპარატისტებს ხელ-ფეხი გაეხსნებათ და კამათისა და განხილვის ფონზე გადაწყვეტენ ჩრდილოეთ კოსოვოს პრობლემას და თავს დააღწევენ საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმალობებს.

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ სიტუაციას...

**არმაზ სანებლიძე**



**P.S.** უცნაურ პარალელებს აღმოაჩენ, დღევანდელ ერთპოლარულ მსოფლიოს თუ ჩაუფიქრდები. ბიბლიური სიმართლე და გარდუვალობა წარმოჩნდება დაბეჯითებით.

„და მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგანი, რომელთაც ჰქონდათ შვიდი თასი, დამელაპარაკა და მითხრა: **მოდი და გიჩვენებ მრავალ წყალზე მჯდომი დიდი მეძავის სასამართლოს.**

**რომელთანაც მეძაობდნენ დედამიწის მეფეები და მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ დედამიწის მკვიდრნი.**

და მითხრა მე: **ეს წყლები, რომლებიც შენ ნახე, სადაც მეძავი ზის, არის ხალხები და ბრბოები, და ერები და ენები.**

**ხოლო დედაკაცი, რომელიც შენ ნახე, დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის მეფეებზე“** (გამოცხადება იოანესი, 17, 1-2; 15,18).

რომელია ის დიდი ქალაქი დღეს? რომელია დღევანდელი ბიბლიური ბაბილონი, „რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის მეფეებზე“?

გჭირდებათ ვითომ ჩემი კარნახი?!

მაშინ, — მიუსადაგეთ:

„ამის შემდეგ ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ციდან ჩამოდიოდა და დიდი ძალაუფლება ჰქონდა; დედამიწა განათდა მისი დიდებით.

**და დაიძახა ძლიერი ხმით და თქვა: დაეცა, დაეცა, დიდი ბაბილონი“...** (გამოცხადება იოანესი, 17, 17-18).

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# სიტყვის თავისუფლებაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ «ღირსეულად ცხოვრების» უფლებაც არსებობს

რუსულენოვანი ქართული გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“ თითქმის საუკუნეს ითვლის და მთელი ამ დროის მანძილზე, მიუხედავად ფორმაციათა ცვლილებებისა, სახელმწიფოს ძლიერებას ემსახურებოდა. ერთ დროს ოფიციოზად წოდებულ გაზეთს დამოუკიდებლობის პირობებშიც დღემდე გამოჰყვა სახელმწიფოებრივი აზროვნების ის აუცილებელი თვისება, ურომლისობაც მძიმე დაღს ასვამს არა მარტო თვითონ მასმედიას, არამედ და უფრო მეტადაც ზოგადად ქვეყნის განვითარებას. „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი ტატო ლასხიშვილი დღეს ჩვენი სტუმარია და არაერთ საჭირბოროტო საკითხზე გვესაურება.

## ტატო ლასხიშვილი:

## დაუშვებელია, რომ რეფორმებზე ის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მოთქვამდეს, რომელმაც ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა

**— ბატონო ტატო, საქართველოში რუსულენოვანი გაზეთის გამოცემა არცთუ ადვილი საქმეა, თუმცა ბოლო წლებმა დაადასტურა, რომ შეუძლებელი არაფერია, თუკი ადამიანი მოინდომებს. თუ ქათინაურად არ ჩამითვლით, ვიტყვი რომ „სვობოდნაია გრუზია“ უფრო ქართული გაზეთია, ვიდრე ზოგიერთი ქართულენოვანი...**

— დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის. მოგეხსენებათ, ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის საკითხებში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არაქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებების მოღვაწეობას ეკისრება; მათ შორის — ჩვენს გაზეთს, რომელმაც, მრავალი წარმატებული თუ წარუმატებელი ცვლილების შემდეგ, მაინც შეინარჩუნა პოზიცია საქართველოს საინფორმაციო სივრცეში.

ჩემთვის, როგორც რუსულენოვანი გაზეთის წარმომადგენლისთვის, სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ „სვობოდნაია გრუზიას“ მიერ განხორციელებული ერთობლივი ქართულ-რუსული პროექტები ორგანულად შეერწყა ქვეყნის საინფორმაციო ველს. ერთობლივი საინფორმაციო სივრცე, რომლის თაობაზე ამდენს საუბრობენ, ნელ-ნელა სწორედ ასეთი საერთაშორისო პროექტების მეშვეობით ყალიბდება.

**— ამ ფონზე კვლავ პრობლემად რჩება პროფესიონალი კადრების დეფიციტი, მით უფრო, ალბათ, რუსულენოვანი პრესისთვის... ასევე პრობლემურია ხელისუფლების უყურადღებობა — ფაქტობრივად, არაფერი კეთდება ჟურნალისტიკის განვითარებისთვის.**

— ქართული ჟურნალისტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ხარისხიანი, თუ სახელმწიფო მეტ ყურადღებას დაუთმობს ჟურნალისტური კადრების მომზადებას. ქვეყანაში ჟურნალისტიკის უამრავი ფაკულტეტია, მაგრამ, სამწუხაროდ, კვალიფიციური მუშაობა კურსდამთავრებულთა ხუთიოდე პროცენტს თუ შეუძლია.

სერიოზულად დამაფიქრებელია ხელისუფლებისა და საინფორმაციო საშუალებების, მედიისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაც.

ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ფონდმა გამოყო გრანტები და ჟურნალისტებსა თუ საინფორმაციო საშუალებების განვითარებას ხელს უწყობენ. სამწუხაროდ, მედიის მხარდამჭერი სახელმწიფო ფონდი დღემდე არ არსებობს. მისი შექმნა, ჩემი აზრით, მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.



**— სამაგიეროდ, შეგვიძლია თავი მოვიწონოთ პრესისა და სიტყვის თავისუფლებით. დამეთანხმებით, ეს არც ისე ცოტაა...**

— გეთანხმებით, ეს მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ ისეთი პრობლემა ჩნდება, რომელიც ნამდვილად იძლევა განგაშის საფუძველს:

**შევეჩვიეთ, რომ შეგვიძლია, თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრები, ჩინოვნიკებს კი აქვთ უფლება, არ მოგვისმინონ. ჟურნალისტები პრიორიტეტულ თემებს თავისუფლად განსაზღვრავენ, პოლიტოლოგები და ექსპერტები ამა თუ იმ საკითხზე თავიანთ თვალსაზრისს თავისუფლად გადმოსცემენ. მხოლოდ ის ვითარება გვაღელვებს, რომ ყველგან ერთი და იგივე სახეებია.**

ჩვენი პოლიტიკოსები და ექსპერტები ზოგჯერ ისეთ სისულელეებს ლაპარაკობენ, მათი უარყოფაც კი სამარცხვინოა. მაგრამ, მეორე მხრივ, რახან ასეთ სისულელეს სინქრონულად ავრცელებენ და ამას არა თუ უარყოფს ვინმე, არამედ ამაყადაც აღიქვამს, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ვიღაცისთვის ხელსაყრელია ადამიანთა ტვინების იმ ნაგვით დატენვა, რასაც ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს მეშვეობით გვაწვდიან.

**— კი მაგრამ, სად არიან სხვები, ვისაც საზოგადოებისთვის უფრო რეალური, როგორც თქვენ ბრძანეთ, „საინფორმაციო პროდუქტების“ — ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდება შეუძლია?**

— პრობლემა სწორედ ისაა, რომ მათთვის ყველა საინფორმაციო საშუალების კარი დახშულია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმეს, მათ შორის თქვენს გაზეთსაც. ამ ე.წ. ექსპერტ-ანალიტიკოსებს კი სინამდვილე საერთოდ არ აინტერესებთ.

მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების მეტად ბრძნული და პრაქტიკული სქემა „ახალი ეროვნული ელიტის“ შექმნაა.

არავითარი ცენზურა არაა საჭირო და იმის თქმასაც კი ვერავინ გაბედავს, რომ ჩვენთან სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით პრობლემებია. შეხედეთ ტელეეკრანს. თითქმის ყოველდღიურად განიხილავენ ნებისმიერ მეტად მწვავე თემასაც კი, გაცხარებული დავა მიმდინარეობს და ესაა დემოკრატიის ნიშანი, რასაც მხოლოდ შეიძლება მიესალმო.

მაგრამ მაყურებელი, ალბათ, ყოველთვის ვერ ამჩნევს, რომ დაცულია თითქმის ერთადერთი, მაგრამ აუცილებელი პირობა: დისკუსიებში აუცილებლად მონაწილეობენ პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებსაც ჩვენი ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე რეალური პროცესებისგან სხვა თემაზე გადააქვთ.

**— მაგრამ, თუკი ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ხალხის, გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით, გამოტვინება მიზანმიმართულად ხდება, ხომ შეიძლება რაღაც მექანიზმის შემუშავება, რომელიც ამ პროცესს დაუპირისპირდება?**

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებაზე პირდაპირაა დამოკიდებული დემოკრატიისა და ქვეყნის პერსპექტივის ბედი.

ამასთან, გლობალიზაციის პირობებში, რისთვისაც ჩვენ ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ, აქტუალური ხდება ეროვნული საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. ეს მხოლოდ სახელმწიფო ამოცანა როდია. ქართული მედიასტრუქტურები ამ პოლიტიკის აქტიური, გონიერი მონაწილე და გამტარებელი უნდა გახდნენ.

**— გასაგებია, რომ ჩვენი ქვეყნის რეალობა დამშვიდების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ, ალბათ, გამოსავალიც არსებობს...**

— ჩემი აზრით, აუცილებელია, დღეიდანვე დავიწყოთ პოზიტიური ჟურნალისტიკის მშენებლობა და თეთრი პიარის განვითარება. მერწმუნეთ, ეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

**ალბათ, საჭიროა, იმ დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა შევისწავლოთ, სადაც სახელმწიფოს, მედიისა და საზოგადოების ურთიერთობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაგროვდა, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არა მხოლოდ რეტრანსლატორები, არამედ საზოგადოებრივ მოვლენათა მონაწილენი, საერთოეროვნული ინტერესების დამცველნი არიან და ეკონომიკურად ძლიერი, გახსნილი, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნის სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ.**

უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს ნაკლოვანებებზე, მაგრამ არ უნდა გავაყალბოთ ფაქტები. არ არის საჭირო არსებულის შელამაზება, მაგრამ პესიმისტური სურათი უნდა უარვყოთ, ადამიანებს დამთრგუნველი ყოფიდან თავის დაღწევაში დავეხმაროთ, მათ იმ ხალხის შესახებ მოვუთხროთ, ვინც წარმატებებს მიაღწია, დავუმტკიცოთ, რომ ცალკეული ადამიანის გადარჩენა შემთხვევითობა კი არა, ნორმაა.

**უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს განვითარებული ქვეყნები დიდი დეპრესიიდან კომპრომატების ნაკადით კი არ გამოვიდნენ, წარმატებული ამბების ტალღას გამოჰყვნენ.**

ადამიანები ოპტიმიზმით უნდა დავმუხტოთ, ამის დრო მოვიდა!

**— როგორ, ბატონო ტატო, საიდან უნდა გაჩნდეს ეს ოპტიმიზმი, როცა ადამიანებს ყოველდღიური გაუსაძლისი ყოფა მძიმე ტვირთად აწევთ და ელემენტარულ საზრუნავს პოლიტიკოსთა დემაგოგიაც ემატება, რომელიც ჯერ დიდ იმედს აჩენს, შემდეგ კი ასევე დიდ იმედგაცრუებას იწვევს?**

— მთავარი ამოცანაა, ხალხი ძირეული ცვლილებების აუცილებლობაში დარწმუნდეს. დიდი სურვილის მიუხედავად, დღეს საზოგადოება არსებული ვითარების შესაცვლელად მზად არ არის.

პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ხელისუფლებას არ ურიგდება და მის შესაცვლელად მომზადებას ცდილობს, მაგრამ არიან ისეთებიც, ჩინოვნიკებთან რომ თანამშრომლობენ და, უფრო მეტიც, ფარულად ებრძვიან მათ, ვინც ხელისუფლების უპირობოდ გადადგომის მომხრეა.

დაუშვებელია, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რეფორმების აუცილებლობაზე ის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მოთქვამდეს, რომელმაც ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. დროა, პროფესიონალების საჭიროება გავაცნობიეროთ, მათი მოსმენა, მათი აზრის დაფასება და გაზიარება ვისწავლოთ. მიზნის მისაღწევი გზები ერთად უნდა ვეძიოთ, ვიბრძოლოთ და სირთულეები დავძლიოთ. საქმიანი ადამიანები უნდა გამოჩნდნენ, ვისაც კარგად აქვს გააზრებული, რომ ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა ეროვნული ინტერესების დაცვაა.

ჩვენი ელიტა, რომელიც იდეალური საზოგადოების შექმნას ოცნებობს, სიტყვის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე მუდმივად ლაპარაკობს, თუმცა რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ „ღირსეულად ცხოვრების“ უფლებაც არსებობს.

**— ქართულ-რუსული ურთიერთობის დღევანდელ მდგომარეობაზე რას ფიქრობთ და დაძაბულობის განმუხტვის პერსპექტივა როგორ გესახებათ?**

— „საქართველოს სჭირდება ძლიერი რუსეთი და რუსეთსაც სჭირდება ერთიანი და მეგობრული საქართველო. ვფიქრობ, ღმერთის დახმარებით ჩვენ ამას მივაღწევთ“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

სხვა საქმეა, როგორ უნდა მივაღწიოთ იმ კეთილგანწყობილი ურთიერთობების აღდგენას, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა; ამ ჩიხიდან როგორ გამოვიდეთ და ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლებმა, ვინც პოლიტიკაზე გავლენას ვერ ვახდენთ, რა უნდა გავაკეთოთ.

ახლა ჩვენი ურთიერთობების ისეთ კრიტიკულ სტადიაზე ვიმყოფებით, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს. ჩვენ ხომ არ გვყავს კულტურითა და სარწმუნოებით უფრო ახლოს მდგომი სხვა ხალხი. ჩვენი ენები ერთმანეთს ქართველი და რუსი პოეტების დიდებული თარგმანებით გადაეჯაჭვა. და ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. დღეს ეს ყველაფერი დარტყმის ქვეშ დგას — პოლიტიკური კონიუნქტურის დარტყმის ქვეშ.

**რა თქმა უნდა, რთულია ამ თემაზე საუბარი. ერთი მხრივ, ჩვენ უფლება არ გვაქვს, დავივიწყოთ დაღუპული ბიჭები, მათი ოჯახები, დაობლებული ბავშვები, დედები, რომლებმაც შვილები დაკარგეს. ჯერ ხომ თვალზე ცრემლი არც კი შემშრალა, მაგრამ, ამავე დროს, იმის მოლოდინში, რომ ვიღაც მოვა და ყველა პრობლემას ჩვენს მაგივრად გადაწყვეტს. გულხელდაკრეფილები ვერ ვისხდებით. ერთიანი მართლმადიდებლური რწმენა გვავალდებულებს, ყველანაირად დავუჭიროთ ერთმანეთს მხარი და, მიუხედავად ჩიხური სიტუაციისა, შეხების წერტილები ვიპოვოთ.**

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტაზე ფიქრიც კი. კმარა ტრაგედია, სისხლი და უბედურება! აუცილებელია კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების მოძებნა. ვითარების ნორმალიზაცია საზოგადოებრივი აზრის დონეზე უნდა დაიწყოს. მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა გავააქტიუროთ, რათა საზოგადოებრივმა აზრმა ხელი შეუწყოს ორივე ქვეყნის ჩინოვნიკების მოქმედების პოზიტიურად კორექტირებას.

**ბატონი ტატო ლასხიშვილი იუბილარია. ამ დღეებში მას 50 წელი შეუსრულდა. რა თქმა უნდა, მივულოცე და მის მიერ განვლილი ცხოვრების გზის შეფასება ვთხოვე. მცირე ფიქრის შემდეგ მიპასუხა:**

— ყველა გზა ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ გზაზე ღირსეულად და პატიოსნად უნდა იარო. თუ შეძელი, მაშინ სწორი გეზი გაქვს აღებული, თუ ვერა, მაშინ ვერაფერს იხეირებ. ერთი გზა მოგზაურობას ხალისიან და ამაღლებულ იერს აძლევს: რამდენიც უნდა იმოგზაურო, შენ და შენი გზა განუყოფელი ხართ. მეორე გზა თავბედს გაწყევლინებს. ერთი გზა ძალას გმატებს, მეორე კი განადგურებს.

**ტატო ლასხიშვილმა თავისი ცხოვრების 50 წელიწადი ღირსეულად განვლო და მის ნათქვამში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. თუმცა, ბუნებრივია, ისევე, როგორც ნებისმიერმა ჩვენგანმა, გარდამავალი ეპოქის დარტყმების სიმძიმე მანაც იწვნია. და, მიუხედავად სირთულეების მრავალგვარობისა, პირველი გზიდან არ გადაუხვევია. ამ საიუბილეოდ მის ხალისიან და ამაღლებულ განწყობილებას სწორედ ეს განაპირობებს — რწმენა, რომ მართალ გზას ადგას და არასოდეს გადაუხვევს.**

**ბონდო მძინარაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ზურაბ გაგნიძე: ალასანიას ამერიკული ექსპერიმენტის მძაფრი სუნი ასდის

**მილიონიანი ქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევა ამ პოსტის პოლიტიკურ როლსა და მნიშვნელობას წარმოუდგენლად გაზრდის. მმართველი პარტია შეეცდება, ეს ადგილი არ დათმოს და კონკურენტუნარიან არჩევნებში თავისთვის მისაღები კანდიდატი გაიყვანოს. ალასანიას „ალიანსმა“ პირველმა წამოაყენა მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურები, ისე, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან ამ საკითხზე კონსულტაციები არ გაუმართავს. მერობის კანდიდატად ირაკლი ალასანია დასახელდა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარედ — სოზარ სუბარი. „ალიანსი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის — ირაკლი ალასანიას პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, დღეს ირაკლი ალასანიას სხვადასხვაგვარად აფასებენ, მისი რეიტინგი საეჭვო სასწორზეა; თქვენი აზრით, რა დიაპაზონი აქვს ირაკლი ალასანიას?**

— ირაკლი ალასანია რთულ საქმესთან მისასვლელ ბილიკს ბეჯითად მიჰყვება, მაგრამ საკითხავია, რაზე გადის და სად მიდის ეს ბილიკი. ამ გზის სათავე 2008 წლის 5 დეკემბერს გამოჩნდა, როდესაც საქართველოს ელჩმა ირაკლი ალასანიამ გაეროში გადადგომის განცხადება დაწერა. 19 დეკემბერს კი გაეროს გენერალურ მდივანს — პან გი მუნს ოფიციალურად დაემშვიდობა. მისი ადგილი კი უშიშროების მდივნობიდან გათავისუფლებულმა ოდიოზურმა ფიგურამ — კახა ლომაიამ დაიკავა. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ გაეროში ელჩად არსებული ხელისუფლების ერთგული „ყმანი“ ინიშნებიან. მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ სამშობლოში დაბრუნებული ირაკლი ალასანია პოლიტიკურ კარიერას ოპოზიციური ფლანგიდან გააგრძელებდა.

**ქვეყნის განახლების წინა დღეს, პროტესტით დანაღმული საქართველო საელჩოს ჩინოვნიკის უეცარ გამოჩენას ეჭვით შეხვდა. გამოცდილმა ლეიბორისტებმა ალასანიას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა ამერიკელთა ახალ პროექტად შეაფასეს და ალასანია „მიშა-2“-ად მონათლეს.**

ვინ იყო ახლო წარსულში ირაკლი ალასანია? — გაეროში სააკაშვილის კაცი და მისი შეკვეთების შემსრულებელი, უფრო ადრე კი — შევარდნაძის ხელისუფლებაში უშიშროების მინისტრის მოადგილე. არავის ახსოვს, მას იმდროინდელ პოლიტიკურ ხარვეზებზე რამე ეთქვას; უცებ კი ბალეტური ფრენით ოპოზიციონერი გახდა. პირველივე ნაბიჯით ალასანიამ თავისი რეპუტაცია თვითონ დასდო სასწორზე, თორემ „ახალი ხილის“ მოყვარულებმა ოპოზიციურ ფლანგზე ალასანიას გამოჩენა აღფრთოვანებით მიიღეს. მისი ალიანსი რესპუბლიკელებთან და ახლებთან, გამოკვეთილ პროამერიკულ ძალებთან საზოგადოებას არ მოეწონა. ამ კავშირით ალასანიას რეიტინგი მნიშვნელოვნად დაზარალდა.

მოგვიანებით, ალასანიამ მოახერხა საპროტესტო მიტინგებზე ლიდერის ამბიციით გამოსულიყო. ვერშეცნობილ პოლიტიკოსს ხალხი ინტერესით ხვდებოდა. მალე მან მომიტინგეებს განუცხადა — „ხელისუფლებასთან დიალოგზე უნდა წავიდეთო“. ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოებას ის ეჭვი გაუმძაფრა, რომ ალასანია რაღაც ვალდებულებებით იყო შებოჭილი, რომელიც მას მიზნად დაუსახეს მსოფლიოს ბედითა და მასზე მარადიული ურვით შეპყრობილმა „მამებმა“.

**ხალხი მიხვდა, რომ ალასანია მიტინგებზე იმიტომ იდგა, რომ პოლიტიკურ პროცესებში იტივტივოს და ოპოზიციონერ ლიდერად წარმოჩინდეს. მისი განზრახვაა, ქვეყნის წინამძღოლის მინავლებული ჩირაღდანი პოლიტიკურ მარათონში ხელში ჩაიგდოს.**

ისიც გაახსენდათ, რა ხმაური ატეხეს გარკვეულმა ძალებმა მის ჩამოსვლაზე „ზანზალაკების ჟღრიალით“ — „ეს ვინ მოსულაო?!“ მართალია, პიარი დიდი ინერციით იყო აღებული, მაგრამ საეჭვო ღირსებების მქონე, ახლადგამომცხვარ ოპოზიციონერ-პოლიტიკოს ირაკლი ალასანიას ამერიკული ექსპერიმენტის მძაფრი სუნი ასდის, ხოლო მისი ოპოზიციონერობა გზა-კვალის ამბნევი მაქინაციაა, ხოლო თვითონ — „მსოფლიო მბრძანებლის მიერ აკვარიუმში გაშვებული „ოქროს თევზი“. აბა, გაიხსენეთ, 7 ნოემბრის მომიტინგეების დარბევაზე ალასანიას გაეროში ხმა არ ამოუღია!..

**— თქვენ ამბობთ, რომ ქართველი ამომრჩეველი პოლიტიკურად გაიზარდა,**

## მისი ოპოზიციონერობა გზა-კვალის ამბნევი მაქინაციაა, ხოლო თვითონ — «მსოფლიო მბრძანებლის მიერ აკვარიუმში გაშვებული ოქროს თევზი»

**თორემ ალასანია „ახალი ცოცხის“ მოდელით წარმატებით უნდა მორგებოდა საზოგადოების განწყობას...**

— დიახ, ასე იმედოვნებდნენ მისი „მფარველებიც“ და „ალიანსში“ გაერთიანებული პარტიებიც, რომ ის იყო ამერიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ნაცნობი კაცი, ხოლო ქართველებისთვის ახალი, პოლიტიკური სახე. მათი გათვლით ალასანია მაღალ რეიტინგს აკრეფავდა. ეს როლი იყო ოკეანისგაღმა დაწერილი და განსაზღვრული. ამის გამოცნობას გამოცდილებამაც შეუწყო ხელი. საქართველომ უკვე გაიარა ის რთული და მძიმე პერიოდი, როდესაც ქვეყნის სათავეში უცნობ, უსაყრდენო, დასავლურ განათლებასა და ცივილიზაციას ნაზიარები, ნაქები და გამოუცდელი პიროვნება მოიყვანა სააკაშვილის სახით. მან კი „პატრონის“ მითითებისამებრ ქვეყანა, ერიცა და ბერიც, კამათლებივით ათამაშა.

**იმავე სცენარით ალასანიას გაპიარებასა და გადაჭარბებულ შეფასებაში უცხო ძალის ფარული ინტერესები იკითხება.**

დღეს, საზოგადოებაში ალასანიასადმი აღფრთოვანება განელებულია. არც იმის იმედია, რომ გასაჭირში ჩავარდნილი ერი მას ხელში აიტაცებს და მოვლენილ მხსნელად შერაცხავს. მას სააკაშვილის ლოგიკურ გაგრძელებად აღიქვამენ.

**— ბატონო ზურაბ, ისე ხომ არ გვემართება — „რძით შეშინებული დოს უბერავდაო“... როგორ აფასებთ ირაკლი ალასანიას წინასაარჩევნო კამპანიას, რამდენად გონივრულად ეხმიანება არსებულ ამოცანებსა და პრობლემებს?**

— მის კამპანიას აჩქარების კვალი ატყვია; მზადაა, პირველობისთვის ყველა გზა და ხერხი გამოიყენოს. მისი ამბიცია ასატანზე მძიმეა. „ალიანსს“, როგორც კი სათავეში ჩაუდგა, ყოველგვარი მოკრძალებისა და დახანების გარეშე განაცხადი გააკეთა პრეზიდენტობაზე და თავი სააკაშვილის ალტერნატივად გამოაცხადა. ამით მან დასახული მიზნის აფიშირება მოახდინა, რაც პოლიტიკოსისთვის დიდი მინუსია. თანაც ჯერ კიდევ უსახელო, არაპოპულარული, მაგრამ პატივმოყვარე ალასანია გულისწამღები დაქადნებით ცდილობდა, საზოგადოება იმ ჭეშმარიტებაში დაეჯერებინა, რომ მომავალი პრეზიდენტია. ზოგმა კიდეც დაიჯერა.

**მოაზროვნე ნაწილი დიდი სიფრთხილით აკვირდებოდა ამ ახლადგამოჩეკილ „პრეზიდენტობის პრეტენდენტს“, რომელსაც დღეს მათ თვალში უკვე საეჭვო დამღა ადევს.**

გაზაფხულის აქციების უშედეგობით, ალასანიას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების იმედი გადაეწურა. დღეს მისი ამოცანა თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებაა. **„ჩემი პოლიტიკური ძალა, რესპუბლიკელებთან და ახლებთან ერთად უპრობლემოდ შეძენს ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებასო,“** — აცხადებს ის, თუ არა და... საკრებულოს ბოლო არჩევნებში რესპუბლიკელებმა და ახლებმა 1 ადგილიც ვერ მიიღეს. ამ პოლიტიკური ძალების რეიტინგი ძალიან დაბალია, რაც განპირობებულია იმით, რომ ამერიკულმა ოცნებამ ჩაილურის წყალი დალია.

ყირგიზეთში ტიტების, ხოლო უკრაინაში ნარინჯისფერმა რევოლუციებმა ვერ გაამართლა. ვარდოსანმა ხელისუფლებამ უმეცრებითა და სიხარბით, უდღეური პოლიტიკით საქართველოში დასავლური ღირებულებები ისე გაანადგურა, რომ ხალხს მათდამი რწმენა დაუკარგა. ამერიკელთა გაწვრთნილი და აღჭურვილი ჯარი რუსულმა ჩექმამ დღე-ნახევარში დაამარცხა. ამან გარკვეულწილად აზარალა პროამერიკული პოლიტიკური ძალები და ალასანიას რეიტინგზეც იმოქმედა.

**ალასანიას ჰანგზე როკავენ ალიანსში შემავალი პარტიები. მას აძლევენ პრივილეგირებულ „სიგელ-გუჯრებს“, ისე, რომ გუშინდელ პრეზიდენტობის კანდიდატებს — დავით გამყრელიძესა და დავით უსუფაშვილს თავიანთი კანდიდატურები არჩევნებში არ წამოუყენებიათ.** ალასანია ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ორი დღის წინ განაცხადა: **„ჩემს ფეხს ნოღაიდელის სიახლოვეს ვერ ნახავთო“** და ორ დღეში ნაძირალის დამშვიდებული ღიმილით ჭადრაკის სასახლეში მის გვერდით დადგა. იმასაც ამბობს, რომ ევროპაში ლავროვს შეხვდა და **„მკაცრად მოვთხოვე პასუხი დაკარგულ ტერიტორიებზეო“.** ამის ფაქტები რახან არ არსებობს, ოპონენტებმა ეს სიტყვები თახსირ სიცრუედ ჩაუთვალეს; რა მიზნით შეხვდა ლავროვს, ესეც საკითხავია.

სოციოლოგიურ კვლევაში ნოღაიდელის მომიზეზება მისი პოლიტტრიუკია. მან პოლიტსპექტრს შესთავაზა: **„მე ყველაზე ღირსეული ალტერნატივა ვარ და, თუ ერთიანი კანდიდატურა გნებავთ, აგერ ვარ“.** მისი სვლები მისივე შეშფოთებული ნერვების ანარეკლია — ვაიმე, ვინმემ არ გადამასწროსო. კატის რბილი და ფრთხილი ნაბიჯებით სურს, კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა დაიკავოს. კონსტრუქციულობა კი ჩვენში ხელისუფლებასთან დიალოგზე გადის, რომელიც ხშირად გარიგებებით მთავრდება.

**— ალასანიას აქვს ამბიცია, რომ მისი სახით მაღალი დონის პოლიტიკოსი მოდის ქალაქის მერად. ექნება მხარდაჭერა და გამარჯვების შანსი?**

— არსებობს ეჭვი, რომ ალასანიამ არჩევნებში „წარმატების“ გზა აირჩია, როდესაც ოპოზიციურ გაერთიანებას ჩამოშორდა და საკუთარი რესურსებით გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა. ამ ნაბიჯს თუ ჩაუღრმავდებით, გაერთიანებული ოპოზიციის საერთო კანდიდატი ძალიან სერიოზული დარტყმა იქნებოდა სააკაშვილისთვის. ამ პოლიტტრიუკებით, აქეთ-იქით ვითომდა გადასვლით ხელისუფალთა გული მოიგო. მას ხომ ოკეანისგაღმელი „მამებიდან“ კონკრეტული მიზანდავალებებიც აქვს მიცემული — მათ შორის, ხელისუფლების წისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს. ამჟამად ალასანიას პოლიტიკური მარშრუტი პრეზიდენტობამდე მერის სავარძელზე გადის.

**ალასანია სინამდვილეში პოლიტიკური ქურდბაცაცაა, რომელიც ფიქრობს, ყველა კონკურენტს რაღაც „ააცანცლოს“; ღია კომფროტაციაზე კი არავისთან მიდის. თანამედროვე ავანტიურისტის სტერეოტიპია; მშრალი დეკლარაციებით მან ვერ შემოიტანა საქართველოში ახლებური და მომგებიანი განსაზღვრებები. არ გააჩნია მსოფლგანცდა და პოლიტიკური ინტუიცია, რომლითაც შეეძლო ყველაზე რეიტინგულ ფიგურად წარმოჩენილიყო.**

საარჩევნო მარათონშიც ვერ ტოვებს ძლიერი კანდიდატის შთაბეჭდილებას. საქვეყნო სამხილის კეთილსინდისიერი გამოხატვით ვერ ახერხებს ამომრჩეველთა გულის მოგებას.

**მის პროამერიკულ იმიჯს ისიც ემატება, რომ საგვარეულო კლანით პრეზიდენტის ახლოს დგას. დღემდე არჩევნებში ვერაფრით დაიმკვიდრა გამარჯვების გარანტია და, თუ მაინც ქალაქის მერი გახდება, ეს ხელისუფლების მხარდაჭერით იქნება.**

მას ეს პოსტი კი უცილობლად სჭირდება, რათა 2013 წლამდე მისი რეიტინგი გაიზარდოს და მისი პოზიცია განმტკიცდეს. ეს ყველაფერი კი იმის მომასწავებელი იქნება, რომ პრეზიდენტი ისევ იმ პოლიტიკური კლანიდან იშვება, რომელიც არსებობს. ეს კი მეგობარ ამერიკასაც აწყობს და პრეზიდენტის გარემოცვასაც.

სააკაშვილი კი ალასანიას მერად არჩევით დასავლეთში შექმნის ილუზიას, რომ დემოკრატია ვითარდება, შეიცვალა საარჩევნო გარემოც და მასთან ერთად — საკადრო პოლიტიკაც. ასე რომ, ალასანია თვალთმაქცურად „მაღლა ასახტომად“ ემზადება, მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკური დებიუტიდან სულ მოკლე ხანში მის რენომეში უამრავი შავი ლაქა გაჩნდა. ამ გამოცდას ერმა თუ საარჩევნო ბიულეტენებით ღირსეულად ვერ უპასუხა, ქვეყნის ნეოკოლონიური ყოფა უფრო დამძიმდება და გახანგრძლივდება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# არნო ხიდირბეგიშვილი: საქართველოში ქართველების უფლებები არანაკლებ დარღვეულია, ვიდრე ეროვნული უმცირესობებისა!

**რას შეცვლის საქართველოში ნაციონალური დიასპორების ცხოვრებაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები? როგორ არჩევანს გააკეთებენ მოსალოდნელ არჩევნებში 700 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე — ე. წ. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები? თუ იქნებიან ისინი ფართოდ წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში? — ამ კითხვებით მივმართეთ პუბლიცისტს, პოლიტოლოგს, ცნობილ ექსპერტს ეროვნული უმცირესობების საკითხებში არნო ხიდირბეგიშვილს.**




**ა.ხ.:** — ეროვნული უმცირესობების ცხოვრებაში არჩევნები არაფერს შეცვლის. თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში არაქართველი მოსახლეობის პრობლემებს არაერთი პუბლიკაცია მივუძღვენი — საკმარისია გავიხსენოთ „ვარდების რევოლუციის" შემდგომ გამოცემული კრებული ***„ეროვნული უმცირესობები საქართველოში — რეალიები და პერსპექტივები",*** რომელიც მთელ ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დავუგზავნეთ. არსობრივად, მაშინ ხელისუფლებაში მოსულ პარტიასა („ნაცმოძრაობას") და მის ლიდერს (მიხეილ სააკაშვილს) შევთავაზე პროგრამა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ყველა ძირითად ასპექტს ითვალისწინებდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ. მერედა, რა?! იქ წამოჭრილი არც ერთი პრობლემა დღემდე გადაჭრილი არ არის და რაიმე ალტერნატიული პროგრამა არც ხელისუფლებას გააჩნია! ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია ჩემს მომდევნო პუბლიკაციებსაც, რომლებიც კვალიფიცირებულ ანალიზსა და რეკომენდაციებს შეიცავდა, როგორც ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორისთვის. ასეთივე ბედი ეწია **საქართველოს ეთნიკური თემების ლიდერთა 2004 წლის 31 მაისის (№94/7) მიმართვას პრეზიდენტ მ. სააკაშვილისადმი**, რომლის 60 ხელმომწერმა ეროვნული უმცირესობების საკითხებით დაკავებული საპრეზიდენტო სტრუქტურის ხელმძღვანლად ჩემი კანდიდატურის გათვალისწინება სთხოვა.

ამაოდ! მოქმედი ხელისუფლება ჯიქურ ვერ ხედავს პრობლემებს, უფრო მეტიც — ის არც კი ცნობს თავად ეროვნულ უმცირესობათა არსებობას: ***„საქართველოში არ არიან ეროვნული უმცირესობები — არიან სხვადასხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები!"*** — აცხადებს სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის" შემდგომ და ეს სენტენცია ერთობ მოსახერხებელი „კრიშა" გამოდგა მისი გარემოცვისთვის — ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც სამსახურებრივად ვალდებული არიან, ამ საკითხებს კურირებდნენ, თუმცა მოგვიანებით ეს სტრუქტურებიც მოშალეს...

დიახ, პრეზიდენტ შევარდნაძის დროს არსებული სტრუქტურა მკვდრადშობილი გახლდათ, მაგრამ რა სურათი გვაქვს 2003 წლის შემდეგ?! კაცმა არ იცის — საიდან მოსული, ყველასთვის უცნობი და გაუგებარი საქმიანობით დაკავებული ხალხი გაურკვეველ თანამდებობებზე, რომელთა ერთადერთ ღირსებასა და „დამსახურებას" არაქართული წარმომავლობა წარმოადგენს! ჩემი ინფორმაციით, ახლა ეს ერთი საშტატო ერთეულია: საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების საკითხებში. და იცით, ვინ დანიშნეს ამ პოსტზე ჩვენმა რეფორმატორებმა?! შევარდნაძისდროინდელი ჩინოვნიკი ბატონი **ვან ბაიბურთი,** საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის ექს-წევრი და იმავდროულად სომხურ გაზეთ „ვრასტანის" ექს-მთავარი რედაქტორი... ანუ

## საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკას ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეოთხედისადმი — ეთნიკური აზერბაიჯანელების, სომხების, რუსების, უკრაინელების, ბერძნების, ქურთებისა და სხვებისადმი დღეს განსაზღვრავს და ატარებს ერთი ჩინოვნიკი — ეროვნებით სომეხი...

## როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია ეს სხვების, იმავე აზერბაიჯანელების მიმართ?!

**არადა, რისკი არის და იზრდება კიდეც**... სააკაშვილის ზემოხსენებული ფორმულა სავსებით გამართლებული იქნებოდა ქართველ საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა რეალური ინტეგრაციის, განვითარებული დემოკრატიის პირობებში. საკმარისია, ითქვას, რომ ეროვნული უმცირესობების საკმაოდ დელიკატური პრობლემები კარდინალურად განსხვავდება თბილისსა და მათით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში: თუ დედაქალაქში, სადაც ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი ბილინგვურია, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების სუსტ ასიმილაციას ვხედავთ, მათი კომპაქტურად დასახლების რაიონებში არც ასიმილაცია და არც ინტეგრაცია არ შეინიშნება — ხალხი, რომელიც სახელმწიფო ენას (ქართულს და ზოგჯერ — რუსულსაც!) არ ფლობს, იქ განცალკევებულად ცხოვრობს და უმუშევრობის გამო მზადაა, თვალი საზღვარგარეთისკენ — თავისი ისტორიული სამშობლოსკენ — ექიროს. იქიდან ვაჭრობით განიზრახოს თავის რჩენა, ლუკმაპურის საშოვნელად გაემგზავროს და შვილებიც იქ გაუშვას სასწავლებლად, რაც ძალზე სახიფათოა მრავალეროვნული, ტერიტორიულ მთლიანობადაკარგული ქვეყნისთვის!

**ადამიანებს არ აქვთ ხვალინდელი დღის იმედი (ეს არა მარტო ეროვნულ უმცირესობებს ეხება!), დარწმუნებული არიან, რომ მათ შვილებს საქართველოში მომავალი არ აქვთ და მათი ფორმალური ლიდერებიც უმეტესწილად არაკვალიფიციური კონფორმისტები არიან! ამიტომ, თუ რუსეთი მოისურვებს, საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ აღიაროს (FAILED STATE) და მისი შემდგომი დანაწევრების პროცესს ხელი შეუწყოს, მათგან — საქართველოს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლებაწართმეულთაგან, არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდება, ხოლო მხარდაჭერა შესაძლოა მოიპოვოს კიდეც!** თუმცა მიხეილ ნიკოლოზის ძეს ძალიან უყვარს ლეგენდის მოყოლა სომეხ კაპიტანზე, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის 58-ე არმია სამცხე-ჯავახეთის მისადგომებთან შეაჩერა...

**ამ მიმართულებით ერთიანი პოლიტიკისა და პროგრამის არარსებობის გამო, სააკაშვილის ბევრი, ნამდვილად სასარგებლო ღონისძიებანი და ინიციატივები სასურველ ეფექტს არ იძლევა, მაგალითად — ნაციონალურ სკოლადამთავრებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესში მოწყობისას გამოცდების მშობლიურ ენაზე ჩაბარება, ეროვნული უმცირესობებისთვის ხელმძღვანელ კადრთა მოსამზადებელი ინსტიტუტის გახსნა და ა.შ.**

**რაც შეეხება არჩევნებს — საქართველოში ეროვნული უმცირესობანი** (მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი — სომხები და აზერბაიჯანელები), **განსაკუთრებით — მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში არჩევნებში ყოველთვის მხარს უჭერენ და კვლავაც დაუჭერენ მოქმედ ხელისუფლებას!**

***კორ.: — მაშინ რატომ არ იყენებენ მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიები ამ მძლავრ რესურსს პოლიტიკურ ბრძოლაში? თავიანთ წინასაარჩევნო სიებში რატომ არ შეჰყავთ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები?***

**ა.ხ.:** — საიდუმლო არაა, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია ეროვნულ უმცირესობებს მხოლოდ არჩევნების წინ იხსენებს და მისი დასრულებისთანავე ავიწყდება. ჰო, კიდევ, სხვადასხვა ევროპელი და ამერიკელი ექსპერტ-უფლებათადამცველის ვიზიტებისას, რომლებმაც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ დასკვნა უნდა დაწერონ, რაზეც უშუალოდაა დამოკიდებული, მოგვცემენ თუ არა მორიგ გრანტებს, რათა ჩვენმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააღრმაოს და დააჩქაროს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესები... **არა, ამერიკელები და ევროპელები მაინცდამაინც არ ღელავენ ჩვენს ეროვნულ უმცირესობებზე; უბრალოდ, მათთვის ნებისმიერი უმცირესობების დაცვა — იქნება ეს ეროვნული, რელიგიური თუ სექსუალური — ინსტრუქციაში პირველ პუნქტად დაუწერიათ, ხოლო ჩვენი ახალი მეგობრები ყველაფერს უნივერსალური და ამიტომ პრიმიტიული და ფორმალური ინსტრუქციების მიხედვით აკეთებენ!**

**საქართველოს ეროვნული უმცირესობები საქართველოს პოლიტიკური პარტიების ხელში სათამაშოს წარმოადგენენ, მათ ხომ არჩევნებში, ხმების მიცემის გარდა, არაფერი შეუძლიათ და ამიტომაც, ავტოქტონურ მოსახლეობასთან შედარებით, არანაირ პოტენციურ საშიშროებას არ წარმოადგენენ!** მით უფრო, რომ საქართველოში, როგორც ასეთი, პოლიტიკური **პარტიები არ არსებობს — არსებობენ მხოლოდ სახელები და მათთან დაკავშირებული ინტერესები, რომელთა მიხედვითაც განარჩევს მათ ხალხი: „პადოშა," ალასანია, ბურჯანაძე, ნოღაიდელი, „გრეჩიხა," „შალიკო"... შესაბამისად, საქართველოს არ გააჩნია ეროვნული პოლიტიკა — არსებობს მხოლოდ გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის პოლიტიკა! ხოლო, თუ არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, მაშასადამე არც სახელმწიფოა და არც — პოლიტიკოსები!!!**

აი, მაგალითად, შეგიძლიათ დაასახელოთ ერთი პოლიტიკოსი ან პოლიტიკური პარტია საქართველოში, რომელსაც ექნებოდა სტრატეგია და არა თუ სტრატეგია, ერთი პუნქტი მაინც პროგრამაში, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს ეხება?! ვერ დაასახელებთ, რადგან მათ უმეტესწილად არავითარი პროგრამა არ აქვთ!

სხვათაშორის, პოლიტიკანები ერთხელ მაინც სერიოზულად რომ დაინტერესებულიყვნენ ამ საკითხით, **ბევრ კონკრეტულ შემთხვევას გადააწყდებოდნენ, როცა დასაცავი იყო არა ეროვნულ უმცირესობათა, არამედ ქართველთა უფლებები! საქართველოში ქართველთა უფლებები დღეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზე ნაკლებად როდია დარღვეული, და ეს არა მარტო მათი კომპაქტურად დასახლების რაიონებშია, არამედ დედაქალაქ თბილისშიც! *„ის ცდება, მაგრამ სომეხია და, ჯობს, ხელი არ ვახლოთ: ჩივილს დაიწყებს და ეროვნული ნიშნით უფლებების დარღვევაში დაგვდებენ ბრალს! შემდეგ საქმე სტრასბურგამდე მივა და, ღმერთმა არ ქნას, ეს ევროპულ უფლებათადამცველ ორგანიზაციებსა და ჩვენი ომბუდსმენის მოხსენებებში მოხვდეს, რის გამოც საქართველოს მორიგ ტრანშს შეუჩერებენ... მიშა ამას გაიგებს და სამსახურებიდან დაგვხსნის!"*** — აი, ასე მსჯელობენ ჩვენთან საკონტროლო, უფლებადამცველთა და, ზოგადად, სახელისუფლო სტრუქტურებში.

**დიახ, ჩვენი პოლიტიკოსები ნამდვილი ინტერნაციონალისტები არიან: ერთნაირად მიუფურთხებიათ როგორც არაქართველების, ისე — ქართველებისთვისაც! მათ მხოლოდ კარიერა და ფული სჭირდებათ! და სანამ საქართველოს პოლიტიკური „ბნელიტა" ძველი უხამსი თამაშით — „ხელისუფლება-ოპოზიცია" — იქცევს თავს, საქართველოს ყველა მოქალაქის ცხოვრებაში, ეროვნების მიუხედავად, არაფერი შეიცვლება...** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ***კორ.:*** ***— რა კომენტარს გაუკეთებთ მედიაში არნოლდ სტეპანიანის დადანაშაულებას რუსეთის ფე-ეს-ბე-კა-გე-ბესთან თანამშრომლობაში? ის ხომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლების გამაერთიანებელი დიდი ახალგაზრდული არსამთავრობო ორგანიზაციის — საერთო სამოქალაქო მოძრაობის „მრავალეროვანი საქართველოს“ (ОДМГ) დამაარსებელი და უცვლელი პრეზიდენტია?***

**ა.ს.:** — რამდენადაც ვიცი, „ОДМГ“ ევროპული პროექტია, რომელიც, 10 წელზე მეტია, გრძელდება და ძალიან სოლიდურად ფინანსდება ევროპიდან, ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი არ იქნებოდა, სტეპანიანისთვის ცრუ-ს ან „ინტელიჯენტ სერვისის“ ჯაშუში ეწოდებინათ, მაგრამ კა-გე-ბე?! ვერ გეტყვით... გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, სტეპანიანი საქართველოში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ე. წ. NJO-შნიკია, რაშიც არცთუ პატარა როლი შეასრულა აწ განსვენებულმა **ზურაბ ჟვანიამ** (თუ არ ვცდები, ერევნიდან ჩამოსული არნოლდი, რომელმაც იქ უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, მაშინვე მისი მრჩეველითანაშემწე გახდა!) უეჭველია, „მწვანე“ ჟვანიას (ევროპული და ამერიკული ფონდებისთვის ძალზედ ავტორიტეტული ფიგურის) ხელშეწყობით, სტეპანიანი საქართველოში სოროსის ფონდის საბჭოს წევრიც გახდა, მაგრამ ფე-ეს-ბე?!

**მაშასადამე, გამოდის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა კა-გე-ბეშნიკ სტეპანიანს საქართველოში პრეზიდენტ ბუშის ვიზიტისას მასთან შესახვედრად უხმო?! მერედა, ცრუ-სა და ფბრ-ს თვალები სად ჰქონდათ?! ან საით იცქირებოდნენ მათი ქართველი კოლეგები — ჩვენი კუდები და სოდები?!**

გასაკვირია ეს ყველაფერი: **ფე-ეს-ბეშნიკი არნოლდ სტეპანიანი სააკაშვილისა და ბუშის მცირერიცხოვან სტუმართა შორის აღმოჩნდა, ბუშს კი მერე ვოვა არუთინიანმა უცნაურად არაფეთქებული ყუმბარა ф-1 ესროლა...** და აი, ვოვა ციხეშია, ხოლო არნოლდი თავისუფალია: **რატომ არ აღმოჩნდა იგი გისოსებს მიღმა, თუკი ხელისუფლება ინტერნეტსა და პრესაში გამოქვეყნებულ მტკიცებულებებს — მის აგენტურულ დასმენებსა და კა-გე-ბე-ფე-ეს-ბესთან თანამშრომლობის დამადასტურებელ საბუთს ფლობს?! გამოდის, საქართველოს ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია, რომ „მრავალეროვან საქართველოს“ ამდენი წელი ხელმძღვანელობდეს რუსეთის ჯაშუში სომეხი?!**

**და თუ ეს ასე არაა — რატომ ცხოვრობს სტეპანიანი მშვიდად?! რატომ არ ჩივის სასამართლოში, არ ითხოვს ასტრონომიულ კომპენსაციას და თანაც, არა მარტო პირადად თავისთვის, რაკი ეჭვქვეშაა მთელი „მრავალეროვანი საქართველოს“ რეპუტაცია, რომელსაც, პრაქტიკულად, „მეხუთე კოლონა“ ეწოდა, რაკი მას ჯაშუში და მოღალატე ხელმძღვანელობს?!**

***კორ.:*** ***— ბატონო არნო, როგორც იცით, ჩვენს გაზეთსა და ინტერნეტსაიტს სხვადასხვა ეროვნების მკითხველი ჰყავს. ისინი შეშფოთებული არიან ქსენოფობიის გამოვლენებით საქართველოში, რომელიც მუდამ ტოლერანტობის ეტალონად მიიჩნეოდა...***

**ა.ს.:** — ბოლო ხანებში ჩვენში ქსენოფობიის გამოვლენა გაძლიერდა. ფაშისტ **ირაკლი წერეთლის** ტელეგანცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ყველა პრორუსის სისხლი დაიღვრება, მაინცდამაინც არ გავუკვირვებივარ: პატრიარქის შეურაცხმყოფელ და „მამაო ჩვენოს“ არმცოდნე ექსდისიდენტ წერეთლის ნამუსზეა 1989 წლის 9 აპრილს ყველა დაღუპულთა სიკვდილიც, **მაგრამ ნაციონალისტ წერეთელს ნაციონალი სააკაშვილი რომ აქეზებს, ეს უცნაური და სახიფათოა!**

***„ვისაც სომხები არ უყვარს, იმათთვის სომეხი ვარ, ვისაც აზერბაიჯანელები არ უყვარს, იმათთვის — აზერბაიჯანელი!“*** — აცხადებს სააკაშვილი, **ვისთვისაც ეროვნებას მართლაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.** სააკაშვილი ნოვრუზ-ბაირამს ეროვნულ დღესასწაულად აცხადებს, ეცეკვება სომეხ ბავშვებს, მაგრამ პარადოქსია: **ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც თბილისში (ესე იგი, ტოლერანტულ ატმოსფეროში) ინტელიგენტურ ოჯახში გაიზარდა, ჩინებულად ფლობს რუსულ ენას, სწავლობდა კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში და იქვე მსახურობდა ჯარში, რომელსაც შემდგომში ამერიკულსა და ევროპულ კოლეჯებში დემოკრატიის ანა-ბანას ასწავლიდნენ** (თანაბარუფლებიანობის შესახებ ეროვნების, რასის, კანის ფერისა და მრწამსის მიუხედავად), **ბოლო ხანებში, უფრო ზუსტად კი 08.08.08 ტრაგედიის შემდეგ, არ ალკვეთს ქსენოფობიის გამოვლენას საქართველოში!**

მიზეზი მარტივია: არჩევნების წინ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (პრაქტიკულად — პოლიტიკური პროფგამოსადეგობის ტესტის წინ!), სასტიკი პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, რუსეთის პირისპირ მარტოდდარჩენილი სააკაშვილი, რომელიც მთელი ამ 6 წლინახევრის განმავლობაში „უნიტაზში რეცხავდა“ ყველაფერს ეროვნულს, დღეს, კრიტიკულ სიტუაციაში, იძულებულია, მხარდაჭერისთვის მუდამ „სანდო“ ძალებს — ყველაფრისთვის მზადმყოფ შოვინისტ-დემაგოგებს მიმართოს! მათი ანტირუსული რიტორიკის გამოყენების შემდეგ, როცა უგულავა არჩევნებში გაიმარჯვებს, იგი მათ კვლავ აბუჩად აიგდებს და ევროპისა და ამერიკის წინაშე მებრძოლ ნაციონალ-შოვინისტებს გაემიჯნება.

## თუმცა ნაციონალ-შოვინიზმი „A LA GEORGIA“ არსობრივად ფაშიზმია, ხოლო ფაშიზმთან თამაში, როგორც ისტორია გვასწავლის, ძალზე სახიფათოა...

ესაუბრა
**გიორგი მახარაძე**

# «შევარდით ნიღბით და ავტომატებით, დააშინეთ ხალხი და მოაწყვეთ საჯარო დახვრეტა»




**გებელსი ამბობდა: „თუ იტყვით დიდ ტყუილს და ხშირად გაიმეორებთ, ბოლოს და ბოლოს ხალხი მას ირწმუნებს; ირწმუნებს მანამ, სანამ ხელისუფლება შეძლებს, დაფაროს ამგვარი სიცრუის პოლიტიკური, ეკონომიკური და/ან სამხედრო შედეგები... სიმართლე სიცრუის დაუძინებელი მტერია და, მაშასადამე, სიმართლე სახელმწიფოს უდიდესი მტერია“.**



სიმართლე სახელმწიფოს მტრად მხოლოდ საქართველოში კი არა, ბევრ დიდ სახელმწიფოში მიიჩნევა ან მიიჩნეოდა; მაგალითად, ის, რაც საქართველოში დღეს ხდება, ამერიკამ 70-იან წლებში გაიარა — უდანაშაულო ხალხის მკვლელობა, ტერორი და შიშის სინდრომის დათესვა ფარულ სახელმწიფო პოლიტიკად იყო ქცეული.

და მაინც, რა საშუალებებს იყენებს ჩვენი ხელისუფლება და საიდან ამოქექა ის მეთოდები, რომლებიც ნკვდ-ს და აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ყველაზე სასტიკ და უგვან პერიოდებს უკავშირდება? ნკვდ-ს მეთოდებზე არ შევჩერდები, ყველამ ვიცით, წაგვიკითხავს და მოგვისმენია. აი, აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვის პროგრამა COINTELPRO (Counter Intelligence Program) კი ისაა, რომელსაც ტყუპისცალივით ჰგავს საქართველოში გატარებული პოლიტიკა, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, გასაოცარი გულმოდგინებით მალავენ მისი წარმოშობის ადგილს, რადგან ნებისმიერი პატიოსანი ამერიკელისთვის ეს სირცხვილთან, არადემოკრატიულობასთან, ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევასთან, დასმენის ინსტიტუტთან, აგენტების საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებასთან, ცილისწამებასთან, შანტაჟთან და მკვლელობებთან ასოცირდება.

ეს არის ფარული ოპერაციების სერია, რომლის მიზანი სახალხო აღშფოთებისა და პროტესტის ძირისგამოთხრა და დისკრედიტაცია იყო. გამოძიების ფედერალური ბიურო საიდუმლო დავალებებს აძლევდა საკუთარ თანამშრომლებს კონკრეტული ადამიანების დისკრედიტაციის ან მათი სხვაგვარი განეიტრალების მიზნით. ყველა ოპერაცია ადგილობრივი პოლიციისა და პროკურატურის კოორდინირებული მოქმედების საფუძველზე ხორციელდებოდა. იმ ხერხებიდან, რომლებსაც გამოძიების ფედერალური ბიურო დაშინებისა და დამონების მიზნით იყენებდა ყველაზე, აღსანიშნავია ქონების წართმევა, სამსახურიდან გათავისუფლება, ოფისებში შეჭრა, ვანდალიზმი, ფიზიკური ზეწოლის მუქარა ან მისი პირდაპირი განხორციელება, უსამართლო დაჭერები, ცრუ ბრალდებები და პროვოკაციები.

**ეს ყველაფერი აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და მისი თანამშრომლების სინდისზე იყო. ხელისუფლების ეს სამარცხვინო ქმედებანი 1971 წელს გახდა ცნობილი, საჯაროზე გამოტანილი და კონგრესის მიერ დაგმობილი, როგორც არასახელმწიფოებრივი და არადემოკრატიული მოვლენა. ბოდიში მოიხადა ქვეყნის პრეზიდენტმა და საქვეყნოდ განაცხადა, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდებოდა.** დამოუკიდებელი ექსპერტები დღეს საქართველოში ზუსტად COINTELPRO –ს მეთოდებით მუშაობას ხედავენ, იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ დოკუმენტის, ანუ აშშ-ს გამოძიების ფედერალური სამსახურის კონტრდაზვერვის პროგრამის გაცნობის შემდეგ, სრულიად ნათელი ხდება ძალოვანი სტრუქტურების მაღალი და საშუალო ჩინოსნების ოკეანისგაღმა დღეგამოშვებით ვიზიტების დანიშნულება. როგორც ჩანს, პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის სტაჟირებას იქ გადიან, საქართველოში ხომ ჯერ ისევ 70-იანი წლებია...

## ვინ დაწერა ინსტრუქცია ქართველი სამართალდამცავებისთვის

**გთავაზობთ იმ მეთოდების არასრულ სიას, რომლებსაც გამოძიების ფედერალური ბიურო COINTELPRO-ს პროგრამით ოპერაციების განხორციელებისას იყენებდა.**

**ინფილტრაცია (ოპონენტთა რიგებში აგენტების ჩასმა):** აგენტები და ინფორმატორები არ გამოიყენებოდნენ, როგორც უბრალო დამსმენები პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების პოლიტიკური საქმიანობების შესახებ. მათი ძირითადი მიზანი ნებისმიერი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებისა და ჯგუფების დისკრედიტაცია და ერთიანობის დაშლა ერთმანეთის ნდობის დაკარგვა და მხარდამჭერების დაშინება იყო. ფედერალური საგამოძიებო ბიურო და პოლიცია ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ეს ოპონენტები სხვების თვალში აგენტებად და ჩამშვებებად გამოეყვანა.

**ფსიქოლოგიური ომი:** ფედერალური ბიურო და პოლიცია პროგრესული მოძრაობის ჩახშობისა და ძირის გამოთხრის მიზნით სხვა უამრავ „ბინძურ ხერხს“ იყენებდა: აქვეყნებდნენ ცრუ, ფალსიფიცირებულ ინფორმაციას მედიაში, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ სიცრუით სავსე ბროშურებსა და სხვა სახის პუბლიკაციებს მიზნობრივი ჯგუფების სახელით. აყალბებდნენ კორესპონდენციებს, გზავნიდნენ ანონიმურ წერილებს და ანონიმურად ურეკავდნენ ადამიანებს, ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას ღონისძიებებისა და შეხვედრების შესახებ, ქმნიდნენ ფსევდომოძრაობებს, რომლებსაც აგენტები ედგნენ სათავეში და ათასგვარ მანიპულაციას ატარებდნენ მშობლებთან, დამქირავებლებთან, სახლის პატრონებთან, სკოლის ხელმძღვანელობასთან აქტივისტებისათვის პრობლემების შექმნის მიზნით.

**სამართლებრივი სისტემის ბოროტად გამოყენება:** გამოძიების ფედერალური ბიურო და პოლიცია დისიდენტების გაღიზიანებისა და შეურაცხყოფის მიზნით ბოროტად იყენებდნენ სამართლებრივ სისტემას, რათა ეს ადამიანები კრიმინალებად წარმოეჩინათ. კანონდამცველები იძლეოდნენ ცრუ ჩვენებებს და მოჰქონდათ შეთითხნილი და ყალბი მტკიცებულებები გაუმართლებელი დაჭერებისა და ციხეში ჩასმის წინაპირობების შესაქმნელად. ამავე მიზნით, დისკრიმინაციული ფორმით იყენებდნენ საგადასახადო კოდექსს და სხვა საკანონმდებლო აქტებს, არასანქცირებულ თვალთვალსა და მოსმენას, იბარებდნენ დაკითხვაზე, სასამართლოში და ეს ყველაფერი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილისა და მათი მომხრეების შესაშინებლად და გასაჩუმებლად იყო შემუშავებული.

**ძალის არასამართლებრივი გამოყენება და ძალმომრეობა: გამოძიების ფედერალური ბიურო და პოლიცია იყენებდა მუქარისა და დაშინების მეთოდებს, გადაცმულები იჭრებოდნენ სახლებსა და ოფისებში. ფედერალური ბიურო ამ ქმედებებს ახორციელებდა ვანდალურად, შეურაცხყოფისა და ცემატყეპის თანხლებით. მიზანი კი ოპონენტების დაშინება და მათი მოძრაობის განადგურება იყო.**

ასეთი თავდასხმები, პოლიტიკური მკვლელობების ჩათვლით, იმდენად სერიოზული და ცბიერად გათვლილი იყო, რომ მათ თავისუფლად შეიძლება ოფიციალური „ტერორის“ ტერმინი მივანიჭოთ.

გამოძიების ფედერალური ბიურო და პოლიცია პირდაპირ მონაწილეობდა ადგილობრივი, შავკანიანი ამერიკელების მკვლელობებში. ჩიკაგოში პოლიციამ მოკლა ფრედ ჰამთონი და მარკ კლარკი (შავკანიანების მოძრაობის ლიდერები). გამოძიების ფედრალური ბიუროს აგენტმა ჰამფთონის საჭმელში წინასწარ ნარკოტიკები გაურია, რომ მას თავდასხმის დროს წინააღმდეგობის გაწევის უნარიც კი არ ჰქონოდა.

**უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობის ოპერაციის მონაწილეებმა მადლობა და მატერიალური ჯილდო მიიღეს.** საგულდაგულოდ მოფიქრებული ლეგენდისა და ფაქტების დამახინჯების მცდელობის მიუხედავად, კომისიამ და სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აქტივისტების სიკვდილი არ იყო შემთხვევითი გასროლის შედეგი, როგორც ამის წარმოჩენას პოლიცია ცდილობდა. ეს იყო კარგად დადგმული, ვიეტნამში აპრობირებული „აღმოაჩინე და გაანადგურე“ ტიპის ოპერაცია.

**ამერიკას სერიოზულად გაუმართლა — მათი სასამართლო სხვათა კანტორა არ იყო. სასამართლომ გამოააშკარავა და მკაცრად მოსთხოვა პასუხი ამ პროექტის ავტორებსაც და შემსრულებლებსაც, თუმცა, როგორც ჩანს, COINTELPRO -ს ექსპორტი სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ეფექტურად განხორციელდა.** შესაძლოა საქართველოში სწორედ იმიტომაც არ არსებობს სასამართლო და სამართალი, რომ იგი COINTELPRO-ს სცენარით გათვალისწინებული არ არის, რევოლუციის სპონსორთა კალენდრით, ჩვენთან ხომ ჯერ 60-იანი წლებია და ცივილურ, დემოკრატიულ და რეალურ ხელისუფლებას მხოლოდ ვირტუალურად ან ბუტაფორულად ვიმსახურებთ.

**ნინო ბერიძე**

ამ ლექსს, რომელიც 39 წლის წინათ დაიწერა, ყავლი არ გასვლია, არ გახუნებულა, შედევრის თაროზე არ დარჩენილა აღსაფრთოვანებლად ოდენ. პირიქით, იმ მოვლენათა ფონზე, რომლებიც საქართველოს თავგზაარეულ დღევანდელობაში დამკვიდრდა, ახალი მუხტი შეიძინა, ახალი ძალით აალმასდა, როგორც მოწოდება და შეგონება მამულიშვილური:

„ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ!“

დამიწებულად რომ ვთქვათ, დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა რეზო ამაშუკელის გულის ხმამ, მამლუქების სასაფლაოზე ამოთქმულმა და ფარად დაუდგა ქართველ ვაჟკაცებს, რომლებიც ავღანეთის ომისთვის გაწირა ჩვენმა უდღეურმა ხელისუფლებამ, თავისი ნულოვანი „იმიჯის“, ანუ დაცემული ავტორიტეტის ასამაღლებლად საერთაშორისო ასპარეზზე. საჯიშე ბიჭებს სხვის დედასაც აფიცებინებს, სხვის ომშიც აომებს და საქართველოს ინტერესებისთვის გადადგმულ ნაბიჯად ასაღებს თავის ამ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას.

## რეზო ამაშუკელი

# მამლუქების სასაფლაო

ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ!
ნუ გინდა სხვისი შარავანდი,
ოქრო,
დიდება,
რადგანაც თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს!..

— ო, ნუ მიიჩნევ სხვის ნადიმებს
შენდა ქეიფად,
ნურც სხვისი ჩალმა
ალმასებით ნუ დაგამშვენებს,
რადგან დაღვრილი სხვათა ომში
ოფლი და სისხლი
შენს შემდეგ ქვეყნად
აღარავის ემახსოვრება.

დავდივარ ჩუმად
მამლუქების სასაფლაოზე,
თაკარა მზეში,
გადაბუგულ მკვდართა ქალაქში,
აქ ერთი ასოც არსად გდია
თქვენდა ხსენებად,
ერთი პატარა ტვიფარი ან
მოკლე წარწერა...

ნუ დასახლდები სხვის მიწაზე,
რადგანაც მიწა
არ მიიკარებს შორით მოსულს
არც მკვდარს,
არც ცოცხალს!

დაყვება გიდი
გალენჩებულ ევროპიელებს
და კაიროდან ამდგარ ნიავს
დროდადრო მოაქვს
ისლამისაგან გაბრუებულ
კვარტალებიდან
ჭუჭყის,
თრიაქის
და ნარგილეს მხრჩოლავი სუნი...

საით გამქრალა
თქვენი ძალა,
თქვენი დიდება,
ნიჭი და ვნება,
სხვის მიწაზე უხვად ნახარჯი?!
და მახსენდება საქართველო
ასე ულმერთოდ,
ასე წვეთ-წვეთად
დაყიდული მამელუქებად...

ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ,
რადგანაც თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს.

1971 წლის 17 სექტემბერი

## მამა გიორგი თევდორაშვილი: ყველა ქრისტიანი ვალდებულია, სწამდეს ერთარსება სამპიროვანი ღმერთი

**თანამედროვე ეპოქაში ბევრს საუბრობენ რწმენაზე, რელიგიაზე, როგორც ობიექტურ რეალობაზე, რომლის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ქრისტიანული თვალსაზრისით, რა არის რწმენა, რას ეფუძნება ის, აღიარება „მე მწამს“ ნიშნავს თუ არა ჭეშმარიტების შეცნობას? ამის შესახებ ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა გიორგი თევდორაშვილი გვესაუბრება.**

— მე-4 საუკუნეში ნიკეა-კონსტანტინოპოლის პირველ და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე (325 წელს ჩატარდა ნიკეის, ხოლო 381 წელს კოსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრება) ჩამოყალიბდა სარწმუნოების სიმბოლო მრწამსი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: **„მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი“.** ეს ძალიან მტკიცე, ურყევი თეზისია და ამით სარწმუნოების სიმბოლო გვაუწყებს, პირველ რიგში, რა უნდა სწამდეს იმ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს.

თანამედროვე ადამიანები ხშირად ეკლესიური ცხოვრებით იწონებენ თავს; არადა, ლუკას სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს, როდესაც მოვა ძე კაცისა, პოვებს კი დედამიწაზე რწმენას? ანუ მაცხოვრის მეორედ მობრძანების ჟამს, ჭეშმარიტი რწმენით აღჭურვილი ადამიანი იშვიათი იქნება. პავლე მოციქული არაერთგზის ბრძანებს, რომ ეშმაკიც გარკვეულ რწმენას ატარებს, მაგრამ იგი სულიერ საქმეს არ აღასრულებს.

თუ ერთდოლარიან კუპიურას აიღებთ, ნახავთ წარწერას: **„ჩვენ გვწამს ღმერთი“.** ვის სწამს და როგორ სწამს, ამაში აუცილებლად უნდა გავერკვეთ, ვინაიდან ფსალმუნთა წიგნი გვაუწყებს, რომ **„წარმართთა ღმერთნი ეშმაკ არიან“.** შესაბამისად, უნდა დავაზუსტოთ, დავაკონკრეტოთ, როგორი ღმერთი გვწამს და საერთოდ, რას ნიშნავს რწმენა.

მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ, როცა ადამიანების მიერ ურწმუნოდ მონათლული თომა უფალს მიეახლება, შეხებით დარწმუნდება, რომ იგი მართლა მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარია და იტყვის: **„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“,** იესო ქრისტე მას არ შეაქებს და მიუგებს: **„შენ მიხილე და გწამვარ, მაგრამ ნეტარ არიან, ვისაც არ უნახავს ჩემი განკაცება, მოღვაწეობა, აღდგომა და სწამს“.** აქ საუბარია იმ ადამიანებზე, მათ შორის ჩვენზეც, ვისაც მაცხოვარი არ გვინახავს და გვწამს. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში (სასურველია, დაინტერესებული მკითხველი თუ გაეცნობა ამ თავს), **რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვერ ვხედავთ და რაზეც ვიმედოვნებთ.**

შემთხვევით არ მიხსენებია ნიკეა-კოსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო „მრწამსი“, ვინაიდან მასში დოგმატური ცვლილების შეტანამ ეკლესიიდან იმ ხალხის გამოყოფა გამოიწვია, რომელთაც კათოლიკებს (ლათინოპაპიზმის ეკლესია) ვუწოდებთ.

ყველა ქრისტიანი ვალდებულია, სწამდეს ერთარსება სამპიროვანი ღმერთი, უშობელი მამა, მამისგან შობილი ძე და მამისგან გამომავალი სულიწმიდა.

ნათლისღების დროს მღვდელი საკუთარი სახელით არ ნათლავს ადამიანს, როგორც რომის ეკლესიაში. ის ამბობს, რომ ნათელს იღებს ერთარსება სამპიროვანი ღმერთისგან — **„მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“.** ყოველი ქადაგება, ყოველი საიდუმლოება, ყოველი ღვთისმსახურება ყოვლადწმიდა სამების წმიდა სახელით იწყება და ქრისტიანულ სწავლებაში ყველაზე დიდი დოგმატი ერთარსება სამპიროვანი ღმერთის შესახებ სწავლებაა. როდესაც გამოვისახავთ ჯვარს, ამით ვადიდებთ ერთარსება სამპიროვან ღმერთს, რომელიც ჭეშმარიტია და სხვა ღმერთი არ არსებობს მისსა გარეშე.

**— მამაო, საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეკლესიები მორწმუნეებითაა სავსე, მრევლს რამდენად აქვს გააზრებული საკუთარი რწმენის ერთადერთობა?**

— აღმსარებელს, რომელსაც ეკლესიური ცხოვრების დაწყება სურს, მოძღვარმა პირველად უნდა ჰკითხოს, ნათელღებულია თუ არა და რამდენად სწამს, რომ მართლმადიდებლობა მაცხოვნებელი სარწმუნოებაა. თუ მას მტკიცედ სწამს მართლმადიდებლური სარწმუნოება, ის შეიძლება გახდეს ეკლესიური, ხოლო თუ ორჭოფობს, ეჭვი ეპარება და ფიქრობს, რომ ცხონება არის კათოლიციზმშიც და სექტანტიზმშიც, ეს უკვე დამღუპველია. ასეთი ადამიანი თავიდანვე არასწორ გზას ადგას. მოარული ნათქვამია: „არცოდნა არცოდვაა“.

წმინდა მამები და განსაკუთრებით, ეგნატე ბრიანჩანოვი ბრძანებს, მართლმადიდებლური სარწმუნოება იმდენად ნათელია და ცნობადი, რომ შენდობა არ აქვთ მათ, ვინც არცოდნას არცოდვად აცხადებს. განსაკუთრებით ქართველებისთვის არაა ეს გასამართლებელი. **როგორ შეიძლება, ქართველი ადამიანი იყოს იეღოვას მოწმე, ბაპტისტი ან სხვა რომელიმე რელიგიის წარმომადგენელი!** ჩვენს ქვეყანაში, 2000 წელზე მეტია, ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლები არსებობს და ჯერ კიდევ უფლის განკაცებამდე ძველი აღთქმის გარკვეული სწავლება იყო.



როცა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაანგრია და ებრაელები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, მათ საქართველოში წმიდა ელიას ხალემი ჩამოაბრძანეს და იგი სვეტიცხოვლის წმიდა საკათედრო ტაძარშია დაკრძალული. ასევე მოგეხსენებათ, რომ მცხეთაში აბიათარ მღვდელი მოღვაწეობდა და ა.შ. **დღეს ქართველები პირჯვრის გადაწერასა და მოძღვართან ურთიერთობას კი არ უნდა ვსწავლობდეთ, არამედ წმიდა წერილის განმარტებას უნდა ვეწაფებოდეთ. მეტი სულიერება გვმართებს.** სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ჯერ არ ეტყობა, რომ მრავალი ადამიანი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს.

**— სინდისის არსებობა ადამიანში ადასტურებს თუ არა მასში უფლის არსებობას?**

— სინდისი ბერძნული სიტყვაა და თანაცოდნას ნიშნავს. ისეთ მდიდარ ენას, როგორიც ქართულია, ბუნებრივია, შესაბამისი შესატყვისი ექნებოდა და ქართულში მას თანაცოდნაი, თანაგონებაი ერქვა. ყველა ადამიანს ჰქონდა თანაცოდნა, მაგრამ როდესაც სინდისი აღარ იყო საკმარისი ადამიანის ღმერთთან დასაბრუნებლად, უფლის განკაცება და რელიგიის დაწესება გახდა საჭირო.

დღეს სინდისისმიერად განსჯა უკვე აღარ არსებობს და ეკლესია გვასწავლის, რომ სინდისს ბოლომდე არ შეიძლება ვენდოთ, რადგან ხანდახან ის დამახინჯებულია. იოანეს სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს: **„სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ“.** ჭეშმარიტება ღმერთია და ჩვენი რწმენა ამ ჭეშმარიტებაში უნდა იყოს, რათა შევიცნოთ ის, გავხდეთ ქრისტიანები და ქრისტიანობამ ცოდვის მონობიდან გაგვათავისუფლოს.

**— საუკუნეების განმავლობაში მრავალი მორწმუნე ფილოსოფიური ძიებით ცდილობდა უფალთან მისვლას. მამაო, განსხვავდება რიგითი ადამიანის გულისმიერი რწმენა ფილოსოფოსების ცოდნისმიერი რწმენისგან?**

— რა თქმა უნდა, განსხვავდება. დიდი მამა კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობდა, რომ მორწმუნენი ღვთის მონები არიან, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი ღვთის მეგობარი ხდება. როცა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს ჭეშმარიტების სწავლება გამოუცხადა, უთხრა: **„თქვენ აღარ გიწოდებთ მონებს, არამედ თქვენ ღვთის მეგობარნი ხართ“.** ღმერთი ჩვენგან მარტო ფანატიკურ და ბრმა რწმენას არ ითხოვს, რადგან, როგორც უკვე გითხარით, გარკვეული რწმენა ეშმაკსაც აქვს, მაგრამ ის უფლის მეგობარი არ არის. ყველა ანტიკური ხანის ფილოსოფოსი — პლატონი, სოკრატე, არისტოტელე — ქვეცნობიერად აღიარებდა უზენაეს ძალას. ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთი არის ერთი და დიდი მასწავლებლის მოსვლის გარეშე ადამიანს ქვეყანის გამოსწორება არ შეუძლია. ეს სიტყვები არისტოტელესა და პლატონს ეკუთვნით. თუკი ანტიკურ ხანაში, ქრისტემდე ხალხი ამას ხვდებოდა, სირცხვილია, 21-ე საუკუნეში ადამიანს მხოლოდ ბრმა რწმენა ჰქონდეს.

**მრავალმა ქართველმა ევროპული გუნდების ისტორია უკეთ იცის, ვიდრე ეკლესიის ისტორია და წმინდანების ცხოვრება. მათ იციან, რომელ გუნდში რამდენი ფეხბურთელი თამაშობს, ვინ როდის იყიდეს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვთ, ვინ იყო პავლე მოციქული ან წმიდა ნინო. მინდა, მადლობა შევწირო უფალს, რომ არის საპატრიარქოს ტელევიზია, გამოდის ამდენი ჟურნალ-გაზეთი, რაც მღვდლებს საშუალებას გვაძლევს ხალხში ღვთის სიტყვა გავავრცელოთ.**

ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც რელიგიით დავინტერესდი, სახარება ვერ მოვძებნე თანამედროვე ქართულ ენაზე, რომ წამეკითხა.

**— ცუდია უფლის მონობა?**

— უფლის მონობა ცუდი არაა, მაგრამ მონამ არ იცის თავისი ბატონი როგორია და მას შიშით ემსახურება. ღმერთს სურს, ამ შიშიდან გამოგვიყვანოს და დაგვიმეგობროს. როცა აბრაამი ერწმუნა ღმერთს, უფალმა მას თავისი მეგობარი უწოდა. ღმერთმა დაგვიმეგობრა ქრისტეში და, თუ ჩვენ განვისწავლებით კარგად, უფრო ახლო მეგობრებიც ვიქნებით.

ეკლესიური სწავლებით, ქრისტიანების სამი მდგომარეობა არსებობს: **მონები, დაქირავებულნი და შვილები.** მონაა ის, ვინც ღმერთს ჯოჯოხეთში მოხვედრის შიშით ემსახურება. დაქირავებული სამოთხის დამკვიდრების სურვილით ადიდებს მაცხოვარს. შვილს არც ჯოჯოხეთის ეშინია და არც მხოლოდ სამოთხის დამკვიდრება სურს, მას უყვარს უფალი, თავს ღვთის მეგობრად და შვილად მიიჩნევს და ამგვარი დამოკიდებულებით ადიდებს მას.

რამდენად შორსა ვართ ამ მესამე მდგომარეობიდან, მგონი, ძნელი მისახვედრი არაა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მამა გიორგი სხირტლაძე: მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ასეთი მზაკვრული ბრძოლა არასოდეს ყოფილა

**საქართველოში კიდევ ერთი ახალი პროტესტანტულ-ევანგელისტური სექტა — „ადგილობრივი ეკლესია“ გააქტიურდა. ისინი თბილისის ქუჩებში ბუკლეტებს ავრცელებენ სახელწოდებით „ადამიანის სიცოცხლის საიდუმლო“ და დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თავისთან იწვევენ. საპატრიარქო მრევლს აფრთხილებს, რომ ამ ერთი შეხედვით უწყინარი ბროშურების უკან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მოწინააღმდეგე სექტა დგას. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა გაერკვია, ვინ არიან ეს ახლადგამომცხვარი „მოციქულები“, ადამიანის სულისთვის რამდენად საშიშია მათ მიერ გავრცელებული სწავლება და საერთოდ რას წარმოადგენს სექტანტიზმი და იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზს მამა გიორგი სხირტლაძეს ვეწვიეთ.**



**— პროტესტანტულ-ევანგელისტური სექტა „ადგილობრივი ეკლესია“ ბროშურებს ავრცელებს და საზოგადოებას ახალ სწავლებას სთავაზობს. მამა გიორგი, რა ვიცით მათ შესახებ?**

— არსებობს სპეციალური საგანი, სასულიერო დისციპლინა სექტათმცოდნეობა. აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომებია შექმნილი და, საწუხაროდ, მათი მოცულობა თანდათან მატულობს, რადგან სექტების რიცხვი დღითიდღე იზრდება და, შესაბამისად, ამ საგანს მათი დახასიათება, განმარტება ემატება. სექტა ეს კერძო პიროვნებების, ლიდერის გარკვეული სწავლება და მწვალებლობის უკიდურესი ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის პიროვნების დეპერსონალიზაციას, გამხეცებას. ისინი ფაქტობრივად ანტიქრისტეს წინამორბედნი არიან. ადამიანს ცრუ ნათლობით ნათლავენ, ახალ ანტისახელს ანიჭებენ და დეპერსონალიზებულ, გამხეცებულ, პიროვნებადაკარგულ, საზოგადოებისთვის უცხო ელემენტს ქმნიან.

**ყველაზე ძლიერი და ხანგრძლივობით გამორჩეული სექტები ტოტალიტარული სექტებია: „მორმონები“, „იეღოვას მოწმეები“, „საინტოლოგიის სექტა“, „მუნის სექტა“, რომელმაც თავი „ახალ ადამად“, მესიად გამოაცხადა.**

არსებობს, აგრეთვე, ინდუისტურ-ოკულტური, გურუისტული სექტები, რომლებიც კრიშნას ცნობიერების სახით გვხვდება. ესენია: „რაფხუბადას სექტა“, რომელსაც უამრავი მიმდევარი ჰყავს და თავისი წევრებისგან უზარმაზარ თანხებს იღებს; „ტრანსსენატული მედიტაციის სექტა“; ფართოდ გავრცელებულია ბრახმაკუმარის სწავლება „სატიასაიბაბა“, რომელიც თავს მამა ღმერთად აცხადებს. ეს პიროვნება წითელ სამოსელშია გამოწყობილი და მაგიურ-შამანური ძალებით არის დაჯილდოებული; შამბალის სწავლების სექტა, რომელიც რერიხების, შამბალისა და მაჰათმების სწავლებაზეა დაფუძნებული, „ოშოშირაჯნეშის სექტა“, იგივე ოშოსი. შირაჯნეში ინდურად წყვდიადის მეუფეს ნიშნავს; გნიუდას სწავლება, რომელიც არ არის აგრესიული, მაგრამ გარკვეული ოკულტური ძალით გამოირჩევა.

არიან ასევე ვითომდა ქრისტიანული სექტები — „ღვთის შვილები,“ რუსეთში მოქმედებს ე.წ. „თეთრი საძმო,“ „ბესარიონიტების სექტა.“ მათ ციმბირში ქალაქი ააშენეს და ახალი სახარება დაწერეს. მათი ლიდერი ყოფილი მილიციელია, რომელმაც გარეგნულად თავი ქრისტეს დაამსგავსა, ჰიპნოზსა და შამანიზმის ძალას ფლობს. მან ათასობით ადამიანი სულიერად იმსხვერპლა, სახლკარი გააყიდვინა, ციმბირში წაიყვანა, სადაც ქალაქს აშენებინებს და ე.წ. მე-5 განზომილებაში გადასვლის მცდელობისას არაერთი მათგანი შიმშილობითა და ათასგვარი უბედურებით დაიღუპა; პორფირ ივანოვის სექტა ე.წ. ჯანმრთელობის კულტი; არსებობს, აგრეთვე, ფარმაცევტული სექტის მსგავსი კომერციული კულტები: ნივეიჯი, ჰერბალაიფი და სხვ.

**— მამაო, სექტების რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია. საინტერესოა, მათი სწავლება რას ეფუძნება?**

— სექტის საფუძველი სახარების არასწორი, დამახინჯებული გაგებაა. ისინი სახარების ციტირებას ახდენენ, რადგან ჭეშმარიტ მოძღვრებს ბაძავენ, თუმცა ჭეშმარიტი მოძღვრები არ არიან. თქვენ კარგად იცით, რომ ბოროტებას არსობრივი საფუძველი არ აქვს, იგი სინათლის, სიკეთის, ღვთის ნათელის ნაკლებობაა, ამიტომ ბოროტება სიკეთეზე პარაზიტირებს. თავის დროზე კომუნიზმმა სახარებაზე დაყრდნობით (წმიდა წერილი გაფილტრა, ამოიღო ღმერთი, სული) კომუნიზმის იდეოლოგია შექმნა. სახარება იდეოლოგიად აქცია, როცა არ შეიძლება ღვთივგამოცხადებული სწავლება, უფალი, სიყვარული იდეოლოგია იყოს. ერთ-ერთი სამეცნიერო ჰიპოთეზის აგიტაცია-პროპაგანდის შედეგად კი წარმოიშვა ახალი სექტანტური იდეოლოგია, რომელიც დარვინიზმის სახელით არის ცნობილი და ადამიანს პრიმატის სახეობად გამოყოფს. სექტანტებსაც იგივე სულიერობა აქვთ.

**— რატომაა ასე ფართოდ გავრცელებული სექტანტობა?**

— შავი ძალები, დაფარული თუ ცხადი ორგანიზაციებით მოქმედებენ, რომლებსაც მიზნად აქვთ ახალი რელიგიის, გლობალური ერთი უპირო აბსოლუტის თაყვანისცემის შექმნა. ამის უამრავი მცდელობა უკვე იყო ანტრო-თეოსოფიის, ოკულტური და მასონური ორდენების სახით, ანუ **გლობალური სამმართველოების მთავრობის შეხედულებაზე ერთი მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება, რომლის სათავეში ბოლოს ანტიქრისტე მოექცევა. ეს შემთხვევითი არაა და არ გეგონოთ, რომ ამ სექტებში არაპროფესიონალი ლიდერები ან გაუნათლებელი ხალხი მუშაობდეს. ესენი საკმაოდ მაღალი კლასის სპეციალისტები, რელიგიათმცოდნეები, რელიგიური ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ადამიანის ცნობიერებასა და მასების ფსიქოლოგიაზე მანიპულაციის მცოდნე ადამიანები არიან,** რომლებმაც საკმაოდ წარმატებით აითვისეს ყველა ის ეფექტური მეთოდი, რომელსაც აქამდე იყენებდნენ როგორც ფაშისტები, კომუნისტები, ძველი მწვალებლები, ასევე ოკულტურ-ეზოთერული საზოგადოებები.

**— საინტერესოა, მათ ვინ აფინანსებს?**

— ბიზნესსექტები და ბიზნესგურუები.

იეღოველთა სექტამ უამრავჯერ გამოაქვეყნა მოწოდება მეორედ მოსვლის ახლომყოფობის შესახებ, რომ ბოლო ჟამია (ასე ნაპოლეონის, ჰიტლერის და ლენინის დროსაც ეგონათ, რომ ბოლო ჟამი ახლოვდებოდა) და არმაგედონში, იეღოველების გარდა, ყველა დაიღუპება. ამით უამრავი ადამიანი ცდუნდა. **ხალხმა, ფაბრიკის დირექტორებით დაწყებული უბრალო მოქალაქეებით დამთავრებული, ქონება გაყიდა და მათ გადასცა. კუნძულები, სასახლეები, ამხელა ლიტერატურაც აქედან წამოვიდა. აბა, ეს ფული საიდან აქვთ?!** აგრეთვე, არის ძალიან მკაცრი სექტები, რომლებიც გასაიდუმლოებულია და სადაც ადამიანს შესვლისთანავე ქონება ერთმევა. მაგალითად, „საინტოლოგიის სექტაში“ რაც მეტ ფულს შეიტან, მით უფრო დაგაწინაურებენ და რაც უფრო მეტი საიდუმლოებები უნდა გაგინდონ, მით მეტი თანხა უნდა გადაიხადო.

სექტები, აგრეთვე, ოლიგარქებსა და ოლიგარქიულ სტრუქტურებს ფლობენ. ამიტომ ჩვენ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ შეიძლება ტრაპეზი მგელთანაც და ცხვართანაც ვჭამოთ.

**— ჩვენისთანა პატარა ქვეყნით რატომ ინტერესდებიან, მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს?**

— ყველაზე გემრიელი ლუკმა ისეთი ქვეყნაა, სადაც გაჭირვებაა, ჯერ კიდევ ბელადომანიის, კერპთაყვანისმცემლობისა და ტოტალური რეჟიმის სუნი იგრძნობა. ადამიანებისთვის ტვინის გამოსარეცხად საუკეთესო ყამირი, ნედლი ნიადაგი, სადაც სექტანტებმა შეიძლება წარმატებით გაავრცელონ დესტრუქციული კულტები და ადამიანთა ცნობიერების მარიონეტიზაცია გამოიწვიონ, ეს პოსტსაბჭოთა სივრცეა, რომლის ერთ-ერთი ყოფილი კუთხე ჩვენ ვართ.

ზუსტად ჩვენისთანა ქვეყანაშია ადვილი იმის გაკეთება, რაც სხვაგან შეიძლება გაძნელდეს, რადგან ამდენი უმუშევრობა, ნევროზი, კონფლიქტი, არეულობა, განსაცდელი და, ამავე დროს, ამდენი მადლია. **საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია, წმიდა ნინოს მოქცეული და წმიდა გიორგის ქვეყანაა. საქართველო, როგორც დიდი სიწმიდისა და მადლის მატარებელი, როგორც იტყვიან, შავ სიაში პირველია.** სხვათა შორის, რუსეთშიც უამრავი სექტაა, რაც რუსეთის ხელისუფლებასა და ეკლესიაში დიდ შეშფოთებას იწვევს. ამ მხრივ ჩვენთან შედარებით მძიმე მდგომარეობაა.

**— რამდენად საშიშია სექტანტთა ასეთი გააქტიურება?**

— რაოდენობა ხარისხს ყოველთვის არ განსაზღვრავს. შეიძლება მრავალი მორწმუნეა, მაგრამ არის მოსახლეობის ისეთი კატეგორია, რომელიც ჯერ კიდევ არაა სულიერად მომწიფებული. ასეთი ადამიანების ცდუნება ადვილია. ზოგი ტაძარში სიარულს იწყებს, მაგრამ გარკვეულ დაბრკოლებას აწყდება და ხშირად თავიდან მოსაქცევი ხდება. ასეთი ლუკმა თუ სექტანტმა ჩაიგდო ხელში, ნედლი მასალის მსგავსად გადაამუშავებს. მათი სწავლება, შთაგონებიდან დაწყებული და ციტატების რახა-რუხით დამთავრებული, მოუმზადებელ ადამიანზე გამთიშველად მოქმედებს.

სურათებით აჭრელებული ძვირფასი ბუკლეტები, კარგი ხარისხის პოლიგრაფიული მასალა, გაჭირვების ფონზე თუ ამას თან ეკონომიური დახმარება ახლავს, ადამიანს ადვილად აცდუნებს და ღუპავს, განსაკუთრებით, რაიონებში.

ზოგჯერ ამას ცდუნებად კი არა, „ქრისტიანულ დახმარებად“ აღიქვამენ. ამ შემთხვევაში რომელ წინააღმდეგობის გაწევასა და იმუნიტეტის ქონაზეა ლაპარაკი.

**— მამაო, შეიძლება ეს სექტები ანტიქრისტეს წინამორბედებად განვიხილოთ?**

— რა თქმა უნდა. ისინი ანტიქრისტეს იდეოლოგიას კონკრეტულად, სრულად და საბოლოოდ არ წარმოადგენენ, მაგრამ საკმაოდ ფართო და „წარმატებული“ მომზადება მიდის ანტიქრისტიანული ძალების გასააქტიურებლად. ეს ძალები პირველქრისტიანული დროებიდან მოქმედებენ, არიოზის მწვალებლობით დაწყებული და ხატთმებრძოლეობით დამთავრებული. არის როგორც დაფარული, შავი ოკულტურ-ეზოთერული სექტები, ასევე — ცხადი ორგანიზაციები: „სამასთა კომიტეტი“, „ბილდერბერგის კლუბი“ და ა.შ. გარედან რაღაც დაწესებულება გგონია და შიგნით მასონური ტაძარი ან რომელიმე სექტის იდეოლოგიური ცენტრია გახსნილი.

**XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერება, მეცნიერული ტექნოლოგიები და ტექნოკრატიული ცივილიზაცია უარყოფითად გამოიყენეს, რომელიც ადამიანს მხეცის ნიშანს ანიჭებს. ღვთის ქმნილებას როგორც ციფრს, რიცხვების გარკვეულ რაოდენობას, ისე აღიქვამს.**

**666 — ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ რიცხვი, ეს ადამიანების გამხეცების 666-ჯერ 666 მეთოდია.**

**—ანუ ამ რიცხვს, რომელიც ერთგვარად შიშსაც კი გვრის ადამიანებს, სიმბოლური დატვირთვა აქვს?**

— ამ რიცხვს მაგიურ-კაბალისტური მნიშვნელობა აქვს. აღარ შევეხე იუდაისტურ-კაბალისტურ კულტებს და მასონურ ორგანიზაციებს. ეს სხვა თემაა. სექტები ანტიქრისტეს იდეოლოგიას სათითაოდ სრულად ვერ წარმოადგენენ, მაგრამ მისი წინამორბედნი არიან. მაგალითად, ლენინი ე.წ. ცრუ წინასწარმეტყველია, რომლის ცრუ უხრწნელი ნაწილები წითელ მოედანზეა და დაახლოებით ორ მილიონ დოლარამდე ჯდება მისი სხეულის უხრწნელად შენახვა. ლენინის გამუდმებული თაყვანისცემა, დაუსრულებელი პანაშვიდები ანტიქრისტიანული ძალების ერთ-ერთი გამოვლინებაა და თვით იმ შენობის მშენებლობაშიც კი, სადაც მისი სხეულია განთავსებული, სატანის საკურთხევლიდან სამსხვერპლოდ წამოღებული ქვა იყო გამოყენებული.

**— ანუ მათ სურთ ადამიანებში ღვთის ხატება და მსგავსება წაშალონ?**

— მთავარი ამოცანა ამოუშლელი ხატების შეუცნობელობამდე გამრუდება, სიყვარულის მოსპობა და ადამიანებში ღვთის ხატად ჩადებული ჭეშმარიტების შემეცნების, ღმერთის ძიების სურვილის ჩაკვლაა. მათთვის ფასეულობების შეჩეჩება. ადამიანს აძლევ რაღაც შემეცნებას, მას ჰგონია, რომ სულიერებაში წინ წავიდა, სინამდვილეში კი ხელთ ბუტაფორია შერჩა. ეს არის ძველი ეგვიპტური შავი მაგიის ორდენების ტიპური მეთოდი.

**— და, რაც მთავარია, უფალს დაშორდა?**

— არ არსებობს ადგილი, სადაც ღმერთი არ იყოს, მაგრამ, როდესაც ადამიანი თავს ღმერთის გარეშე დაიყენებს, იგი იმ პირამიდის ძირში ექცევა, რომელიც მასზე დაიდო. პირამიდა შავი მაგიის სიმბოლოა. ეს არის სამარხი, რომელიც, როგორც თავად ოკულტისტები თვლიან, ადამიანებს დემონურ ძალებთან ყველაზე წარმატებით აკავშირებთ. უამრავი შავი მოგვი პირველ საქორწინო ღამეს პირამიდის შიგნით ატარებდა, სადაც ე.წ. ხელდასხმას იღებდა. ნეოფიტები ხელდასხმას ოფიციალურად პირამიდების შიგნით სამარხებსა და ლაბირინთებში გადიოდნენ. აქ იმ დემონურ ძალებს უკავშირდებოდნენ, რომლებიც ეგვიპტური ღვთაებების სახითაა ცნობილი. აქედან ვასკვნით, რომ

**თუ ადრე მაგიურ წამალს დემონები კუდიანებს შაბაშის დროს აძლევდნენ, დღეს აფთიაქში რომელიმე ნარკოტიკული ნივთიერების სახით იყიდით, რასაც ხშირად ისეთ მდგომარეობამდე მიყავს ადამიანი, რომ აღარც მედიცინა და აღარც ფსიქოლოგია შველის და მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს მადლი თუ შეეწევა.**

**— როგორ უნდა დავიცვათ თავი?**

— ჯერ უნდა მოვინათლოთ, შემდეგ ცოდვები უნდა მოვინანიოთ და სულიწმიდის შვიდი ნიჭი (შიში ღვთისა, ღვთის მსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე) მივიღოთ და სულიწმიდის ცხრა ნაყოფის (სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სიკეთე, სარწმუნოება, მყუდროება, მოთმინება) გამოღება, ზიარება დავიწყოთ.

**ადამიანმა მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძვლები უნდა შეისწავლოს, უცოდინარობა არასდროს ყოფილა ისეთი დიდი ცოდვა, როგორც დღეს, რადგან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ასეთი მზაკვრული ბრძოლა, როგორც დღესაა, არასოდეს ყოფილა.**

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პროტესტანტების დანერგილი «კაპიტალიზმის სული» მსოფლიოს იპყრობს

Печальный демон, дух изгнанья,
Летал над грешною землей...
Михаил Лермонтов

**ჩვენი შავ-თეთრი წარმოდგენები, მსგავსად კატეგორიული დებულებისა, რომ კაპიტალიზმი აგროვებს კერძო კაპიტალს, სოციალიზმი ქმნის სახალხო დოვლათს, დღეს ახალი შეხედულებებით მდიდრდება და გვიფართოებს თვალსაწიერს. მათგან ერთ-ერთი კაპიტალის დაგროვებაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებში მის კონცენტრაციაზე რელიგიის, კერძოდ, პროტესტანტიზმის გავლენას ეხება. ამაზეა დღევანდელი პუბლიკაცია, რომელიც უცხოურ პრესაში ამოკითხული კონცეფციების მიხედვით დაიწერა. ორიგინალური, ზოგიერთი რეპლიკის გარდა, არაფერია.**



ბრაზილია. თანამედროვე სან-პაულუ

## რწმენით მოტანილი ფული, რომელიც ქარს არ მიაქვს

არსებობს საკმაოდ მყარი და მრავალმხრივ დასაბუთებული თეორია, რომლის მიხედვით, **კაპიტალიზმის თანამედროვე სისტემა პროტესტანტებმა შექმნეს, პროტესტანტთა თაობებმა,** ვინაც სიმდიდრის დაგროვებისკენ მისწრაფება ღვთიურ ჭეშმარიტებად აღიარეს და ამ უზენაეს პრინციპს განუხრელად ერთგულებდნენ.

ხაზი უნდა გავუსვათ **თანამედროვე კაპიტალიზმს,** რადგან კაპიტალიზმი, როგორც ასეთი, არ არის რეფორმაციის პროდუქტი, ანუ რელიგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შედეგი, რომელსაც XVI-XVII საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ევროპაში, დამკვიდრდა და მიმართული იყო კათოლიკური ქრისტიანობის რეფორმირებისკენ ბიბლიის მიხედვით. **კაპიტალიზმი, როგორც საბაზრო ურთიერთობების სისტემა ძველი ელადის პერიოდიდან არსებობს.**

ჩვენ კი იმ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, რომლებიც დღეს არსებულ კაპიტალისტურ სისტემაშია ჩამოყალიბებული. ალბათ, მტკიცებას არ საჭიროებს დებულება, რომ **რელიგიური შეხედულებები, მრწამსი ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს.** მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ, მაგალითად, **კათოლიკების როლი ეკონომიკაში შედარებით უმნიშვნელოა, პროტესტანტები კი გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს მიმართ და წარმატებითაც მოღვაწეობენ. პროტესტანტული ეთიკის თავისებურებანი, კაპიტალისტურ მენტალიტეტს აყალიბებს.**

ამ ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტიკაზე გადავიდეთ და შევეცადოთ, გავარკვიოთ პროტესტანტიზმის არსი.

## პროტესტანტული ეთიკა

1517 წელს **რომის პაპმა ლევ X-მ** ინდულგენციების გაყიდვა დაიწყო, მიმტევებელი სიგელებისა, რომლებიც ადამიანს არა მარტო უკვე ჩადენილი ცოდვებისგან ათავისუფლებდა, არამედ — ჩასადენისგანაც. დღევანდელ რეკლამასავით იყო, რომელსაც საქონლის დასახელების შემდეგ პლიუსს უსვამენ: ეგ ერთი და კიდევ რაღაც ნაწილიო. უფრო გასაგებად, — ერთი ლიტრის ფასად ლიტრა-ნახევარს იყიდიო...

ჩვენ კი გვგონია, რომ ასეთი შემოსაღება ვაჭრობის დღევანდელი მარკეტინგის ნოვაციაა.

არადა, ინდულგენციას საქონელთან არა მხოლოდ არსობრივი, არამედ ფაქტობრივი იგივეობა რომ ჰქონდა, იმითაც გაესვა ხაზი, რომ მაინცის არქიეპისკოპოსის აგენტმა ბერმა, რომელიც ვიტენბერგში ჩავიდა, ინდულგენციების გაყიდვა მაინც და მაინც დუქანში დაიწყო.

პასუხად ავგუსტინელთა ორდენის ბერმა, თავისუფალ ხელოვნებათა და წმინდა ღვთისმეტყველების მაგისტრმა, ორდინალურმა პროფესორმა **მარტინ ლუთერმა** ეკლესიის კარზე ინდულგენციების გაყიდვის საწინააღმდეგო 95 თეზისი გამოაკრა, ზუსტად ისევე, როგორც დღევანდელი რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერები აკეთებენ თავიანთი პროტესტის გამოსახატავად.

მიჩნეულია, რომ სწორედ ეს აქცია (!) გახდა ოფიციალურ კათოლიკურ ეკლესიასა და ფორმირებად ლუთერანობას შორის განხეთქილების დასაწყისი.



ედუარდ დება-პონსანი. „ბართლომეს ღამის შემდეგ, დილა ლუვრის კარიბჭესთან“

ახალ მიმდინარეობაში მთავარი ორი დებულება იყო — **გადარჩენის კონცეფცია და საერო ცხოვრებისადმი დამოკიდებულება.**

გადარჩენის კონცეფციის მიხედვით, ადამიანი შეიძლება გადარჩეს რწმენის ძალით, რომელსაც მხოლოდ ღვთის წყალობით შეიძენს, ერთადერთი ავტორიტეტი ამ საქმეში არის წმიდა წიგნი.

ლუთერის მტკიცებით, ძეშეცდომილია ადამიანი, ვინც იჯერებს, რომ პაპის ინდულგენციები ააცილებს ყოველგვარ სასჯელს და გადაარჩენს ცოდვილს.

ლუთერი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი რწმენა შეუდარებელი სიმდიდრეა, რომელიც სრული გადარჩენის საფუძველია და განწმენდს ადამიანს ყოველგვარი ბოროტებისგან. მარკოზის სახარების მიხედვით, მკვდრეთით აღმდგარმა იესო ქრისტემ „იმ თერთმეტ“ მოციქულს უსაყვედურა ურწმუნობა და უთხრა: **„ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება, ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება“.** (მარ. 16,16).

მოციქული პავლე რომაელთა მიმართ წერილში უფრო ლაკონურია: **„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“** (რომ. 10,10).

ე.ი. **მხოლოდ რწმენა გადაარჩენს ადამიანს და არა ცოდვებისგან განწმენდის რაღაც დოკუმენტი.**

კათოლიკური ეკლესიის კრიტიკის მეორე მიმართულება, როგორც ლუთერანობის უმნიშვნელოვანესი დოგმატი, საერო ცხოვრებისადმი ახალი დამოკიდებულებაა.

იმ დროისთვის ახალი.

მისი არსი შემდეგია: ღვთისმსახურთა და საერო ცხოვრებას შორის დაპირისპირების აღმოფხვრის შედეგად **ღვთისმსახურთა კუთვნილი საკრალურობის ნაწილი საერო ცხოვრებაში გადადის.** ამქვეყნიურობა ღვთის ქმნილებად ცხადდება. ბერთა ასკეტიზმის კათოლიკური იდეალი მკრეხელობად მიიჩნევა, რადგან ქმნილებისთვის ზურგის შექცევა შემქმნელისადმი ზურგის შექცევას ნიშნავს. ნებისმიერ საერო საქმიანობას საკრალურობა ენიჭება, **ნებისმიერი სამუშაო ღვთისმსახურება ხდება.**

ამას ლუთერი ადამიანის ორმაგი ბუნებით ხსნის — შინაგანით და გარეგანით; ადამიანი შეიცავს სულს, მაგრამ, ამასთან, მოკვდავის მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობს. ამქვეყნიურ ცხოვრებაში მან უნდა მართოს თავისი სხეული და ურთიერთობა დაამყაროს სხვა ადამიანებთან. „სწორედ აქ იწყება საქმენი“, — აცხადებს ლუთერი. ამასთან, შრომა ხორცის (ხორციელის) დაოკების საშუალებაა.

**შრომისადმი მისწრაფება ადამიანის სულიერების გამოვლენაა,** — მოკლედ შეიძლება ასე ითქვას. ამავე დროს, საამისო ერთი აუცილებელი პირობა სიკეთეა — კეთილ ადამიანად ყოფნა, რადგან **„არ შეუძლია კარგ ხეს ცუდი ნაყოფის გამოღება და არც ცუდ ხეს — კარგი ნაყოფის გამოღება“** (მათ. 7,18).

ლუთერის აზრით, საერო მოღვაწეობის მიმართულება ღვთის ნებითაა დადგენილი, ამიტომ ყველა პროფესია ღვთის წინაშე თანასწორუფლებიანია, ხოლო წარმატება პროფესიაში დიდ შემოსავალს ნიშნავს.

მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს დაპირისპირებულთა ერთიანობა — **სიღატაკე და სიმდიდრე.** როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამ ორ უკიდურესობაში? **უნდა იყოს ჭირთამთმენი სიღატაკეში და ზომიერი — სიუხვეში.**

საყოველთაოდ ცნობილია ამერიკელი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის **ბენჟამენ ფრანკლინის დებულება: დრო ფულია.** ეს ნიშნავს, რომ ფულია კრედიტიც, ფული თავისი ბუნებით ნაყოფის მომცემია და შეუძლია ახალი ფულის შექმნა. ასე მოდის ფული, გროვდება სიმდიდრე, მაგრამ **ადამიანმა არ უნდა ჩათვალოს ყველაფერი, რაც აქვს, თავის საკუთრებად.**

ამასვე ქადაგებს **კალვინიზმი: დროის უსაქმოდ ფლანგვა ღმერთისთვის წართმეული საათებია.** ამ მოძღვრების თანამედროვე კომენტატორების მიხედვით, **სიღარიბე უდიდესი სენია, უსაქმურობა ცოდვაა, სურვილი სიღარიბისა ავად ყოფნის სურვილს უდრის.**

კალვინის მიხედვით, წარმატებული საქმიანობა მოწოდებად იქცევა, ფრანკლინი კი მოწოდებად თვლის ფულის მოხვეჭას, ანუ წარმატებული საქმიანობის შედეგს.

კალვინი წერს, რომ განსხვავება პროფესიებსა და ცხოვრების იმ წესებს შორის, რომელთაც ადამიანები მისდევენ, ღვთის მიერაა დადგენილი (ლუთერი, შეგახსენებთ, თვლიდა, რომ ნებისმიერი საერო საქმიანობა საღვთო საქმეა). „ღმერთი, — მიიჩნევს კალვინი, — ყველა ჩვენს საქმეს ჩვენი მოწოდების მიხედვით განსჯის... განსხვავებულ ვითარებაში ჩვენი მოქმედების პრინციპი და საფუძველი არის მოწოდება, რომელიც ღვთის მიერ არის მითითებული. და ის, ვინც ამით არ იხელმძღვანელებს, ვერასოდეს იპოვის ჭეშმარიტ გზას თავისი მოვალეობის შესასრულებლად... მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული დარწმუნდება, რომ ნებისმიერ მდგომარეობაში მას წარუძღვება და წარმართავს ღმერთი, მიეცემა მას დიდი შვება ყველა საზრუნავში, შრომაში, მძიმე საქმესა და უბედურებაში“.

ახლა კი ყურადღებით წაიკითხეთ ასეთი ფორმულა: **არა ხორციელი სიამტკბილობისათვის და ცოდვილ ვნებათათვის უნდა იშრომო და გამდიდრდე, არამედ — ღმერთისთვის.**

ხომ ნიშნავს ეს დებულება, რომ შრომა და გამდიდრება საღვთო საქმეა?

ნიშნავს!

**სიმდიდრე, როგორც პროფესიული მოვალეობის შესრულების შედეგი, არა მარტო გამართლებულია, არამედ წინასწარ განსაზღვრულია და, თანაც გაწეული შრომის ნაყოფია.**

ეს არის ამოსავალი წერტილი იმ პრობლემის ასახსნელად, რომელსაც განვიხილავთ.

აქ ერთ ნიუანსსაც უნდა გაესვას ხაზი: სხვა ფაქტორებთან ერთად, რომელთაც გავლენა იქონიეს კაპიტალიზმის განვითარებაზე, არის ისიც, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში პროტესტანტები დევნილი უმცირესობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (საკმარისია, გავიხსენოთ „ბართლომეს ღამე“ — საფრანგეთის პროტესტანტების — ჰუგენოტების — არნახული ხოცვაჟლეტა), რის გამოც ისინი სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოცილდნენ და იძულებულები იყვნენ, ხელი მოეკიდათ ვაჭრობისა და რეწვისთვის.

აქ, როგორც ჩანს, ჩვენი პუბლიკაციის პირველი ნაწილის დასკვნის დროც დადგა. ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დავესესხოთ მეცნიერთა კვლევებს და მათ კვალზე ჩვენც განვაცხადოთ, რომ **რელიგიურმა მოძრაობებმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე იმ დროს, როცა რელიგიური ენთუზიაზმის აღმავლობის პერიოდი განვლილი იყო. რელიგია, როცა იგი ძლიერია, ცხოვრების ყველა სფეროში იჩენს თავს და სულიერების ყველა მოვლენაში, კულტურის ყველა ელემენტში ვლინდება. გამონაკლისი არც ეკონომიკური ურთიერთობებია.**

ამ ყველაფერს რომ გაეცნობა, ჩვენი მკითხველი ყურებს ჩამოყრის: **ეტყობა, მართლმადიდებლებს გამდიდრება არ გვიწერია?**

**ვერაფერს გეტყვით, გარდა ერთისა: ჩვენი დანიშნულება, მიზანი ჩვენი არსობისა არასოდეს ყოფილა მომხვეჭელობა. ჩვენ სხვა იდეალებისთვის ვცხოვრობთ.**

## ჩინეთს ერევიან და საქართველოში გაუჭირდებათ ფეხის მოკიდება?

პროტესტანტები მსოფლიო კაპიტალის გეოგრაფიას განსაზღვრავენ.

მას შემდეგ, რაც პროტესტანტები რელიგიური დევნის მუდმივი სამიზნე გახდნენ, ისინი ევროპიდან ამერიკაში გადაბარგდნენ. ისტორიკოსების დასკვნით, ამ პერიოდის ევროპის საუკეთესო ადამიანური კაპიტალი აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე დასახლდა, რასაც ლოგიკურად მოჰყვა აშშ-ის დომინირება მსოფლიო ასპარეზზე.

ეს დროც გავიდა, და ამჟამად პროტესტანტების პოზიციები მექსიკელმა კათოლიკებმა და მაჰმადიანმა ზანგებმა შეასუსტეს, ხოლო **ეკონომიკური ძლიერების ცენტრი სულ უფრო ინაცვლებს აზიისკენ, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთისკენ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პროტესტანტიზმის ეპოქა დასრულდა და მასთან ერთად დასრულდა თეთრკანიანი ადამიანების კაპიტალიზმის ეპოქა?**

ამ კითხვას მეცნიერი ეკონომისტები სვამენ და თავადვე ცდილობენ პასუხის გაცემას. მათი აზრით, უამრავი ფაქტი მეტყველებს, რომ პროტესტანტების გავლენა გრძელდება: მსოფლიოში ამჟამად 325 მილიონი პროტესტანტიზმის მიმდევარია.

ნიშანდობლივია, რომ **იმ ქვეყნებში, სადაც პროტესტანტიზმის გავრცელების ხარისხი მაღალია, ეკონომიკური განვითარების დონე პროგრესულად მატულობს.**

მაგალითად ასახელებენ ჩილესა და ბრაზილიას, რომელბიც პროტესტანტიზმისადმი მეგობრულად განწყობილ ქვეყნებად არის მიჩნეული, ლათინური ამერიკის ქვეყნებში კათოლიკური ტრადიციების სიძლიერის ფონზე. აი, მექსიკაში კი, რომელიც აშშ-ს უშუალოდ ესაზღვრება, ვერც პროტესტანტიზმმა მოიკიდა ფეხი და ვერც ეფექტიანმა ეკონომიკამ. უარესი მდგომარეობაა კოლუმბიაში.

მიიჩნევენ, რომ **ლათინური ამერიკის** ქვეყნების მომავალი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაითავისებენ ამ რეგიონში რელიგიას, რომელმაც თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების სივრცე შექმნა.

ეს კანონზომიერება დამახასიათებელია **აფრიკის** ქვეყნებისთვისაც. მაგალითად, ნიგერია, სადაც ფრიად გავლენიანია პროტესტანტული დიასპორაა, სულ უფრო აქტიურად ჩანს მსოფლიო ეკონომიკურ ასპარეზზე და ბირთვული იარაღის შეძენასაც კი ცდილობს. თითქმის ევროპული ცხოვრების წესი და ეკონომიკური ურთიერთობებია დამყარებული აფრიკული პროტესტანტიზმის ლიდერ ნამიბიაში. შავი კონტინენტის ბედიც ბევრადაა დამოკიდებული პროტესტანტულ მიმდინარეობაზე.

ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ პროტესტანტიზმმა **აზიაში** მოიკიდა ფეხი, ყველაზე მეტად — სამხრეთ კორეაში, რომელიც, აზიაში ეკონომიკის სწრაფად განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოა. ხოლო ჩინეთში, რომლის ეკონომიკური აღმავლობა მსოფლიო მოვლენად არის აღიარებული, 58 მილიონი პროტესტანტია, რაც მსოფლიო პროტესტანტიზმის 18 პროცენტია.

**თვითდინებით არაფერი ხდება.** ეს პროცესი პროტესტანტული ეკლესიის აქტივობით და ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერითაა ინიცირებული. ბრიტანელ მკვლევარი **ედმონ ტანი, რომელიც ორგანიზაცია „ბრიტანეთისა და ირლანდიის ეკლესიები — ერთად“ მრჩეველია ჩინეთის საკითხებში, პროტესტანტიზმის გავრცელებას ჩინეთში ფრიად პერსპექტიულ საქმედ მიიჩნევს.**

**ერთი ფაქტი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.**

**აღნიშნული ორგანიზაციის აქტივისტები ჩადიან ჩინეთში, რათა სოფლის მცხოვრებთ ინგლისური ენა შეასწავლონ.**

**ევროპელი და ამერიკელი ინგლისურის მასწავლებლების საქართველოს სოფლებში მოწვევის ინფორმაცია ჩვენი განათლების მესვეურებმა ამასწინათ მოგვაწოდეს, როგორც პროგრესული მოვლენა და აუცილებელი ღონისძიება მსოფლიო თანამეგობრობაში ქართველების ღირსეულად წარმოსაჩენად.**

**ინგლისური ეცოდინებათ, ბაბაია!**

**ინგლისურს კი დაეუფლებიან, საყველპუროს მაინც, მაგრამ რა ვუყოთ იმ ნაღმებს, რომლებსაც ეს „სოფლის მასწავლებლები“ ქართულ რეალობაში ჩაგვიწყობენ?**

**რაზეა ლაპარაკი?**

**სწორედ ეს მასწავლებლები, და არა ანაფორაში გამოწყობილი მღვდლები, გაავრცელებენ საქართველოში პროტესტანტულ რელიგიას, ფილოსოფიასა და ეთიკას, ისეთს, რაზეც ამ წერილის დასაწყისში ვისაუბრეთ.**

**აფეთქდება, როცა იქნება, ის ნაღმები და მერე ეძებეთ მართლმადიდებლობის ნამსხვრევები, თუ სადმე დარჩა!**

**ჩინეთს ერევიან, საქართველოში გაუჭირდებათ ვითომ ფეხის მოკიდება?!**

გაჭირვებულმა ხალხმა, რომელიც ეკონომიკური გაძლიერების მაგალითების მოწმე გახდება, ასეთი წყალქვეშა დინებების თავიდან ასაცილებლად, საეჭვოა, მოიცალოს.

შეამჩნევს კი საერთოდ?

დალხინებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების მოსახლეობაც არ აქცევს დიდ ყურადღებას რელიგიურ დინებათა მიმოქცევის პროცესებს.

როგორც ვთქვით, აშშ და ევროპა თანდათან კარგავს კაპიტალის მსოფლიო ცენტრების მნიშვნელობას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა დაკავშირებულია რელიგიურ მომენტთან. ევროპა სულ უფრო ისლამიზებული ხდება: გერმანიას თურქები მოედნენ, საფრანგეთს — ალჟირელები, დიდ ბრიტანეთს — პაკისტანელები, ბალკანეთს — ალბანელები და ა.შ. პროტესტანტიზმის პოზიციების შესუსტება ევროპის ქვეყნებში მაჰმადიანების იმიგრაციის გამო, მათ ეკონომიკურ დასუსტებას იწვევს.

**აშკარაა ტენდენცია: სადაც პროტესტანტიზმის გავლენა ძლიერდება, იქ უმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლები; სადაც პროტესტანტები მარცხდებიან, იქ უცვლელი რჩება არქაული ეკონომიკა.**

**მაშასადამე: მსოფლიო კაპიტალის ცირკულაცია მნიშვნელოვანწილად კვალდაკვალ მიჰყვება პროტესტანტულ იდეოლოგიას — სადაც პროტესტანტები არიან, იქ არის ფული და სიმდიდრე.**

**მაგრამ აღარ არის არც ეროვნული ფასეულობანი და ეჭვქვეშ დგება თვითონ ერის არსებობა.**

**არსებობს ასეთი შეხედულება, რომლის ცოდნა არ უნდა იყოს ჩვენთვის ზედმეტი.**

**არმაზ სანებლიძე**




პროტესტანტიზმი ჩინეთშიც ვრცელდება

# მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ შეტევა განახლდა

**მსოფლიოში უკვე დაუფარავი ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ყველანაირად ცდილობენ, ძირი გამოუთხარონ და ეკლესიის გავლენა დაასუსტონ. საბედნიეროდ, ღვთის წყალობით, ეს ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა. მიუხედავად ამისა, პატარ-პატარა არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც არ ისვენებენ და ჩვენს სარწმუნოებას დროდადრო უტევენ.**

**რამდენიმე დღის წინ ახლადშექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მრავალეროვანი საქართველო“ მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებულობა გააპროტესტა და პარლამენტსა და სახალხო დამცველს სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდა. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აგიტ მირზოევმა განაცხადა, მართლმადიდებლური აღმსარებლობის პრივილეგირებულობა პატიმართა მონახულების დროსაც ჩანს. მისი აზრით, ადამიანის უფლებების დარღვევაა ის, რომ ნებისმიერი რელიგიის მსახური ვალდებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის ნებართვის მოსაპოვებლად გარკვეული პროცედურები საპატრიარქოში გაიროს.**

**უნდა იყოს თუ არა მართლმადიდებლური სარწმუნოება პრივილეგირებული იმ ქვეყანაში, სადაც ის 17 საუკუნის მანძილზე სახელმწიფო რელიგიაა, — ამის თაობაზე ისტორიკოსსა და პუბლიცისტს გელა ქოქიაშვილს და პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვესაუბრეთ.**

### ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## ადამიანთა გარკვეული წრეები, დასავლეთშიც და ამერიკაშიც, მართლმადიდებლობის დაძაბუნებით არიან დაკავებული.

**გელა ქოქიაშვილი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი:**

— მართლმადიდებლობა პრივილეგირებული უნდა იყოს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტი მართლმადიდებელია. ეს არის ქართული მიწა, რომელიც ოდითგან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დგას. რა არის ამაში გასაკვირი, ვერ ვხვდები. ძალიან უცოდინარი ყოფილა ეს მირზოევი. აზერბაიჯანში ისლამი პრივილეგირებული არ არის? თუნდაც სომხეთი ავიღოთ, ვინმე ამბობს, რომ მონოფიზიტური სარწმუნოება პრივილეგირებული არ უნდა იყოს? ყველგან ასეა და, ვერ გამიგია, ჩვენთან რას ითხოვენ.

ნახეთ ერთი, სხვა ქვეყნებში ქართველებს როგორ გვექცევიან. რა დღეშია ქართველი მოსახლეობა აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, საინგილოში, რომელიც სინამდვილეში ჰერეთის მიწაა. **ერთადერთი ქრისტიანული ეკლესია აქვთ და მორწმუნეებს ნორმალურად იქაც არ უშვებენ, მიზეზად კი იმას ასახელებენ, თითქოს ეს ეკლესია ალბანების აშენებული იყოს.** მე-13 საუკუნეში ალბანელებს იქ რა უნდოდათ?

სომხეთშიც, დღევანდელი ლორეს ტერიტორიაზე, უამრავი ქართული ტაძარია, რომელსაც არც კი გვაკარებენ. ახლახან ხუჯაბში, რომელიც ქართულ ტერიტორიაზეა, ძლივს გადავიპარეთ და ჩვენი ტაძარი ძლივს გადავიღეთ. რატომ უნდა გვქონდეს ასეთი პრობლემები?!

მართლმადიდებლობას მთელ მსოფლიოში ავიწროვებენ. გაიხსენეთ, ევროპაში ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა დაჩაგრეს — მართლმადიდებლური სერბეთი, რომელსაც ისტორიული მიწა-წყალი წაართვეს.

იმ რელიგიების წარმომადგენლები, რომლებიც, დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობენ, ისლამისა თუ იუდაიზმის მიმდევრები, აგრეთვე, კათოლიკეები, ჩვენთან არ იჩაგრებიან და არც მსგავს პროტესტს გამოთქვამენ. ესენი კი, ეტყობა, „თავისუფლების ინსტიტუტს“ არიან მიტმასნილნი, მისი ნაბარტყი ორგანიზაციაა.

ასეთ ორგანიზაციებს ხლისტებს ვეძახი. მათი დანიშნულება ისაა, რომ ასეთი განცხადებები აკეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამქირავებელი აღარ გადაუხდით, ამიტომაც აქტიურობენ და ათას სისულელეს იგონებენ.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ახლა დასავლეთში მართლმადიდებლობის წინაღმდეგ სერიოზული კამპანია დაიწყო, რაშიც სერიოზული თანხა იხარჯება. ბევრი სპეციალისტი ამას ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირებს, რაშიც ეჭვი არ მეპარება. ადამიანთა გარკვეული წრეები, დასავლეთშიც და ამერიკაშიც, მართლმადიდებლობის დაძაბუნებით არიან დაკავებული.

იმის პროპაგანდა მიდის, რომ მართლმადიდებლობა თანამედროვე არაა. თავად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოების უფლებები დაცული იყოს.

რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ სხვა რელიგიის მიმდევრების უფლებები უნდა დაირღვეს, მაგრამ მათმა მოთხოვნებმა ზღვარს არ უნდა გადააბიჯოს.

**საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა და, ჩემი აზრით, მართლმადიდებლობა პრივილეგირებულიც უნდა იყოს. მარტო იმის გამო მაინც, რომ მართლმადიდებელთა რაოდენობა ამ ქვეყანაში ყველაზე მეტია. მართლმადიდებელმა ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.**

თუ საქართველომ დღემდე მოაღწია, ამის ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ქართული ეკლესიაა.

### გელა ქოქიაშვილი:
## მართლმადიდებლობას მთელ მსოფლიოში ავიწროებენ. გაიხსენეთ, ევროპაში ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა დაჩაგრეს — მართლმადიდებლური სერბეთი, რომელსაც ისტორიული მიწა-წყალი წაართვეს!

**ლილი მიროტაძე, თეო ტაბატაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ»

**ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ვლადიმერ ვახანიას საქმე ამჟამად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშია, რომელმაც 2010 წლის 15 იანვარს, ანუ სამ თვეზე მეტი ხნის წინათ გადადო საქმის განხილვა და დღემდე, მსჯავრდებულის ადვოკატების ძალისხმევის მიუხედავად, მომდევნო სხდომა არა თუ არ ჩატარებულა, არამედ ისიც კი გაურკვეველია, როდის ჩატარდება, რადგან თარიღი კვლავ და კვლავ დაუდგენელია...**




სიტუაციის ლოგიკა უფლებას გვაძლევს, რამდენიმე შეკითხვა დავსვათ.

**პირველი:** ვის არ აძლევს ხელს სააპელაციო სასამართლოს სხდომის გამართვა?

**მეორე:** დროის გაჭიანურება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცას სურს, რაც შეიძლება მეტ ხანს ახეხინოს ვლადიმერ ვახანიას ციხის კედლები, რადგან სულელი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს ყალბად შეთითხნილი საქმე ჩამოიშლება და დამთავრდება ვახანიას პატიმრობის „ოდისეა"?

**მესამე:** ვითომ წარმოუდგენელია, რომ სააპელაციო სასამართლო საერთოდ არ გაიმართოს? ან, იქნებ, ისეთ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომ ასეთ პროცესუალურ დარღვევას არავინ დაუშვებს?

კანონით ვერ გაუგრძელებენ პატიმრობის ვადას? უკანონოდ, აი, ასეთი გადავადებითა და თითქოს უმნიშვნელო დარღვევებით გაუჭიანურებენ გარეთ გამოსვლას.

იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ სასამართლო მოხელეებს კარგად ესმით კანონის დარღვევის დაუშვებლობა, მაგრამ ახალაიების კლანის ერიდებათ ან ეშინიათ კიდეც.

ეს და ყველა სხვა ეჭვი და შეკითხვა თავისთავად მოიხსნება, თუ სააპელაციო სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს.

მაგრამ სწორედ სამართლიანი განაჩენის მიღებაზე ითრევენ ფეხს.

დრო კი მიდის.

და უქმად რომ არ ვიყოთ, ბრალდების მხარის გეგმას რომ არ დავემორჩილოთ, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი გავიხსენოთ და დავანახოთ ჩვენს საზოგადოებრიობას, როგორი ხრიკებით ცდილობს დაინტერესებული ძალა თემიდას სასწორის აშლასა და არევას.

**2009 წლის 9 ივნისს ვლადიმერ ვახანიას დამ — ნანული ვახანიამ თხოვნით მიმართა იუსტიციის სამინისტროს, საქმეზე შვეიცარიელი ადვოკატის დაშვების ნება დაერთო.** განცხადება გამაგრებული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს სსს კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

კანონი ნებას გრთავს? — მიეცი თანხმობა! თითქოს ამაზე მარტივი რა უნდა იყოს. მაგრამ, როცა იცი, რომ ეს სიმარტივე მრუდე სამართლის ქმნის საშუალებას არ მოგცემს, ხელოვნურად შექმნი ბარიერს. ბიუროკრატია დაბრკოლებების „დედოფალია"! გამოსდეს ხელკავი ამ „დედოფალს" და მიაცილეს პროკურატურის ორგანოებამდე რეზოლუციით — „რეაგირებისთვის".

იცოდნენ, რასაც იქმოდნენ, რადგან **იუსტიციის სამინისტროში განცხადების შეტანიდან ზუსტად 10 დღეში, ანუ 2009 წლის 19 ივნისს საქართველოს პარლამენტს ცვლილება შეაქვს სს საპროცესო კოდექსში — აუქმებს 78-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები".**

ამიერიდან უცხოელი ადვოკატების მოწვევა შეუძლებელი ხდება. ამიტომ უკვე კანონით ზურგგამაგრებული იუსტიციის სამინისტრო „სუფთა სინდისით" უარს ეუბნება ნანული ვახანიას განმეორებით განცხადებაზე შვეიცარიელი ადვოკატის მოწვევაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

განმეორებითი განცხადება სამინისტროში 16 ივლისს შევიდა. უარყოფითი პასუხი სამინისტრომ 22 ივლისს გაუგზავნა; შუალედი — 6 დღე.

შესაშური ოპერატიულობაა.

მაგრამ იმას რა დავარქვათ, როცა პირველი განცხადება შვეიცარიელი ადვოკატის საქმეზე დაშვების შესახებ იუსტიციის სამინისტროში 2009 წლის 9 ივნისს შეიტანეს და პასუხი ვახანიას ოჯახს ასევე ოპერატიულად არ გასცეს იმიტომ, რომ, მაშინ მოქმედი საპროცესო კანონის მიხედვით, ნება უნდა დაერთოთ, მოეწვიათ უცხოელი ადვიკატი.

დავაზუსტოთ: **ვახანიას წინააღმდეგ განწყობილი რომ არ ყოფილიყვნენ, განცხადებაზე პასუხი 6 დღის ინტერვალით რომ გაეცათ, განმცხადებელი მას 2009 წლის 15 ივნისს მიიღებდა, ანუ საქართველოს პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანამდე 4 (ოთხი) დღით ადრე.**

მაგრამ მაშინ იუსტიციის სამინისტროს ბიუროკრატები უარის საფუძვლად ვერ დაიმოწმებდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამგვარი ნორმის არარსებობას.

ყველაფერი გამიზნულად და შესაშური ოპერატიულობით იყო ორგანიზებული.

ეს რეალობა საფუძველს აძლევს ვლადიმერ ვახანიას, ივარაუდოს, რომ **აღნიშნული ცვლილება საპროცესო კანონში სწორედ მის საწინააღმდეგოდ მიიღეს. იგი მიიჩნევს, რომ ეს მოხდა პირადად მისთვის დაცვის უფლების შეზღუდვის მიზნით, რადგან განხორციელდა მის საქმესთან დაკავშირებით მისი დის — ნანული ვახანიას მიერ საქართველოს იუსტიციის მინისტრის სახელზე განცხადების შეტანის შემდეგ.**

დისკრიმინაცია პოლიტიკურ შეხედულებათა გამო სხვა რა უნდა იყოს?

უფლება აქვს ასეთი დასკვნის, რადგან მოვლენების განვითარების ლოგიკა მას უჭერს მხარს.

**ახლა თვით ამ ცვლილების ადამიანის უფლებათა დაცვასთან შეთავსებისა თუ შეუთავსებლობის საკითხშიც შევეცადოთ, გავერკვეთ.**

დილეტანტური განსჯა რომ არ გამოგვივიდეს, მოვუსმინოთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ ვლადიმერ ვახანიას, რომელმაც სწორედ **ამ პრობლემის გამო მიმდინარე წლის 16 აპრილს სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.**

მოსარჩელე აცხადებს, რომ 2009 წლის 19 ივნისის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ **ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც აღიარებს, რომ „დაცვის უფლება გარანტირებულია".**

„ამ ნორმებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებას სამართლებრივი დახმარების მიღებაზე ითხოვს თვით მართლმსაჯულების ინტერესები, — წერს სასარჩელო განცხადებაში ვლადიმერ ვახანია, — აუცილებლად და დამოუკიდებლად საკუთარი თავის დაცვის უფლება ალტერნატივა კი არა, დამოუკიდებელი უფლებაა. **ყოველ ადამიანს აქვს განუყოფელი უფლება დაიცვას თავი ადეკვატური საშუალებით და საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით, მათ შორის, უცხო ქვეყნის ადვოკატის მონაწილეობით.** ეს საყოველთაოდ გარანტირებული დაცვის უფლება მე შემეზღუდა და, მსგავსად ჩემისა, იგივე უფლება შეზღუდული აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

**საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.**

როგორც ჩანს, ხელისუფლებას კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ნორმები მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირებისთვის სჭირდება. სინამდვილეში კი ამ ნორმების საწინააღმდეგოდ, საქართველოს რეპრესიული კანონმდებლობა იგნორირებას უკეთებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ ევროპულ პრინციპებს. რადგან როგორც ჩემს, ასევე სხვათა მიმართ ფალსიფიცირებული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, ხელისუფლებას უჩნდება სამართლებრივი პრობლემები. იგი ამით ასევე ცდილობს არსებული რეალობის დამალვას საერთაშორისო საზოგადოებისთვის. აღნიშნული საერთაშორისო სამართლებლივი ნორმების დარღვევა იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს დასკვნისთვის, ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების არსებობაზე საქართველოში, რითაც უსწორდებიან პოლიტპატიმრებს და სხვა, ხელისუფლებისთვის არასასურველ პირებს.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ ხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, მოქმედებს **,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია", რომლის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" და ,,ყ" ქვეპუნქტების თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება:**

**— ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი თავის დაცვის მოსამზადებლად;**

— დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, დამცველის არჩევის უფლების შეზღუდვა არის როგორც კონვენციის ისე კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედება. რის გამოც სადავო კანონი არის აშკარად არაკონსტიტუციური და ლახავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის** მე-3 პუნქტით აღიარებული დაცვის უფლების გარანტირებულობა იმავე სახით, როგორც ეს კონვენციაშია ასახული, აისახა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც, **ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არ აქვს, შეზღუდოს ეჭვმიტანილი და ბრალდებული დამცველის არჩევაში.**

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო თავის ტერიტორიულ ფარგლებში იძულებულს ხდის ადამიანებს თავის დასაცავად დამცველად აიყვანოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ადვოკატები, რითაც ცალსახად ზღუდავს და არღვევს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გარანტირებულ დაცვის უფლებებს და ამავე დროს **არაკეთილსინდისიერად სარგებლობს იმით, რომ ევროპული სასამართლო საქმეების განხილვას უნდება წლების განმავლობაში და აშკარად უკანონოდ დაპატიმრებულები უკანონოდ იხდიან სასჯელს.** ამჯერად საქართველოში, როგორც ჩემს შემთხვევაში, ასევე პასუხისგებაში მიცემულ სხვა პირებს არ გააჩნიათ სამართლებ?ივი საშუალება ყველა კანონიერი მეთოდითა და საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით დაიცვან თავიანთი უფლებები. **საქართველოში ადამიანის დაცვის უფლება არ არის გარანტირებული.**

ამრიგად, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის ადვოკატის დამცველად დაშვების აკრძალვით საქართველომ, როგორც ევროსაბჭოს ხელშემკვრელმა მხარემ აშკარად დაარღვია აღებული ვალდებულებები, **,,უზრუნველყოს მისი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციის..ნებისმიერი დებულების ეფექტიანი განხორციელებისთვის".**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა დაცული უნდა იქნეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ: სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილების, წარმოშობის თუ სხვა სტატუსის მიუხედავად. არავინ არ იქნება დისკრიმინირებული საჯარო ხელისუფლების მიერ იმ საფუძველზე, რომელიც მითითებულია ამ ოქმის პირველ მუხლში".

ვლადიმერ ვახანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს თხოვნით, არაკონსტიტუციურად (ძალადაკარგულად) ცნოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

**გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციური სასამართლოს წევრებზეა.**

**მე კი თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე მოსაზრება დავადევნო პატიმრის სარჩელს.**

**უწინარეს ყოვლისა, თვით იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც შარშან, 19 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო.**

**რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება?**

**ჩემი აზრით, იგი ნიშნავს საქართველოს თვითიზოლაციას ევროპული საზოგადოებისგან და მისი სასამართლო სივრცისგან განზე გადგომას. ამ ალოგიკური ნაბიჯის მიზანი** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ერთადერთი შეიძლება იყოს — დაუმალოს მსოფლიო საზოგადოებრიობას კანონდარღვევათა ის შემთხვევები, რომელთაც ადგილი აქვს საქართველოში.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მის მიერ დეკლარირებული ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების შესრულებისთვის მზაობის გულმართლობას. ასეთი დასკვნის უფლებას იძლევა ის გარემოება, რომ დეპუტატებმა და, პირველ რიგში, უმრავლესობამ კენჭი უყარა არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებას.

გაუგებარია, რა საშიშროებას წარმოადგენს საქართველოსთვის უცხო ქვეყნიდან მოწვეული ადვოკატი, მით უფრო, როგორც ამ შემთხვევაში, ეს იურისტი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა.

ვის უფლებებს იცავენ ხალხის რჩეულები — ხელისუფლების მაღალჩინოსნებისას თუ ამომრჩევლების უფლებებს? ხომ არ ნიშნავს პარლამენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, რომ იგი ხელს უწყობს და საკანონმდებლო ბაზას უქმნის რეპრესიულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებით კორუმპირებული ელიტა ცდილობს, შეინარჩუნოს თანამდებობები ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და განიმტკიცოს გავლენის სფეროები, როგორც ეს ფეოდალიზმის ეპოქაში ხდებოდა?

ვლადიმერ ვახანიას საქმე სწორედ ასეთ ანომალიაზე მიგვითითებს.

გაუგებარია, რატომ კრძალავს ჩვენი პარლამენტი უცხო ქვეყნის ადვოკატების დაშვებას საქართველოში და, ამავე დროს, იწვევს ევროპელებს არჩევნების დამკვირვებლად და ენდობა მათ დასკვნებს?!

სად არის აქ ლოგიკა?

ექსპერტების დასკვნებით დგინდება, რომ ციხეში ვლადიმერ ვახანიას წამება, მისდამი არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, მისი მძიმე ავადმყოფობა, ექიმების დანაშაულებრივი გულგრილობა და სხვა არაჰუმანური ქმედება იმ რეპრესიული სისტემის ფუნქციონირების შედეგია, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს პარლამენტი და რომლის ჭეშმარიტ სახეს უმალავენ ევროპის საზოგადოებრიობას.

გასარკვევია, ვინ ან რომელმა უწყებამ შეიტანა ასეთი არაკონსტიტუციური წინადადება პარლამენტში? ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა?! შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ეს პიროვნება (ან უწყება) უშუალოდ არის დაკავშირებული ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ შეთითხნილ საქმესთან.

ამ ხელისუფლების პირობებში ძნელი იქნება ასეთი ვარაუდის დამტკიცება. მაგრამ, თუ მართლაც ასეა, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა საქართველოში „ქმნა მართლისა სამართლისა“.

კონსტიტუციურ სასამართლოს აქვს შანსი, დაამტკიცოს საწინააღმდეგო.

**არმაზ სანებლიძე**

# ანჯელინა ჯოლის ტუჩები გინდათ? — ინებეთ. შეგიძლიათ, პამელა ანდერსონის მკერდიც თან გაიყოლოთ

**სხეულის სხვადასხვა ნაწილების გადიდება-დაპატარავებამ ისეთი მასიური სახე მიიღო, ველარც კი გაარჩევ, ვინ ბუნებრივია და ვინ თავიდან აწყობილი. პლასტიკური ქირურგია, მგონი, XXI საუკუნის სენად იქცა. ბევრისთვის ეს ახირებაა, ბევრისთვის კი — საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა. ვისაც ფული აქვს და არ იცის, რაში დახარჯოს, პლასტიკურ ოპერაციას იკეთებს.**



## ქართველი მამაკაცები პლასტიკური ქირურგიის კაბინეტებთან რიგში დგანან

პლასტიკური ქირურგია თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოდაშია! მათ შორის — საქართველოშიც. თუ ცხვირი მკრტიჩიანივით გაქვთ, მკერდი ჩაფუშული ბუშტივით ან თქვენი წონა 200 კილოგრამს აღწევს, ამ საშინელებებისგან მხოლოდ პლასტიკური ქირურგია თუ გიხსნით.

ლტოლვა სილამაზისკენ, სხვათაშორის, მარტო ქალებს არ აქვთ, დღესდღეობით საქართველოში მამაკაცებიც მიმართავენ ლიპოსაქციას, ცხვირის ოპერაციებს, თმის გადანერგვას, ბოტექს.

**როგორც აღმოჩნდა, მამაკაცებისთვის აქტუალური საკუთარი სასქესო ორგანოს პარამეტრების შეცვლა ყოფილა, თუმცა, სურვილის მიუხედავად, ასეთი სახის ოპერაციებს, ძირითადად, უფრთხიან ან ცდილობენ, მაქსიმალურად გაასაიდუმლოონ.**

საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ ოპერაციად ქირურგიული ჩარევის შედეგად ქალწულობის აღდგენა ან მისი დარღვევა იქცა. თუ პირველი შემთხვევის მოტივები გასაგებია, მეორე შემთხვევა გაოცებას იწვევს. რაში სჭირდებათ ქირურგიული ჩარევა იმის გამო, რაც შეიძლება ბოკალი ღვინისა და სასიამოვნო მუსიკის თანხლებით გადაწყდეს? სინთეზურმა აპკებმა ნამდვილებს გადაუსწრო.

**ქალიშვილობის აღდგენა ქართველ მამაკაცებში პროტესტს იწვევს, თუმცა, თუ მამაკაცებმა ასეთი ტემპით გააგრძელეს სასქესო ორგანოს გაზრდის მოთხოვნით პლასტიკური ქირურგიის ცენტრებში წანწალი, ძნელი გასარჩევი იქნება, ვის ნამდვილი ექნება და ვის — ხელოვნურად შექმნილი. თანაც, როგორც აღმოჩნდა, ასეთი პაციენტების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ამიტომ პროტესტის გრძნობა შეიძლება ქალებსაც გაუჩნდეთ.**

თითქმის ყველა საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება და ფინანსურად უზრუნველყოფილი ქალბატონი პლასტიკური ქირურგიის კაბინეტებს ხშირად სტუმრობს, თუმცა ამ თემაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. ყველას ურჩევნია, ბუნებრივი სილამაზით დაჯილდოებული ეგონოთ. პლასტიკურ ქირურგებს კი მათი ანონიმურობის დაცვა მკაცრად ევალებათ. თუმცა საქციელი, რომელზე მსჯელობაც არ შეგიძლიათ მეგობრებთან ერთად, უკეთესია, საერთოდ არ ჩაიდინოთ!

ფსიქოლოგებისა და პლასტიკური ქირურგების აზრით, ადამიანთა უმრავლესობას, ვინც გადაწყვეტს, რომ მას პლასტიკური ქირურგის ჩარევა სჭირდება, უბრალოდ, კომპლექსები აწუხებს. თუმცა ზოგს ამ ცხოვრების სიამოვნების შესაგრძნობად აშკარად სჭირდება სხეულის ამა თუ იმ ნაწილის ცვლილება.

არ ვიცი, რამდენად სჭირდებათ, თუმცა პლასტიკურ ქირურგებს ხშირად მიმართავენ შემდეგი უცნაური მოთხოვნებით: შუა და არა თითი მაქვს ოდნავ გალუნული და, თუ არის შანსი, რომ გავისწორო? მინდა გავიკეთო მუხლის დათხელება, მუხლზე მარცხენა მხარეს მაქვს ცოტა გამოწეული ხორცი, ძალიან მინდა ნიკაპის მოთლა დაახლოებით ერთი-ორი სანტიმეტრით და ა.შ

პლასტიკური ქირურგიის აქტუალურ ტენდენციებზე სასაუბროდ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პლასტიკურ ქირურგს — ივა კუზანოვს მივმართეთ.



### ივა კუზანოვი:
## ძალიან ბევრი მოდის საკუთარი სასქესო ორგანოს სიგრძეში ან სიგანეში მომატების თხოვნითაც

**— პლასტიკური ქირურგია მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება და ქართულ საზოგადოებაში გაკვირვებას აღარ იწვევს. დღეს უკვე მისაღებია, როცა მსგავს ოპერაციებს ქალი იკეთებს. საინტერესოა, ქართველ მამაკაცებში რამდენად იგრძნობა ამ დარგის მიმართ ინტერესი?**

— ზოგადად, პაციენტთა რაოდენობა დღითიდღე იმატებს. ძირითადად, ქალები გვაკითხავენ, თუმცა ბოლო დროს მამაკაცთა აქტიურობა ნამდვილად შეიმჩნევა. მაგალითად, ოცი პაციენტიდან, რომელიც კვირის განმავლობაში ჩვენს კლინიკას აკითხავს, 5 მამაკაცია. საშუალოდ, თვის განმავლობაში 15 მამაკაცი მაინც გვაკითხავს. რაოდენობრივად რომ ავიღოთ, ოპერაციებს შორის პირველ ადგილზე რინოპლასტიკაა, მეორე ადგილზე — ლიპოსაქცია. ძალიან აქტუალურია, ასევე, მკერდის გადიდების ოპერაციები სილიკონის გამოყენებით. მოდიან ქალები არაჩვეულებრივი გარეგნობით, გაიხდის და მკერდი საერთოდ არ აქვს. რატომ არ უნდა გაიდიდოს ასეთმა ქალმა მკერდი? ზოგიერთს ამის გამო კომპლექსი აქვს და ხშირად ამბობს, რომ სწორედ ამის გამო უჭირს გათხოვება. მოდიან, ვუკეთებთ ოპერაციას და მალევე თხოვდებიან. თუმცა მკერდის განსაკუთრებით გაზრდის შემთხვევები ჯერ არ ყოფილა, ისეთი როგორიც, ვთქვათ, პამელა ანდერსონმა გაიკეთა. ძალიან აქტუალურია, ასევე, ბოტოქსი. ქირურგი, ფაქტობრივად, დანის გარეშე აკეთებს კანის პლასტიკას. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ სახის კანის პირველი მტერი თამბაქო და მზეა. პირადად მე, როდესაც ჩემთან მწეველი პაციენტები მოდიან, არ ვუკეთებ ოპერაციას ერთი წლის განმავლობაში, თუ სიგარეტზე უარს არ იტყვიან.

**ლიპოსაქცია და კანის პლასტიკა ამ ბოლო დროს აქტუალური მამაკაცებისთვისაც გახდა. თუ წინათ მამაკაცები საკუთარი ლიპით ტრაბახობდნენ, დღეს უკვე ყველას სურს, სპორტული აღნაგობა ჰქონდეს.**

ძალიან ბევრი მოდის საკუთარი სასქესო ორგანოს სიგრძეში ან სიგანეში მომატების თხოვნითაც. ძირითადად, ახალგაზრდა ბიჭები მოდიან, რომლებსაც ფსიქოლოგიური ტრავმა აქვთ გადატანილი. დიდი ხანია, ამ სფეროში ვმუშაობ და ამ მიზეზით ძალიან ცოტა ოპერაცია გვაქვს გაკეთებული. ვცდილობთ, პაციენტი ოპერაციას ავარიდოთ, ვამშვიდებთ ან ფსიქო-თერაპევტთან ვაგზავნით. ძალიან ბევრ ბიჭს არასწორი წარმოდგენა აქვს სასქესო ორგანოს ზომაზე. რატომღაც ჰგონიათ, რაც უფრო დიდი აქვს, უფრო მეტად დააკმაყოფილებს ქალს. სინამდვილეში კი ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სექსუალური აღზრდა არ აქვთ ქართველებს. ძალიან ბევრი ამის გამო კომპლექსდება.

კვირა არ გადის, 2-3 კაცი რომ არ მოვიდეს მსგავსი თხოვნით. არის შემთხვევა, როცა მართლა საჭიროა ქირურგიული ჩარევა და გაგვიკეთებია კიდეც ოპერაციები, თუმცა ასეთი შემთხვევა ორი-სამი იყო მხოლოდ. ძალიან ბევრი ოპერაცია კეთდება ტრამვების დროს. აგვისტოს ომის შემდეგ ორ სამხედროს ახლიდან შევუქმენით ფალოსი და მათზე ბედნიერი დღეს კაცი არ მეგულება.

**— ტრანსექსუალები თუ აკითხავენ თქვენს კლინიკას და რამდენად ხშირია სქესის შეცვლის ოპერაციები?**

— ტრანსექსუალობა თანდაყოლილი მანკია. საქართველოში შვიდამდე მსგავსი ოპერაცია გაკეთებულა და ყველა შემთხვევაში ქალი გადაკეთდა კაცად.

**სქესის შეცვლის ოპერაციას წინ უსწრებს გამოკვლევები, რათა დადგინდეს პაციენტის რეალური სქესი, ანუ მართლა არის თუ არა პაციენტი ტრანსექსუალი. ამის შემდეგ კეთდება ოპერაცია, რის დროსაც შორდება ყველა ქალური სასქესო ორგანო. შემდეგ ხდება მამაკაცის ფალოსის ჩამოყალიბება და, ძირითადად, ამით სრულდება ხოლმე მსგავსი ოპერაციები.**

ყველა, ვინც ეს ოპერაცია გაიკეთა, უბედნიერესი ადამიანია.

**— პლასტიკური ქირურგია ზოგისთვის ერთგვარი ჰობია...**

— ეს უკვე აკვიატებაა. როდესაც მოდის ახალგაზრდა პაციენტი აუცილებლად კარგად უნდა გაერკვე მის ფსიქოლოგიაში.

**არის შემთხვევები, როდესაც მოდიან ცხვირის ოპერაციის გასაკეთებლად, ამ დროს კი მშვენიერი ცხვირი აქვს და, რაც მთავარია, უხდება მის სახეს. იძულებული ხარ, დაემორჩილო პაციენტის თხოვნას.**

გავა რამდენიმე თვე და ახლა უკვე ნიკაპის გაკეთებას ითხოვს, მერე ტუჩების და ასე შემდეგ. ეს ფსიქოლოგიური პრობლემაა; არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელსაც პლასტიკური ქირურგია ვერ შველის.

**— დღეისთვის ყველაზე აქტუალური რომელი ოპერაციაა?**

— ახლა ზაფხული მოდის და ზღვის სეზონისთვის, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებშიც, უფრო აქტუალური ლიპოსაქციაა.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მოეგონებინათ რაიმე აბი, რომლის მიღების შემდეგ შენთვის სასურველი პარამეტრები გექნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი რამ არ არსებობს. საერთოდ, კაცებმაც და ქალებმაც, კარგი იქნება, ყურადღება ჯერ საკუთარ ჯანმრთელობას, ხოლო შემდეგ სილამაზეს მიაქციონ.

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ექვს თვეში საქართველოს ციხეებში 62 პატიმარი მოკლეს



**პოლიციელებმა კანონის დამრღვევთა ფუნქციები გადაიბარეს. სლოგანმა, „ჩვენი ძალა გამჭვირვალობაშია“ ჯერ დეფორმაცია, შემდეგ კი სრული კრახი განიცადა, ახალ ჰიმნში გადამღერებული „ჩვენი ძალა გამჭვირვალე ახალ შენობაშია” საზოგადოებას ცუდად ენიშნა – სხვა ყველა ნორმალურ (და ნაწილობრივ არანორმალურ) ქვეყანაში, სამართალდამცავთა ძალა, შენობაში კი არა, კანონშია! ძალა კანონში რომ არ არის და კონკრეტულ შენობებში (შუშის, გუმბათოვან, რკინა-ბეტონის და ა.შ.) გამაგრებული პერსონები კანონად აღიქმებიან, ამის დასტურად, უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ ატეხილი ხმაურიც გამოდგება. მათი მტკიცებით, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა დაუდასტურებელ დანაშაულზე ექვმიტანილთა და პატიმართა წამება-სიკვდილიანობის სტატისტიკა კატასტროფულად გაიზარდა.**

ექსპერტები რიგითი მოქალაქეების, ე.წ. არაექვმიტანილი პირების მიმართ გაზრდილ აგრესიაზეც საუბრობენ და მაგალითად მოჰყავთ 2010 წლის 17 აპრილს მომხდარი მკვლელობა. პოლიციელმა იროდიონ შელიამ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოქალაქე ნუგზარ მანია „შემთხვევით“ მოკლა. სამეგრელოში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიო“ მოძრაობა „დაიცავი სიცოცხლეს“ წარმომადგენელს, იური ვაზაგაშვილს ესაუბრა. მისი განცხადებით, გიორგი თოლორაიას ცემაზე გამოქომაგებულ 60 წლის ნუგზარ მანიას მიმართულებით, პოლიციელმა იროდიონ შელიამ ტაბელური იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა.

**„ჩვენ ვერავინ გვიცავს — ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები და ვერც ოპოზიცია. ოპოზიციის ნაწილი, ჩვენს თავს მომხდარი უბედურებით პოლიტიკურ ქულებს იწერს. მათი იმედიც არ მაქვს“,** — აცხადებს იური ვაზაგაშვილი.

17 აპრილს ნუგზარ მანიას მკვლელობის უშუალო მოწმე თამარ ქირია აცხადებს: **„ქუჩიდან ხმაური შემომესმა. გარეთ გასულებმა დავინახეთ, ძალოვნები როგორ ცემდნენ ახალგაზრდა ბიჭს. იგი შველას ითხოვდა და სამართალდამცავებს ეხვეწებოდა: ნუ მირტყამთ, თავი დამანებეთო. ამ დროს ჩვენმა მეზობელმა ნუგზარ მანიამ გამოიარა. მორწმუნე კაცი იყო და ბიჭს გამოექომაგა. პოლიციელებს ეუბნებოდა: „ნუ სცემთ, მხეცები ხომ არ ხართ, შეეშვითო!“. ჩვენს საქმეში ჩარევა როგორ გაბედეო, და მასაც ცემა დაუწყეს. შემდეგ ერთ-ერთმა სამართალდამცავმა იარაღი ამოიღო, ეტყობოდა, რომ მთვრალი იყო... არ გამოვრიცხავ, ნარკოტიკული ნივთიერებაც ჰქონოდა მიღებული — იარაღს ყველას უმიზნებდა, ბოლოს გამოაცხადა: ახლა მე შენ მოგკლავო და ნუგზარ მანიას ესროლა. 60 წლის კაცი ადგილზე გარდაიცვალა, ვხედავდით, როგორ გაშავდა ადამიანი, საავადმყოფოში კი არ მიჰყავდათ. საპატრულო სამსახურში დავრეკე, იმედი მქონდა, რომ ისინი მაინც შეაჩერებდნენ რაიონული პოლიციის თანამშრომლებს, თუმცა საერთოდ არ გამოცხადდნენ. სისხლისგან დაცლილი ცხედარი მანქანაში ჩააგდეს, ჯერ კიდევ ცოცხალი ეგონათ და ურტყამდნენ“.**

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი განუზომლად მძიმე მდგომარეობაა. სახალხო დამცველის მოხსენებაში ქუთაისის მეორე დაწესებულების კარცერში პატიმრის თვითმკვლელობის ისტორიის მცირე მონაკვეთი გვხვდება. როგორც ირკვევა, მსჯავრდებულმა 2009 წლის 12 დეკემბერს თავი ჩამოიხრჩო. იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ გარდაცვლილს სხეულზე სიცოცხლის დროს მიყენებული დაზიანებები ემჩნეოდა, რასაც ექსპერტიზაც ადასტურებს.

თვითმკვლელობამდე პატიმარი სასტიკად აწამეს, უფლებადამცველი ორგანიზაციების განცხადებით, დიდი ალბათობაა, რომ პატიმარი წამების დროს შემოაკვდათ და თვითმკვლელობის სცენა მხოლოდ ამის შემდეგ „დაიდგა“.

**ზესტაფონის პოლიციის თანამშრომლებმა ექვმიტანილის სტატუსით დაკავებული ჯიმშერ ჯაფარიძე 3 დღის მანძილზე არაადამიანურად აწამეს. ჯაფარიძე აცხადებს, რომ პოლიციის განყოფილებაში მას, არჩადენილი გაუპატიურების ფაქტის აღიარების მოთხოვნით აწამებდნენ.**

გამოძიებისა და კონკრეტული შედეგის გარეშეა დარჩენილი ვ.ირემაძის, გოჩა ეხვაიას, როინ შავაძის, მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების, ა.ბახუტოვის და ე.წ. შიშველი პატიმრების გახმაურებული საქმეები: ▶

# ლალი აფციაური: რუსთავის კოლონიაში პატიმარ ქალებს სასტიკად აწამებენ

**„ნაცების“ პოლიციური რეჟიმის „წყალობით“ პატიმართა უფლებები რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხქვეშ ითელება, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამ „წამოწყებას“ თავის დროზე ქურდებთან მებრძოლმა ბაჩო ახალაიამ ჩაუყარა საფუძველი, რომელმაც მსჯავრდებულებს პირდაპირ გამოუცხადა: თუ „შავებს“ ერისა და ქვეყნის გასაგონად არ შეუკურთხებთ, მთელი დარჩენილი ცხოვრება ციხეში „ჭროლა ქათმის“ სტატუსით მოგიწევთ ყურყუტიო... დროთა განმავლობაში ეს მოთხოვნა იმდენად შეუვალი გახდა, რომ, შეიძლება ითქვას, უკვე ერთგვარი კანონიერების ჩარჩოშიც კი მოექცა ის უკანონობა, რაც დღესდღეობით საპატიმროებში ხდება...
ამ თემაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ადვოკატ ლალი აფციაურს დაუკავშირდა, რომელმაც რუსთავის კოლონიაში მყოფი პატიმარი ქალების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა.**



**— ქალბატონო ლალი, ერთ-ერთ განცხადებაში თქვენ აღნიშნეთ, რომ რუსთავის კოლონიის პატიმარ ქალებს არაადამიანურ პირობებში უწევთ სასჯელის მოხდა, კონკრეტულად რა პირობებს გულისხმობთ?**

— დავიწყოთ იმით, თუ როგორ გადაიყვანეს ეს ადამიანები რუსთავის ე.წ. ნომერ პირველ საპყრობილეში. მოგეხსენებათ, მაშინ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამის მიზეზად ე.წ. ბუნტი დაასახელეს, რომელიც, სინამდვილეში, მათ მიერვე იყო დადგმული და ინსპირირებული იმისათვის, რომ როგორმე ამ ადამიანების რუსთავის კოლონიაში გადაყვანა გაემართლებინათ.

ცნობილია, რომ ეს საპყრობილე თავიდანვე მოუწესრიგებელი იყო, რის შესახებაც, პირადად მე, საჯაროდ არაერთხელ მითქვამს და ხელისუფლების მესვეურთა ის განცხადებები, რომ ჩვენ ევროსტანდარტების შესაბამისი ციხეები გვაქვს, სრული აბსურდია, რომელიც გათვლილია მხოლოდ და მხოლოდ პიარზე. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ საპყრობილეში პატიმარი ქალების გადაყვანამდე თხუთმეტი წუთით ადრე დაახლოებით ორიათასამდე კაცი იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ყველაფერი სწორედ მამრობითი სქესის პატიმრებზე იყო გათვლილი.

ახლა წარმოიდგინეთ, რა პირობებში აღმოჩნდებოდნენ ეს ადამიანები თუნდაც ჰიგიენური თვალსაზრისით, როცა ცხოველებივით შეყარეს აბსოლუტურად მოუწესრიგებელ საკნებში, სადაც ყველაფერთან ერთად საშინელი ანტისანიტარიაა. ამასთან, ზუსტად ვიცი, რომ მათ თავიანთი ტანსაცმელი და პირადი მოხმარების ნივთებიც კი არ გაატანეს, რის გამოც დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, ისინი ფანჯრებიდან გაჰკიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ.

**— იქნებ, ადგილზე დაახვედრეს ის ნივთები, რაც მათ სჭირდებოდათ?**

— მათთვის არაფერი დაუხვედრებიათ. როგორც კი პატიმრები გადაიყვანეს, რუსთავში მეორე დღესვე ჩავედი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულების სანახავად და ზუსტად ვიცი, რომ ისინი თავიდანვე საშინელ, გაუსაძლის, არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ და, როგორც გითხარით, იმის მიუხედავად, რომ ისინი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მუდმივად ითხოვდნენ თავიანთ ნივთებს, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მეტიც, თვითონ გადაყვანის პროცესი ისეთი ფორმით განხორციელდა, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ევროპული კონვენციის მესამე მუხლის უხეში დარღვევა, ანუ პატიმრების მიმართ ადგილი ჰქონდა სასტიკ მოპყრობას, წამებას.

ამასთან, ცნობილია, რომ რუსთავის კოლონიის სასმელი წყალი ყოვლად უვარგისია. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ სინჯი გავაკეთეთ და აღმოჩნდა, რომ ეს წყალი არა თუ სასმელად, არამედ დასაბანადაც უვარგისია.

გარდა ამისა, ეს საპყრობილე ცემენტის უზარმაზარი საწარმოსგან დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის დაშორებით მდებარეობს, ანუ ციხესა და საწარმოს ერთმანეთისგან ფაქტობრივად ერთი კედელი ჰყოფს.

არავინ იცის, რამდენად არის სტანდარტები დაცული, რომ ქარხნის გამონაბოლქვმა პატიმრების ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დაცული არ არის, ვინაიდან, საკნებში ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მაგიდაზე მტვერი უნდა გადაწმინდო.

ერთი სიტყვით, ეს საპყრობილე ეკოლოგიური თვალსაზრისით, აშენებულია, ასე ვთქვათ, მომწამვლელ ტერიტორიაზე და ამდენად, ამის თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ ის პატიმრები, ფაქტობრივად განწირულები არიან. თანაც ეს ადამიანები (ქალ პატიმრებს ვგულისხმობ) სასჯელს კამერულ, ანუ დახურულ სისტემაში იხდიან. მოგეხსენებათ, როცა ისინი თბილისში, მატროსოვის ქუჩაზე არსებულ საპყრობილეში იმყოფებოდნენ, დღის განმავლობაში გადაადგილების საშუალება ჰქონდათ, ანუ გარეთ გამოჰყავდათ.

**ახლა თითქმის ოცდაოთხი საათი საკნებში იმყოფებიან, რაც, ბუნებრივია, ასევე ვნებს მათ ჯანმრთელობას...**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ადამიანები განწირულები არიან და ხელისუფლება გულმოდგინედ იტყუება, როცა აცხადებს, რომ ევროსტანდარტების შესაბამისი ციხეები ააშენეს, რომ მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების სისტემაც ასევე ევროსტანდარტების შესაბამისია და ა.შ.

**— თქვენ თუ იყავით რუსთავის კოლონიაში და მსჯავრდებულებს პირადად თუ ესაუბრეთ?**

— რა თქმა უნდა, ვიყავი და ჩემი დაცვის ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ომბუდსმენმაც კი ვერ მოიპოვა და მას მიუწვდომელი უწოდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ სახალხო დამცველისადმი 2009 წლის 15 ივლისს მიწერილი წერილით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში სულ გარდაცვლილია 54 პატიმარი. სახალხო დამცველის მოხსენებაში, ნათქვამია, რომ მათი ინფორმაციით, წლის პირველ ნახევარში 54 კი არა, 62 პატიმარი გარდაიცვალა, თანაც მათი უმრავლესობა საეჭვო ვითარებაში, უფლებათამცველები მიიჩნევენ, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა ზუსტი არ არის და შესაძლოა ბევრად მეტი იყოს.**

სახალხო დამცველის აპარატი პატიმართა გარდაცვალების მიზეზების შესახებ შემდეგ სტატისტიკას აქვეყნებს:

გარდაცვლილი პატიმრების დაახლოებით 63%, ოფიციალური ვერსიით, ფილტვების და, ზოგ შემთხვევებში, სხვა ორგანოების ტუბერკულოზის მსხვერპლი გახდა. 22%-ის შემთხვევაში, გარდაცვალების მიზეზად ტუბერკულოზური პნევმონია და პლევრიტი დასახელდა. თუმცა შემთხვევათა 9%-ში სიკვდილის უშუალო მიზეზად ექსპერტიზამ ბანალური პნევმონია (ფილტვების ანთება) დაასახელა. XXI საუკუნეში ფილტვების ანთებით ალბათ მხოლოდ საქართველოს ციხეებში კვდებიან ადამიანები, თანაც ეს უცნაური ფილტვების ანთება „ავადმყოფების" სხეულზე უცნაურ კვალს – სისხლჩაქცევებს, ნაჩხვლეტ ჭრილობებსა და სხვა სახის დაზიანებებს ტოვებს.

**გარდაცვლილ პატიმართა 22% 30 წლამდე ასაკის იყო, 19% — 40 წლამდე, 20% — 60, ხოლო 9% — 70 წლამდე, ანუ გარდაცვალების ძირითადი მაჩვენებელი ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ადამიანებზე მოდის.**

არასამთავრობო ორგანიზაცია **„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ მხოლოდ გლდანის ციხიდან მორგში ყოველდღე ერთი ან ორი ცხედარი გადააქვთ.

**ნანა კაკაბაძე:** — დღეს ყველა პატიმარს აწამებენ, თუმცა წამების ფაქტს ძალიან ცოტა აღიარებს, იმიტომ, რომ საზოგადოება მათ ვერანაირად ვერ იცავს. როცა ადამიანი წამების შესახებ საუბრობს და ეს ინფორმაცია მედიასაშუალებებში ხვდება, მას ათმაგი ვერაგობით უსწორდებიან. ზოგი შემთხვევა კი ნაწამები პატიმრის სიკვდილით სრულდება, თუმცა სიკვდილის მიზეზად სხვადასხვა დაავადებებს ან თვითმკვლელობას აფიქსირებენ...

**— რა არის წამების ყველაზე გავრცელებული მიზეზი?**

— მათ მიზეზი არ სჭირდებათ, უკლებლივ ყველა პატიმარს აწამებენ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამება მართვის მეთოდია, ანუ იქ „პროფილაქტიკისთვის" სცემენ. ყოველ დილას საკანში „ზონდერბრიგადები" შედიან და პატიმრებს ურტყამენ. არა იმიტომ, რომ რამე დააშავეს, არა. პატიმრების გამოწვევა და დაშინება უნდათ. გლდანის ციხის მაგალითს მოგიყვანთ; ერთ-ერთი „ზონდერბრიგადის" წევრს 9 თითი აქვს. საკანში შედის და პატიმრებს შემდეგ კითხვას უსვამს – „რამდენი თითი მაქვს?". თუ გაჩუმდა, ესე იგი იგნორირებას უწევს და სცემს, თუ ეტყვის, რომ ცხრა თითი აქვს, ვის გაუბედე, შე ნაძირალაო, და წიხლით შედგება.

**— თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ გლდანის ციხიდან, ცხედრები ყოველდღიურად გააქვთ. რატომ არ ხმაურდება ეს ფაქტები, რატომ არ რეაგირებენ ამაზე თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან?**

— უამრავი ფაქტი გახმაურდა, საერთაშორისო ორგანიზაციებიც ყველა დონეზე აღნიშნავენ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები და კონკრეტულად პატიმრების უფლებები უმძიმესი ფორმებით ირღვევა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის სადისტური მანქანის შესაჩერებლად. აქედან გამომდინარე,

ძალიან ბევრი პატიმრის, მათ შორის წამებით დაღუპულთა ოჯახებიც, ჩვენთან თანამშრომლობასა და სიმართლის გამჟღავნებაზე უარს აცხადებენ. რადგანაც წამების პერიოდში, პატიმრებსა და მათ ოჯახებს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფებენ და ისინი პანიკური შიშით ცხოვრობენ. ხმის ამოღების ყველა ოჯახს ეშინია. მათ ემუქრებიან, ოჯახის სხვა წევრებსაც იგივე დაემართებათო.

**— ანუ დღეს სრული უკანონობაა და არც ერთი ადამიანი, სოციალური სტატუსისა თუ სხვა კრიტერიუმების მიუხედავად, დაცული არ არის?**

— ეს სისტემა ზუსტად ასეა აწყობილი. პარლამენტმა ისეთი კანონები მიიღო, რომლის თანახმადაც მოქალაქეთა უფლებები შეიზღუდა, ხოლო ძალოვნების უფლებები გაიზარდა. ადრე მხოლოდ პოლიციელის ჩვენებას ცალსახად არ ითვალისწინებდნენ, ახლა კი პოლიციელის სიტყვაც საკმარისია, ანუ, თუ დაკავებისას, ეჭვმიტანილს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ამ დროს პოლიციელი აცხადებს, რომ დაკავებული წინააღმდეგობას უწევდა, ეს უკვე საკმარის მტკიცებულებად ითვლება. სხვა იურიდიული მტკიცებულებების წარმოდგენა პოლიციელს აღარ ევალება. მაგალითისთვის მეტსაც გეტყვით:

თუ პოლიციელი ვინმეს დაკავების ფაქტზე, მოწმეს დოკუმენტზე ხელს აწერინებს და უბრალოდ უებნება: „შენ ხომ აქ იყავი და ყველაფერი ნახე. მოდი და ხელი მომიწერე", გულუბრყვილო მოწმემ შეიძლება ხელი მოაწეროს. **თუ ხელმოწერილ დოკუმენტში შეთხზული ბრალდებებია** (იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარება და ა. შ.), **მოწმეს ამის გადათქმის უფლებას კანონი არ აძლევს. ანუ, რომც აღმოაჩინო, რომ ხელი სულ სხვა რაღაცაზე მოგაწერინეს და ჩვენების გადათქმის სურვილი გაგიჩნდეს, იურიდიული პასუხისმგებლობა დაგეკისრება და ციხეში გაგიშვებენ.**

**გიორგი ქიტიაშვილი**

---

ქვეშ მყოფ მსჯავრდებულებსაც ვესაუბრე. გარდა ამისა, ისინიც მიკავშირდებიან და მუდმივად მაწვდიან ინფორმაციას, თუ რა პირობებში უხდებათ სასჯელის მოხდა.

მაქვს ინფორმაცია, რომ ახლა ერთ-ერთი თქვენი კოლეგა-პატიმარი მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნით შიმშილობს, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა.

**— თუ არის შემთხვევა, რომ მსჯავრდებული ციხეში ჯანმრთელი შევიდა და იქ არსებული პირობების გამო დაავადდა?**

— ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ასეთია, რადგან ჯანმრთელი და ავადმყოფი პატიმრები დღემდე არ არიან განცალკევებული. საქართველოში მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი ერთადერთი საავადმყოფოა ე.წ. რესბალნიცა, რომელიც 250 კაცზეა გათვლილი, მაშინ, როდესაც არაოფიციალური მონაცემებით, 45000-მდე პატიმარი გვყავს. ამასწინათ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნას ვკითხულობდი, რომელიც ჩვენს საპყრობილეებში მონიტორინგს აწარმოებდა და იქ ეწერა: ქალთა საპყრობილე რომ შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ მთელს დაწესებულებაში მხოლოდ სამი აბი „ომეპრაზოლი" და ოთხი თუ ხუთი აბი „კეტანოლი" ჰქონდათო. აი, ეს არის მთელი ამათი სამკურნალო საშუალებები და ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ასეთ პირობებში მყოფი პატიმრები რა მდგომარეობაში იქნებიან.

**— არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახალხო დამცველი თვალს ხუჭავს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე.**

— სახალხო დამცველის მიმართ რამე განცხადების გაკეთებისგან აქამდე თავს ვიკავებდი — მაინც ახალი დანიშნულია და ვფიქრობდი, რომ გარკვეული დრო სჭირდებოდა ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის სწორად და აქტიურად წარმართვისთვის. ფაქტი ერთია — დღემდე მას არც ერთ კონკრეტულ ფაქტზე, შემთხვევაზე განცხადება არ გაუკეთებია.

ძალიან არ მინდა, ჩემი ქვეყნის სახალხო დამცველზე ასეთი განცხადება გავაკეთო, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სირაქლემას პოზიციაშია და თვალს ხუჭავს ყველა იმ უკანონობაზე, სამართალდარღვევაზე, რაც დღეს ჩვენი სასჯელაღსრულების სისტემაში ხდება. ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი ტუღუში უსიტყვოდ დაემორჩილა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ ნულოვან ტოლერანტობასა და მკაცრ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკას. ეს უკვე სახეზეა და არამხოლოდ პატიმრების, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართაც...

დღეს რუსთავის კოლონიაში იმყოფებიან პატიმრები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ 60-80 წლისანი არიან, 20-25 წელი აქვთ მისჯილი. ეს ხომ არაადეკვატურია, ეს ხომ არაადამიანური დამოკიდებულებაა?!

ასეთი უამრავი ფაქტი ვიცი. როგორც გითხარით, პატიმართა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი დღეს უფლებებშელახულია. გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან და, ფაქტობრივად, ისინი სასჯელს კი არ იხდიან, არამედ სიკვდილს ელოდებიან.

ხელისუფლებამ ისინი გაწირა და, როგორც ჩანს, მმართველ გუნდს ეს რაღაცაში სჭირდება. ძალიან ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ იმას, რაც დღეს ციხეებში ხდება, მე უბრალოდ სხვა ახსნას ვერ ვუძებნი.

**— ქალბატონო ლალი, თქვენ ძალიან პესიმისტური სურათი დაგვიხატეთ. თვითონ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ახლობლები თუ აპროტესტებენ ყველაფერ ამას?**

— ჩვენ მათ ყოველთვის ვეუბნებით, რომ, თუ არ იბრძოლებენ, თუ ხმას არ აიმაღლებენ ამ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მათი ოჯახის წევრები უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, თავიანთი პროტესტის გამოხატვას იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ ბედავენ, რომ ეშინიათ, ამას უარესი შედეგი არ მოჰყვეს.

ასევე ეშინიათ თვითონ პატიმრებსაც და მაქსიმალურად თავს არიდებენ იმ პრობლემებზე საუბარს, რა პრობლემების წინაშეც რეალურად დგანან. ის კი არა, ჩვენ — ადვოკატებს, უფლებადამცველებს რომ გველაპარაკებიან, სულ იმას გვთხოვენ, რომ მათი ვინაობა არ გავამხილოთ. ამაში გასაკვირი არაფერია.

**მათ იმხელა შიში და სტრესი აქვთ გადატანილი, სავსებით ბუნებრივია, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. თუმცა, თავის მხრივ ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც ართულებს პატიმრებთან ურთიერთობას, მათგან ინფორმაციის მიღებას.**

სხვათა შორის, თავის დროზე, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, მონიტორინგის საბჭო შეიქმნა, რომელშიც საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია შევიდა დ ჩვენ მაშინ, იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, ნებისმიერ დროს ნებისმიერ საპყრობილეში შესვლისა და მსჯავრდებულთან შეხვედრის უფლება გვქონდა. პრეზიდენტად გახდომისთანავე სააკაშვილმა ეს საბჭო გააუქმა და დღეს ციხეებში მონიტორინგი ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებს არ აკეთებენ.

აი, ასეთი პრობლემებია შექმნილი დღეს ჩვენს სასჯელაღსრულების სისტემაში და, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ ეს პრობლემები დროზე არ მოგვარდა (მე პირადად ნაკლებად მჯერა, რომ არსებული ავტორიტარული ხელისუფლება ამას გააკეთებს), პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა, ვისაც საშინელ, არაადამიანურ პირობებში უწევს სასჯელის მოხდა, განწირულია.

ესაუბრა
**ჯაბა ჭუანია**

---



საავტორო სვეტი

# მოისპოს როგორც კლასი!

**სი-ენ-ენის გადამღებმა ჯგუფმა დაამთავრა თავისი ოდისეა საქართველოში. რეპორტაჟების სერიაში ნინო ანანიაშვილთან და ზაზა ფაჩულიასთან ერთად მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუც დაფიქსირდა.**




როცა რიგმა მოუწია, ეს ნათელი დღე კი გასული კვირის უამინდო პარასკევს დადგა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაიმეორა სი-ენ-ენის სიუჟეტი და სააკაშვილის ინტერვიუ მოგვასმენინა.

კიდევ კარგი, თორემ წაგვლეკავდა სტიქია, რომელმაც, ერთი ხანია, საქართველოს შემოუტია.

იმ გამოსვლის კვინტესენციას დაუგდეთ ყური:

**„საქართველოში მთლიანად შეიცვალა პოლიტიკური კლასი!"**

ზუსტად ასე განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა — თვითკმაყოფილებითა და სიამაყის გრძნობით.

ტრანსნაციონალური ტელექსელის კორესპონდენტმა ხბოსავით მორჩილად დაუქნია თავი, გასაგებიაო. აბა, ყელში ხომ არ ეცემოდა პირველ არხზე გაწვრთნილი ცერბერივით?!

ან, იქნებ, მართლაც ჩასწვდა რესპონდენტის სენტენციის სიღრმესა და მნიშვნელობას?

მეტი არაა ჩემი მტერი, გაეგო რამე. მაგრამ, რა იცი? იქიდანაა მოვლინებული და იქ უკეთ იციან, რაც ჩვენს თავს ტრიალებს — თავიანთი პროექტისა ეცოდინებათ, აბა, რა!

**აღგავეს პირისაგან მიწისა „პოლიტიკური კლასი" „ახალმა რეფორმატორებმა" — სოროსის ერთგულმა მოწაფეებმა, ზუსტად ისე, როგორც ლენინის კოოპერაციული გეგმის მიმდევარმა ულტრაბოლშევიკებმა მოსპეს კულაკობა როგორც კლასი. ოღონდ ჩვენს შემთხვევაში ეს „კლასი" ქართველი ერის ორგანული ნაწილია და, მგონი, არცთუ უარესი.**

კლასთა ბრძოლის სათავეს მკვლევარები ერთი ხალხის მიერ მეორის დაპყრობაში ეძებენ.

ფრანგი ისტორიკოსების ერთი ნაწილი თავიანთ ერს ორ ხალხად ჰყოფდა, ორ კლასად — გამარჯვებულ თავადაზნაურობად და დამარცხებულ მესამე წოდებად.

მარქსმა კლასებად დაყოფა, კლასობრივი ბრძოლა ეკონომიკური საფუძველით ახსნა.

ამ ყველაფრის აჯაფსანდალი უნდა იყოს „პოლიტიკური კლასის" ის შეცვლა, რომელიც ზემოთ ნახსენებმა რესპონდენტმა, ასევე, ზემოთ ნახსენები ტელეკომპანიის კორესპონდენტს „ვარდების რევოლუციის" მიღწევად მიასაღა.

თუ „პოლიტიკური კლასის შეცვლაში" პატივცემულმა მიხეილმა ნაცბოლების ბობოლა აქტივისტების მიერ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობების სრული ოკუპაცია იგულისხმა, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება და კლასთა ბრძოლის თეორიული ძიებებისთვის კაცმა დრო არ უნდა დაკარგოს.

ასე დაყვეს ახალმა რეფორმატორებმა ქართველი ერი კლასებად, ასე მოსპეს, როგორც კლასი, წინა თაობა და თავიანთი გაქსუებული ელიტა, ანუ, მათი გაგებით, კლასი დაუპირისპირეს გალატაკებულ ხალხს, რომელიც გამწევ ძალად კევრში შებმული უპოვართა კალოზე ლეწავს სიუხვის მარცვალს ხელისუფალთა ბეღლების ასავსებად.

* * *

**დამთავრდა სი-ენ-ენის გადამღები ჯგუფის ოდისეა საქართველოში. უცხოელები განსაკუთრებით აღფრთოვანებია ბათუმის სამშენებლო ბუმს — მსოფლიოში არნახულს!**

**კი დგას მედეას ქანდაკება ბათუმში, მაგრამ როგორი არგონავტებიც ჩამოდიან დღეს, ისეთი აიეტის სამეფო ხვდება.**

**რომელი ოქროს საწმისი წაიღეს ამჯერად უცხოელებმა, ვერაფერს მოგახსენებთ.**

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პოლ პოტი და მოსიარულე გვამების ქვეყანა

**„მასობრივ მკვლელობებში ჩვენი დადანაშაულება საზიზღარი ცილისწამებაა. ამდენი ხალხი მართლაც რომ დაგვეხოცა, ერი აღარ იარსებებდა.“**
**პოლ პოტი.**


პოლ პოტი


სიკვდილის ველები

წარმოიდგინეთ, რომ ხელისუფლების სათავეში მოვიდა მთავრობა, რომელმაც აკრძალა ფული, კომერცია, მრეწველობა, ბანკები — ყველაფერი, რასაც სიმდიდრის მოტანა შეუძლია. ახალი მთავრობა აცხადებს, რომ საზოგადოება ისეთივე აგრარული ხდება, როგორიც შუა საუკუნეების დროს იყო. ახალი აგრარული კლასისთვის 18-საათიანი სამუშაო დღე წესდება, კატორღული შრომა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით აღზრდას ერწყმის.

**სხვაგვარად მოაზროვნეებს, ვინც სიმპათიებს ამჟღავნებს წინა რეჟიმისადმი, სიცოცხლის უფლება არ აქვთ. უნდა განადგურდეს ინტელიგენცია, მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა, საერთოდ, განათლებული ხალხი.**

უქმდება ვაჭრობა და სატელეფონო კავშირი, ინგრევა ტაძრები, იკრძალება დაბადების დღეები, ქორწილები, იუბილეები, დღესასწაულები... წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანებს ელით წამება, ტანჯვა, დეგრადაცია და სიკვდილი!

ეს კოშმარული სცენარი **კამბოჯის ცხოვრების საზარელი რეალობაა, სადაც პირსისხლიანმა დიქტატორმა პოლ პოტმა დროის მდინარება უკუღმა შეაბრუნა და უკლასო საზოგადოების მისებური დამახინჯებული ხედვის ხორცშესხმის მცდელობისას ცივილიზაცია გაანადგურა**. მისი **„სიკვდილის ველები“ იმათი გვამებით იყო მოფენილი, ვინც პოტისა და მისი სისხლისმსმელი ჯალათების მიერ შექმნილი ახალი სამყაროს ნაშიერად ვერ იქცა. პოლ პოტის მმართველობისას კამბოჯაში სამ მილიონზე მეტი კაცი დაიღუპა** — იმდენივე, რამდენიც ოსვენციმის ნაცისტური სიკვდილის ფაბრიკათა გაზის კამერებში მეორე მსოფლიოს ომის დროს. ამიტომ, **მრავალტანჯულმა მოსახლეობამ კამბოჯას ახალი საზარელი სახელი: მოსიარულე გვამების ქვეყანა შეარქვა**.

კამბოჯის ტრაგედია ვიეტნამის ომის შედეგია, რომელიც ფრანგული კოლონიალიზმის ნანგრევებზე აღმოცენდა, შემდგომ კი ამერიკელებთან კონფლიქტში გადაიზარდა.

პრინცმა ნოროდომ სიანუკმა, კამბოჯის მმართველმა და მისი რელიგიური და კულტურული ტრადიციების მემკვიდრემ მეფის ტიტულზე უარი განაცხადა ვიეტნამის ომის დაწყებამდე 10 წლით ადრე, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურად დარჩა და შეეცადა, ქვეყანა ნეიტრალიტეტის გზით წაეყვანა. ვიეტნამის ომის ესკალაციის დროს, 1966-1969 წლებში სიანუკმა ვაშინგტონის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რისხვა გამოიწვია იმის გამო, რომ გადამწყვეტი ზომები არ მიიღო იარაღის კონტრაბანდისა და კამბოჯის ჯუნგლებში ვიეტნამელი პარტიზანების მიერ ბანაკების გამართვის წინააღმდეგ.

1970 წლის 18 მარტს, სიანუკის მოსკოვში ყოფნისას მისმა **პრემიერ-მინისტრმა, გენერალმა ლონ ნოლმა, თეთრი სახლის მხარდაჭერით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და კამბოჯას მისი ძველი სახელწოდება „ქჰმერი“ დაუბრუნა.** აშშ-მა აღიარა ქჰმერის რესპუბლიკა, მაგრამ უკვე ერთი თვის თავზე ქვეყანაში შეიჭრა. **სიანუკი პეკინში გაიქცა და იქ თავად ეშმაკს — ღვთისმოსავი მოხუცის გარეგნობისა და სისხლიანი ტირანის გულის მქონე პოლ პოტს გაურიგდა...**

**პოლ პოტი სალოტ სარის პარტიული ფსევდონიმი გახლდათ**. სალოტი კამბოჯის კამპონგტჰომის პროვინციაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება ბუდისტურ მონასტერში მიიღო და ორი წელი ბერიც იყო. 1950-იან წლებში ის ელექტრონიკას სწავლობდა პარიზში და იმდროინდელი ბევრი სტუდენტის მსგავსად, მემარცხენე მოძრაობაში ჩაერთო.

1970-1975 წლებში პოლ პოტის „რევოლუციური არმია“

# № 78, რომელმაც კამბოჯა სიკვდილის ველებად აქცია


მაო ძედუნი, იენგ სარი და პოლ პოტი

კამბოჯაში მძლავრ ძალად იქცა, რომელიც დიდ აგრარულ რაიონებს აკონტროლებდა. 1975 წლის 17 აპრილს დიქტატორის ოცნება ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ რეალობად იქცა: **მისი ჯარები წითელი დროშების ფრიალით კამბოჯის დედაქალაქ პნომპენში შევიდნენ. გადატრიალებიდან რამდენიმე საათის შემდეგ პოლ პოტმა თავისი ახალი მინისტრთა კაბინეტის საგანგებო თათბირი მოაწყო და განაცხადა, რომ ამიერიდან ქვეყანას კამპუჩია ერქმეოდა. პოლ პოტმა განკარგულება გასცა, მოეხდინათ ყველა ქალაქის ევაკუაცია ახალგამომცხვარი რეგიონული და ზონალური ბელადების ხელმძღვანელობით, დაეხურათ ყველა ბაზარი, გაენადგურებინათ ეკლესიები და დაეშალათ ყველა რელიგიური თემი. საზღვარგარეთ განათლებამიღებულს საშინლად სძულდა ყველა განათლებული ადამიანი, ამიტომ ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ ყველა მასწავლებელი, პროფესორი და საბავშვო ბაღების აღმზრდელებიც კი.**

პირველები სიცოცხლეს ლონ ნოლის რეჟიმის მინისტრთა კაბინეტის წევრები და ფუნქციონერები გამოესალმნენ. მათი ბედი გაიზიარა ძველი არმიის ოფიცერთა კორპუსმა.

მანკიერი ოცნების განხორციელებაში — დროის მდინარება უკუღმა შემოებრუნებინა და თავისი ხალხი მარქსისტული ტიპის აგრარულ საზოგადოებად ექცია, პოლ პოტს მისი მოადგილე იენგ სარი ეხმარებოდა. **განადგურების მისეულ პოლიტიკაში პოლ პოტი იყენებდა ტერმინს: „თვალით არ დამანახოთ!“ ჰოდა, „არც ანახებდნენ“ — ათასობით კაცსა და ქალს, მოხუცსა და ბავშვს უმოწყალოდ ჟუჟავდნენ.**

ბუდისტური ტაძრები შეირყვნა და საქონელთა სასაკლაოებად ან ჯარისკაცულ ბორდელებად გადაიქცა.

**პოლ პოტის დეკრეტით, ფაქტობრივად, განადგურდა ეროვნული უმცირესობებიც. ვიეტნამური, ტაილანდური და ჩინური ენების გამოყენება სიკვდილით ისჯებოდა**. არსებობის უფლება მხოლოდ ქჰმერულ საზოგადოებას ჰქონდა. ეთნიკურ წმენდას განსაკუთრებით ჩანები — კამბოჯაში XVIII საუკუნეში ემიგრირებული ვიეტნამელები დაექვემდებარნენ, რომლებიც ისლამს აღიარებდნენ და თანამედროვე კამბოჯის ყველაზე მნიშვნელოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ . ჰოდა, **ქჰმერებიც სარანჩასავით შეესივნენ ჩანების დასახლებებს, ცეცხლს მისცეს მათი სახლები, ამოხოცეს მთელი თემები, გვამებს კი უზარმაზარ ორმოებში ყრიდნენ და კირით ავსებდნენ. 200 ათასი ჩანიდან მხოლოდ მესამედი გადარჩა...**

პოლ პოტის აზრით, უფროსი თაობა ფეოდალური და ბურჟუაზიული შეხედულებებითა და დასავლური დემოკრატიით იყო მოწამლული, რაც სავსებით უცხო გახლდათ ცხოვრების ნაციონალური წესისთვის. ქალაქის მოსახლეობას შრომით ბანაკებში მიერეკებოდნენ, სადაც ასობით ათასი კაცი უმძიმეს სამუშაოებს ასრულებდა. უზარმაზარ ბანაკებში, სადაც იატაკზე მხოლოდ ჭილოფი ეფინა და სამუშაო დღის ბოლოს თითო თასი ბრინჯი გაიცემოდა, შრომობდნენ მასწავლებლები, ვაჭრები, მეწარმეები. **შრომით საკონცენტრაციო ბანაკში თავად № 78-ის ღვიძლი და-ძმა გაამწესეს, რომლებმაც, სხვათა მსგავსად, არც კი იცოდნენ, ვინ მართავდა ქვეყანას...** სიკვდილის ბანაკები იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ „ბუნებრივი შერჩევის“ შედეგად თავიდან მოეცილებინათ მოხუცები, სნეულები, ფეხმძიმე ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები.

გამთენიისას ხალხს მალარიული ჭაობებისკენ მიერეკებოდნენ, სადაც ისინი 12 საათის განმავლობაში ჯუნგლებს წმენდდნენ სათესი ადგილების გასათავისუფლებლად. მწუხრისას მათ უკან მოერეკებოდნენ და ჭილოფებზე დაძინებამდე პოლიტმეცადინეობებზე დასწრებას აიძულებდნენ, სადაც ააშკარავებდნენ და სჯიდნენ „ბურჟუაზიულ ელემენტებს.“

**დროდადრო ქალაქის მოედნებზე წიგნების უზარმაზარი კოცონები ჩაღდებოდა და მსოფლიო ცივილიზაციის შედევრები ნადგურდებოდა...** **ეწყობოდა „სიძულვილის გაკვეთილები“, როცა ადამიანებს შოლტავდნენ ძველი რეჟიმის ხელმძღვანელთა პორტრეტების წინ.**

პოლპოტელებმა, რომლებიც ერთმანეთს სახელების ნაცვლად, ნომრებით მიმართავდნენ: „ამხანაგი №1“, „ამხანაგი №2“ და ა.შ (**თავად პოლ პოტი ამხანაგი № 78 გახლდათ**), ყველა ქვეყანასთან გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები, არ მუშაობდა საფოსტო და სატელეფონო კავშირები, ქვეყანაში შესვლა-გასვლა იკრძალებოდა. კამბოჯელი ხალხი მთელი მსოფლიოსგან იზოლირებული აღმოჩნდა. **სსრკ-ის კა-გე-ბემ სცადა კამპუჩიაში აგენტურული ქსელის შექმნა, მაგრამ საბჭოთა ჩეკისტებისთვისაც კი ეს შეუძლებელი აღმოჩნდა**! რეალურ და წარმოსახვით მტრებთან საბრძოლველად პოლ პოტმა პატიმართა ბანაკებში წამებისა და ეგზეკუციის დახვეწილი სისტემა შემოიღო.

**„ნაციონალური აღორძინების“ მიზნის მისაღწევად რეჟიმი წამებას განსაკუთრებულ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდა.** წამების მეთოდთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო წყლით წამება, ჯვარზე გაკვრა, ცელოფნის პარკით გაგუდვა. მთელ კამბოჯაში ამ თვალსაზრისით ყველაზე ცნობილი ბანაკი იყო ობიექტი S-21.

1978 წლის დეკემბერში ვიეტნამის ჯარები კამბოჯის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 1979 წლის დასაწყისში მათ პნომპენი დაიკავეს. რამდენიმე საათით ადრე კი პოლ პოტმა დაცარიელებული ქალაქი დაჯავშნული „მერსედესით“ დატოვა და ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ჯუნგლებს შეაფარა თავი. **1998 წლის 14 აპრილს კაცი, რომელმაც კამბოჯა სიკვდილის ველებად აქცია, გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი ცხედარი ყუთებსა და ავტომანქანების საბურავებზე დაასვენეს და დაწვეს**.

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, 72 წლის პოლ პოტმა დასავლელ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა, იგი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ არაფერს ნანობდა...


კამბოჯა. დახოცილთა თავის ქალები


წამების პროცესი „S-21“-ში

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სმოლენსკის ბრძოლა და «სტალინის ორღანი»

**ომის საწყის პერიოდში წითელი არმიის მიერ ზედიზედ განცდილი მარცხის შემდეგ, ვერმახტის უმაღლეს სარდლობას მიაჩნდა, რომ სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებს უკვე აღარ შეეძლოთ თავდაცვა უმნიშვნელოვანესი მიმართულებებითაც კი. 8 ივლისს ჰიტლერთან გამართულ თათბირზე ომის გაგრძელების შემდგომი გეგმები დაზუსტდა. კერძოდ, არმია „ცენტრის“ ჯგუფს, სმოლენსკის რაიონში საბჭოთა ჯარების ალყაში მოქცევისა და განადგურების შემდეგ, მოსკოვზე იერიში უნდა მიეტანა მხოლოდ ქვეითი შენაერთებით, ვინაიდან გოტის მესამე სატანკო ჯგუფი „ჩრდილოეთისთვის“ უნდა მიეშველებინათ ლენინგრადის სწრაფად ასაღებად, ხოლო გუდერიანის მეორე სატანკო ჯგუფი და რეიხის მეორე საველე არმია „სამხრეთის“ ჯგუფს უნდა დახმარებოდნენ.**



ჰაინც გუდერიანი



სმოლენსკის ბრძოლა



სემიონ ტიმოშენკო

საბჭოთა სარდლობა მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერებას ლამობდა და ძირითად ყურადღებას უწინდებურად ყველაზე სახიფათო — დასავლეთის მიმართულებას უთმობდა. **იქ მოქმედ დასავლეთის ფრონტის ჯარებს ამოცანად დაუსახეს, არ დაეშვათ მტრის წინსვლა მოსკოვისკენ**. ამისათვის კი თავდაცვითი ზღუდის შექმნა იყო საჭირო: მდინარე დასავლეთ დვინიდან ვიტებსკამდე, ორშამდე, მდინარე დნეპრიდან ლოევამდე. თუმცა ამ ამოცანის შესრულება დათქმულ ვადაში ვერ მოხერხდა.

დასავლეთის ფრონტის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო ცდილობდა, ძირითადი ძალები სმოლენსკის კარიბჭის — დასავლეთ დვინისა და დნეპრის შუამდინარეთის შენარჩუნებისკენ მიემართა, საითკენაც მე-16, მე-19 და მე-20 არმიათა ჯარები წარმართა.

ფრონტის შემადგენლობაში მყოფი შვიდი არმიიდან ს. კ. ტიმოშენკომ პირველ ეშელონად გამოყო ხუთი (13, 19, 20, 21, 22); მეორე ეშელონი უნდა შეედგინა ფრონტის ზურგში დაკომპლექტებულ მე-4 და უკრაინიდან გადმოსროლილ მე-16 არმიებს.

**სმოლენსკის ბრძოლის დასაწყისისთვის, ვადების სიმცირისა და დასახული ღონისძიებების კოლოსალური მოცულობის გამო, საბჭოთა სარდლობამ მყარი და ფართო თავდაცვითი ფრონტის შექმნა ვერ მოახერხა. თავდაცვისთვის მზად იყო მხოლოდ 37 დივიზია (66 დივიზიიდან), თანაც არმიის პირველ ეშელონში სულ 24 დივიზია მოქმედებდა: 275 ათასი კაცი, 135 ტანკი, 2116 საბრძოლო შეიარაღება და ყველა კალიბრის 1300 ნაღმმტყორცნი. ძალთა თანაფარდობით, უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეზე იყო: მებრძოლებში — 1.5:1-ზე, არტილერიაში — 1.7:1-ზე და ტანკებში — 7:1-ზე.**

სმოლენსკის ბრძოლა 10 ივლისს დაიწყო და ორი თვე გაგრძელდა. ამას კი არ ელოდა გერმანიის სარდლობა.

დასავლეთის ფრონტის დაცვაში ყველაზე სუსტი ადგილი მე-20 და 22-ე არმიების შეპირაპირება აღმოჩნდა. ამ მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა ჯერ კიდევ 9 ივლისს დატოვეს ვიტებსკი, რამაც საშუალება მისცა გოტის სატანკო ჯგუფის მე-20 სატანკო დივიზიას, მეორე დღესვე წაეწია აღმოსავლეთისკენ. ფრონტის ხელმძღვანელმა ტიმოშენკომ გადაწყვიტა, მე-19, მე-20, 22-ე არმიების ერთობლივი მოქმედებებით, ავიაციასთან ერთად, გაენადგურებინა წინგაჭრილი მოწინააღმდეგე და ვიტებსკის აღების შემდეგ გამაგრებულიყო იდრიცის, პოლოცკის, ორშის მოშორებით და დნეპრის ფრონტებზეც. გენერალ-პოლკოვნიკ ფ. ი. კუზნეცოვის 21-ე არმიას უბრძანეს, იერიში მიეტანა გოროდიშჩესა და ბობრუისკის მიმართულებით, ხოლო სამხრეთით შეტევა განეხორციელებინა მოწინააღმდეგის მოგილევის დაჯგუფების ზურგში, თუმცა მტერმა საბჭოთა ჯარები ორ ნაწილად დაშალა და ღრმად შეიჭრა მის ფლანგებში. მაშინ ტიმოშენკომ არმიის მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ ფ. ა. ერშაკოვს უბრძანა,

**„მოწინააღმდეგის დაწინაურებული ტანკების გასანადგურებლად თითოეულ დივიზიაში შეექმნა რაზმები, რომლებიც ალყაში მოაქცევდნენ მტერს და გაანადგურებდნენ.“**

ბრძოლაში ჩაერთო ავიაციაც, რომელსაც გერმანულ ტანკებზე იერიში უნდა მიეტანა სპეციალური ტერმიტული ბურთებითა და ცეცხლოვანი მასით სავსე ამპულებითა და ბოთლებით. ამ ღონისძიებების მიუხედავად, გერმანელებმა მაინც შეძლეს ფრონტის მარჯვენა ფლანგის გარღვევა.

სასტიკი ბრძოლების შემდეგ გენერალ-ლეიტენანტ ი.ს. კონევის მე-19 არმია ცალკეულ ჯგუფებად გაემართა აღმოსავლეთისკენ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა მტერმა, რომელმაც 15 ივლისს სმოლენკის აღმოსავლეთით, იარცევოსთან ხელში ჩაიგდო მოსკოვისკენ მიმავალი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი. იმავდროულად 29-ე მოტორიზებულმა დივიზიამ სმოლენსკის მარცხენა განაპირა ნაწილი აიღო. შედეგად, სმოლენსკის რაიონში სამი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა მე-16, მე-19 და მე-20 არმიები. 16 ივლისს, ნეველის აღების შემდეგ, გერმანელებმა მის დასავლეთით ალყა შემოარტყეს 22-ე არმიის 51-ე მსროლელ კორპუსს, ხოლო 29-ე მოტორიზებულმა დივიზიამ სმოლენსკი დაიკავა.



მე-16 არმიის შტაბი იარცევოში

17 ივლისს აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზა მოწინააღმდეგეს გენერალ კ. როკოსოვსკის მიერ ფორმირებულმა საბრძოლო ჯგუფმა გადაუღობა, 38-ე მსროლელი და 101-ე სატანკო დივიზიების შემადგენლობით, რომელმაც სასტიკი ბრძოლებით 10 დღეზე მეტხანს შეძლო მტრის შეჩერება.

**ორშთან ბრძოლებისას პირველად გამოიყენეს რეაქტიული არტილერია.** 14 ივლისს, 15 საათსა და 15 წუთზე კაპიტან ი. ა. ფლეროვის ბატარეამ იერიში მიიტანა ორშის სარკინიგზო კვანძზე, სადაც საბრძოლო მასალებითა და საწვავის ცისტერნებით სავსე გერმანული ვაგონები იდგა. **საათ-ნახევრის შემდეგ ბატარეამ ზალპი მისცა მდინარე ორშიცის გადასასვლელზე. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა და მის რიგებში პანიკა დაიწყო. გადარჩენილი ჰიტლერელები ტყვედ ჩავარდნენ. ამ საოცარ იარაღს საბჭოთა მებრძოლებმა სიყვარულით — „კატიუშა,“ ხოლო გერმანელებმა „სტალინის ორღანი“ (Stalinorgel) უწოდეს.**

მძიმე ვითარება შეიქმნა მოგილევის მიმართულებით, სადაც მე-13 არმია თავს იცავდა. გუდერიანის სატანკო ჯგუფი დნეპრზე, მის ფლანგებზე ფორსირებდა. სასტიკი ბრძოლები დღედაღამ მიმდინარეობდა.

17 ივლისს გერმანულმა მე-3 სატანკო დივიზიამ კრიჩევი აიღო, მე-13 არმიის ზურგში მოექცა და ჩაუსის რაიონში მის ნაწილს ალყა შემოარტყა. მე-4 და მე-13 არმიათა ჯარებს მძიმე ბრძოლების წარმოება მოუხდათ სამ იზოლირებულ რაიონში, ფაქტობრივად, მტრის ზურგში, და ასეთ გამოუვალ მდგომარეობაშიც კი მოწინააღმდეგეს დიდი დანაკლისი განაცდევინეს: შეაჩერეს იგი მდინარე სოჟზე, სადაც, მსტისლავლიდან კრიჩევამდე მონაკვეთში თავდაცვის სტაბილიზება მოახდინეს 1 აგვისტომდე, ხოლო კრიჩევიდან სლავგოროდამდე — 8 აგვისტომდე.

სმოლენსკის დაცემამ უმაღლესი მთავარსარდლობის მკაცრი რეაქცია გამოიწვია — **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დასავლეთის ფრონტის სარდლობისგან მოითხოვა, აღეკვეთა საევაკუაციო განწყობა და არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო სმოლენსკი მტრისთვის**.

სმოლენსკისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაგრძელდა. 17 და 18 ივლისს შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, ქალაქის ცალკეული რაიონები ხელიდან ხელში გადადიოდა. 19 ივლისის დილას მოწინააღმდეგემ ქალაქის დიდი ნაწილი აიღო. სმოლენსკისთვის ბრძოლა ივლისის ბოლომდე გაგრძელდა. **ქალაქი უკანასკნელებმა 46-ე, 129-ე და 152-ე მსროლელმა დივიზიებმა დატოვეს**.

მედგარი თავდაცვის თანადროულად, სმოლენსკის მიმართულებით დასავლეთის ფრონტს კონტრიერიში მიჰქონდა მარცხენა ფლანგზე, სადაც 13 ივლისს იერიშზე გადავიდა 21-ე არმია, რომელსაც გენერალი ფ. ი. კუზნეცოვი მეთაურობდა. ძირითადი როლი აქ 63-ე მსროლელმა კორპუსმა ითამაშა, რომელმაც იმავე დღეს 8-10 კმ-ით წაიწია წინ და პირველი ქალაქები: როგაჩევი და ჟლობინი, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც გაათავისუფლა ოკუპანტებისგან.

63-ე მსროლელი კორპუსის იერიში დასავლეთიდან მოსულმა მოწინააღმდეგის საარმიო კორპუსმა შეაჩერა.

მძიმე ბრძოლები გაიმართა „ცენტრის“ სარეზერვო ჯგუფიდან აქ გადმოსროლილ 43-ე საარმიო კორპუსსა და ორ ქვეით დივიზიასთან. **21-ე არმიის იერიშის მოსაგერიებლად, რომელიც გუდერიანის სატანკო ჯგუფს ღრმა ზურგში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, ფელდმარშალ ბოკს 15-მდე დივიზიის მოზიდვა დასჭირდა, რომელთაგან რვამ მძიმე დანაკლისი განიცადა ფიცხელ ბრძოლებში**.

13 ივლისს ხელმოწერილ №33 დირექტივაში ჰიტლერმა არმია „ცენტრის“ ჯგუფს, ალყაშემორტყმული საბჭოთა ჯარების განადგურების შემდეგ, მოსკოვზე იერიშის მიტანა უბრძანა. მოსკოვზე შეტევა მხოლოდ ქვეითი შენაერთებითა და სატანკო ჯარების ნაწილით უნდა განხორციელებულიყო. ამიერიდან ვერმახტის მთავარი ძალისხმევა სამხრეთ-დასავლეთით უნდა მიმართულიყო, უკრაინაში საბჭოთა ჯარების განადგურების მიზნით. საბჭოთა მთავარსარდლობამ კი მთელი ყურადღება მოსკოვის მიმართულებით გადაიტანა. სტარაია რუსას, ოსტაშკოვის, ბელის, ელნის, ბრიანსკის მიჯნაზე, ანუ დასავლეთის ფრონტის ზურგში გენერალ-ლეიტენანტ ი. ა. ბოგდანოვის ხელმძღვანელობით სარეზერვო არმიების ფრონტის თავდაცვა იქმნებოდა.

**ახალ ფრონტში გაერთიანდნენ ენ-კა-ვე-დეს მიერ ფორმირებული დივიზიები შინაგანი და სასაზღვრო ჯარების საკადრო შემადგენლობებიდან**. მოსკოვის შორეულ მისადგომებთან შეიქმნა მოჟაისკის თავდაცვის ხაზის ფრონტიც.

18 ივლისს გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა გამოსცა დირექტივა სმოლენსკის რაიონში მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევის შესახებ. 5 საარმიო ოპერატიულ ჯგუფს ერთდროულად უნდა შეეტია ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთიდან სმოლენსკის მიმართულებით. 23 ივლისს როსლავლის რაიონში პირველი იერიში მიიტანა კაჩალოვის ჯგუფმა, მეორე დღეს შეტევაზე გადავიდა ხომენკოს ჯგუფი, ხოლო იარცევის რაიონში იერიშს კალინინის ჯგუფი ახორციელებდა. რამდენიმე დღის განმავლობაში როკოსოვსკის ჯგუფი იგერიებდა მოწინააღმდეგის შემოტევას, რომელიც ელნისა და ვიაზმისკენ გაჭრას ლამობდა და მხოლოდ 28 ივლისს შეძლო მტერზე იერიშის მიტანა.

სასტიკი ბრძოლები გრძელდებოდა მოგილევის რაიონშიც: ალყაშემორტყმული საბჭოთა ჯარები მოწინააღმდეგის 4 დივიზიას იგერიებდნენ; 25 ივლისისთვის გაუთავდათ საბრძოლო მასალები, ფრონტის ხაზმა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა. **26 ივლისის ღამით საბჭოთა ჯარებმა ალყის გარღვევა სცადეს, მაგრამ ეს მებრძოლთა ძალზე მცირე ნაწილმა მოახერხა. მოგილევში დარჩენილი ჯარები კი ბოლო ტყვიამდე ისროდნენ. 27 ივლისს ქალაქში მტერი შეიჭრა**.

სმოლენსკთან ბრძოლისას დასავლეთის ფრონტმა დიდი დანაკლისი განიცადა: აგვისტოს დასაწყისში მის დივიზიებში 1-2 ათასი კაცი დარჩა, ხოლო 184 ათასი წითელარმიელი ტყვედ ჩავარდა... თუმცა საბჭოთა ჯარების მედგარმა წინააღმდეგობამ „ცენტრი“ დაასუსტა. **აი, რატომ მოაწერა ხელი ჰიტლერმა №34 დირექტივას, რომლის მიხედვითაც არმია „ცენტრის“ ჯგუფი თავდაცვაზე უნდა გადასულიყო.**

აგვისტოში მთავარი მოვლენები ცენტრალური ფრონტის ზოლზე განვითარდა. ავიაციის დიდი ძალების მხარდაჭერით, შეტევაზე გადავიდნენ გუდერიანის შენაერთები, რომლებმაც 21 აგვისტოს კლინცი და სტაროდუბი დაიკავეს, გენერალ ვეიხსის არმიამ კი გომელი აიღო.

**30 აგვისტოს მტერს თავზე 800 საბრძოლო იარაღის, ნაღმმტყორცნისა და სარაკეტო დანადგარების ცეცხლი დაატყდა და 4 დღის შემდეგ იძულებული გახდა, უკან დაეხია. 6 სექტემბერს ელნი გათავისუფლდა და შესაბამისად, მოწინააღმდეგემ დაკარგა პლაცდარმი საბჭოთა ჯარების ფლანგებზე შესატევად**. გერმანულმა დივიზიებმა 45 ათასი მებრძოლის დანაკლისი განიცადეს. **სწორედ აქ, ელნთან იშვა წითელი გვარდია.**

10 სექტემბერს საბჭოთა მთავარსარდლობამ იერიშის შეწყვეტა ბრძანა, რადგან საბჭოთა ჯარები მეტისმეტად გამოიფიტნენ. დასრულდა სმოლენსკის ბრძოლა, რომლის **უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იყო, რომ მოსკოვისკენ ვერმახტის გამალებული წინსვლის გეგმამ მარცხი განიცადა...**

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «საკრედიტო ისტორია» — თოკი, რას ნიშნავს «ფინანსური ლობი» და რატომ ვერ დააღწევთ თავს ერთხელ აღებულ კრედიტს

**თეთრი სახლის ყოველდღიური პრესრელიზების სათაურების მიხედვით, შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ ქვეყანაში დიდი გარდასახვების პერიოდია: ინიციატივებს ბოლო არ უჩანს და პრობლემებიც მოულოდნელად იჩენს თავს. ამერიკის უპირატესობა იმაშია, რომ აქ ყველაფერზე გახსნილად საუბრობენ. ასეთი დუღილის ფონზე ვერც შენიშნავ, რომ რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ ცოტა პოზიტიური ცვლილებაა, მტკივნეული საკითხები კი ათწლეულობით გადაუჭრელი რჩება. ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი დისფუნქციონირებული ფინანსური და საბანკო ინდუსტრიაა, რომელმაც ფინანსურ კრიზისამდე მიიყვანა მსოფლიო და რომელსაც ახლაც არ სურს, შეიცვალოს.**

თითქოს ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ფული ჩვეულებრივი საქონელია, რომელიც ეკონომიკის განვითარებისთვისაა საჭირო. ბანკი მაღაზიაა, რომელიც ფულით ვაჭრობს. სინამდვილეში საბანკო და ფინანსურმა სისტემამ ცხოვრების ყველა სხვა განშტოება დაიმორჩილა. 1980-იანი წლებიდან ფულის კეთება მთავარი გახდა. საქონლისა და სერვისის წარმოება თანამედროვე ამერიკული ეკონომიკის მოდელში განიხილება, როგორც ფულის კეთების გვერდითი მოვლენები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკა არის არა სახელმწიფო, რომელსაც აქვს თავისი ფინანსური ინდუსტრია, არამედ ფინანსური ინდუსტრიაა, რომელსაც აქვს თავისი სახელმწიფო. ეს ყველაფერი კი კონგრესში არსებული ფინანსური ლობის საშუალებით მუშაობს.

**„დაუჯერებელია, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან ერთი წლის შემდეგ არა მხოლოდ მთავარი დამნაშავეები არ დასჯილან, არამედ მთელი სისტემა ხელუხლებელი დარჩა“, — ამბობს პოლიტიკური მწერალი რონ სასკინდი, წიგნის „ძალიან დიდები საიმისოდ, რომ დაეცნენ“ ავტორი.**

ვერ ვიტყვით, რომ ობამას ადმინისტრაცია არაფერს აკეთებდა. ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა საბანკო ინდუსტრიისათვის ახალი წესები და სახელმძღვანელოები გამოაქვეყნა: **საკუთარი და ნასესხები კაპიტალის გამოყენება მოგების მისაღებად, ყველანაირი ეგზოტიკური ფასიანი ქაღალდებისა და ვალდებულებების ჩრდილოვანი ფინანსური ბაზრის რეგულირება.**

მაგრამ სინამდვილეში არაფერი შეცვლილა და ეს ფინანსური ლობის დამსახურებაა. მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ფინანსურმა ინდუსტრიამ ლამის ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა მთელი მსოფლიო, სენატის ფინანსური კომისიის თავმჯდომარემ კრის დოდმა განაცხადა, რომ ამ სისტემას ჰყავს „ყველაზე ძლიერი ლობი ვაშინგტონში და ისინი გახსნილად ფლობენ ამ ტიტულს“...

**ფინანსური ლობის ძალამ რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო ზრდა. სწორედ მაშინ დადგა ფინანსური ინდუსტრიის კონტროლის შესუსტების ერა. პარადოქსია, მაგრამ ყველა ფინანსური კრიზისის შემდეგ იზრდებოდა ფინანსური ლობის გავლენა. 1984 წლის კოლაფსი „Continental Illinois National Bank & Trust“ (მაშინ ამერიკული ფინანსური სისტემის გადასარჩენად ასი მილიარდი დოლარის სახელმწიფო დოტაცია გახდა საჭირო); 1994 წლის მექსიკური კრიზისი; 1997 წლის აზიური კრიზისი; 1998 წლის „Long-Term Capital Management“-ის დაშლა, რამაც მთელი მსოფლიოს ფინანსური სისტემა კრიზისის ზღვრამდე მიიყვანა... სიაში უკანასკნელი — მსოფლიოში უმსხვილესი ჰეჯფონდის კრახი 2008 წლის მსოფლიო კრიზისის გენერალური რეპეტიცია იყო.**

ჰეჯფონდი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბირჟაზე სპეკულაციებს. იქ მშვენივრად ესმით, რომ კრედიტებისა და ვალების ვალდებულებების ბაზარი გაცილებით შემოსავლიანია, ვიდრე საქონლისა და მომსახურების რეალურ ღირებულებებზე დაფუძნებული უბრალო აქციების ბაზარი. ვალების ვალდებულებების ბაზარი ეშმაკური მათემატიკური მოდელების შექმნისა და ფანტასტიური შემოსავლების მიღების უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა. მაგალითად, ვალების რთული პროცენტები შეიძლება ითვლებოდეს წელიწადში ერთხელ, თვეში ერთხელ ან ყოველ წუთს. რაც ხშირად დაითვლება, მით მეტი გამოვა ბოლოს. მაგრამ მხოლოდ ჭკვიანური მათემატიკა საკმარისი არაა. საჭიროა არსებულ სახსრებზე მნიშვნელოვნად ბევრი ფულით ოპერირება. ეს სხვისი ფულის გასესხებას ნიშნავს, თანაც — ძალიან ბევრი ფულის. თუ საქმე კარგად მიდის, უზარმაზარი შემოსავალი მოდის, მაგრამ თუ საქმე ცუდად მიდის, ასეთი ვაჭრობის შედეგად დანაკარგები გაცილებით მეტია, ვიდრე რეალური ფულით ოპერირებისას.



NOVUS ORDO SECLORUM — ახალი მსოფლიო წესრიგი

**სწორედ ეს დაემართა „Long-Term Capital Management“-ს (LTCM), მაგრამ მაშინ ხელისუფლებამ კლასიკური კაპიტალისტური სისტემისათვის შეუძლებელი ნაბიჯი გადადგა. უკანასკნელ წუთებში ნიუ იორკის ფედერალურმა რეზერვმა საეჭვო ფინანსისტების გამოსყიდვა მოაწყო. ფედერალურმა რეზერვმა უოლ-სტრიტის უმსხვილესი ფირმები დაარწმუნა, რომ უნდა გადაერჩინათ, რადგან „LTCM ძალიან დიდია საიმისოდ, რომ დაეცეს“. გარიგებას ხელი მოაწერეს ფედერალური რეზერვის მაშინდელმა ყოვლისშემძლე ხელმძღვანელმა ალან გრინსპენმა და ბილ კლინტონის კაბინეტის ფინანსთა მინისტრმა რობერტ რუბინმა. გარიგებას მხარი დაუჭირეს ორი პარტიის კანონმდებლებმა.**

LTCM სულ რამდენიმე მილიარდი დოლარი ღირდა, მაგრამ არავინ მოინდომა, ყურადღება მიექცია იმისათვის, რომ შედარებით არც თუ დიდი ფირმის კრახს შეეძლო მსოფლიო ფინანსური სისტემა გაენადგურებინა. არავის უკითხავს, რა მოხდებოდა, თუ მასზე ათჯერ ან ასჯერ დიდი ფინანსური დაწესებულება გაკოტრდებოდა. არ უკითხავთ იმიტომ, რომ საქმეს უძღვებიან არა ფინანსური ინდუსტრიის კონტროლისათვის მოწოდებული კანონმდებლები და ორგანიზაციები, არამედ — ამ ინდუსტრიის ფინანსური ლობი.

**„ლობი არის ყვავილი, რომელიც მხოლოდ სიბნელეში ყვავის,“** — ეს კიდევ ერთი უძლიერესი, პროისრაელური ლობის — AIPAC–ის ყოფილი ხელმძღვანელის სტივ როზენის ფრაზაა. განმარტება აშშ-ში მოღვაწე ყველა ლობს შეესაბამება. ლობის სამუშაო არასდროს სრულდება თავად ლობისტების ხელით. ზოგჯერ ეს კონგრესის მიერ მიღებული კანონია, ზოგჯერ — საგადასახადო კანონმდებლობაში გამონაკლისის დაშვება, რომელსაც მეგობრულად განწყობილი სენატორები ბიუჯეტში ჩართავენ ხოლმე, ხანდახან ეს ფედერალური რეზერვის წესებია, ხანდახან — ფინანსური ინდუსტრიის მაკონტროლებელი სახელმწიფო უწყებების უმოქმედობა.

**ლობს ყველაზე ნაკლებად უნდა, რომ ინდუსტრიის ქმედებას რაღაც წესებით ზღუდავდნენ. 1999-დან 2009-წლამდე ფინანსური ლობები დიდი წარმატებით ახერხებდნენ ფინანსური სისტემის რეფორმირების ნებისმიერი მცდელობის დაბლოკვას. უფრო მეტიც, მათ შეძლეს იმ შეზღუდვების ნარჩენების განადგურება, რაც ამერიკის დიდ დეპრესიამდე მიყვანის მიზეზის, 1920-იანი წლების დასასრულის ფინანსური კრახის შემდეგ დარჩა.**

LTCM-ის კრახის შემდეგ კონგრესმა მიიღო ორი კანონი — ფინანსურ მომსახურებათა მოდერნიზაციის აქტი და სასწრაფო სასაქონლო გარიგებების მოდერნიზაციის აქტი. პირველი კანონი სინამდვილეში აუქმებდა 1933 წლის გლას-სტიგალის აქტს, რომელმაც მკაცრად განაცალკევა შემნახველი და საინვესტიციო ბანკები. შემნახველმა ბანკებმა სახელმწიფო გარანტიები მიიღეს, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება, სარისკო თამაშები მეანაბრეთა ფულით ეწარმოებინათ. საინვესტიციო ბანკებს შეეძლოთ ეკეთებინათ, რაც სურდათ, ოღონდ მხოლოდ საკუთარი ფულით და ჩავარდნის შემთხვევაშიც მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ.

დაახლოებით 1970-იანი წლებიდან ეს სიტუაცია უოლ-სტრიტს აღარ აწყობდა. იქ შემნახველ სალაროებში დაგროვილი უზარმაზარი ფულით სურდათ თამაში და ბინებისა და ბიზნესების გარანტიით კრედიტების გაცემა. ფინანსური ინდუსტრია ლობირებდა კონგრესს, ფედერალურ რეზერვსა და სახელმწიფო ხაზინას. მხოლოდ 1988 წელს მათ ლობირებისთვის 209 მილიონი დოლარი დახარჯეს. ბოლოს და ბოლოს, ინდუსტრიამ თავისას მიაღწია: შემნახველი ბანკების მეანაბრეთა ფულით თამაშის უფლება მიიღო. შემნახველი ბანკები თავად იქცნენ გიგანტურ ჰეჯფონდებად.

**ვალების ვალდებულებების ბაზარი ეშმაკური მათემატიკური მოდელების შექმნისა და ფანტასტიური შემოსავლების მიღების უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა.**



ნიუ იორკის ბირჟის დარბაზი

## კაზინო „უოლ-სტრიტი“

**ფასიანი ქაღალდების მწარმოებელი ფინანსური სპეკულაციის სამყარო სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. ფინანსურ ინდუსტრიას სურდა, სახელმწიფოს მხრიდან აქ რაიმე წესების დამყარების ნებისმიერი მცდელობისაგან თავი დაეზღვია. სწორედ ამის შესაძლებლობა მისცა მას მეორე კანონმა — დაუყოვნებელი გარიგებების „მოდერნიზაციამ“. კანონმა მოხსნა შეზღუდვები არასაბირჟო გარიგებებზე, სპეკულაციური საბროკერო კანტორების შექმნაზე. ეს კანტორები იმ საფონდო ღირებულებებით თამაშობდნენ, რომლებსაც ფაქტიურად არ ფლობდნენ.**

უოლ-სტრიტი იქცა კაზინოდ, რომელშიც ამერიკელთა უმეტესობამ თავისი საპენსიო დანაზოგების 20-40% დაკარგა. მაშინ მოდერნიზაციასა და ლიბერალიზაციაზე, მეანაბრეების ნაციონალურ სიმდიდრეში ჩართვაზე, ბაზრის თავისუფლებაზე, მესაკუთრეთა საზოგადოებაზე საუბრობდნენ.

**„თავისუფალი ბაზრის“ კანონებს ორივე პარტიამ დაუჭირა მხარი. ინიციატორები იყვნენ რესპუბლიკელი კონგრესმენები — გრამი, ლიჩი და ბლილი. ამასთანავე, კანონებს მხურვალედ უჭერდნენ მხარს ფედერალური რეზერვის ყოვლისშემძლე ხელმძღვანელი ალან გრინსპენი და ფინანსთა დემოკრატი მინისტრი რობერტ რუბინი, რომელიც წარსულში საინვესტიციო ბანკ გოლდმან-საქსის უფროს ფინანსურ მენეჯერად მუშაობდა.**

მოგვიანებით რუბინი მინისტრის სავარძლიდან სითიბანკის მაღალი რანგის მენეჯერის სავარძელში გადაბრძანდა. იმ კანონის წყალობით, რომელიც დიდი ენთუზიაზმით გაიტანა, რუბინმა გასული რვა წლის მანძილზე 126 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

**ჰეჯფონდები 1999-2000 წლების დერეგულაციის ლობირებაში არ მონაწილეობდნენ, მათ სხვა ამოცანები ჰქონდათ. ბანკირები დიდ ფულს შოულობენ, მაგრამ, ვისაც წელიწადში მილიონი დოლარი ეცოტავება, ჰეჯფონდში მიდის. როგორც წესი, იქ მენეჯერი მათი კონტროლის ქვეშ მყოფი საკუთარი ქონების 2%-ს და ინვესტიციებიდან 20%-ს იღებს. წარმატებულ მენეჯერს წელიწადში ათობით, ხანდახან ასობით მილიონი დოლარის ჯიბეში ჩადება შეუძლია. მათ შემოსავლებს მხოლოდ საგადასახადო სამსახური ემუქრება. ამიტომაც** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რომლით ჩამოსხრჩობაც არავის ასცდება

**ჰეჯფონდებმა ამაზეც იზრუნეს და გადასახადების უსინდისობამდე მინიმალიზებას მიაღწიეს. ახლა ისინი ხაზინას საშემოსავლო გადასახადის სახით 15%-ს უხდიან, მაშინ, როდესაც 35%-ს უნდა უხდიდნენ.**

ძნელი გასარკვევია, ეს როგორ მოახერხეს, მაგრამ დემოკრატმა სენატორმა ნიუ იორკიდან ჩაკ (კარლ) შუმერმა შეძლო, რომ მენეჯერების ახალი, უმდიდრესი კლასისთვის ეს შეღავათი დაეკანონებინა. მაშინ შუმერმა განაცხადა, რომ შეღავათების გაუქმებას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუ სარისკო ფონდებისა და უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიებისათვის გადასახადებს გაზრდიდნენ. ამით მან იმდენი ჯგუფის ინტერესები დააპირისპირა, რომ ჰეჯფონდების ექსტრაორდინალური შეღავათები ხელუხლებლად დარჩა. მილიონი დოლარის შემოწირულობისთვის შუმერმა ხაზინის მრავალმილიარდიან დანაკარგებს მიაღწია.

**ახლა შუმერის კანცელარიაში აცხადებენ, რომ სენატორი ფინანსური ინდუსტრიისაგან დამოუკიდებელია და მხოლოდ ამომრჩეველთა ინტერესებით ხელმძღვანელობს. მაგალითად კი სწორედ სარისკო ფონდებისა და უძრავი ქონების ინვესტიციების მიმართ გადასახადების გადახდევინებისათვის მისი „ბრძოლა“ მოჰყავთ.**

**გასაკვირი არაა, რომ ჩაკ შუმერი შემოწირულობების წარმატებულ შემგროვებლად ითვლება. მისი უმსხვილესი დონორი ის ფინანსური ინდუსტრიაა, რომელიც წელიწადში 14 მილიონს აძლევს. შუმერმა იმდენი დააგროვა, რომ 2005-დან 2008-წლამდე მთლიანად უარი განაცხადა თავისთვის ფულის შეგროვებაზე. სამაგიეროდ, 284 მილიონი დოლარი მოაგროვა დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კომიტეტისათვის. მხოლოდ 2007 წლის ივნისში, როდესაც ჰეჯფონდებისთვის შეღავათების ლობირებამ პიკს მიაღწია, ჰეჯფონდებმა დემოკრატების საარჩევნო კომიტეტს 800 000 დოლარი გადასცეს. 2008 წლის არჩევნებზე დემოკრატებმა შუმერის წინააღმდეგ თავიანთი კანდიდატიც კი არ წარმოადგინეს.**

**საკრედიტო ისტორია ყველა ამერიკელის თანმდევია და მის მიხედვით განისაზღვრება ადამიანის საიმედოობა ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში. ბოლო დროს საკრედიტო ისტორიას ითხოვენ ადამიანის სამსახურში მიღების დროსაც. კრედიტუნარიანობის შემფასებელთა როლი ამით არ ამოიწურება. კანონის თანახმად, ისინი ვალდებულნი არიან, ყველა ფასიანი ქაღალდის რეიტინგის შეფასება აწარმოონ. ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც სოლიდურად ითვლებიან, ვალდებულნი არიან, საინვესტიციო საქმიანობისას ამ რეიტინგებით იხელმძღვანელონ. საპენსიო და სანდო ფონდებმა იმიტომ მოახერხეს სარისკო დერივატივებით თამაში, რომ მათ უმაღლესი რეიტინგი „AAA“ ჰქონდათ მინიჭებული.**



**1999-დან 2009-წლამდე ფინანსური ლობები დიდი წარმატებით ახერხებდნენ ფინანსური სისტემის რეფორმირების ნებისმიერი მცდელობის დაბლოკვას.**





Burger King CEO: Turnaround Recipe
Talbots Suits Up To Fight 'Dowdy'
A Real-Estate Bet Is Clouding a Star
THE WALL STREET JOURNAL.
What's News—
Stocks Surge as 2 Major Banks Advance Turnaround Plans
UBS, Lehman Act To Bolster Capital; More Pain to Come?
Toyota Feels Pinch Along With Big 3 As Sales Dive

## „ასეთ პროცენტებს მაფია არ იღებს“...

**უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში აშშ-ში გაჩნდა მრავალმილიარდიანი ინდუსტრია, რომელიც ფულს ოვერდრაფტის საშუალებით გამოიმუშავებს. საუბარია არა კომერციულ საბანკო პროცენტებზე, არამედ — ათასგვარ ჯარიმაზე, რომელსაც ბანკები საკუთარი შეხედულებისამებრ აწესებენ. ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციების რენტაბელობა ეცემოდა და ბანკებმა ათასგვარ მანიპულაციას მიმართეს, რათა კლიენტები ოვერდრაფტში ჩაერთოთ, შემდეგ კი ეშმაკური ალგორითმებით მათგან ჯარიმები ამოეღოთ. გამოიყენებოდა ყველა მეთოდი ანგარიშების გაყინვიდან ოვერდრაფტის მინიჭების მაცდუნებელი სერვისების შეთავაზებამდე.**

ვთქვათ, ბარათზე ფული მთავრდებოდა, კლიენტმა კი ამის შესახებ არ იცოდა და კაფეში დახარჯული 10-15 დოლარის გადახდას ამ ბარათით ცდილობდა. იხდიდა კიდეც, ოღონდ შემდეგ ამ თანხის სანაცვლოდ ოვერდრაფტით სარგებლობისათვის 35 დოლარის გადახდა ეკისრებოდა, პლუს იმ ოვერდრაფტის პროცენტები, რომელიც ხუთი დღის განმავლობაში იფარებოდა. შედეგად ბანკი ყოველ დახარჯულ ერთ დოლარზე 2-3 დოლარს შოულობდა, წლიური გათვლით 10 000%-ს.

რომელიღაც მიმომხილველმა აღნიშნა — მაფია ასეთ პროცენტებს არ იღებს. საერთო ჯამში ქვეყნის მასშტაბით ოვერდრაფტებთან დაკავშირებული მანიპულაციებით საშუალოდ წელიწადში 40 მილიარდი დოლარი კეთდება. გარდა ამისა, ათასგვარი მანიპულაციების შედეგად ბანკები თავად ითრევდნენ კლიენტებს გადახარჯვებში.

**გაინტერესებთ, როგორ მოახერხეს ბანკებმა სესხებზე კანონით დადგენილი უმაღლესი საპროცენტო განაკვეთების გადაჭარბება? ძალიან მარტივად. 2004 წელს ფინანსური ლობის ზეწოლის შედეგად ფედერალურმა რეზერვმა დაადგინა, რომ ოვერდრაფტის ჯარიმები სესხი არაა.**

საბაზრო ეკონომიკა დიდი წარმატებით ექაჩებოდა ფულს ამერიკელთა 90%-ის ჯიბიდან და პირდაპირ ზემდიდარ 10%-ს აძლევდა ხელში. კეთილდღეობის რეალური ზრდა ამერიკელთა ინდივიდუალური დავალიანებებისა და ნაციონალური ვალის არნახული ზრდით შეიცვალა. ახლანდელი თაობა საერთო ჯამში მშობლების თაობაზე ნაკლებს გამოიმუშავებს. ეს პირველი ასეთი თაობაა ამერიკის ისტორიაში.

**XX საუკუნის დასასრულს მომხმარებლის უფლებების დაცვა ამერიკელი კანონმდებლებისათვის უკვე აღარ იყო აქტუალური თემა. მცდელობები, 2000 და 2003 წლებში აქტში „ჭეშმარიტება ვალებში“ მტაცებლური სესხებისა და პრაქტიკის შემზღუდავი ცვლილებები შესულიყო, ჩავარდა.**

22 თებერვალს აშშ-ში ძალაში შევიდა კანონი, რომელსაც საკრედიტო ბარათების ანგარიშგების, ინფორმაციის გახსნისა და პასუხისმგებლობის აქტი ჰქვია. თეთრმა სახლმა და კონგრესის ფინანსურმა კომიტეტმა ბერნი ფრანკის მეთაურობით ეს აქტი წარადგინეს, როგორც ფინანსურ სექტორში ცვლილებებისა და ნანატრი რეფორმების დასაწყისი, როგორც ბანკებისაგან კლიენტების რეალური დაცვა. მაგრამ, მიუხედავად კრიზისისა, ლობისტებმა აქაც მიაღწიეს თავისას, ანუ იმას, რომ კანონი გავრცელდეს მხოლოდ სამომავლო გარიგებებზე, არ შეეხოს ბიზნესების საკრედიტო ბარათებს და არ დაწესდეს შეზღუდვა პროცენტის ოდენობაზე. უფრო მეტიც, ბანკებს მომზადებისათვის ნახევარი წელი მისცეს, შედეგზე კი ეს აისახა როგორც საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა.

## „ბროკერები კლიენტებს თაღლითობას ასწავლიდნენ“...

**50 წლის განმავლობაში ფინანსური ინდუსტრია გაიზარდა. პრინსტონელმა ეკონომისტმა, პროფესორმა იუნგ სონ შინმა 2009 წლის ივნისში გამოაქვეყნა სახალხო მეურნეობის დარგებში ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევა. 1954-1980 წლებში ყველა დარგი დაახლოებით თანაბრად, ათჯერ გაიზარდა. 1980-იან წლებში ფინანსური სფეროს რეიგანისეული გრანდიოზული „ლიბერალიზაციის“ შემდეგ ყველა დარგი, მათ შორის შემნახველი ბანკები, 1980-2008 წლებში ათჯერ გაიზარდა; ფასიანი ქაღალდების ბაზარი კი — ასჯერ.**

1980-2009 წლები სწორედ ის პერიოდია, როდესაც ამერიკული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოდელი შეიქმნა. ფინანსური ინდუსტრიისკენ გადახრა თვალნათლივ შეინიშნებოდა. უოლ-სტრიტი სახალხო მეურნეობისათვის ფინანსური მომსახურების გაწევიდან საკუთარი ფინანსური პროდუქტების წარმოებაზე გადავიდა.

**ბევრი ფული ფინანსურ ინდუსტრიას დაეხმარა რეგულირების გაუქმების ლობირებაში. აშშ-ში პოლიტიკის ფულადი კონტრიბუციები საიდუმლოს არ წარმოადგენს. OpenSecrets.org-ზე ყველაფერია გამოქვეყნებული. მხოლოდ 2008 წლის არჩევნების პერიოდში ფინანსურმა ინდუსტრიამ 457 მილიონი დოლარი დახარჯა (შედარებისთვის — სამედიცინო ლობისტებმა 167 მილიონი დახარჯეს, სოფლის მეურნეობის კორპორაციებმა — 67 მილიონი, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა კი — მხოლოდ 24 მილიონი).**



**საკრედიტო ისტორია ყველა ამერიკელის თანმდევია და მის მიხედვით განისაზღვრება ადამიანის საიმედოობა ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში.**

გასაგებია, რატომ არ მისცა ფინანსურმა ლობმა კონგრესს უფლება, გაეუქმებინა საკრედიტო ბარათის შეთანხმების ყველა აპლიკაციაზე წვრილი შრიფტით წარწერილი „უნივერსალური დეფოლტი“, რომ ბანკს შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით გაზარდოს კრედიტის პროცენტი. ამავე მიზეზით კონგრესმა სრული იგნორირებით უპასუხა გამოძიების ფედერალური ბიუროს გაფრთხილებებს იპოთეკური სესხების გაცემის საქმეში თაღლითობის ეპიდემიის შესახებ. კანონმდებლებს არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ შეზღუდულიყო უძრავი ქონების ბროკერებისათვის სესხიდან საპრემიო პროცენტების გაცემა, ამან კი ბროკერებს გაუმართლებელი რისკებისაკენ უბიძგა.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბროკერები არა მხოლოდ არ იყვნენ დაინტერესებულნი კლიენტების გადახდისუნარიანობის შემოწმებით, არამედ თავად ასწავლიდნენ მათ თაღლითობას და გადახდისუუნარო კლიენტებს ფულის სესხებისკენ უბიძგებდნენ.

**ფედერალური რეზერვი წლობით სრული იგნორირებით პასუხობდა საზოგადოებრივი ჯგუფების მოწოდებებს, შეეზღუდათ სესხების გაცემის უპასუხისმგებლო პრაქტიკა. საკრედიტო კომპანიებმა 10 წელიწადში 100 მილიონი დოლარი დახარჯეს იმისათვის, რომ მიეღოთ კანონი სისხლის სამართლებრივი გაკოტრების შესახებ. ამ კანონის გამო საკრედიტო ბარათების ვალის გაკოტრების მიზეზით ჩამოწერა ფაქტიურად შეუძლებელია. ბანკების ხელშია სტუდენტური სესხების სახელმწიფო სუბსიდიებიც, რასაც ამ ვალების მომსახურებისთვის წელიწადში 8 მილიარდი ემატება და რაც განათლების მიღებას კიდევ უფრო მიუწვდომელს ხდის.**

მაგრამ ფინანსური ლობის მთავარი საფრთხე ამ ქმედებებში არაა. იქმნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგია და საზოგადოებრივ აზრს შთააგონებენ, რომ ეკონომიკაში სწორედ ასეთი გადახრაა ბუნებრივი და სასარგებლო.

**მიხაილ დორფმანი**
www.imperiya.by

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ჰუჯაბის სევდა

## ბოლნისის ხევი

**ჩვენი წინა მოგზაურობა მდინარე ფოლადაურის დასავლეთ სათავესთან დასრულდა. აღმოსავლეთ სათავეს ახქერფისწყალი ჰქვია და ამ მიმართულებით ბოლომდე სიარული არათუ ურთულესი გზის, არამედ საქართველო-სომხეთის არეული საზღვრის გამოც სახიფათოა. ახქერფისწყლის თავში, ჰუჯაბთან ერთად, სოფელ ახქერფიც არის. ეს მცირე სოფელი ერთადერთი დასახლებული პუნქტია ფოლადაურის სათავეში. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აქ შულავერის ხეობიდან გადმოდის გაცილებით უკეთესი გზა. მოსახლეობა სომხურია.**



ჰუჯაბის გუმბათიანი ტაძარი

ახქერფში ჩვენი ძველი ნაცნობი, ოფრეთელი მესაზღვრე გოჩა გვხვდება, რომელმაც ადრე ხოჟორნი, წოფი და გორული მოგვატარა. ახქერფი ქართულად „თეთრ ხიდს“ ნიშნავს. სოფლის ცენტრში, მდინარეზე, მართლაც არის გადებული თეთრი ქვით ნაგები ხიდი. იგი დაახლოებით 370 წლისაა და როსტომ მეფის აგებულია. ხიდი იმდენად მტკიცეა, რომ მსუბუქი მანქანები დღესაც თავისუფლად, უშიშრად გადიან მასზე. როგორც ჩანს, როსტომ მეფე ამ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რაზეც გორულის ნაქალაქარიც მეტყველებს.

სანამ ამ ხიდზე გადავიდოდეთ, გოჩა მძღოლს სთხოვს, რომ ახქერფის ზედა უბნისაკენ შეუხვიოს. როცა მანქანა, ერთ-ერთ ეზოსთან ჩერდება, იგი მეუბნება, ძალიან საინტერესო ქალს შეგახვედრებთო. გოჩა მანქანიდან გადადის და ხმამაღლა იძახის: — მატუშკა ლია!.. მატუშკა!..

**ერთსართულიანი სახლის ოდესღაც ლურჯად შეღებილი შუშაბანდის კარი იღება და ბილიკზე ჩია ტანის მოხუცი ქალი გამოდის. სანამ ჩვენამდე მოაღწევს, გოჩა მიხსნის — აქ რუსი მონაზონი დედები ცხოვრობენ, ლია ერთ-ერთია. ჰუჯაბზე ჰკითხეთ და ნახავთ, რასაც გეტყვით.**

**დედა ლია გვიამბობს:**

„პირადად ჰუჯაბში რამდენჯერმე თუ ვარ ნამყოფი, ჩემი უფროსი, გარდაცვლილი, დები კი კარგა ხანს ცხოვრობდნენ იქ, მაგრამ სომხებმა ცუდი ამბავი შეამთხვიეს. რაკი „ჰუჯაბი“ ქართული მონასტერია და ამდენად მართლმადიდებლურიც, ჩემი დები საუკუნის წინათ ჩამოვიდნენ აქ რუსეთიდან სამონასტრო ცხოვრებისთვის. ეკლესიები მაშინაც უპატრონო იყო. მათ ერთ-ერთი მათგანი, გუმბათიანი ტაძარი, ხელახლა აკურთხეს წმიდა ნინოს სახელზე და იმ დღიდან იქ დასახლდნენ. იქიდან რომ გამოყარეს, ილუმენია ინოკენტია, თითქმის, 100 წლის იყო და მალევე გარდაიცვალა. 1935 წელს მოხდა ეგ ამბავი. სომხები რატომღაც იჩემებდნენ, ჰუჯაბი სომხური ეკლესია არისო და ვერ გვიგუეს. არადა, უფროსი დების გადმოცემით ვიცი, რომ ჰუჯაბში დღემდეა შემორჩენილი ერთი ქართული წარწერა, მაგრამ სად, ვერ იხსენებენ. თუმცა, წარწერაც რომ არ იყოს, ტაძარი ერთი თვალის შევლებითაც აშკარად ქართულია ხუროთმოძღვრულად. 40 წელზე მეტია, რაც აქ ვცხოვრობ. მე რომ არ ვიყო, უფროს დებს გაუჭირდებოდათ. ძალიან მოხუცდნენ... სამნი არიან... ან ლოცვაში არიან, ან წვანან, გარეთ ველარ გამოდიან. ადრე მეც თქვენი პროფესიისა ვიყავი. ერისქალობაში ლუდმილა მატვეევა ვიყავი, რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდი „ბელორუსფილმში“. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. არ დაკარგოთ ქართველებმა ეგ დიდებული ტაძარი...“



ფრესკა სადიაკვნეში



წარწერა სადიაკვნეში



ჰუჯაბის გუმბათიანი ტაძრის კარიბჭე

**...მანქანაში ჩაჯდომისას გოჩა მეუბნება: — სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ მაშინ ამ მონასტრის დედები. იმის გამო, რაც ამ ბეჩავებს დამართეს, ჰუჯაბელმა და ახქერფელმა სომხებმა უფლისაგან ვერ გაიხარეს — გაბოროტებულნი ან ერთმანეთს ხოცავენ, ან უმეტესად რაიმე ხიფათით იღუპებიან.**

მანქანა სოფელს გაცდა და ტყეში შევედით. მე ისევ დედა ლია მიდგას თვალწინ და მერე, მასთან ერთად, ის უკრაინელი ქალიც მახსენდება, წლების მანძილზე სანაქებოდ რომ უვლიდა ბოლნისის „სიონს“.

გზის პირას მესაზღვრეთა ფიცრული დგას. საკვამურიდან ბოლი ამოდის. აქ ზაფხულშიც უვარგისი გზაა არა თუ ზამთარში, როცა თოვლი წელს ზევით დევს და მშიერი მგლების ხროვა დაძრწის. ახლომდებარე უღელტეხილს ტყუილად კი არ ჰქვია „მგლის ჭიშკარი“. მანქანა მდინარეზე გადადის, გზიდან უხვევს და აღმოსავლეთით გაკაფული ხეივნით შედის დაბურულ ტყეში.

ამის მერე სამხრეთისკენ მივემართებით და ვჩერდებით. იმსიღრმე ტალახია, რომ „ოჩოფეხებზე“ შემდგარი „ტოიოტაც“ კი უძლურია. ჩამოვქვეითდით და ისე მივიწევთ. 100 მეტრში სომხეთის პირობითი საზღვარია, მეორე 100 მეტრში — საქართველოს პირობითი საზღვარი და ასე, ერთმანეთის მონაცვლეობით. საზღვარი იმიტომ არის აქ ამგვარად დაკბილული, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში რომელიღაც ბედოვლათ ქართველ ფუნქციონერს რამდენიმე ასეული ჰექტარი ტყე ხელშეკრულებით, ხანგრძლივი სარგებლობის უფლებით, გადაუცია სომხეთისათვის. ჰუჯაბის მონასტერი ამ გაცემულ ტერიტორიაზეა და დღეს აზრადაც არავის მოდის სახელმწიფო საზღვრის აღდგენა...

**ჟამთაღმწერლის ცნობით, თბილისზე გამოლაშქრების წინ, ჯალალ-ედინს სადღაც ამ ადგილებში, ლელვარის მთის ძირში, უნდა დაებანაკებინა და ბუნებრივია, ტაძრების ერთი ნაწილი მაშინ დაინგრეოდა. არის ვერსია, რომ ჰუჯაბის დიდი, გუმბათიანი ეკლესია, თამარის ეპოქაში, რომელიღაც თორელ-გამრეკლის — „მგლის კარის“ უღელტეხილის ციხის გამგებლის მიერ უნდა იყოს აგებული. ამიტომ ფიქრობენ, რომ სიტყვა „ჰუჯაბი“ ეჯიბიდან მომდინარეობს, ანუ ჰაემეტი სიტყვაა და ეჯიბის სამოსახლოს ნიშნავს. არის მეორე მოსაზრებაც: XVIII საუკუნიდან გამოჩენილი ეს ტოპონიმი უჯაბნს (დაუჯაბნელს) გულისხმობს და გუჯაბიძეების გვარიც აქედან მოდის.**



ჰუჯაბის მცირე ტაძარი

...ვაშლის ბაღებს უკან ვიტოვებთ, ერთ აღმართსაც ავათავებთ და მოულოდნელად თვალწინ წამოიმართება მისი უდიდებულესობა — ულამაზესი, მაგრამ დანგრევის პირას მისული ტაძარი. მის გვერდით სატრაპეზოს და ერთი დარბაზული ეკლესიის ნაშთებია. ეს მცირე ტაძარი მთლიანად შირიმის ქვითაა ნაგები, კედლები ჯერ კიდევ მხნედ დგანან, მაგრამ სახურავი აღარ აქვს. ეკლესია ძალიან ძველია. განვითარებულ შუასაუკუნეებში, როცა გუმბათიანი ტაძარი იგებოდა, ამ მცირე ტაძრისთვისაც მსგავსი კარიბჭე მიუშენებიათ სამხრეთიდან, მაგრამ მერე მთლიანად მორღვეულა. აღსანიშნავია ისიც, რომ საკურთხევლის აფსიდში დატანებული ნიშები სამალავში ადის.

**ჰუჯაბის დიდი ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუშია. იგი XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლია და სწორკუთხედში ჩაწერილი ისეთი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, რომელიც ხელწერით ახლოსაა იკორთის, ქვათახევის, ბეთანიის, ახტალის, ფიტარეთისა და წულრულაწენის ეკლესიებთან. მაგრამ „ჰუჯაბს“ განასხვავებს პერანგის იერი. ტაძარი ნაგებია ბაცი იასამნისფერი და რძისფერი ქვიშაქვის ფაქიზად გათლილი კვადრებით. ამასთანავე, რძისფერი ქვა გამოყენებულია სამკაულებისა და საპირეებისათვის. მართალია, ჰუჯაბის გუმბათის ყელი ისეთი ყარყარა არაა, როგორც წულრულაშენისა, მაგრამ ფერთა შეხამებით აქაც დიდებული ჰარმონიაა მიღწეული. მის რელიეფებში, სხვადასხვა თემასთან ერთად, ვხვდებით ვერძისა და ლომის გამოსახულებებს. გუმბათი ახლა მძიმე მდგომარეობაშია, წყალს ატარებს და შესაძლოა მალე ჩამოიქცეს.**

იმის გამო, რომ აღმოსავლეთის ფასადი მხოლოდ ახლოდან იხილვება და არ დომინირებს, საკურთხევლის მკლავის გარე გაფორმება „სამთავისურად“ მდიდრული არ არის. აქ ფასადური ნიშნებიც კი რამდენადმე მცირეა. სანაცვლოდ, ძალზე უხვადაა მორთული სამხრეთის ფასადი, სადაც დიდი, ჩუქურთმებიანი ჯვრის ფრთებქვეშ ორი ლამაზსაპირიანი, მოზრდილი სარკმელია შეფრენილი. ამავე ფასადზე, პორტალის ტიმპანზე, როგორც ჩანს, რელიეფური ქტიტორული წარწერა იყო, მაგრამ ამოუმტვრევიათ. „დიდი ჯვრის“ მოტივი მეორდება დასავლეთის ფასადზეც, მაგრამ აქ დამატებით ლამაზი კარიბჭეა მიშენებული. ეს იყო ტაძრის უმთავრესი შესასვლელი, რომელსაც მოზრდილი ბაქანი ჰქონდა წინ. დღეს ეს ბაქანი არა თუ არ არსებობს, კარიბჭის ერთ სვეტს საყრდენიც კი გამოცლილი აქვს. საქმე ის არის, რომ მოგვიანებით დასავლეთ ბაქანის ქვეშ კლდე გამოუღიათ და შიგ დამხმარე ნაგებობები განუთავსებიათ. დროთა განმავლობაში ეს დამხმარე ნაგებობები ჩაშლილა და ბაქანიც თან ჩაუტანია. ასე რომ, ახლა კარიბჭის წინ ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც აღარაა და დასავლეთის ულამაზეს ფასადს მხოლოდ გვერდულად თუ შეხედავ. კარიბჭეს დღე-დღეზე ელის ჩამონგრევა.

„ჰუჯაბი“ შიგნიდან მთლიანად მოლესილი და მოხატული ყოფილა, მაგრამ ახლა ფრესკების მცირეოდენი ნაშთიც აღარ ჩანს. გამონაკლისია მხოლოდ სადიაკვნე, თუმცა აქაც ერთი-ორი აზრისი თუ იკითხება. საერო პირის პორტრეტის მხოლოდ მიახლოებით აზრისების აღდგენაა შესაძლებელი. „ქრისტე იორდანეში“ კი როგორღაც კიდევ არსებობს. მას შემდეგ, რაც ტაძრის ფასადებზე და ინტერიერში ქართული წარწერები განადგურდა, დღეს სადიაკვნეს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის და აი, რატომ:

...აი, თითქოს, მოვამთავრეთ გადაღება სადიაკვნეში და განათებაც უნდა გამოვრთოთ, რომ სპეციალური ფარნის კაშკაშა სინათლე დასავლეთის კედლისაკენ გაგვირბის... რაღაც წარწერაა... განათება ახლოს მიგვაქვს და ვხედავთ, რომ სადიაკვნეს შიგნით, კარიდან მარცხნივ და იატაკიდან 3-3,5 მეტრის სიმაღლეზე, ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა. როგორც ჩანს, იგი ფრესკის განმარტება უნდა ყოფილიყო. პირველი სიტყვა თითქოს, ასე იკითხება: **„ჰლმრთისმოწმეთა“**, მეორე კი ნამდვილად **„კრებული“**-ა.

ექსპედიციაში წამოსვლის წინ, მგონი, ყველაფერი გადავიკითხე „ჰუჯაბის“ შესახებ, მაგრამ ამ წარწერის თაობაზე ვერსად ვერაფერს მივაგენი. შესაძლოა, როგორც ძველ, ისე თანამედროვე მკვლევარებს საგანგებოდ აქვთ დამალული ეს ფაქტი, რათა სხვამაც არ მიაგნოს და გაანადგუროს. მე ამის შიში აღარ მაქვს, რადგან ვიდეოფირზე გადაღებული ფილმი საუკუნეებს უძლებს. ახქერფში რომ რაღაც ძველ ქართულ წარწერაზე მელაპარაკებოდა დედა ლია, ეს უნდა იყოს. მაგრამ ამ სიხარულს ტკივილიც აედევნა ფიქრთა დინებაში: კავკასიის და წინააზის ისტორია რომ არ ვიცოდეთ რა უჭირს, მაგრამ რომ ვიცით, მტკივნეული ესაა. სადამდე შეიძლება შევიწროვდეს ქართული მიწაწყალი! ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაზეც რომ არაფერი ითქვას (მაშინ წინააზის ჩრდილოეთ მონაკვეთში სემიტებისა და ინდოევროპელების ჭაჭანებაც არ იყო და მხოლოდ პროტოქართველური ეთნოსები ცხოვრობდნენ), აგერ ძვ. წ-ის II საუკუნის ისტორიკოსის აპოლოდორის თქმითაც კი, მის დროს იბერიის სამხრეთის საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა.

**ახლა კი რა ხდება? რა და ის, რომ მთლად უძველესი საქართველოს „ბოლნისის ხევის“ მიწის ერთი ნაწილიც კი სადაო აღმოჩენილა. ასე იკარგება მიწები ძველი სოფლებითა და ტაძრებით, ციხე-სიმაგრეებითა და ქართული გვარ-ფესვით. უფრო მეტიც — რაც ჯერ არ დაგვიკარგავს და არ გაგვიჩუქებია, იმასაც გვედავებიან, მართლმადიდებელ ქართველთა აგებულ ქრისტიანულ ძეგლებსაც გვეცილებიან. როდემდე?! როდემდე და მანამდე, სანამ არამართლმადიდებელი ხელისუფლება გვეყოლება; სანამ თბილი ყურთბალიშისა და მხართეძოზე წოლის მოტრფიალენი და კუჭის მეგობრები ვიქნებით, სანამ ქართველში მხნესა და შორსმჭვრეტელს კი არა, ახლანდელივით გიჟვრაცუას დაინახავენ; სანამ ნამდვილად ერთობილი საქართველო არ იქნება!**

აი, ამ ფიქრში გულის ჯიბიდან სანთელ-საკმეველს ვიღებ, და მცირე ლოცვის შემდეგ აქ, წმიდა ნინოს ტაძარში, ამ სტრიქონებს ვიხსენებ:

**„წმიდაო ნინო,**
**მქადაგებელო,**
**ისევ მოგვხედე,**
**აღსდექ ბოდინით,**
**ლამის გათავდეს**
**დღეს საქართველო,**
**გაწყდეს ყოველი**
**სიმი ლოდინის“.**

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი

**ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ყმადნაფიცები და მოკავშირეებიც ალმაცერად უყურებდნენ, ერეკლეს და ოსმალეთს უკავშირდებოდნენ; ერზერუმის, ყარსისა და სხვ. ფაშები მოციქულებს გზავნიდნენ ერევნის ხანთან და მას რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ. მერყეობდა ყარაბაღის ხანი იბრეიმიც.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №14

ყარაბაღის ხანსა და რუსეთს შორის მაშინ უთანხმოება გარდაუვალი იყო. რუსეთი ყარაბაღელ სომეხ ქრისტიანებს მფარველობდა. ასევე მფარველოდა მათ ერეკლე მეფეც, თუმცა, იგი, ამავე დროს, იბრეიმ-ხანთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ეს გარემოება ერეკლეს მიმართ ყარაბაღელი მელიქების ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა.

ბუნებრივია, რომ „სომეხთა მეფის“ ტიტულისათვის მებრძოლი ერეკლე თავის მხრივ კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა სომხური სამეფოს ცალკე გამოყოფის იდეას. **უკეთეს შემთხვევაში თვით სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ მფარველად აღიარებული ერეკლე, რა თქმა უნდა, ამჯობინებდა, რომ სომეხთა მფარველობის საქმეში მას მეტოქე არ ჰყოლოდა.** სწორედ აქ იჩენდა თავს რამდენადმე შენიღბული წინააღმდეგობა ერეკლესა და რუსეთის მთავრობას შორის.

რუსთა რეგულარული ჯარის შემოსვლამ და მის მომარაგებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა რამდენადმე მოადუნა ქართლ-კახეთის მესვეურთა ზრუნვა „მორიგე ჯარის“ აღდგენაზე, რომელიც, ფაქტობრივად, 80-იანი წლების დამდეგიდან მოიშალა. იგი კვლავაც მორიგეობაზე დამყარებული საყარაულო სამსახურით შეიცვალა. მართალია, ერეკლეს დროს თავისუფალ მოლაშქრეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ქვეყნის დაცვისათვის ეს საკმაო არ იყო. საგარეო მტრების მოგერიება უმთავრესად საჭიროების მიხედვით გაწვეულ ფეოდალურ ლაშქარს ეკისრებოდა.

ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარები უტევდნენ. **მათ წინააღმდეგ ახლა ქართველები და რუსები ერთად გამოდიოდნენ. ერთობლივი ბრძოლა 1784-1785 წწ. მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა.** ქართლ-კახეთის მსხვერპლი კი ამ ბრძოლაში განუზომელი იყო. 1784 წ. რუსთა და ქართველთა ჯარებმა დაღესტნური შემოსევების პლაცდარმს — ჭარ-ბელაქანს, შეუტიეს. მუღანლოსთან 5-საათიან ბრძოლაში მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. ლეკთა მხრიდან 200 კაცი დახოცილა, რუსებსა და ქართველებს კი 40-მდე კაცი დაუკარგავთ. ამ წარმატების შემდეგ ერეკლემ განჯის სახანოზე თავისი შერყეული ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლა გააჩაღა. 1785 წ. დასაწყისში ერეკლეს ჯარი განჯის „გუბერნატორ“ ანდრონიკაშვილისა და შამშადილის ალი სულთნის სარდლობით განჯას მიადგა. განჯელები ციხეში გამაგრდნენ. ერეკლე განჯასთან ყარაბაღელი ხანის მაშველ ლაშქარს მოელოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ფათ ალი-ხანი წამოვიდა. მაშინ ერეკლემ მას თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით სცადა შეჩერება.

**გამოირკვა, რომ ფათ ალი-ხანს ერეკლესთან ერთად სურდა, გაენაწილებინა თავისი ბატონობა ყარაბაღის სახანოზე და ამ პირობით იღებდა ხელს განჯაში ბატონობაზე. ერეკლე არ აჰყვა ცბიერ ფათ ალი-ხანს, მაგრამ იძულებული გახდა, განჯის ალყა მოეხსნა და იქ მებრძოლი ლაშქარი ყარაბაღის ხანის საშველად გადაეყვანა. ამით განჯელებმა ისარგებლეს და ერეკლეს მაჰმადიანური ქვეშევრდომები მოიმხრეს. ფათ ალი-ხანი ახლა განჯის ხანს თავის მფარველობას აღუთქვამდა და ამხნევებდა.**

ასეთ რთულ ვითარებაში ერეკლეს საშველად ამოძრავდნენ რუსთა ასეულები და მეფემ, ბოლოს და ბოლოს, შეძლო განჯაზე ძველი ბატონობის აღდგენა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. განჯის ამბებს ლეკ-ოსმალთა ახალი შემოსევა მოჰყვა. მუღანლოსთან დამარცხების შემდეგ ლეკ-ოსმალთა მოზრდილი ლაშქარი ახალციხის მხრიდან გამოჩნდა. ეს იყო 1785 წ. 23 მარტს, როცა მძარცველები სოფ. დურნუკის (თბილისიდან 25 კილომეტრზე) შეესიენ. 20 კაცი მოკლეს და 200 დაატყვევეს. ამის შესახებ გარსევან ჭავჭავაძე ოფიციალურად სწერდა გრიგოლ პოტიომკინს, რომ თითქოს ერეკლე მეფე საპასუხო მოქმედებისაგან თავს იკავებდა, რათა სახელმწიფოებს (ოსმალეთსა და რუსეთს) შორის „შფოთის მიზეზი“ არ გამხდარიყო.

**როგორც ეტყობა, გარსევანი რუსეთისადმი ერეკლე მეფის მოკრძალებასა და ერთგულებას ასაბუთებდა იმ მიზნით, რომ ყოვლისმძლე პოტიომკინისაგან ქართლისათვის უფრო მეტი დახმარება გამოეთხოვა**. რა თქმა უნდა, მძარცველთა დაუსჯელობის მიზეზი აღნიშნული „მორიდება“ არ ყოფილა. მათი დასჯა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. დურნუკის აოხრების შემდეგ, 28 მარტს, სოფ. ტაბახმელას „მოუხდა ჯარი ლეკი და თათარი ცხენოსანი 1000“, რომელნიც ერეკლეს ლაშქარმა დაამარცხა.

1785 წ. 16 აპრილს ახალციხის ფაშამ ისევ გამოისტუმრა **„ათასხუთასი ლეკი და ხუთასი თათარი ქართლის წასახდენად“.**

600 ტყვითა და სხვა ალაფით დატვირთულ მტრებს რუსებმა და ქართველებმა მტკვრის ნაპირზე, სურამის ახლოს, გზა შეუკრეს და სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლას სარდლობდა მაიორი სენენბერგი, რომელმაც თავისი ჯარით **„ოთხი საათის ბრძოლასა შინა ამოწყვიტა და დაარჩო მდინარესა შინა ათას ხუთასამდინ“** მოწინააღმდეგე. აღნიშნული წლის მაისში ლეკ-ოსმალებმა ძველი მარცხის გამოსწორება სცადეს, მაგრამ ქართველებმა და რუსებმა კვლავ დაამარცხეს ისინი.

მიუხედავად აღნიშნული ეპიზოდური გამარჯვებისა, ქართლ-კახეთი ფიზიკური დაუძლურებისა და ეკონომიური გაჩანაგების გზით მიდიოდა.

ასეთ მძიმე პირობებში ერეკლე ისევ და ისევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ დამატებითი ჯარის მოშველიება აუცილებელი იყო. ახლა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ბურნაშოვიც ამასვე მოითხოვდა, მაგრამ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. 1785 წ. დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა და რუსეთის მთავრობას ჯარის გამოგზავნაზე უარის სათქმელად ახალი მიზეზი გაუჩნდა. საჩაჩნოში დაიწყო მაჰმადიანურ-რელიგიური მოძრაობა, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობას „საღვთო ომს“ უცხადებდა. იგი, როგორც ჩანს, თურქეთის წაქეზებით ატყდა და მისივე დახმარებით ვითარდებოდა. ცრუწინასწარმეტყველ შეიხ მანსურის ქადაგებას ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი აჰყვა. **„ახლა ოცდაათიათასზე მეტი ჯარი ჰყავს... ჩერქეზი ნახევარზე მეტი გადაუდგა რუსს, სულ იმასთან მოვიდნენ, იანვარში გამოჩნდა“.** რუსთა სარდლობა იძულებული გახდარა, რომ ჩრდილო კავკასიაში მყოფი ჯრის ნახევარი მოზდოკსა და ნურში დაეგროვებინა. **„ამათაც ეშინიათ, ვნახოთ, ღმერთი რას მოახდენს“,** — სწერდა იოანე ბერძენი იმ დროს რუსეთში იმერთა მეფის ელჩად მყოფ ზურაბ წერეთელს, 1785 წ. 27 ივნისს. 1785 წ. მარტიდან „საღვთო ომი“ სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. შეიხ მანსურთან (უშურმასთან) კავშირი დაამყარა ომარ-ხან ავარიელმა, რომელიც ამ დროს დიდ ლაშქრობას ამზადებდ საქართველოს წინააღმდეგ.

**ომარ-ხანის წერილებიდან შეიხ მანსურისადმი კარგად ჩანდა, რომ სულთანი საჩუქრებსა და ფულს არ ზოგავდა აღნიშნული ლაშქრობის მოსაწყობად. ომარ-ხანს ეხმარებოდნენ აგრეთვე ყაზიყუმუხელი ფეოდალები და სხვ. დაღესტნელები. მათი მთავარი მიზანი ერეკლეს სამეფოს განადგურება იყო, რადგან „видя в нем главную опасность, надвигавшуюся со стороны России“. რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობას ამიერკავკასიის სახანოების უმრავლესობა უჭერდა მხარს.**

**მანსურის მეთაურობით გაჩაღებულმა მოძრაობამ საფრთხე შეუქმნა რუსეთის გეგმებს ამიერკავკასიაში. ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მდგომარეობაზე.** ოსმალეთის აგენტმა ომარ-ხანმა საქართველოში დიდი ლაშქრობისათვის უაღრესად ხელსაყრელი დრო შეარჩია; შეიხ მანსურმა წინა კავკასიაში რუსთა ჯარების დიდი ნაწილი ბრძოლაში ჩაითრია, ხოლო რუსეთ-საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულები, ოსმალეთის სახსრებით თუ სხვა დაპირებებით გამხნევებულები, იარაღს ისხამდნენ. 1785 წ. დაღესტნელები ახალციხის ფაშას სწერდნენ, რომ მალე ომარ-ხანი დიდძალი ჯარით საქართველოს შეესეოდა, მაგრამ ფაშა მის მხარეზე თითქოს აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდა, რადგან ეშინოდა, რომ ერეკლე გამარჯვების შემთხვევაში მას დასჯიდა. თუმცა, ქვემოთ დავინახავთ, ფაშას ეს „შიში“ დაუძლევია და ქართლის გნსაცდელის ჟამს კვლავაც გაუხსნია მისთვის მეორე ფრონტი.

ომარ-ხანმა 11 თუ 20 ათასი მეომრისგან შემდგარი „რჩეულთა ჯარით“ 1785 წ. ყარაღაჯთან მდ. ალაზანი გადმოლახა, იგი ცეცხლითა და მახვილით მოიწევდა ქართლისკენ. 17 სექტემბერს უკვე მდ. იორიც უკან მოიტოვა და სიღნაღში შეგროვილ ქართველთა ჯარს ზურგიდან მოუარა. როცა ავარიის ხანმა მდ. ალაზანი გადმოლახა, ერეკლე სიღნაღისაკენ გაეშურა. 18 სექტემბერს დაღესტნელები უკვე ბორჩალო-ბაიდარში იყვნენ, 19-ში კი ახტალას ალყა შემოარტყეს. ერეკლეს ჯარი მათ მისდევდა, 20 სექტემბერს იგი მარნეულს ჩავიდა, მაგრამ ვერ მიეწია. იმავე დღეს მტერმა ახტალა აიღო და დაანგრია. ახტალის დამცველებმა ხელჩართულ ბრძოლაში 300-მდე თავდადებულს მოკლეს, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მტერმა გაიმარჯვა — 845 ტყვე წაიყვანა, ბევრი ფული, ვერცხლი, სპილენძი და სხვა ნივთები გაიტაცა.

21 სექტემბერს ერეკლეს ლაშქარი სადახლოში ჩავიდა, მაგრამ ავარიელთა მძარცველური რაზმები ქართველებთან პირდაპირ ბრძოლას მოერიდნენ და ახალციხის საფაშოსაკენ გაეშურნენ. ყოველივე ამის შესახებ ერეკლე მოახსენებდა პავლე პოტიომკინს და ჯარითა და ფულით დახმარებას მოითხოვდა. ამ მოთხოვნის არსებითი საფუძველი, ერეკლესავე განცხადებით, ის იყო, რომ მისი ქვეყანა ასეთ **„განსაცდელში ადრე არ ჩავარდნილა“.**

XVIII ს. 40-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე (1785 წ. ნოემბერი) **„ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“,** — სწერდა გარსევან ჭავჭავაძე გ. პოტიომკინს და თავისი ქვეყნისათვის ფულად დახმარებას მოითხოვდა. ომარ-ხანის მიერ ახტალის საბადოების განადგურებით ქართლ-კახეთის სახელმწიფომ 100 ათასი მანეთის ზარალი განიცადა. ამავე დროს, იგი იძულებული გახდა, რომ ომარ-ხანისათვის ყოველწლიური ჯამაგირის დანიშვნით ეყიდა მშვიდობა და ამ გზით დაეცვა დარბეული ქვეყანა. პავლე პოტიომკინმაც, თავის მხრივ, 1000 ჩერვონეცი გაუგზავნა ვერაგ ხანს და საქართველოს აწიოკებაზე ხელის აღება მოსთხოვა.

„საქართველო უკიდურესად ნადგურდება, — წერდა ბურნაშოვი, — იმის გამო, რომ გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმაღლესობას (ერეკლე მეფეს) არ შეუძლია შეკრებილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არ აქვს, მისი შემოსავალი თითქმის გაქრა...“



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რეკლამა ფერფლის ურნაზე



**კიბოთი დაავადებულმა ამერიკელმა, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ დარჩენია, თავისი ნეშტის ურნაზე სარეკლამო ადგილი გამოყო.**

ორეგონის შტატის მკვიდრი აარონ ჯეიმსონი ამბობს, რომ სულ რამდენიმეთვიანი სიცოცხლე დარჩა და ურნაზე სარეკლამო ადგილების გაყიდვით 800 დოლარის გამომუშავების იმედი აქვს. ამ ფულს მეუღლეს მისცემს, რათა მან კრემაციის ხარჯები გადაიხადოს.

ჯერჯერობით მომაკვდავს მხოლოდ 100 დოლარი აქვს — ურნაზე ადგილი პირველმა მისმა მეგობარმა, რესტორნის მფლობელმა შეიძინა.

# „ფულჰემი“ ნახევარფინალისთვის ტრასაზე მოემზადა



**ინგლისურმა საფეხბურთო გუნდმა „ფულჰემმა“ მოსამზადებელი ვარჯიში პირდაპირ გერმანულ ავტობანზე ჩაატარა. ევროპის ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაზე ჰამბურგში გუნდი ავიაკრიზისის გამო ავტობუსით მიემგზავრებოდა.** წესით, 17 საათში ადგილზე უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ავტობუსი სამსაათიან საცობში აღმოჩნდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი როი ჰოდჟსონი იძულებული გახდა, ექსტრემალურ პირობებში ჩეტარებინა მატჩის წინა ბოლო ვარჯიში და იქვე, გზის პირას მოაწყო საფეხბურთო მოედანი.

გუნდის მეკარის — მარკ შვარცერის თქმით, სავარჯიშოდ იდეალური პირობები არ იყო, მაგრამ უარესს ჯობდა.

# ნაქურდალი, 50 წლის შემდეგ, პატრონს დაუბრუნეს



**ბრიტანელმა პენსიონერმა 65 წლის ჯონ ბიბიმ 50 წლის წინათ მოპარული ფუნთუშების შეკვრა კანონიერ მფლობელს დაუბრუნა. როგორც თავად განაცხადა, დანაშაულის გრძნობა მთელი ამ დროის მანძილზე არ აძლევდა მოსვენებას.**

დანაშაული ჯონმა 1960 წელს, 15 წლის ასაკში ჩაიდინა. იმ პერიოდში საზაფხულო არდადეგებზე პატარა კაფეში მუშაობდა. „ტკბილეული ყოველთვის მიყვარდა, თანაც მშიერი ვიყავი და ფუნთუშები მოვიპარე. მას შემდეგ მსგავსი არაფერი ჩამიდენია“, — ამბობს ბიბი. სულ ცოტა ხნის წინათ ჯონი მიხვდა, რომ იმ კაფის მეპატრონისთვის სიმართლე უნდა გაემხილა და ამ მიზნით ლეს სიმპსონს შეხვედრაზე შეუთანხმდა. სტუმრობისას ფუნთუშების შეკვრა გაუწოდა და განუცხადა, რაღაცაში უნდა გამოგიტყდეო. და ყველაფერი უამბო. „ის პირველი ადამიანი იყო, ვისაც ამის შესახებ ვუთხარი და შვებით ამოვისუნთქე“, — ამბობდა შემდეგ ჯონი.

სიმპსონმა ის კაფე 1972 წელს გაყიდა, ახლა პენსიონერები ძველი თანამშრომლების შეკრებას და თავად სიმფსონის 80 წლის იუბილის აღნიშვნას გეგმავენ.

# გადამწყვეტი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიისთვის

**მოსკოვის ტერაქტებმა ისევ გაამძაფრა კამათი და განხილვა იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიჭრას ტერორიზმის პრობლემა. სამართალდამცავი ორგანოების მთავარ ამოცანად ექსტრემიზმის ყველა გამოვლინებასთან ბრძოლა ისახება, მაგრამ ამჯერად რუსეთი რელიგიურ ექსტრემიზმს შეეჯახა. ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმი დეზინტეგრაციული პროცესებისა და რეგიონის რადიკალიზაციის სიმბოლოდ იქცა.**




2010 წელს რუსეთმა „რელიგიის საფუძვლების“ შემოღებით ექსპერიმენტი დაიწყო; თვლიან, რომ ტრადიციულმა რელიგიებმა მაღალი მორალურ-ზნეობრივი კოდექსი უნდა შეიმუშაონ და სხვათა მიმართ შემწყნარებლობა განივითარონ.

წინასწარ ძნელი სათქმელია, როგორ ზემოქმედებას მოახდენს ფართოდ გავრცელებული ისლამური დოქტრინა მოზარდ თაობასა და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაზე. სცენარი პოზიტიურიც და ნეგატიურიც შეიძლება იყოს.

**მორალური განზომილების გარდა, თანამედროვე მსოფლიოში რელიგიას სახელმწიფოებრივი და გეოპოლიტიკური განზომილებებიც აქვს. ისლამი გამონაკლისი არაა.**

გეოგრაფიულად ჩრდილოეთ კავკასია სატრანზიტო პუნქტია რუსეთის ინტერესების ამიერკავკასიასა და შუა აზიაში განვრცობის გზაზე. რეგიონში სტაბილურობაზეა დამოკიდებული პოსტსაბჭოთა სივრცის სამხრეთ ნაწილში რუსეთის დაბრუნება და გამაგრება. ამასთანავე, სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ რეგიონის სხვა მოთამაშეებსაც — თურქეთსაც და ირანსაც. და აქ უკვე ერთმორწმუნეებთან სოლიდარობის იდეის გამო მთავარ როლს სწორედ ისლამი ასრულებს.

ამრიგად, რუსეთი ამ ორ ქვეყანასთან ურთიერთობაზე დამოკიდებული ხდება. ჩრდილოეთ კავკასიაში, უკვე დიდი ხანია, რელიგიური ლიტერატურის ნაკადები მიედინება და მათ შინაარსს არავინ აკონტროლებს, მრავალმა სასულიერო განმანათლებელმა უცხოეთში გაიარა სწავლების კურსი. **გარდა ამისა, ირანი და თურქეთი აქტიურად ცდილობენ იმ მომხრეების გადაბირებას, რომელთაც უჯობთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები მათ პოლიტიკაზე იყვნენ ორიენტირებულნი. იდეოლოგიური საფუძველი ისლამური სამყაროს მიერ ცივილიზებული ერთიანობის ფორმირება და მისი აღიარებაა.** განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ამ სამყაროს რომელ პოლუსზე ორიენტირდება ჩრდილოეთ კავკასია.

ყველაზე დამღუპველი ვარიანტი იქნებოდა რეგიონში რელიგიური უპირატესობისთვის მხარეების პერმანენტული დაპირისპირება, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ისედაც ეთნიკურად დიფერენცირებულ მოსახლეობას მტრულ დაჯგუფებებად დახლიჩავდა. ამ დროისთვის ამგვარი სცენარი მუდმივად შესაძლებლად რჩება, რადგან თურქეთი კვლავაც ეძებს საკუთარი პოლიტიკის განხორციელებას და უკვე განაცხადა, რომ რუსეთთან ერთად სურს კავკასიაში კონფლიქტები არეგულიროს. **ეს ნიშნავს, რომ რუსეთის მიერ ჩრდილოკავკასიურ საქმეებში ჩაურევლობას თურქეთი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებს. და მხოლოდ რუსეთთან ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის ფაქტი თუ შეაჩერებს თურქეთს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში უფრო მნიშვნელოვანი გავლენისთვის არ იბრძოლოს.**

ამგვარი მდგომარეობაა ირანთან მიმართებაშიც. მასაც აქვს შესაძლებლობა, რომ რეგიონის კონტროლისთვის იბრძოლოს. ამ შესაძლებლობებს ირანი ჯერჯერობით ახლო აღმოსავლეთში იყენებს.

ფინანსური ნაკადებისა და თავისი იდეოლოგების ჩრდილო კავკასიისკენ მიმართვით ისლამურ სახელმწიფოს დეზინტეგრაციული პროცესების სტიმულირების ყველანაირი შანსი აქვს.

არც რადიკალური ისლამის პოტენციალია გვერდზე გასაწევი, რაზეც ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე კვაზი სახელმწიფოს — კავკასიის ემირატის შექმნის იდეა მეტყველებს. ეს ყველაფერი კი პირდაპირი გამოწვევაა რუსეთისთვის, რასაც გადამწყვეტი პასუხი მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უნდა გასცეს.

*segodnia.ru*

# პენტაგონს ქვეყნების დაპყრობის ახალი გეგმა აქვს




**პენტაგონის მეთაურმა რობერტ გეიტსმა განაცხადა, რომ რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში ამერიკული ჯარების შეჭრა, როგორც ეს ერაყისა და ავღანეთის შემთხვევაში მოხდა, აღარ იგეგმება. ამიერიდან ამერიკის შეერთებული შტატები დაშლის პირას მყოფი ქვეყნების მიმართ ახალი სტრატეგიის შესაბამისად იმოქმედებს.**

ამ სტრატეგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: **იმის ნაცვლად, რომ თავად შეცვივდნენ სხვის ქვეყანაში და ქაოსი მოაწყონ, ამერიკელი სამხედროები იმავეს თავდაცვის ეროვნულ ძალებს (ჯარს, პოლიციას და ასე შემდეგ) ასწავლიან.** ამ პრაქტიკას ცივი ომის წლებში იყენებდნენ, თანაც — ამერიკაც და საბჭოთა კავშირიც. და საინტერესო შედეგებიც ჰქონდა ექვსდღიანი ომის, ავღანეთისა და ვიეტნამის ომებისა და სხვათა სახით.

მაგრამ ახლა, როდესაც გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე არ ჩანს, ამერიკელი მრჩეველები სხვა ქვეყნების ჯარებს ასწავლიან, როგორ დაიმორჩილონ საკუთარი ხალხი. ცხადია, ეს სტრატეგია გამოიყენება სუფთა და სამართლიანი მიზნებისთვის (კარგადაა ცნობილი, რომ სხვაგვარი მიზნები ამერიკას არც არასდროს ჰქონია), პროამერიკული რეჟიმების მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, ეს ამერიკას ხელ-ფეხს უხსნის ისეთ რთულ სიტუაციებში, როგორიც, მაგალითად, 2008 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტია.

**სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა გეიტსის სახელობის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შესაბამისად, მძლავრ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაყრდნობითაც შეიძლება.**

საინტერეოა, კიდევ ერთი მომენტი. თუ თავის დროზე ავღანეთში შეჭრამდე სამიზნედ ბენ ლადენის ტერორისტები ცხადდებოდნენ, ერაყში შეჭრის წინ კი მიზეზი მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობის სურვილი იყო, ახლა, გეიტსის თქმით, აშშ-მა ეს ქვეყნები უბრალოდ კოლაფსისგან იხსნა. თუ თავს ძალას დავატანთ, ავღანეთთან მიმართებაში კიდევ შეიძლება დავიჯეროთ, მაგრამ სადამ ჰუსეინის დიქტატურის სუპერსტაბილურ ქვეყანასთან მიმართებაში პენტაგონის მეთაური ამ ვერსიას ვერავის დააჯერებს. **რობერტ გეიტსი, რომელსაც ხელში ვითომ მასობრივი განადგურების იარაღის სინჯიანი სინჯარა ეჭირა შორეულ 2003 წელს და ამერიკელ სენატორებს ცხვირწინ უჯანჯღარებდა, თურმე ერაყის დაშლისგან გადარჩენაზე ზრუნავდა.**

იმის გამო, რომ გეიტსის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება უკიდურესად ბუნდოვანია, გაკოტრებული, დარღვევის პირას მყოფი ან არშემდგარი სახელმწიფოების კატეგორიას, რომლისკენაც აშშ-ის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იშვერს თითს, ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება მიეკუთნოს. სენატორებსა და პრეზიდენტს გეიტსი, რასაც უნდა, იმას დაუმტკიცებს.

**თეთრ სახლს სამიზნე ქვეყნებთან მიმართებაში სამი ვარიანტი აქვს: პირველი — ჩამოაგდოს ხელისუფლება, დაუყოლიებელი ლიდერი ჰააგაში გაამწესოს და იქ ამასხარაოს ან ადგილზევე ჩამოახრჩოს, თავისი კაცი დააყენოს და მასთან დაიჭიროს საქმე; მეორე — მოაწყოს რევოლუცია და შემდეგ გააკეთოს ზუსტად იგივე, რაც პირველ ვარიანტშია ჩამოთვლილი; მესამე — ისარგებლოს სახელმწიფოს გადახდისუუნარობით, მათ შორის — მსოფლიო სავალუტო ფონდთან მიმართებაში და ეკონომიკური მარწუხებით ამოჰხადოს სული.**

მოკლედ, გეიტსის ფორმულაში მშვენივრად ჯდება უკრაინაც, ბელორუსიაც, მოლდავეთიც, მთელი შუა აზიაც, მთელი სამხრეთ კავკასიაც, თვით რუსეთიც კი.

ამ ახალი სტრატეგიით აშშ იმიჯის პრობლემებსაც იგვარებს. ვაშინგტონი მსოფლიო ჟანდარმიდან მსოფლიო ბიძია მილიციელად იქცევა. გარდა ამისა, „ცივი ომის“ სტილში ჩატარებული ახალი სამხედრო ოპერაციების ხარჯები შეიძლება ნატოელ მოკავშირეებსაც გადაუნაწილოს, ცოცხალი ძალის დანაკარგები კი მთლიანად გადაულოცოს საქართველოს მსგავს, მის კმაყოფაზე მყოფ ქვეყანას. ახლა გასაგებია, რატომ დატოვა ობამამ გეიტსი თავის გუნდში.

კაცი, რომელსაც არ შეეშინდა, ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკური ელიტა რძიანი სინჯარით დაეშინებინა, აუცილებლად მოიფიქრებდა რაიმე ორიგინალურ მეთოდს იმის გასაკეთებლად, რასაც ბუში აკეთებდა.

*segodnia.ru*

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შიმშილობა ლატვიურად — მსოფლიო ბანკის ახალი ექსპერიმენტი




**აღდგომის წინ მეგობრულმა (ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად მაინც) ინსტიტუციამ — მსოფლიო ბანკმა ლატვიას სამომავლო ურთიერთობების აბსოლუტურად არამეგობრული პირობები შესთავაზა. ისინი, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით, მომავალში ლატვიის, როგორც საერთაშორისო სუბიექტის გამანადგურებელი ახალი ზომების გატარებას აპირებენ.**



## შემცირდეს სამუშაო ადგილები!

საერთაშორისო ორგანიზაციების ლატვიისადმი დამოკიდებულების კვინტესენცია ევროპარლამენტის დეპუტატმა სანდრა კალნიეტემ ლატვიური მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩამოაყალიბა და განცხადებით — **„ევროპა აღფრთოვანებულია ლატვიით, იმიტომ, რომ კრიზისის პირობებშიც კი აქ ხმაურიანი ქუჩის აქციები და დარბევები არ ეწყობა“** — კიდევ ერთხელ გააცოფა ლატვიელი საზოგადოება.

საკითხს, თუ რამდენად უგულო, ცინიკური და ანგაჟირებული უნდა იყოს ჩინოვნიკი თავისი ამომრჩევლის მიმართ, რომ მთელი ქვეყნის გასაგონად ამგვარი სიტყვები წარმოთქვას, სხვა დროს დავუბრუნდებით. მანამდე კი მეგობარი-კეთილისმყოფელების მიერ შემოთავაზებული წინადადების არსი გავარკვიოთ, იმ წინადადებისა, რომელიც აუცილებლად იმოქმედებს უამისოდაც საკმაოდ შემცირებულ შემოსავლებზე და მტკივნეულად აისახება ხალხის პენსიებზე, სოციალურ დახმარებებზე, ჯანდაცვის სისტემასა და განათლებაზე.

ბიუჯეტის შესამცირებლად „მეგობრები“ დაჟინებით გვირჩევენ, პირველ რიგში, „კიდევ უფრო შემცირდეს სამუშაო ადგილების რაოდენობა სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურებში“ და ამ გზით 10-დან 20 მილიონამდე ლატის დაზოგვას გვთავაზობენ. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ამგვარ წინადადებას მხოლოდ მივესალმებოდით, მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაში, როდესაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუცია, ძლივს უმკლავდება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სამუშაო ადგილების შემცირების ინიციატივა, სულ მცირე, უპასუხისმგებლობაა. **გარდა ამისა, უკვე განხორციელებული და მით უფრო, სამომავლოდ განსახორციელებელი საგადასახადო ცვლილებების შემდეგ, ლატვიიდან კერძო ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი გავა და ამის კვალობაზე სახელმწიფო სტრუქტურები დასაქმების ბაზარზე მხოლოდ მთავარ მოთამაშეებად კი არა, მონოპოლისტებად იქცევიან.**

ეს არანორმალური სიტუაციაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ობიექტურად ასახავს ჩვენს რეალობას. მესამეც, ამ გზით შემოთავაზებული ეკონომია იმდენად მცირეა, რომ არანაირად არ აისახება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე.

არანაკლებ საეჭვოა სახელმწიფოს ფუნქციების კონსოლიდაციის ან მათზე საერთოდ უარის თქმის რჩევა. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ფინანსურად ყველაზე ტევადი სახელმწიფოს სწორედ სოციალური ფუნქციებია. მათზე უარის თქმის შემთხვევაში დაუდევრობაა იმაზე გათვლა, რომ ამ საქმეს საკუთარ თავზე რომელიღაც კერძო სტრუქტურა აიღებს. **შესაბამისად, ქვეყანაში გამეფებული ისედაც სატირალი სოციალური მდგომარეობა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაუარესდეს, რაც, ქალბატონი კალნიეტეს აღფრთოვანების მიუხედავად, ადრე თუ გვიან, სოციალურ აფეთქებამდე მიგვიყვანს. და, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება მომწიფების პროცესი, მით უფრო მტკივნეული იქნება ეს აფეთქება.**

## არც – პენსია, არც – ცონდა, არც – ჯანმრთელობა!

სოციალურად კიდევ უფრო სახიფათოა საპენსიო მინიმუმის გადახედვისა და მისი 165 ლატიდან 80-მდე შემცირების წინადადება. **გვთავაზობენ იმ პენსიების დაბეგვრას, რომელიც საარსებო მინიმუმის ნახევარსაც ძლივს აღწევს. საინტერესოა, რომელ ქვეყნებს წარმოადგენენ ამ წინადადებების ავტორები და რა რეაქცია ექნებოდათ ამ ინიციატივებზე მათ ამომრჩევლებს?** თანაც ამ გზით 85 მილიონი ლატის დაზოგვას გვპირდებიან, რაც, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ლატვიაში მიმდინარე რომელიმე ერთი „საუკუნის მშენებლობის“ ხარჯების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

ასეთივე ქებათაქების ღირსია შემდეგი შემოთავაზება, რომლის თანახმადაც დახმარება უნდა შეუწყდეს ყველა მომუშავე მშობელს. **ამ ადამიანების დიდმა ნაწილმა შვილები სახელმწიფო დაპირებების იმედად იყოლია, ახლა კი გამოდის, რომ სახელმწიფომ ისინი უბრალოდ გადაყარა. ამჟამინდელი დემოგრაფიული მდგომარეობის ფონზე სახელმწიფო მასშტაბით ამგვარი მიდგომა, დანაშაული კი არა, პირდაპირ მკვლელობის ჩადენაა.**

მსოფლიო ბანკი მხოლოდ ახალგაზრდა მშობლებს კი არა, მათაც ჩაუძვრა ჯიბეში, ვისმა შვილებმაც უკვე მიაღწია სტუდენტურ ასაკს. გვთავაზობენ, უმაღლეს სასწავლებლებში საბიუჯეტო ადგილების რაოდენობის განახევრებას და სტუდენტური კრედიტების სუბსიდირების საერთოდ შეწყვეტას. **შესაძლოა, ეს კარგიც იყოს, იმიტომ, რომ უმაღლეს განათლებას ჩვენი აბიტურიენტები ლატვიის ნაცვლად უფასო ევროპულ სასწავლებლებში მიიღებენ, ოღონდ ამ შემთხვევაში ძალიან საეჭვოა, რომელიმე მათგანი ევროპული დიპლომით ლატვიაში დაბრუნდეს.**

თუ ზემოჩამოთვლილი წინადადებები მხოლოდ ირიბად აისახება ქვეყანაში შექმნილ ცხოვრების დონეზე, მსოფლიო ბანკის „კეთილი რჩევა“ მნიშვნელოვნად შემცირდეს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა, პირდაპირ და უშუალოდ იმოქმედებს ერის ფიზიკურ გადარჩენაზე.

**ჯანდაცვის სისტემის დაწყებული და ჯერაც დაუმთავრებელი რეფორმა ისედაც არანაირად არ უწყობს ხელს ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს, უკანასკნელი „რეკომენდაციების“ შემდეგ ამ სისტემის რაიმე სახით არსებობაც კი აზრს კარგავს.**

სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროების ხარჯზე დაზოგვა ხანგრძლივ პერსპექტივაში ნებისმიერი საზოგადოებისთვის დამღუპველია; ცხადია, ლატვია ამ მხრივ სულაც არ იქნება გამონაკლისი. როგორც ჩანს, მსოფლიო ბანკის მრჩეველებსაც სწორედ ამის იმედი აქვთ.

## გრძელი გზა დემოკრატიისკენ

საოცარია, ყველა რჩევა ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს, შემოსავლების გაზრდაზე კი სიტყვაც არაა ნათქვამი. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ევროპა სულაც არაა დაინტერესებული, ლატვიაში რომელიმე იმ დარგის განვითარებით, რომელსაც ღირებულების გაზრდის უზრუნველყოფა შეეძლება. **ბრიუსელი ჩვენში მხოლოდ ევროპული პროდუქციის გასაღების ბაზარს ხედავს და სუბიექტს, რომელსაც შეუსრულებელი საკრედიტო ვალდებულებების ხარჯზე მოკლე ჯაჭვზე გამოიბამს.**

ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ სწორედ ამგვარადვე მოგვიაზრებს ლატვიის ახლანდელი მთავრობა ვალდის დომბროვსკისის მეთაურობით. ერთი განსხვავებაა — ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების წინ ამის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავს, სამაგიეროდ, ცდილობს, საზოგადოება დაამშვიდოს და დაარწმუნოს, რომ ეს „შემოთავაზებები“ მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პენსიების შემცირებასთან დაკავშირებით სწორედ ამგვარი რიტორიკით გვამშვიდებდნენ მუნიციპალური არჩევნების წინაც. როგორ დამთავრდა ეს ისტორია, ნებისმიერი ლატვიელი პენსიონერი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გიამბობთ...

დღეს ლატვიის ეკონომიკაში პრობლემების არსებობას არავინ უარყოფს. განსხვავება მხოლოდ მათი გადალახვისთვის შემოთავაზებულ გზებშია. მაგალითად, რიგის დუმის ორი წინამორბედი შემადგენლობა რვა წლის განმავლობაში გვკვებავდა ჩინური ინვესტიციების მოზიდვის დაპირებებით. **როგორც ჩანს, „ატკატების“ მოცულობებზე ვერ მორიგდნენ და ჩინელებმაც ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ 10 მილიარდი დოლარი ბელორუსის ეკონომიკაში ჩადეს. არადა, ოდნავ დამჯერენი რომ ვყოფილიყავით, შესაძლოა, ამ ინვესტიციის ნაწილი ჩვენთან შემოსულიყო.**

მიუხედავად ყველა კოალიციური პარტიის პერსონალური ინტერესებისა, სახელმწიფოთაშორის დონეზე რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა იდეალურისგან ძალზე შორსაა. ამიტომ აღარც არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკის გამანადგურებელ კაბალურ საკრედიტო პირობებს დავთანხმდეთ.

**თუმცა არსებობს სხვაგვარი მაგალითიც და ეს მაგალითი მთელი მსოფლიოს ბერძნებმა — იმ ქვეყნის შვილებმა უჩვენეს, რომელმაც ამავე მსოფლიოს არა მხოლოდ „დემოკრატიის“ დეფინიცია, არამედ ამ მოვლენის არსიც აჩუქა.**

ამიტომ ლატვიის ქუჩებში სიმშვიდის გამო ქალბატონ კალნიეტეს აღფრთოვანება დროებითია. და თუ მის რიტორიკას დავიხმართ, „ჩვენი პატარა ერი დაძაბულ ვითარებაში არა მხოლოდ სახელმწიფოს განვითარების დიდ გზებს დაინახავს“, არამედ სრულიად არაორაზროვნად მიანიშნებს მათზე ამავე სახელმწიფოს სხეულზე მოკალათებულ პარაზიტ პოლიტიკოსებსაც...

*Ves.lv*

# ბრიტანელი წყვილი „Skype“-ში დაქორწინდა




**შეყვარებულებმა ქორწილში შორს მყოფი ახლობლებისა და ნათესავების მოწვევის მიზნით ცერემონია პირდაპირ „Skype“-ში გამართეს. ლონდონელმა შონ მურტაგმა და მისმა ავსტრალიელმა შეყვარებულმა ნატალი მიდმა ქორწილის წინ დუბაიში გადაწყვიტეს დასვენება.** ისლანდიური ვულკანის გამო კი დათქმულ დროს ბრიტანეთში დაბრუნება ველარ მოახერხეს. ყველას ეგონა, რომ ქორწილი ჩაიშალა, მაგრამ შეყვარებულებმა ახლობლებს სიურპრიზი მოუმზადეს და დუბაის სასტუმროდან „Skype“-ში პირდაპირი ტრანსლაციით გამართეს ქორწილი.

წყვილს სასტუმროს მთელი პერსონალი ეხმარებოდა და გულშემატკივრობდა — ვესტიბიული სადღესასწაულოდ მორთეს, საქორწინო ტორტი გამოაცხვეს, პატარძალს თაიგული აჩუქეს და პირდაპირი ტრანსლაციისთვის ტექნიკა გამართეს. სასტუმროს ბინადრებმა კი პატარძალი გამოაწყვეს, სათანადო მაკიაჟი და ვარცხნილობაც გაუკეთეს. ნატალი ამბობს, რომ ეს დღე არასდროს დაავიწყდება.

# მამალი გადედლდა



**იტალიაში, ტოსკანას ერთ-ერთ ფერმაში მცხოვრებმა მამალმა სქესი შეიცვალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საქათმე მელამ დაარბია. უქათმოდ დარჩენილმა მამალმა კვერცხების დება და წიწილების გამოჩეკვა დაიწყო.**

ამჟამად ამ ფენომენს სპეციალისტები შეისწავლიან. ისინი სპეციალურად ჩავიდნენ ტოსკანაში, რომ მამალს დნმ-ის ანალიზი ჩაუტარონ და იქნებ როგორმე გაარკვიონ, როგორ გადაკეთდა მამალი დედლად. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მან დედლის გარეშე გამრავლებისთვის შეიცვალა სქესი.

პლანეტაზე ცხოვრობს ცხოველების რამდენიმე სახეობა, რომელთაც სქესის შეცვლა შეუძლიათ. ამ რადიკალურ ცვლილებებს, ძირითადად, წყლის ცხოველები განიცდიან ხოლმე. მამლები აქამდე ამას არ აკეთებდნენ.

# წერილი „ტიტანიკიდან“ 55 ათასად გაიყიდა

**1912 წელს აისბერგთან შეჯახების შედეგად ჩაძირული უდიდესი ლაინერის „ტიტანიკის“ ერთ-ერთი მგზავრის წერილი გემების კორესპონდენციებს შორის რეკორდულ ფასად — 55 ათას ფუნტ სტერლინგად აუქციონზე გაიყიდა.**

წერილი პირველი კლასის მგზავრმა ადოლფ საალფელდმა გემის ჩაძირვიდან ხუთი დღით ადრე მისწერა ცოლს და მასში, ძირითადად, კრუიზით მიღებული შთაბეჭდილებებია აღწერილი.

წერილი იმითაა გამორჩეული, რომ სამი გვერდი გემისა და მოგზაურობის დეტალურ აღწერას ეთმობა. ლაინერისა და მისი მგზავრების ფოტოალბომი იმავე აუქციონზე 100 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტად გაიყიდა.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვარსკვლავთა ყველაზე უჩვეულო რომანები

### შერი და ტომ კრუზი

მრავალი წლის წინათ 20 წლის მსახიობსა და 36 წლის მომღერალს რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდათ. თავად შერი იხსენებს, რომ „ბობოქარი ვნებები ამოძრავებდათ.“ წყვილმა ერთმანეთი 80-იანი წლების შუახანებში გაიცნო თეთრ სახლში გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე. თუმცა, რომანი ხანმოკლე გამოდგა — მათი გადაღებების გრაფიკი ერთმანეთს არასდროს ემთხვეოდა.




### ჯასტინ ტიმბერლეიკი და ფერჯი

მაშინ ფერჯი 23 წლის იყო, ტიმბერლეიკი კი — 16-ის. ერთმანეთი 1997 წელს გაიცნეს და რომანიც გააჩაღეს, მაგრამ ფერჯი ჯასტინთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენას გაურბოდა, რადგან ამ ურთიერთობას სერიოზულად არ აღიქვამდა და ჯასტინიც მეტისმეტად უმწიფარად მიაჩნდა.



### კიანუ რივზი და დაიან კიტონი

ვინ იფიქრებდა, რომ „პლანეტის ყველაზე იდუმალ მარტოხელა მამაკაცს“ ასაკოვანი ქალებისკენ უწევს გული? 57 წლის დაიანა რივზმა გადასაღებ მოედანზე გაიცნო და რომანიც დაიწყო, სხვა საკითხია, რომ სერიოზულ ურთიერთობებზე არ უფიქრია...






### მადონა და დენის როდმანი

მომღერალს მუდამ იზიდავდა აპოლონის აღნაგობის მამაკაცები. იმ დროს, როცა მოკლეშარვლიანი ჰესუს ლუსი ჯერ კიდევ ეზოში დარბოდა, მადონა კალათბურთზე, უფრო სწორად, დენის როდმანზე გიჟდებოდა. წყვილის რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა. ამბობდნენ, რომ მადონას როდმანისგან ბავშვის გაჩენაც კი უნდოდა.



### ნიკოლ კიდმანი და ლენი კრავიცი

ტომ კრუზთან განშორებამ სერიოზულსა და თავშეკავებულ კიდმანს რომანტიკული თავგადასავლებიკენ უბიძგა. ნუგეში ნიკოლმა გამოუსწორებელი დონჟუანის, თავით ფეხებამდე სვირინგიანი როკერის — ლენი კრავიცის მკლავებში პოვა. ლენი ბობოქარი ცხოვრების რიტმს კი შეეჩვია, მაგრამ ღალატს — ვერა.



### მობი და ნატალი პორტმანი

ამ რომანის გახსენებაზე მობი ყოველთვის წითლდება. წყვილმა ერთმანეთი იმ დღეს გაიცნო, როცა „ლეონის“ 14 წლის ვარსკვლავი ღამის კლუბში მოდური მუსიკოსის კონცერტზე არ შეუშვეს. ამბობენ, რომ ორიოდე წლის შემდეგ მობისა და ნატალის ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი რომანი ჰქონდათ.

### კრისტინა ეპლგეიტი და ბრედ პიტი

80-იან წლებში ბრედ პიტი სერიალის „დაქორწინებულები და შვილიანები“ ვარსკვლავს კრისტინა ეპლგეიტს ხვდებოდა. იმ დროისათვის ბრედი ჯერ კიდევ არ იყო „მსოფლიოს ქალების ოცნების მამაკაცი,“ ხოლო კრისტინა თავქარიანი გოგო გახლდათ. 1989 წელს კრისტინამ და ბრედმა ერთმანეთი ლოს-ანჯელესში გაიცნეს, მაგრამ მათი რომანიც მალე დასრულდა.



### მაიკ ტაისონი და ნაომი კემპბელი

იქამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე „შავი პანტერა“ ვლადისლავ დორონინს შეხვდებოდა და მოსკოველი გახდებოდა, მისი გული გამალებით ძგერდა კრივის რინგზე პირველი რაუნდის დაწყების მანიშნებელი გონგის გაგონებისას. 80-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთ მოდურ წვეულებაზე ნაომიმ ცნობილი მოკრივე მაიკ ტაისონი გაიცნო. ტაბლოიდებმა მათ მაშინვე „მზეთუნახავი და ურჩხული“ შეარქვეს. წყვილის რომანი წელიწად-ნახევარს გაგრძელდა.



### სარა ჯესიკა პარკერი და უმცროსი ჯონ კენედი

სანამ ცნობილი მწერალი კერი ბრედშოუ გახდებოდა, სარა ჯესიკა პარკერი მისის კენედის ტიტულზე ოცნებობდა. 1991 წელს, ბროდვეიზე გამართული სპექტაკლის შემდეგ 26 წლის მსახიობმა ყვავილების თაიგული და ბარათი მიიღო, სადაც ეწერა, რომ კენედების დინასტიის მემკვიდრე პრინცი ვახშამზე ეპატიჟებოდა. ჯონ კენედი უმცროსი ერთობ თავაზიანი და ყურადღებიანი კავალერი გამოდგა და სარამ უკვე ქორწინების გეგმები დააწყო, თუმცა 1999 წელს, როცა ტაბლოიდები ატლანტის ოკეანის თავზე დატრიალებულ ტრაგედიაზე ალაპარაკდნენ, პარკერი უკვე მეთიუ ბროდერიკის ცოლი იყო და სერიალის — „სექსი დიდ ქალაქში“ გადაღებებში მონაწილეობდა.



## ყველაზე უიღბლო მძარცველი

**დაპატიმრების შემდეგ, ერთმა ავსტრიელმა მებაჟემ მსოფლიოში ყველაზე უიღბლო მძარცველის სახელი დაიმკვიდრა. კრიმინალისტიკის ისტორიაში იგი, ალბათ, ყველაზე იოლად დასაკავებელ მძარცველად შევა.**

უიღბლობის ჯაჭვის პირველი რგოლი ის იყო, რომ ძარცვის პირველი მცდელობისას ბოროტმოქმედმა დაიგვიანა — ბანკი უკვე დაკეტილი დახვდა. მეორე მცდელობისას თითქოსდა ყველაფერი გამოუვიდა: 125.000 შილინგი წაიღო და ბანკის წინ ავტოსადგომზე დაყენებული თავისი ავტომანქანისკენ გაიქცა, მაგრამ... კარი ვერაფრით გააღო და გვერდითა მინის ჩამტვრევა მოუხდა, რითაც, ცხადია, გამვლელთა ყურადღება მიიპყრო. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ უიღბლო მძარცველს გაახსენდა, რომ ფულით სავსე პლასტიკატის პაკეტი ავტოსადგომზე დარჩა. უკან მიბრუნდა და ნადავლი აიღო, მაგრამ გამვლელებმა ამჯერად მძარცველის მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს. მანქანა კი, არც მეტი, არც ნაკლები, სამსახურებრივი გახლდათ და ნომრებიც საბაჟო სამსახურისა ჰქონდა. ასე რომ, პოლიციამ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე დააკავა დამნაშავე.



## ყველაზე მოკლე ბარათი

**ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ, რომელიც სიტყვაძუნწი კაცი გახლდათ, რომან „საბრალონის“ გამოცემის შემდეგ თავის გამომცემელს გაუგზავნა ბარათი, რომელშიც ეწერა: „?“. გამომცემელმა მიუგო: „!“. ეს, ალბათ, ნიშნავდა: „როგორ იყიდება ჩემი წიგნი?“ — „ჩინებულად!“**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პლანეტის 10 უმდიდრესი ადამიანი

**2010 წელს მსოფლიოში 1.011 მილიარდერია. ეს ტიტანები მსოფლიო ეკონომიკას აკონტროლებენ, ენერგიითა და ფოლადით დაწყებული, მოდითა და ტელეკომუნიკაციებით დამთავრებული.**



პლანეტის ყველაზე მდიდარი კაცი კი მექსიკელი **კარლოს სლიმ ელუა**, რომლის ქონება **53.5 მლრდ დოლარად** ფასდება.

ამ ტელეკომუნიკაციურმა მაგნატმა 1990-იან წლებში მექსიკის ნაციონალური სატელეფონო კომპანიის პრივატიზება მოახდინა. შარშანდელიდან მოყოლებული, მისი ქონება 18.5 მრდ-ით გაიზარდა.



მილიარდერთა ჩამონათვალში მეორე ადგილი **ბილ გეიტსს** უკავია. მისი ქონება შარშანს აქეთ 13 მლრდ დოლარით გაიზარდა და ახლა **53 მლრდ-ს** შეადგენს. მოგების 60 პროცენტი Microsoft-იდან როდი მიიღო: მისი ინვესტიციები Four Seasons-ის, Televisa-ს და Auto Nation-ის ოტელების ქსელსაც მოიცავს.



ნუსხაში **47 მლრდ დოლარით** მესამე ადგილზეა **უორენ ბაფეტი**. ამერიკის უსაყვარლესმა ინვესტორმა გასული წლის განმავლობაში 10 მლრდ დოლარი გამოიმუშავა Berkshire Hathaway-ს აქციებზე. მისი აზრით, აშშ-მა ეკონომიკური „პერლ ჰარბორი" გადაიტანა, მაგრამ ხელახლა აღორძინებას შეძლებს.



მეოთხეა **მუკეშ ამბანი**, რომლის ქონება **29 მლრდ დოლარადაა** შეფასებული. მისი კომპანია Reliance Industries ინდოეთში ყველაზე ძვირადღირებულ ბიზნესს წარმოადგენს. მუკეშ ამბანს შარშან მილიარდერთა ნუსხაში მეშვიდე ადგილი ეკავა. დაქორწინებულია, ჰყავს სამი შვილი.



მსოფლიოს №5 მდიდარი კაცი, **28.7 მლრდ დოლარით, ლაქშმი მიტალი** გახლავთ, ლონდონის ყველაზე მდიდარი რეზიდენტი, ინდოელი ემიგრანტი. ლაქშმი მიტალი სათავეში უდგას მსოფლიოში უდიდეს ფოლადსასხმელ კომპანია ArcelorMittal-ს. 2009 წელს მისი შემოსავალი 75 პროცენტით შემცირდა, თუმცა დეკემბერში 1.1 მლრდ დოლარი გამოიმუშავა.



მდიდართა ნუსხაში **28 მლრდ დოლარით** მეექვსე ადგილი უკავია **ლოურენს ელისონს.** Oracle-ს დამფუძნებლის ქონება დღითიდღე იზრდება. ბოლო 12 თვის განმავლობაში მისი აქციების ფასმა 70 პროცენტით მოიმატა, ხოლო ამ 5 წლის მანძილზე ელისონმა 57 კომპანია იყიდა. ლოურენს ელისონი ჩიკაგოს შტატის უნივერსიტეტში სწავლობდა, თუმცა სწავლა არ დაუსრულებია. 1977 წელს კი კომპანია Oracle დააარსა.



ჩამონათვალში მეშვიდე ადგილი, **27.5 მლრდ დოლარით, ბერნარდ არნოს** ერგო. მოდის ინდუსტრიის ეს გიგანტი ევროპის უმდიდრესი ადამიანიცაა, რადგან კომპანია LVMH-ის აქციები, რომელსაც იგი სათავეში უდგას, 57 პროცენტით გაიზარდა.



მილიარდერთა შორის მერვეა **ეიკ ბატისტა**, რომლის ქონებაც **27 მლრდ დოლარს** შეადგენს.მან დაიფიცა, რომ პლანეტის უმდიდრესი ადამიანი გახდებოდა და სიტყვას არ ტეხს. შარშან მისი ქონება 19.5 მლრდ-ით გაიზარდა.



ნუსხაში მეცხრე ადგილზე **ამანსიო ორტეგაა**, **25 მლრდ დოლარით**. იგი კომპანია Inditex-ს ხელმძღვანელობს, რომელსაც 73 ქვეყანაში 4 500 მაღაზია აქვს.



პლანეტის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ათეულს აგვირგვინებს **კარლ ალბრეხტი**, რომლის ქონებაც 23.5 მლრდ დოლლარს შეადგენს. Aldi Sud-ის დისკონტ-სუპერმარკეტთა ქსელის მფლობელია. სუპერმარკეტთა ქსელი მოწინავეა მთელ ევროპაში, აშშ-ის 29 შტატში 1.000 მაღაზია ფუნქციონირებს.

## ყველაზე ძველი ქალაქი



მდინარე იორდანზე (პალესტინა) მდებარე ქალაქი **იერიქონი** მსოფლიოში ცნობილ ქალაქთა შორის უძველესია. ჩვ.წ-აღმდე 800 წლის წინათ ამ ქალაქის მოსახლეობა 3000 კაცს შეადგენდა. თუმცა, იავარქმნილ ქალაქთა შორის უძველესად მაინც ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ზავე ჰემი შანიდარი ითვლება, რომელიც 1957 წლის გათხრებისას აღმოაჩინეს. ქალაქის დაარსების თარიღად არქეოლოგებს ჩვ. წ.აღ-მდე 8901 წელი მიაჩნიათ.

## ყველაზე გრძელი გზატკეცილი



მსოფლიოში ყველაზე გრძელი პანამერიკანას გზატკეცილია, რომელიც ამერიკის ორივე კონტინენტს კვეთს ალასკიდან ცეცხლოვან მიწამდე, ანუ ჩრდილო ამერიკის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე წერტილიდან სამხრეთ ამერიკის ყველაზე სამხრეთ წერტილამდე. პლანეტის ყველაზე გრძელი გზატკეცილის სიგრძე 27.378 კმ-ია. 1970 წელს ეს გზატკეცილი თავიდან ბოლომდე პირველად გადაკვეთა ავტომანქანამ. მგზავრობა 99 დღეს გაგრძელდა.

## ყველაზე მოკლე წელიწადი



ჩვ.წ.აღ-ით 46 წელს რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მოქმედ კალენდრად იულიუსის კალენდარი გამოცხადდა, რომელსაც წლის დასაწყისი მარტიდან იანვარში გადაჰქონდა. ამგვარად, ახალ სტილზე გადასვლის წინა წელი ყველაზე მოკლე (ორი თვით) აღმოჩნდა, რადგან მარტში დაიწყო და დეკემბერში დამთავრდა...

## ყველაზე უცნაური საბავშვო წიგნი




ყველაზე უცნაური საბავშვო წიგნი, რომლის სახელწოდებაცაა „მამაჩემის ახალი ცოლი, რომელსაც რობერტი ჰქვია," გერმანელმა გამომცემელმა გამოუშვა, რომლის თქმითაც, წიგნის მიზანია მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფსიქიკური ტრავმები ბავშვებში, რომელთა მშობლები განქორწინდნენ ანდა ერთსქესიანი ქორწინება არჩიეს...

## ყველაზე დიდი რიცხვი



**ამჟამად ყველაზე დიდ რიცხვად მიიჩნევა „გუგოლი" (googol) — ერთიანი ასი ნულით, რომელიც აღინიშნება, როგორც 10 მე-100 ხარისხში.**

სახელწოდება ამერიკელმა მათემატიკოსმა ედვარდ კასნერმა შემოიღო, ხოლო გამოიგონა მისმა 9 წლის ძმისშვილმა. სახელწოდება შემდგომში საფუძვლად დაედო ცნობილი ინტერნეტკომპანიის — Google-ს დასახელებას.

ყველაზე დიდი რიცხვი ამავე დროს გამოთვლითი სამყაროს ზღვარს წარმოადგენს, რადგან სამყაროში არ არსებობს არც ერთი პარამეტრი, რომლის საზომადაც „გუგოლის" გამოყენება იქნებოდა საჭირო.

## ყველაზე ძვირადღირებული მხატვარი



**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მხატვარი ბრიტანელი დემიენ ჰერსტია.** მისი ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ნამუშევარი „For the Love of God" 100 მლნ დოლარად გაიყიდა. ეს ბრილიანტებით მოოჭვილი პლატინის თავის ქალა გახლავთ. ჰერსტის თქმით, ამ ნამუშევრის დასამზადებლად მას 28 მლნ დოლარი და 8601 ბრილიანტი დასჭირდა. პლატინის თავის ქალა ხელოვნების ყველაზე ძვირადღირებული ნიმუშია, რომლის ავტორი დღესაც ცოცხალია.

## ყველაზე ძვირადღირებული ტელეფონი




**ამ ტელეფონის ფასი წარმოუდგენლად მაღალია — 1 მლნ ევრო.** GoldVish-ის მარკის ჩვეულებრივი აპარატებიც ძალიან ძვირია: 22-დან 127 ათას ევრომდე ღირს. ტელეფონების კორპუსები უმაღლესი ხარისხის ბრილიანტებით მოოჭვილი სხვადასხვა ფერის ოქროთია დამზადებული. GoldVish-ის ყველაზე ძვირადღირებული მოდელი, რომლის დიზაინი Emanuele Gueit-მა შეიმუშავა, გინესის რეკორდების წიგნშია შესული. მთელ პლანეტაზე ამ 1 მლნ ევროიან ტელეფონს სულ სამი კაცი ფლობს და, როგორც ამბობენ, სამივე რუსია.

## ყველაზე პატარა ავტომანქანა

**მსოფლიოში ყველაზე პატარა ავტომანქანა ინგლისში 1962 წელს გამოუშვეს.** მოდელს Peel P50 ერქვა და ერთადერთი მგზავრის, ანუ მძღოლისთვის იყო გათვალისწინებული. ტექნიკის ეს საოცრება სიგრძით 134 სმ იყო, ჰქონდა ერთადერთი ფარი და საათში 64 კმ-ს ავითარებდა. კომპანიამ სულ ასი ასეთი ავტომანქანა გამოუშვა.



# ნელი ბერაია — უიღბლო მშვენიერება

**დღეს უკიდეგანოდ გაშლილი თბილისის შემყურე ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, რომ სულ რაღაც 50 წლის წინათ ამ ქალაქში თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა. თავის გამოჩენისა და შეხვედრების საუცხოო ადგილი კი ორი ცენტრალური ქუჩა იყო — რუსთაველი და პლეხანოვი.**

პლეხანოვზე სასეირნოდ მოდიოდნენ: დიდუბიდან, ჩუღურეთიდან, ნახალოვკიდან, სვანეთის უბნიდან, ოქროს უბნიდან და ლოტკინიდანაც კი. ხოლო რუსთაველზე: მთაწმინდიდან, სოლოლაკიდან, ვერიდან, ვაკიდან, ორთაჭალიდან და ავლაბრიდან.

ერთ დღეს პლეხანოვზე ჩვენი უბნის დონჟუანი შემხვდა და ქალაქის ახალი ამბები მიამბო: გუშინ რუსთაველზე, ოპერის მხარეს ულამაზესი გოგო გავიცანი, აქაური არ უნდა იყოს, ოპერაზე მკითხა — ეს რა შენობა არისო.

ლამაზ ქალს რა გამოლევს, არც მათზე „მონადირე" კაცების დოლია უჩვეულო. ღირსეულნი თუ უღირსნი სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ ლამაზი ქალის გულის მოგებას — ზოგი ცოლად შერთვის მიზნით, ზოგი კიდევ გასართობად. არჩევანი კი „სუსტი სქესის" ხელშია მეტწილად.

ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ მშვენიერება განა საკამათოა?! ერთ დღეს ის მშვენიერი არსება ჩემმა ბათუმელმა მეგობარმა კუკური ბეჟანიძემ გამაცნო, რომელიც შემდგომ მისი მეუღლე გახდა. ის მშვენიერი ქალიშვილი კი ნელი ბერაია გახლდათ.

თანდაყოლილი ღვთაებრივი სილამაზის წყალობით იგი 14 წლის ასაკში კინოსტუდია „ქართული ფილმის" ობიექტივში მოხვდა და კინოფილმ „აკაკის აკვანში" უკვე სახელმოხვეჭილ ულამაზეს ქალბატონთან — მედეა ჯაფარიძესთან ერთად ამღერეს „სანთელივით ჩავქრები..." ასე დაირწა ნელი ბერაიას სამსახიობო აკვანი, რომელსაც გზის გაგრძელება აღარ მოჰყოლია.

**ეს ის დროა, როდესაც მხატვრული ფილმის „ქეთო და კოტეს" გადაღების წინა სამზადისი მიმდინარეობდა. რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი მსახიობთა შერჩევით იყო დაკავებული. პარალელურად მას სამხატვრო საბჭო ეხმარებოდა. ქეთოს როლის სინჯებზე მედეა ჯაფარიძე და ნელი ბერაია გადაიღეს. სამხატვრო საბჭომ არჩევანი ნელიზე შეაჩერა და პატარა გოგოს მიხეილ ჭიაურელმაც კი მიულოცა ესოდენ დიდი წარმატება. მაგრამ რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის კატეგორიული მოთხოვნით, ქეთოს როლი იმდროისთვის უკვე ცნობილ მსახიობს, ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს უნდა ეთამაშა. ასეც მოხდა. ქალბატონი მედეა ქეთოს როლში განუმეორებელი აღმოჩნდა.**


ნელი ბერაია


ოდრი ჰეპბერნი


ოდრი ჰეპბერნი

ამის შემდეგ ბედისწერამ ნელი ბერაია სულ სხვა გზით გააქანა. უიღბლობა მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, რამდენჯერაც გათხოვდა, იმდენჯერ დაქვრივდა; ორი შვილი შეეძინა და ორივე ტრაგიკულად დაეღუპა. ღვთიური სილამაზე კი ხანდაზმულობამდე შერჩა.

წარმოუდგენელი იყო ისეთი ქალის მარტოსულობა, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავდა ოდრი ჰეპბერნს. იგი ეძებდა და მასაც ეძებდნენ. მისი უკანასკნელი მეუღლე ცნობილი მსახიობი ირაკლი უჩანეიშვილი გახლდათ.

როგორც იქნა, ნელი ბერაიას ბედუკუღმართობის მატარებელმა ჩაიარა და წარმატებებისკენ მიმავალი მატარებელიც ჩამოდგა. მასში დაგროვილმა ნიჭიერებამ იფეთქა. როგორც ირკვევა, დეიდამისი მხატვარი ყოფილა, მაგრამ ზარმაცი. თურმე დიდხანს ხატავდა თამარ მეფის პორტრეტს და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერ დაამთავრა. გენეტიკამ თავისი ქნა. ნელიმ ფანქარი აიღო და ხატვა დაიწყო. სურათი რომ დაამთავრა, ბუნების ძალამ ნახატის კიდევ უფრო გამშვენიერებაზე ჩააფიქრა. ბისერებითა და მძივებით გააფორმა, რასაც ერთი წელიწადი მოანდომა. სრულყოფილი პორტრეტი ექსპერტების მაღალი შეფასებით გამომცემლობა „ომეგამ" შეიძინა.

ამას მოჰყვა სხვა ნამუშევრები და რამდენიმე გამოფენა „ფერწერა მძივებით", რამაც საზოგადოებისა და ხელოვნებათმცოდნეების ყურადღება მიიქცია.

**ჟანი სიხარულიძე**




# მიირთვით «კაპრიჩოს» ტკბილეული სურვილისამებრ

**თბილისში გაიხსნა იტალიური საკონდიტრო „კაპრიჩო", რომელიც ახალი სიტყვაა საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიებითაა შექმნილი. ეკოლოგიურად სუფთაა და ფასებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

Capriccio
The Italian confectioner's shop



**„კაპრიჩო"** (იტალ.) ნიშნავს — **სურვილისამებრ** — ამდენად, ის მართლაც რომ აკმაყოფილებს ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას.

კომპანია, ძირითადად, ორიენტირებულია კრემიან და ფენოვან ნამცხვრებზე, ისეთებზე, როგორიცაა: კრუასანები, როგოლახი, როზენსი, ტორტი და სხვა კრემიანი ნამცხვრები. ეს ნამცხვრები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ახლო მომავალში ასორტიმენტი უფრო გაიზრდება. ამასთან, საკონდიტრო მიიღებს შეკვეთებს ექსკლუზიურ ნამცხვრებზე.

ნებისმიერი სახეობა არის **„ფრეში"**, ანუ ახალი, ასევე, კომპანიის კაფეში შეგიძლიათ, დააგემოვნოთ ნამდვილი იტალიური პიცა და ქართული ხაჭაპური, რომელშიც გამოყენებულია ინოვაციური ელემენტები.

**ასჯერ გაგონილს — ერთხელ გასინჯვა სჯობს!**

**კომპანიის დევიზი მისსავე სახელწოდებაშია, რომელიც სურვილისამებრ განგაწყობთ ტკბილი სიამოვნებისათვის.**

კომპანია 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული კონდიტერები: რეზო დევდარიანი, დავით ჩხენკელი და თემურ ვაშაკიძე, რომელთა გამოცდილება და ცოდნა კომპანიის წარმატების საწინდარია.



ახალი პროდუქტი იყიდება შემდეგ მისამართებზე:
ყაზბეგის გამზირი №32, ვაჟა-ფშაველას პროსპ. №64,
ასევე თბილისის მაღაზიათა ქსელში.
ოფისის ტელ. 39-82-50.

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net